კრებული ეძღვნება სრულიად საქართველოს
კათოლიკოს–პატრიარქის, მცხეთა–თბილისის
მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ–აფხაზეთის
მიტროპოლიტის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II–ის
დაბადებიდან მე–80 და აღსაყდრებიდან 35–ე წლის
საიუბილეო თარიღს

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY

SCIENTIFIC-THEOLOGICAL WORKS

III

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY AND SEMINARY
PUBLISHING HOUSE

Tbilisi
2012

თბილისის სასულიერო აკადემია

სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები

III

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
გამომცემლობა

თბილისი
2012

UDC (უდკ) 27-1
ს - 333

რედაქტორი: ნინო მელიქიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

Editor: Nino Melikishvili
Doctor of Philological Sciences

რეცენზენტი: დეკანოზი ბიძინა გუნია
ფილოლოგიის დოქტორი

Reviewer: Archpriest Bidzina Gunia
Doctor of Philology

© თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა
ISSN 2298-0342

შინაარსი

ღვთისმეტყველება

ნინო მელიქიშვილი

• წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული სიტყვის
წმ. ეფთვიმე ათონელისა და წმ. ეფრემ მცირის ქართული თარგმანი
(მთარგმნელობითი მეთოდისა და ტერმინთშემოქმედების კუთხით) ---------- 9

გიორგი ვაშალომიძე

• საღმრთო მშვენიერებისათვის ---------- 19

საეკლესიო ფილოლოგია

პროტოპრესვიტერი
გიორგი ზვიადაძე

• რედაქტორული ჩარევები წმ. გრიგოლ ნოსელის ასკეტური
ძეგლის _ „ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა“ _
წმ. ეფთვიმე მთაწმიდლისეულ თარგმანში ---------- 29

მაია რაფავა

• არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძის მიმართ,
როგორც გელათური სკოლის ეპისტოლოგრაფიის ნიმუში ---------- 56

პატრისტიკა

ირაკლი ორჟონია

• წიგნი III, იგავები, **ერმი „მწყემსი“,**
იგავები, რომლებიც თქვა ჩემდამი ---------- 68

გიორგი ჯულაყიძე

• ჩვენი წმინდა მამის, კირილე იერუსალიმელი
მთავარეპისკოპოსის მეხუთე ქადაგება ნათელღებადთადმი ---------- 115

ავთანდილ ასათიანი

• ნეტარი იერონიმეს მოღვაწეობა და პედაგოგიკური
შეხედულებები ---------- 123

ლიტურგიკა

დეკანოზი
ბიძინა გუნია

• საპასექო წლის მოდელირების საკითხისათვის ---------- 129

ჰიმნოგრაფია

ლელა ხაჩიძე

• ქრისტიანული პოეზიის ისტორიიდან
/იოანე მინჩხი, ანდრეა პიროსი და კონსტანტინე პრესლაველი/ ---------- 153

ლელა ხაჩიძე

• ქართული ჰიმნოგრაფიის სათავეებთან ---------- 166

რეცენზიები

ედიშერ ჭელიძე

• წმ. ანდრია პირველწოდებული - საქართველოს განმანათლებელი ---------- 175

CONTENTS

THEOLOGY

Nino Melikishvili

- **St. Gregory the Theologian's 16 Liturgical Words, Translated by St. Euthymius the Athonite and St. Ephrem Mtsire (In terms of the translation method and the term-creating aspect)** ---------- 9

Giorgi Vashalomidze

- About Divine Magnificence ---------- 19

ECCLESIASTICAL PHILOLOGY

Protopresbyter Giorgi Zviadadze

- **Editorial implications in the translation of St. Euthymius the Athonite of the ascetical treatise of St. Gregory of Nyssa** ---------- 29

Maia Raphava

- Arsen Bulmaisimisdze's Epistle to Abuser Abuserisdze - The Epitome of the Gelati Epistolary School ---------- 56

PATRISTICS

Irakli Orzhonia

- **Hermas and his book "The Shepherd"** ---------- 68

Giorgi Julakidze

- The Fifth Homily of Our Holy Father Cyril, Archbishop of Jerusalem Addressed to the New Converts ---------- 115

Avtandil Asatiani

- The Blessed Jerome's Work and His Pedagogical Standpoints ---------- 123

LITURGIC

Archpriest
Bidzina Gunia

- **About the Issue of Modelling of the Paschal Year** ---------- 129

HYMNOGRAPHY

Lela Khachidze

- **Toward the History of Christian Poetry**
/ Ioanne Minchkhi, Andrew Pyrrhus
and Konstantin Preslavski / ---------- 153

Lela Khachidze

- **Ancient Georgian Hymns and Liturgical**
Tradition ---------- 166

REVIEW

Edisher Chelidze

- **St. Andrea the Apostle - The Illuminator of Georgia** ---------- 175

ღვთისმეტყველება

ნინო მელიქიშვილი

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული სიტყვის წმ. ეფთვიმე ათონელისა და წმ. ეფრემ მცირის ქართული თარგმანი (მთარგმნელოგითი მეთოდისა და ტერმინთშემოქმედების კუთხით)

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ჰომილეტიკურ სიტყვაში **„ლოგოსი“** (logo~) ხშირი ხმარების სიტყვაა. არსებობს ამ ჰომილიათა ორი თარგმანი, შესრულებული X-XI სს-ის ორი უდიდესი საეკლესიო მოღვაწის, წმ. ეფთვიმე ათონელისა და წმ. ეფრემ მცირის მიერ. ქვემოთ წარმოვადგენთ მათ მიერ logo~ /Logo~-ის გადმოღების ამსახველ მასალას.

I ძირითადად, ბერძნული დედნის **„ლოგოსი“** ორსავე თარგმანში გადმოტანილია როგორც „სიტყუა“. ეფრემ მცირესთან ერთადერთი გამონაკლისია ამ წესიდან, როდესაც ის logo~-ს თარგმნის არა როგორც „სიტყუა“-ს, არამედ იყენებს მის ერთ-ერთ მნიშვნელობას, **„შესაბამ“**-ს: „რისხვაჲ **შესაბამ** შეცოდებათა“[1] (16 IV 11). Kata **lόgou** twn amarth-

---

1 წერილში მაგალითებს ვიმოწმებთ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ჰომილეტიკური სიტყვის ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჟამინდელი „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი“) ავტორთა კოლექტივის მიერ ბელგიაში, Corpus Christianorum-ის სერიით, 5 ტომად გამოცემული ტექსტიდან: Sancti- Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica, I, II, III, IV, V, Orationes I, XLV, XLIV, XLI, XV, XXIV, XIX, XXXVIII, XLIII, XXXIX et XL. Corpus Christianorum, Series Graeca, 36, 42, 45, 52, 58. Corpus Nazianzenum, 5, 9, 12, 17, 20. Edita a Helene Metreveli et K.Bezarashvili, M.Dolakidze, Ts.Kourtsikidze, M.Matchavariani, N.Melikishvili, M.Raphava, M. Shanidze, E. Chelidze, Turnhout-Brepols publishers, 1998, 2000, 2001, 2004, 2007. Leuven University Press. ჯერ მითითებული გვაქვს სიტყვის რიგითი ნომერი, შემდეგ – მისი დაყოფა ბერძნული გამოცემის მიხედვით და ბოლოს – გამომცემელთა მიერ შემოტანილი ტექსტის დამატებითი დაყოფა.

matwn 16, IV[2]. წმ. ეფთვიმე ათონელი ამ ადგილას წერს **„შემსგავსებულად“**.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წმ. ეფთვიმე ათონელს, ეფრემის მსგავსად, logo~-ი, როგორც წესი, გადმოაქვს „სიტყუა“-თი. მაგრამ თუ ეფრემმა მხოლოდ ერთხელ გადაუხვია ამ გზას, წმ. ეფთვიმესთან ასეთი გადახვევა საკმაოდ ბევრია. ის logo~-ის შესატყვისად ხმარობს თითქმის ყველა იმ მნიშვნელობას, რომელიც ჰქონდა მას სხვადასხვა ფილოსოფიურ მოძღვრებაში და რომლებიც შემდეგ logo~-ს დაუმკვიდრდა დამოუკიდებელი მნიშვნელობების სახით[3]. აღვნუსხავთ წმ. ეფთვიმეს მიერ logo~-ის შესატყვისად გამოყენებულ ყველა მნიშვნელობას:

1) logo~-ის ერთ-ერთი თავდაპირველი და ძირითადი ფუნქცია,როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,იყო მეტყველების აქტის გამოხატვა. იქ,სადაც ამ მნიშვნელობით logo~-ის შესატყვისად ეფრემთან გამოყენებულია „სიტყუა“, წმ. ეფთვიმე, გარდა „სიტყუისა“, წერს: „გამომეტყუელების ჴელოვნება“ (43 I 7), „მეტყუელება“ (42 XXIV 88), „პირმეტყუელება“ (14 XXIII 107), „თქუმული“ (39 XI 45; 19 XVI 88), „თქუმა“ (39 IX 32), „თქუმა“ (ეფრ.: „სიტყჳს თხრობა“; 43 XV 74), „ბრძანება“ (ეფრ.: „სიტყჳთ დანახვა“; 21 X 52), „წიგნი“ (ეფრ.: „სიტყჳსმოქმედება“; 43 III 17), „ჴსენება“ (ეფრ.: „სიტყჳსგება“; 43 XXII 108), „მრავალმეტყუელი“ (ეფრ.: „სიტყჳერებით უპირატესი“; 21 XXI 109), „გამოსახვა“ (ეფრ.: „სიტყჳთ წარმოდგენა“; 21 XXIX 152).

2) მეტყველების აქტის გამოხატვის პარალელურად logo~-ი გულისხმობდა მასში ჩადებულ შინაარსს, აზრს. ამასვე უნდა გულისხმობდეს წმ. ეფთვიმე, როდესაც logo~-ს თარგმნის როგორც **„საიდუმლო“**-ს (39 XV 81; 45 XVI 78) და **„ძალ“**-ს (45 XVIII 89; 14 XXXI 149). ორივე ამ სიტყვის ძველი ქართული მნიშვნელობა არის **„აზრი“**.

3) **„ხედვა“**-ს ძველ ქართულში აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: ა) „ჭვრეტა, შეცნობა“; ბ) „განჭვრეტა, წარმოსახვა“; გ) „თეორია, იდეა“; დ)

---

2 მაგალითებს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ბერძნული ტექსტიდან ვიმოწმებთ შემდეგი გამოცემის მიხედვით: Patrologiae Graecae, Accurante et recognoscent J. –P. Migne, t. 35, 36. Turnhout (Belgium).

3 Энциклопедический словарь. издатели Ф. А. Брокгауз и И. А. Ефрон, т. XVII, С. -Петербург, 1898,стр. 900-902. Lexikon der Alten Welt, redaction Klaus Bartels und Ludwig Hubert, Tübingen und Zürich, 1965, s. 1764-1765. A Greek-English Lexikon of the New Testament and other early Christian Literature, by William F. Arndt and F. Wilbur, Gingrich, 1952, p. 480. ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი, I, II, პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი დამანა მელიქიშვილი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბ., 2010.

„იდეა, აზრი“[4]. logo~-ის შესატყვისად წმ. ეფთვიმე წერს **„ხედვა“**-ს და ამ სიტყვაში „აზრის“ მნიშვნელობას დებს: „ესრეთ ტარიგი იგი დაიკლვის ჩუენდა და აღინიშნვიან სისხლითა მისითა პატიოსნითა საქმე და **ხედვაჲ**“ (45 XV 74).

4) ჰერაკლიტეს მიხედვით, ბუნება შეიმეცნება მსჯელობის გზით. ამდენად, logo~-ს მსჯელობის მნიშვნელობა მიეცა. ამასვე უნდა გულისხმობდეს წმ. ეფთვიმე მთაწმიდლის მიერ logo~-ის შესატყვისად გამოყენებული **„მოძღურება“** (14 XIV 67), **„გულისჴმის-ყოფა“** (43 XIII 61), **„სწავლა სიბრძნისაჲ“** (43 XX 96; ეფრ.: „სიტყჳთ საშურველი“), **„სიბრძნის მოსწავლენი“** (ეფრ.: „სიტყუათანი“; 43 XXXI 322).

5) რამდენიმე შემთხვევაში წმ. ეფთვიმე logo~-ის შესატყვისად წერს **„მიზეზს“**. ეს მნიშვნელობა logo~-ს არისტოტელემ მიანიჭა: „ნუკუე სხუანიცა **მიზეზნი** იყვნენ ჩუენდა უცნაურნი“ (40 XXIX 137). არისტოტელემვე ჩადო „ლოგოსში“ „ფორმის“ გაგება. ამ მნიშვნელობას უახლოვდება წმ. ეფთვიმე მთაწმიდლის მიერ გამოყენებული **„სახე“** logo~-ის შესატყვისად: „**სახე** ამისა არს მერვისა დღისა წინადაცუეთაჲ (40 XXVIII 130). ეფრ.: „და ამისთჳს **სიტყუა** ჩუენდა არს რვა დღისა იგი წინადაცუეთაჲ“.

6) ფილონის მიერ logo~-ის ერთ-ერთი განმარტება არის „შემოქმედებითი ენერგია, რომელიც ქმნის და ასულიერებს სამყაროს“. ვფიქრობთ, სწორედ ამას გულისხმობს logo~-ის შესატყვისად წმ. ეფთვიმეს მიერ გამოყენებული **„განგებულება“**: „რამეთუ არარას ზედა ესრეთ უხარის ღმერთსა, ვითარ მოქცევასა ზედა კაცთასა და ცხორებასა, რომელთათჳს ყოველი საიდუმლოჲ და **განგებულებაჲ** აღასრულა“ (39 XX 108)[5].

7) ორჯერ გადმოაქვს წმ. ეფთვიმეს ბერძნული „ლოგოსი“ **„სარწმუნოებით“**: „პოვნა, ვითარმედ გონებაჲ ორთავე კერძოთაჲ ერთი იყო და არა განიწვალებოდეს **სარწმუნოებითა**“ (21 XXXV 192); „გულისჴმავყავთ და უძლურებაჲ იგი მათი ძალად ჩუენისა ამის **სარწმუნოებისა** მოვიღეთ“ (43 XI 55). „სარწმუნოებას“ სულხან-საბა განმარტავს როგორც „შეთვისებით მყოფობას და ნებსით თანამიყოლას“. ვფიქრობთ, ეფთვიმეს თარგმანში აისახა „ლოგოსის“ ფილონისეული გაგება. მის მიხედვით,„ლოგოსი“ არის დამაკავშირებელი რგოლი ღმერთსა და სამყაროს შორის.

8) წმ. ეფთვიმე ბერძნული „ლოგოსის“ შესატყვისად ერთხელ წერს

---

4 ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნ. კეჭაღმაძემ და მ. რაფავამ. გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. რაფავამ,„მეცნიერება“, 1983, გვ. 236. „ხედვის“ შესატყვისად მ. რაფავა უთითებს „h qewria“- ს.

5 მ. რაფავას „განგებულება“ განმარტებული აქვს როგორც ძე-ლოგოსის განხორციელება (იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. რაფავამ, თბ., 1976, გვ. 195).

„ბრძოლას“. „ბრძოლაში“ აქ იგულისხმება წმიდა სიტყვის ძალით ბოროტების დამარცხება: „რამეთუ უძლიერესისაცა ბრძოლისა მიმართ იყო მისი **ბრძოლაჲ,** მსგავსად არაწმიდისა მის სულისა და ბოროტისა“ (43 XLIV 187). ეფრ.: „ვითარ-იგი უძლიერესისა წინაგანწყობისა მიმართ იყო **სიტყუაჲ** მისი არაწმიდისა მისებრ სულისა და ბოროტისა“.

9) წმ. ეფთვიმეს logo~-ი ესმის როგორც ამაღლებული, წმინდა ცხოვრების ტოლფასი ცნება: „დაღათუ ჩუენ თანა მოვიდა **სახიერებისათჳს კაცთმოყუარებისა** მისისა“ (43 XV 191); ეფრ.: „დაღათუ ჩუენ თანა რაჲმე იქმნეს **სიტყჳთა კაცთმოყუარებისაჲთა**“. ეფთ.: „ხოლო ამას იქმოდა **სულიერისა მის საზრდელისა** თანა“ (43 XXXVI 159); ეფრ.: „და ესე **საზრდელსა თანა სიტყჳსასა**.“ ეფთ.: „რაჟამს სწავლათა მისთა და **მონაზონებისა წესთა** მივემთხჳო, განვწმდები სულით და ჴორცით“ (43 XVII 278); ეფრ.: „რაჟამს სწავლითთა და **საქმითთა სიტყუათა** მისთა ვიკითხვიდე, განვწმდები სულით და ჴორცით“.

10) „საღმრთო წერილის“ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ logo~-ის შესატყვისად „წერილნი“ წმ. ეფთვიმესთან: „არამედ ესე გასწაონ **წერილთაცა** და მკურნალთა და უძლურთა მათ თანა მეფეთა და მსახურთა“ (14 XXVII 128). ... oi logoi... „და იყო ცხადი იგი საქმჱ და შფოთი სხუათა მიერ, ხოლო ჴელი აბესალომისი მათ თანა, ვითარცა **წერილ არს**“ (21 XV 77). ...w~ logo~...

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი, წმ. ეფრემის მსგავსად, logo~-ს, ძირითადად, როგორც „სიტყვას“, ისე თარგმნის. ის შემთხვევები, როდესაც ეფთვიმე აკონკრეტებს logo~-ის მნიშვნელობას, თითქოს არაფრით განსხვავდება იმათგან, სადაც წმ. ეფთვიმეს logo~-ი „სიტყუით“ გადმოაქვს. რაც შეეხება ეფრემ მცირეს, ის თავის თავს არ აძლევს იმის უფლებას, რომ შიგადაშიგ ბერძნული დედნის, ფაქტიურად, კომენტირება მოახდინოს logo~-ის გაგების თვალსაზრისით, რასაც აკეთებს წმ. ეფთვიმე ათონელი. შესაძლოა, გარდა ეფრემის სურვილისა, სიტყვასიტყვით ეთარგმნა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული სიტყვა, რადგან ქართველი მკითხველი, მისი აზრით, უკვე მზად იყო ამ დიდი წმიდა მამის ნააზრევის სიღრმისეულად გაგებისათვის, მას აბრკოლებდა ბერძენთა ბრალდებები: წმ. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების შემცველ ყველაზე სრულ ხელნაწერზე, A 292-ზე დართული ანდერძიდან ირკვევა, რომ ბერძნები საყვედურობდნენ ქართველებს გრიგოლის ჰომილიების არასრულად და არაზუსტად თარგმნის გამო. ამ ბრალდების პასუხად შეიძლება ჩავთვალოთ Ier. 43 ხელნაწერზე დართული ეფრემის ანდერძი: „ხოლო მორწმუნეობისათჳს მზა ვარ სიტყჳსგებად ყოველთა გამომეძიებელთა და შევაჩუენებ ყოველსა წვალებასა და წინააღმდგომსა წმიდათა მამათა და მართლმადიდებელთა კრებულთა სჯულისდებისასა, და ესრეთ მწამს, ვითარცა ქადაგებს დიდი გრიგოლ ღმრთისმეტყუელი“ (4r).

II როგორც ვნახეთ, წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი თავის თარგმანში არაიშვიათად ხმარობს logo~-ის კონკრეტულ მნიშვნელობებს; ასევე არ გაურბის ის logo~-ის ან მისი შემცველი რომელიმე გამოთქმის მეშვეობით ბერძნული დედნის აზრის გადმოღებას მაშინ, როდესაც იქ არ არის logo~-ი. ამით წმ. ეფთვიმე ბერძნული დედნის აზრს არც ამახინჯებს, არც აბუნდოვანებს: მის მიერ ნახმარი **„სიტყუა“** ან მისი შემცველი გამოთქმა ფარავს დედნის მნიშვნელობას. ასეთ შემთხვევებში კიდევ ერთხელ ვხდებით დედნისადმი მისი თავისუფალი მიდგომის მოწმენი. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

ბერძნული **tw`n fwnw`n** (40,XXIV) წმ. ეფრემმა თარგმნა როგორც **„ჴმა“**, ეფთვიმემ კი დაწერა **„სიტყუა“**. ეფთვიმეს სრული უფლება ჰქონდა ასე მოქცეულიყო, რადგან h fwnh-ს ერთ-ერთი მნიშვნელობა არის „სიტყუა“, ეფრემისათვის კი „სიტყუა“, როგორც ჩანს, არის მხოლოდ და მხოლოდ „ლოგოსი“. ის ასე უბრალოდ ვერ ბედავს მის ხმარებას, თუნდაც იცოდეს, რომ დედნის h fwnh-ს ქვეშ სიტყუა“ იგულისხმება – ეფრემის მიერ გამოყენებული „ჴმაც“ „სიტყუას“ ნიშნავს ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

მსგავსი შემთხვევებია: ეფრემი **lέξewn**-ს (16, II) თარგმნის როგორც **„ლექსს“** (16 II 4), ეფთვიმე კი წერს **„სიტყუას“**. ეფთ.: **სიტყუათა პოვნიერება** (21 XXXII 168), ეფრ.: **რწმუნება**, to piqanon. ეფთ.: სიტყუა (21 XXXV 191), ეფრ.: **თქუმული**, twn legomenwn. ეფთ.: **სიტყუა** (40 XXI 92), ეფრ.: **თარგმანება**, exhghsin. ეფთ.: **სიტყუის ქება** (43 I 3), ეფრ.: **შესხმა**, eufhmia. ეფთ.: **სიტყუაჲ იგი ერთარსებისაჲ** (21 XXII 113), ეფრ.: **თანაარსება,** to omoousion. ეფთ.: **სიტყუაჲ ცარიელი** (21 XXIV 127), ეფრ.: **ცუდსახელი**, yeudwnumo~. ეფთ.: **სიმკოდავე სახელთა სიტყუათაჲსა** (21 XXXV 189), ეფრ.: **სიგლახაკე სახელთაჲსა**. ეფთ.: **ძალი სიტყუათაჲ** (21 XXXV 1), ეფრ.: **გონება თქუმულთაჲ**, ton nou twn legomenwn. ეფთ.: **სიტყუა საქმეთათჳს** (42 I 2), ეფრ.: **პატიჟი**, euquna~.

თუ ხშირად წმ. ეფთვიმე აკონკრეტებს logo~-ის მნიშვნელობას და მკითხველს უადვილებს ტექსტის გაგებას, ხომ არ იქცევა აქ საპირისპიროდ, ე. ი. ურთულებს მას თარგმანის გაგებას იმით, რომ წერს ამ მრავალი მნიშვნელობის მქონე „სიტყუას“ რომელიღაცა ერთი კონკრეტული მნიშვნელობის ნაცვლად? მაგრამ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ის წერს „სიტყუას“ თუ მის შემცველ გამოთქმას არა logo~-ის შესატყვისად, აზრის გაგება სირთულეს არ წარმოადგენს - არ არის საჭირო logo~-ის ნაირ-ნაირი მნიშვნელობების ჩხრეკა იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რა იგულისხმება ეფთვიმეს მიერ დაწერილი „სიტყუის“ ქვეშ.

III ზოგიერთ შემთხვევაში წმ. ეფთვიმე logo~-ს არ თარგმნის არც „სიტყუით“, არც მისი რომელიმე კონკრეტული მნიშვნელობით. ის, უბრალოდ, ბერძნული დედნის აზრს გაცილებით ვრცლად გადმოგვცემს. ყველა ამ შემთხვევაში მას, ალბათ, ამოძრავებდა სურვილი, გასაგები

თარგმანი მიეწოდებინა მკითხველისათვის. ეფთვიმეს ამგვარი დამოკიდებულება სათარგმნი დედნისადმი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ფაქტია[6]. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს, ოღონდ ამჯერად ჯერ ეფრემის თარგმანს, შემდეგ – წმ. ეფთვიმესას:

ეფრ.: „ესე გრძელთა მათ ღუაწლთა და **სიტყუათა** უსრულეს არს, რაოდენთა, აჰა ეგერა, ყოველნი სიტყჳსმწერლობენ, რომელთა პატივის-მოყუარებაჲცა რაჲმე თანაშეუღლებულ და ნუკუე და ამისთჳს გარდაერევიან რასმე სიტყუათათჳს“ (21 XXXVI 193).

ეფთ.: „ესენი იტყოდეს სამთა გუამთა და ერთსა არსებასა, მათ სახელი გუამთაჲ არა აქუნდა ენასა მათსა და იტყოდეს სამთა გუამთა წილ სამთა პირთა – ერთარსებასა და ერთსა ბუნებასა ღმრთეებისასა და არცა ერთი რაჲ იყო წვალებაჲ მათ შორის. ამისთჳსცა გონიერმან მან და სარწმუნომან მონამან ღმრთისამან ცილობაჲ მათი განაქარვა და სარწმუნოებაჲ მათი შეაერთა, ერნი ურიცხუნი ერთობად და სიყუარულად მოიყვანნა“.

როგორც ვხედავთ, წმ. ეფთვიმე ძალიან აქტიურად ჩაერია სათარგმნ დედანში. ეს არის არა თარგმანი, არამედ კომენტარი. მოვიტანთ ეფთვიმეს მიერ ტექსტის განმარტების კიდევ ერთ მაგალითს:

ეფრ.: „კარაული მოიყვანებდა მას, ვითარცა კნინღა და თჳთ იესუჲს კარაული იგი, გინა თუ სხუასა რასმე ჰნებავს მოსწავებად **სიტყუასა**“ (21 XXIX 154).

ეფთ.: „კარაულსა ზედა ჯდა იგი, ვითარცა პირველ უფალი ჩემი იესუ დაჯდა კარაულსა ზედა, ანუ თუ სხჳსა რაჲსმე უმაღლესისა საქმისა სახე იყო სიმდაბლე იგი მეუფისაჲ“.

IV ზოგჯერ წმ. ეფთვიმე წერს „სიტყუას“ იქ, სადაც ბერძნულ დე-

---

6 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 191-192; 253-254. მისივე: მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1956, გვ. 186. მისივე: ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში, ეტიუდები, ტ. II, თბ., 1945, გვ. 265. ც. ქურციკიძე, გრიგოლ ღვთისმეტყველის XLIII ჰომილიის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის თავისებურება, ფილოლოგიური ძიებანი, II, თბ. 1995, გვ. 42-63. ნ. მელიქიშვილი, რამდენიმე დაკვირვება ეფრემ მცირისა და ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობით მეთოდზე, მაცნე, ელს, 1987, №4, გვ. 119-129. მისივე: ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდი წმ. გრიგოლ ნაზიანზელის არალიტურგიკული სიტყვების მიხედვით, მრავალთავი, XIX, თბ., 2001, გვ. 225-235. წმ. გრიგოლ ნოსელი, „ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა“, წმ. ეფთვიმე მთაწმიდლისეული ქართული თარგმანის ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, საღვთისმეტყველო კომენტარები და ლექსიკონი დაურთო პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, თბ.-ის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, 2011, გვ. 27-114.

დანში და, შესაბამისად, წმ. ეფრემთან არის განუსაზღვრელი ნაცვალსახელი. მაგ.: ეფთ.: „ხოლო ვიტყოდი **სიტყუათა** არა ლბილთა და საჰამოვნელთა“ (19 IV 16). ეფრ.: „ხოლო ვიტყოდი არა ჩჩულთა **რათმე** და საჰამებელთა“; ... ou malakon ti kai anabeblhmenon.

ზოგჯერ ეფთვიმე „სიტყუის“ მეშვეობით აზრს ავრცობს და ასრულებს: „და იყავნ დღესასწაულობაჲ ჩუენი **სიტყჳსა** მისებრ საწინაჲსწარმეტყუელოჲსა: „განიბანენით, განიწმიდენით, მოსპეთ უკეთურებაჲ სულთაგან თქუენთა“ (39 XX 106). ეფრ.: „ხოლო ვიშუებდით ვითარ? არამედ „განიბანენით, წმიდა-იქმნენით“; Trufh swmen de pw~; Lousasqe, kaqarui ginesqe.

ზოგჯერ წმ. ეფთვიმე აზრს უფრო გასაგებს ხდის „სიტყუის“ შემოტანით თარგმანში. მაგ.: „ესე იყო მიზეზი ცილობისაჲ მის და დღითიდღედ აღორძნდებოდა, ვიდრეღა **სიტყუათა** მათ მიზეზითა განიწვალნეს ბერძენნი და ჰრომნი ურთიერთას“ (21 XXXV 190). ეფრ.: „მარადის მცირე რაჲმე შეეძინებოდის შეწუხებასა და მწუხარებაჲ ესე ყო ძლევისმოყუარებამან, რამეთუ აჭირვებდა მარცულებისავე თანაგანყოფად კიდეთა“.

V როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **Λόγος**-ის სახარებისეული გაგება გულისხმობს ღმერთის არსის სრულ გახსნა-გამოცხადებას, ღმერთის სიტყვას, განსხეულებულს ქრისტეს სახით. როგორც წესი, წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი და ეფრემ მცირე **Λόγος**-ს თარგმნიან როგორც **„სიტყუას“**: „ჲ მამაო და სიტყუაო და სულო წმიდაო“ (ეფთ., ეფრ. 45 XXX 145); w Pater, kai **Λόγε**, kai Pneuma. ქვემოთ მოვიტანთ ამ წესიდან გადახვევის ყველა შემთხვევას:

ა) ზოგჯერ (სულ 7 შემთხვევაა) ეფთვიმე განასხვავებს Logo~-ს logo~-ისაგან და წერს: **„სიტყუაჲ ღმრთისაჲ“**. ასეთ შემთხვევებს იმის გამო აღვნიშნავთ საგანგებოდ,რომ ეფრემი იგივეს არ აკეთებს - Logo~-ი და logo~-ი ყოველთვის **„სიტყუათი“** გადმოაქვს: ეფთ.: „წარჰმართოს **სიტყუამან ღმრთისამან** სიტყუაჲ მოძღურებისა ჩუენისაჲ“ (39 II 6); ეფრ.: „წარჰმართოს **სიტყუამან** სიტყუაჲ...“; epeidan euodwsh **tòn lógon ò Λόγος**.

ბ) ერთ შემთხვევაში წმ. ეფთვიმე Logo~-ის შესატყვისად წერს არა „სიტყუას“ ან „ღმრთის სიტყუას“, არამედ – ღმერთის სინონიმს, **„დამბადებელს“**: „ვითარცა სხუაჲ ყოველი, ესრეთვე ესე კეთილად განაწესა ჴელოვანმან მან **დამბადებელმან** მიუწოომელითა მით სიბრძნითა მისითა“ (14 XX 90); ეფრ.: „რაჲთა ვითარ-იგი სხუაჲცა რაჲმე, ესეცა კეთილად მოღონებულ იყოს ჴელოვნისა **სიტყჳსა** და ყოველთა გონებათა უზეშთაესისა სიბრძნისაგან“; tw tecnith **Λόγῳ**.

გ) ეფთვიმემ tou Logou katatomhn (21 XXXV) თარგმნა როგორც „**განწვალება მორწმუნეთაჲ**“, ეფრემი კი წერს: **„სიტყჳს განკუეთა“**. ორსავე შემთხვევაში იგულისხმება რწმენის დაკარგვა, ქრისტესგან ჩამო-

შორება.

დ) ორჯერ ეფთვიმე საერთოდ არ თარგმნის Logo~-ს. როგორც ჩანს, თვლის, რომ ისედაც ცხადია, რის შესახებ არის საუბარი: „სამნი შობანი უწყებულ არიან ჩუენდა: ერთი იგი – ჴორცთაჲ და მეორე – ნათლისღებისაჲ და მესამე – აღდგომისაჲ“ (40 II 4); ეფრ.: „სამნი შობანი უწყნის ჩუენდა **სიტყუამან**: ჴორცთაგანი, ნათლისღებისაგანი, აღდგომისაგანი“; Trisshn gennhsin emin oide o **Λόγος**.

ეფთ.: რაჲთა არა მიეცეს სიწმიდჱ ძაღლთა, ბოროტთა მათ სიტყჳსა მტაცებელთა, არცა დაესხას **მარგალიტი** წინაშე ღორთა“ (45 XVI 82); ეფრ.: „რაჲთა არა მიეცნენ წმიდანი ძაღლთა და ბოროტთა სიტყჳსა გამჭრელთა, ვითარ არცაღა ღორთა ბრწყინვალები **სიტყჳსა მარგალიტები**“; ...kakoi~ tou logou... **τοῦ Λόγου** kai margarwde~.

შესაძლებელია, წმ. ეფთვიმემ ზედმეტად მიიჩნია სახარებისეულ სახეში (მთ. 7,6) კორექტივის შეტანა: ისედაც ცხადია, რა იგულისხმება მარგალიტების დასხმაში ღორთა წინაშე.

თეოლოგიურ-ფილოსოფიური ტერმინის **λόγος/Λόγος**-ის გადმოღება წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ჰომილეტიკური სიტყვის ეფთვიმესეულ და ეფრემისეულ თარგმანებში გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა როგორც წმ. ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდის თვალსაზრისით, ასევე ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის შექმნის კუთხით.

1) წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით, ამ ორი დიდი მამის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ შეიძლება გავიმეოროთ ის, რაც უკვე კარგად ნაკვლევი და დადგენილია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში – არც ამ შემთხვევაში უღალატეს წმ. ეფთვიმე ათონელმა და ეფრემ მცირემ თავიანთ მთარგმნელობით მეთოდს: ეფრემისათვის მთავარი იყო დედნის გადმოღებისას ზედმიწევნითი სიზუსტის დაცვა[7], ეფთვიმესათვის კი – მკითხველისათვის გასაგები თარგმანის მიწოდება.

2) გაანალიზებული მასალა, ისევე როგორც ძველი ქართული მწერლობის ბევრი სხვა ძეგლი, გვაძლევს საშუალებას თვალი მივადევნოთ

---

7 უნდა აღვნიშნოთ, რომ ეფრემის დამოკიდებულებას სათარგმნი დედნისადმი დიდწილად განაპირობებდა თხზულების ხასიათი, ჟანრი (თ. ოთხმეზური, კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურაში, ეფრემ მცირე და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარები, თბ., 2011, გვ., 20-21; 222). ამდენად, არსებობს ეფრემ მცირის თარგმანები, რომლებიც არ არის შესრულებული დედანთან ზედმიწევნითი სიახლოვის მეთოდით (ძირითადად, მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის საწყის ეტაპზე. იხ.: ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, I, თბ., 2005, გვ. 544-555). ერთ-ერთი ასეთი თარგმანის შესახებ მსჯელობს ლ. ხაჩიძე წერილში: „ეფრემ მცირის უცნობი თარგმანი“, მაცნე, ელს, 1987, №4, გვ. 119-128.

საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პროცესს. ტერმინების შექმნის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გზა იყო პოლისემიისა და სინონიმიის დაძლევა და ამის მეშვეობით იმ სიტყვათა გადაქცევა ტერმინებად, რომლებიც ადრე ასეთებს არ წარმოადგენდნენ[8]. ქართული ლექსიკის პოლისემიურობას დიდწილად განაპირობებდა ბერძნული ენის გავლენა. ეს გავლენა განსაკუთრებით გაძლიერდა ქართულ-ბიზანტიურ სამყაროებს შორის ინტენსიური ლიტერატურული ურთიერთობის დროს. პოლისემანტიზმი არ აღმოჩნდა ბუნებრივი და ორგანული ქართული ენისათვის, ამიტომ ბევრმა ლექსიკურმა ერთეულმა დაკარგა მისთვის თავსმოხვეული, არაბუნებრივი მნიშვნელობა და შეინარჩუნა მხოლოდ ტრადიციული გაგება. მთარგმნელის მიდგომა სათარგმნი მასალისადმი არცთუ უმნიშვნელო ფაქტორად იქცა ტერმინთა შექმნის გზაზე. წმ. ეფრემის მთარგმნელობითი მეთოდი, ანუ ზუსტი, სიტყვასიტყვითი თარგმანი, თავისთავად გულისხმობდა იმას, რომ ქართული სიტყვების მნიშვნელობათა არე ვიწროვდებოდა: მთარგმნელი ცდილობდა, ყველა ბერძნული სიტყვისათვის მოენახა კონკრეტული ქართული შესატყვისი. ბევრ სხვა მოსაზრებასთან ერთად, დედნის ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოღებისას წმ. ეფრემ მცირეს უთუოდ ამოძრავებდა არარსებული ქართული საღვთისმეტყველო ტერმინების შექმნის სურვილი. ზემოთ მოტანილი მასალა **λόγος/Λόγος**-ის გადმოღებისა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ჰომილეტიკური სიტყვის წმ. ეფრემისეულ თარგმანში, კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ ამ დიდმა საეკლესიო მამამ თავისი უცილობელი წვლილი შეიტანა ტერმინოლოგიურ სიტყვათწარმოებაში.

---

8 იხ. ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, თბ., „მეცნიერება“, 1996. დ. მელიქიშვილი, შავი მთიდან გელათამდე (შავი მთის მთარგმნელობითი სკოლის ძირითადი პრინციპები), ფილოლოგიური ძიებანი, თბ., „ლოგოსი“, 2009, გვ. 653-657.

Nino Melikishvili

St. Gregory the Theologian's 16 Liturgical Words, Translated by St. Euthymius the Athonite and St. Ephrem Mtsire
(In terms of the translation method and the term-creating aspect)

Summary

While translating from Greek logo~/Logo~ in 16 homiletic works by St. Gregory the Theologian, different approaches of St. Euthymius the Athonite and St. Ephrem Mtsire to the source of translation have been revealed: for Ephrem the principal aim was to do an exact translation and for Euthymius it was to give the Georgian reader a more comprehensible text. Ephrem always translates logo~ as "word" (sitqua). As for Euthymius, he rather frequently uses those of its meanings which logo~ had for centuries. The evangelistic meaning of the word Logo~ is "God`s Word", implying Christ. Ephrem translates Logo~ as "Word" and Euthymius sometimes uses various epithets of Christ in such cases.

The conclusion of the article states that St. Ephrem Mtsire`s translation method meant overcoming the polysemy of the Greek words, thus contributing to the creation of the Georgian theological terminology.

გიორგი ვაშალომიძე

საღმრთო მშვენიერებისათვის

ღმერთი ყველაფერსა და ყოველივეზე აღმატებულია. მისგან იღებენ დასაბამს ქმნილებები. ამას ცალსახად აღიარებენ წმინდა წერილი, ღმრთისმეტყველი მამები. ღმრთის აღმატებულება გამორიცხავს მის სახელდებას, რადგან სახელი არსის, საგნის აღნიშვნას ნიშნავს, ღმერთი კი ყოველივე „აღსანიშნზე“ უპირატესია. წმინდა იოანე დამასკელი ბრძანებს: „უსასრულოა და უწვდომელია ღვთაება. მხოლოდ ეს არის საწვდომი მასში – უსასრულობა და მიუწვდომლობა“.[1] წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, განადიდებს რა ღმერთს, ბრძანებს: „შენ ერთი ხარ და ყოველივე. შენ არ ხარ არც ერთი, არც ერთიანი, არც ყოველივე. ჰოჲ, ყოვლადსახელდებულო! როგორ სახელგდვა შენ ერთადერთი, რომელიც სახელდებას არ ექვემდებარები?“[2] მაგრამ ყოვლადსახიერმა ღმერთმა ინება, რომ ადამიანი სრულიად უმეცარი არ ყოფილიყო ღვთის შესახებ ცოდნისა. წმინდა იოანე დამასკელი ბრძანებს: „მან (ღმერთმა), როგორც ყოვლისმცოდნემ და თითოეულისთვის სასარგებლოს წინაგანმჭვრეტმა, რაც გვარგებდა, რომ გვცოდნოდა, გამოგვიცხადა, ხოლო რაც არ ძალგვიძდა, რომ გვეტვირთა, დაიდუმა“.[3] წმინდა დიონისე არეოპაგელიც ამასვე განაჩინებს: „მაინც, ეს კეთილი (ღმერთი) მთლიანად უზიარებელი არ არის არც ერთ არსთაგან, არამედ იგი, თავის თავში ზეარსი, სხვის მკვიდრად დამამყარებელი, კეთილღირსეულად საჩინოვდება არსთაგან თითოეულისათვის შესაფერისი გამობრწყინებების გზით.“[4]

ადამიანი ღმრთის არსს სხვადასხვა სიტყვით გამოხატავს და ამკობს (მაგალითად: ყოვლადსახიერი, ყოვლის შემოქმედი, ბრძენი, ყოვლისმცოდნე და ა.შ.), რომელთაგან „საღმრთო მშვენიერება“ ანუ „საღმრთო კეთილობა“ ერთ-ერთი გამორჩეულია (მით უფრო, რომ „მშვენიერება“ და „კეთილობა“ ძველ ქართულში სინონიმებს წარმოადგენდნენ). უზენაესი მშვენიერება თავად ღმერთია. აი, რას ბრძანებს წმინდა გრიგოლ ნოსელი: „ყოველთა შორის უმშვენიერესი და უაღმატებულესი სიკეთე თავად ღმრთეებრიობაა, რომლისკენაც ყოველივე მიისწრაფვის, ვისაც კი მშვენიერება სწადია.“[5] უნდა ითქვას, რომ საღმრთო მშვენიერება ანუ კეთილობა ქმნილებათა შორის განიჭვრიტება. უზენაესი მშვენიერებისაგან დასაბამდადებული სამყარო, ამ მშვენიერებასთან წილნაყარი, მისი მეტ-ნაკლებად დამტევნელი და შეძლებისამებრ გამომავლინებელია. ამას აღნიშნავს სწორედ წმინდა კასიანე რომაელი: „არათუ მარტოოდენ

თავისი ნეტარი და მიუწვდომელი არსებით საცნაურდება ღმერთი (რაც მხოლოდ წმინდანებისთვის არის დამახასიათებელი სამერმისო საუკუნეში), არამედ იგი საცნაურდება აგრეთვე მისგან ქმნილთა სიდიადითა და სიმშვენიერით.“[6] ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ბიბლიის პირველ წიგნში, „შესაქმეში“, აღწერილი ქვეყნის შექმნის ისტორია. როგორც ვიცით, ბიბლიის თანახმად, ღმერთმა სამყარო ექვსი დღის განმავლობაში შექმნა. თითოეული დღის ბოლოს უფალი ბრძანებს: „და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ“ (შეს. 1:8). მიუხედავად იმისა, რომ ღმერთს საკუთარ მშვენიერებასთან წილნაყარი სამყაროს შექმნა განსრულებული არა აქვს, იგი მაინც ყოველი დღის ბოლოს აფასებს თავის ქმნილებებს, როგორც განსრულებულ მშვენიერებას. ამ ფაქტს წმინდა ბასილი დიდი ასე განმარტავს: „როცა ხელი ცალკეა, თვალი კი – ცალკე და ქანდაკების ყოველი ნაწილი გაფანტულია, ეს სანახაობა ყველასათვის მშვენიერი როდი იქნება, ხოლო როცა თითოეული ნაწილი თავთავის ადგილზე დადგება, ბოლოს და ბოლოს წარმოჩნდება სილამაზე თანაზომიერებისა და მას თვით უმეცარიც კი შეამჩნევს. მაგრამ, რადგან შემოქმედი თითოეულის სილამაზეს გამთლიანებამდე ხედავს და მათი განსრულებული სახეც წინასწარ იცის, ყოველ მათგანს აქებს.“[7]

ასე რომ, როგორც წმინდა მამა შეგვაგონებს, სადმრთო მშვენიერება სრულყოფილი და უკამოა. სრულიად სამყარო ამ „მშვენიერების“ განსაზღვრულად (და არა სრულად) გამომავლინებელია და ეს „გამოვლინება“ ადამიანის გონებას ამ სამყაროს შემოქმედისკენ მიიზიდავს. ამას ბრძანებს სწორედ წმინდა ბასილი დიდი, როცა მნათობთა შექმნის შესახებ საუბრობს: „...თუკი ოდესმე ნათელ ღამეში ვარსკვლავთა მიუთხრობელი მშვენება გიხილავს, უთუოდ გულისხმაგიყვია ყოველთა შემოქმედი... თუკი დღის მანძილზე მღვიძარე გონებით საკვირველებანი დღისა შეგისწავლია და ხილულთა მეშვეობით უხილავი განგიჭვრეტია, მაშინ მოსულხარ განმზადებული მსმენელი და ღირსი იმისა, რომ ეს პატიოსანი და ნეტარი სანახაობა შენითაც შეავსო.“[8] ამასვე სიბრძნისმეტყველებს წმინდა იოანე ოქროპირი: „შეხედე ვარსკვლავთა გუნდს, დააკვირდი ღრმა სიჩუმეს, დიად მდუმარებას, და გაიოცე უფლის საქმენი. ამ დროს შენი სული უფრო სუფთა, მსუბუქი და მღვიძარეა, ამ დროს უჩნდება მას განსაკუთრებული უნარი ამაღლებისა და ზეაწევისა... თუკი ზეცას ახედავ, დაინახავ უთვალავ ვარსკვლავს, ზემოდან მაცქერალ თვალებს რომ ჰგვანან, მაშინ შემოქმედი გაგახსენდება და საოცარ სიამოვნებას იგრძნობ.“[9]

ღვთის ქმნილებათა შორის აღმატებული ქმნილებაა ადამიანი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი, რომელიც ღვთის „ხატად და მსგავსად“ შეიქმნა, ყველაზე მეტად წილნაყარია სადმრთო მშვენიერებასთან. წმინდა გრიგოლ ნოსელი ადამიანზე, როგორც ერთადერთ გონიერ ქმნილებაზე, ბრძანებს: „გონება, იმის გამო, რომ ხატად მშვენიერისა შეიქმნა,

თვითონაც შეუძლია მშვენიერი იყოს“.[10] წმინდა იოანე დამასკელიც ასევე სიბრძნისმეტყველებს: „შექმნა მან (ღმერთმა) ადამიანი თავისი ხატისებრ და მსგავსებისებრ, შეძერწა რა სხეული მიწისაგან და მისცა რა მას, საკუთარი შთაბერვის მიერ, მოაზროვნე და გონისეული სული, რასაც სალვთო ხატად ვამბობთ, რადგან „ხატისებრობა“ გონისმიერობასა და თვითუფლებრივობას აღნიშნავს, „მსგავსებისებრობა“ კი ძალისამებრ სათნოების მსგავსებას. ამრიგად, ღმერთმა ადამიანი შექმნა ყველა სათნოებით გაბრწყინებული და ყველა სიკეთით დამშვენებული, როგორც რამ მეორე ქვეყნიერება...“[11]

საღმრთო, უზენაეს მშვენიერებასთან თანაზიარ ადამიანში ცოდვით დაცემის შემდეგ შეიბღალა ეს „მშვენიერება“. კაცმა საკუთარი, თავისუფალი ნების ცოდვისკენ წარმმართველობით დაკარგა უშუალო კავშირი უზენაეს მშვენიერებასთან და შედეგად სასჯელიც მიიღო. ადამიანის ამ ტრაგედიაზე საუბრობს წმინდა გრიგოლ ნოსელი: „შემოვიდა ცხორებასა კაცთასა ცოდვაჲ და მცირედისა მის მიზეზისაგან აღორძინდა და უზომოდ განვრცელდა კაცთა შორის უკეთურებაჲ და ღმრთისმშვენიერი იგი სულისა სიკეთე, მსგავსად პირმშოჲსა მის სიკეთისა ქმნული, ვითარცა რკინაჲ რაჲმე, ესრეთ დაშავდა გესლითა მით უკეთურებისაჲთა და არღარა აქუნდა თჳსისა მის და ბუნებითისა ხატისა მადლი, არამედ სიდუხჭირე იგი ცოდვისაჲ შეიმოსა და ეწოდა „დიდსა მას და პატიოსანსა ცხოველსა“ მოკუდავად.“[12]

ღმერთს დაშორებულმა ადამიანმა ახალი ცხოვრება დაიწყო. იგი მოსწყდა (თუმცა არა სრულიად) საღმრთო მშვენიერებას და, რა თქმა უნდა, ადრინდელივით ვეღარ განიცდიდა ამ „მშვენების“ კეთილობასა და მადლს. წმინდა დიონისე არეოპაგელი ბრძანებს: „როგორც მოუხელთებელია და ვერდასანახია გრძნობადთათვის გონისეულნი და ნაძერწობასა და გამოსახულებაში მყოფთათვის მარტივნი და გამოუსახველნი, აგრეთვე სხეულების აღნაგობათამებრ უსხეულოთა შეუხებელი და უაღნაგობო დაუსახველობა...“[13] ამ სიტყვებიდან გამომდინარე, თუკი „სხეულების აღნაგობათამებრ დასახულთათვის“ შეუძლებელია ღმრთივმშვენიერი არსის წვდომა, მით უმეტეს შეუძლებელია იგი ცოდვით დაცემული სხეულისათვის. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღმერთი, დატევნისამებრ, უცხადებდა ადამიანებს საკუთარ ზეარსს. საღმრთო განცხადება არც ადამიანის ცოდვით დაცემის შემდეგ შეწყვეტილა (თუმცა შეიზღუდა დაცემის შედეგად). ღმერთმა არ დაუტევა ადამიანი დამსახურებულ, სრულ წყდიადში, არამედ აღუთქვა მას დაკარგული „მშვენიერების“ აღდგენა. მთელი ძველი აღთქმა იყო მოლოდინი ამ იმედის განხორციელებისა და უფლის ეს პირობა აღსრულდა მაშინ, როცა განკაცდა თავად უზენაესი მშვენება, ღმერთი, იესო ქრისტე. სწორედ ამაზე ამგვარად სიბრძნისმეტყველებს წმინდა კირილე ალექსანდრიელი: „რაჟამს შეიქმნა დასაბამში ადამი, მიუბოძებს რა ღმერთი ბუნებას უსრულყოფილეს მშვენიერებას, თავისი

სულის მოზიარედ სრულყოფს მას... მაგრამ როდესაც ცთომილების გამო ცოდვისკენ დასხლტა ადამიანი, განშორდა მას სულიწმინდა, ხოლო რაჟამს სათნოიჩინა ღმერთმა და მამამ ყოველივეს შემოკრება ქრისტეში და ადამიანური ბუნების ზეაყვანა დასაბამიერი მშვენიერებისადმი, მადლის მიერ უკუმივიღებთ იმას, რაც დაგვაკლო ჩვენ ცოდვის შემოჭრამ, რადგან შთაგვბერა ჩვენ ქრისტეს აღდგომის შემდეგ და განგვაახლა დასაბამიერი მშვენიერებისადმი, თქვა რა: „მიიღეთ სულიწმინდა (იოანე 20:22)“[14]

წმინდა გრიგოლ ნოსელი ბრძანებს, რომ ქრისტეს განკაცებამ „შემმოსა ჩუენ პირველი იგი დიდებაჲ და მოგუცა ძალი, რათა უკუეთუ გუენებოს, შეუძლოთ მოგებად პირველი იგი დიდებაჲ და უაღრესიცა ფრიად“.[15] საყურადღებოა მოცემული ამონარიდის უკანასკნელი სიტყვები („უაღრესიცა ფრიად“), რომლის თანახმადაც, თუკი ადამიანი საკუთარ ნებას მაქსიმალურად წარმართავს ღვთისაკენ, მას შესაძლებლობა მიეცემა არა მხოლოდ პირველქმნილი მშვენება და დიდება დაიბრუნოს, არამედ კიდევ უფრო აღმატებული მადლით შემოსილი შეიქნას.

თუმცა, აღნიშნული პირველმშვენიერების დაბრუნება ადამიანის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული. კაცობრიობის საკმაოდ დიდი ნაწილი, ქრისტეს განკაცებამდეც და მისი განკაცების შემდგომაც, დაშორდა ღმერთს. უზენაესს დაშორებულ ადამიანს მძაფრი სურვილი გაუჩნდა იმისა, რომ „შეევსო“ ის ადგილი, რომელიც მის ცხოვრებაში ადრე ღმერთს ეკავა, ამიტომ მათ თავად გამოიგონეს „ღმერთები“. საღმრთო მშვენიერებას დაშორებულმა ადამიანმა „საკუთარი, წამოსახვითი მშვენიერება“ შექმნა. სწორედ ამ გამოგონებული „მშვენიერებების“ გამოვლინებაა მსოფლიოში წარმოშობილი უამრავი რელიგია, კულტურა, ხელოვნება თუ ფილოსოფია. ყოველ მიმდინარეობას საკუთარი მოძღვრების ჭეშმარიტების პრეტენზია ჰქონდა. ზოგი მიმდინარეობა ქმნილებებს მიაწერდა საღვთო ბუნებას, ზოგიც სხვადასხვა ფილოსოფიურ მსჯელობებში ეძებდა ჭეშმარიტებას, ზოგი საკუთარ თავს აღმერთებდა და ა.შ. ეს მიმდინარეობები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ადამიანი გადაიქცა ღვთის მადლისგან დაშორებულ, არარსებული მშვენიერების მაძიებელად. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ ქრისტიანობა ხელაღებით არ უარყოფდა ამ „ძებნის“ შედეგებს. საუკეთესოს იღებდა და ქრისტიანულ ყაიდაზე გარდაქმნიდა, ხოლო უვარგისს – უგულებელყოფდა. აღნიშნული მსჯელობის საილუსტრაციოდ, უამრავი მაგალითიდან მოვიყვანთ ერთ-ერთს.

„რენესანსად“ წოდებული ცნობილი ეპოქის მსოფლიოში სახელგანთქმული მხატვარი, მიქელანჯელო, მშვენიერებას სხეულის სრულყოფაში ეძებდა. ცნობილია, რომ იგი გვამებს ყიდულობდა, კვეთდა და ზედმიწევნითი ანატომიური სიზუსტით სწავლობდა ადამიანის თითოეულ ორგანოს. ასე შეისწავლა მან ადამიანის აგებულება და ეს ცოდნა შემდეგ თავის ნაწარმოებებში გამოავლინა. საინტერესოა ისიც, რომ

იგი ძირითადად ბიბლიურ სიუჟეტებზე მუშაობდა (მისი ნაწარმოებებია: „წმინდა ოჯახი“, სიქსტის კაპელის თაღის მოხატულობა, პეტრეს ტაძრის მოხატულობა ვატიკანში და ა.შ.). თითქმის ყველა კომპოზიციაში შიშველი ადამიანების ფიგურები განსაკუთრებული დრამატიზმითა და ემოციური გამომსახველობითაა გადმოცემული. თავად მხატვარი ამბობდა: „რამხელა შთაგონებაა ჩემთვის ლამაზი სახე! ამქვეყნად სხვა არაფერი მახარებს და მამაღლებს ნეტარ სულებამდე ასეთი სათნოებით. მასთან შედარებით სხვა ყველაფერი უმნიშვნელოდ მეჩვენება.“[16]

მიქელანჯელოს ქმნილებათა უმეტესობა ამქვეყნიური ხელოვნების შედევრებადაა აღიარებული. ისინი გამოხატავენ მიწიერ სილამაზეს (რაც ასევე ღმრთის ქმნილებაა). თუმცა, მისი ქმნილებები ღმრთის მშვენიერებას დაშორებული, „გამატერიალურებული“ ხელოვნებაა, „გამიწიერებული ღმერთია“. თავად მიქელანჯელო მღელვარე სულის პატრონი გახლდათ. იგი ერთგან წერს კიდეც: „ყველაფერი წყვდიადითაა მოცული. ამ ტკივილითა და გაჭირვებით სავსე დედამიწაზე მე სიბნელეში ვცხოვრობ... ვცოცხლობ ცოდვისთვის...“[17]

ზემოთ თქმულის საპირისპიროდ, ქრისტიანული, უჭეშმარიტესი თვალთახედვით, ადამიანის მშვენიერება (როგორც ნებისმიერი ქმნილების) მისი შინაგანი სამყაროს კეთილობით განისაზღვრება. წმინდა შუშანიკის წამებაში ნაწარმოების ავტორი, ნაგვემ-ნატანჯ და დაბორკილ შუშანიკს ასე აღწერს: „ვნახე ქრისტეს ტარიგი სასძლოსებრ გამშვენებული იმ ბორკილებით“.[18]

ყოველივე ამას ბრწყინვალედ გადმოგვცემს წმინდა იოანე ოქროპირი: „სახელწოდებას „ადამიანი“ ჩვენ ისე როდი განვსაზღვრავთ, როგორც გარეგანნი (წარმართნი), არამედ როგორც გვიბრძანებს საღმრთო წერილი. იგი როდია ადამიანი, ვისაც ადამიანური ხელები და ფეხები აქვს, და არც ის, ვისაც მხოლოდ გონება გააჩნია, არამედ ვინც გულმოდგინედ იღვწის ღმრთისმოსაობასა და სათნოებაში. მაშინ ისმინე, რას იტყვის წმინდა წერილი იობზე..., იგი მას არ აღწერს იმ ნიშან-თვისებებით, როგორადაც ადამიანს გარეგანნი აღწერენ, და არ ამბობს, რომ მას ორი ფეხი ჰქონდა და ბრტყელი ფრჩხილები, არამედ თავს უყრის რა მისი ღვთისმოსაობის ნიშნებს, ამბობს: „ალალი, წრფელი, ღვთისმოშიში და ბოროტებას განრიდებული იყო ეს კაცი“ (იობი, 1), გამოხატავდა რა, რომ სწორედ ესაა ადამიანი. ასევე, სხვაც იტყვის: „ღვთისა გეშინოდეს და დაიცავი მცნებანი მისნი, რადგან ეს არის კაცის თავი და თავი“ (ეკლესიასტე 12: 13)“.[19]

როგორც ვხედავთ, საღმრთო მშვენიერება ფიზიკურ-მატერიალურით არ შემოისაზღვრება. ბიბლიაში ვკითხულობთ: „რამეთუ კაცი პირსა ოდენ ხედავს, ხოლო ღმერთი გულთმეცნიერ არს“ (I მეფეთა 16:7). სახარებაში იოსებ არიმათიელსაც „შუენიერი“ მის სათნოებათა გამო ეწოდება: „მოვიდა იოსებ არიმათიელი, შუენიერი მზრახველი, რომელი იგიცა მოელოდა

სასუფეველსა ღმრთისასა“ (მარ. 15:43).

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ღმერთი საკუთარ მშვენიერებას ფიზიკურ თვალთა სახილველადაც გამოავლენს ხოლმე (რა თქმა უნდა, ადმიანთა დატევნისაებრ). ამ უზენაესი მშვენების გამოვლინება ხშირად, ზებუნებრივი, თუმც თვალთდასანახი, ნათლის სახით ხდება. მაგალითად, აღსანიშნავია მაცხოვრის „ფერისცვალება“, რომლის დროსაც „გაბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი“ (მათე17:2). წმინდა ანტონი დიდის ცხოვრებაში სწერია, რომ „უფალმან არცაღა ესრჱთ დაივიწყნა სიმჴნჱ იგი ანტონისი, არამედ შემწე ექმნა მას, აღიხილნა და იხილა სართული რეცა განღებული და ბრწყინვალებაჲ ნათლისაჲ გარდამომავალი მისა.“[20] ასევე, ერთხელ წმინდა გრიგოლ ხანცთელი ასე იხილა მისი მოკვლისათვის ხანცთის ტყეში ჩასაფრებულმა კაცმა: „სუეტი ნათლისაჲ ფრიად ბრწყინვალე ცად აწევნული ჰფარვიდა მას, და იყო თავსა მისსა ჯუარი თუალთშეუდგამი გარემო მისსა ცისარტყელისსახედ, შუენიერად რაჲ გამოჩნდის ჟამსა წჯმისასა.“ [21]

საინტერესოა პავლე მოციქულის ქრისტეს რჯულზე მოქცევის ამბავიც, რომლის თანახმადაც დამასკოსკენ მიმავალ გზაზე უფალი ნათლის სახით გამოეცხადა მას: „მეყუსეულად იყო გარემო მისა ბრწყინვალება ზეცით გარდამო(საქმე 9:3). ამ ამბავს ასე განმარტავს წმინდა იოანე ოქროპირი: „სავლე პოვა მეუფემან და განჰყარა ყოველი უშუერებაჲ აჩრდილთაჲ და ბრწყინვალედ გამოსახა მას ზედა ხატი საუფლოჲ, ფერშუენიერი წამალთა მიერ საღმრთოჲსა სულისათა.“[22]

თუ რამდენად არის ადამიანი მჭვრეტელი საღმრთო მშვენიერებისა, ეს მის ღვთის სათნო ცხოვრებაზეა დამოკიდებული. რაც უფრო მეტად მოღვაწეობს ადამიანი საკუთარი არსების ღმრთისაკენ წარმართებისათვის, მით უფრო მეტად ხდება მჭვრეტელი და დამტევნელი ამ უზენაესი მშვენიერებისა, რომელსაც, რა თქმა უნდა, ღმერთი განუცხადებს მას. ამას განაჩინებს სწორედ წმინდა ბასილი დიდი: „ყოველივე უქმ და ამაოა თვინიერ მოღვაწეობისაგან ვიდრე, რამეთუ თუცა ღვაწლი მოიღვაწო ცხოვრებისათვის სულისა... და ისწაო მცნებანი ღუთისანი, მეყუსეულად აღგეხილოს თვალნი გონებისა შენისანი, და შეიგნო საკვირველებანი სახიერებისა ღვთისანი“.[23]

ამასვე განაჩინებს წმინდა გრიგოლ ნოსელი, როცა უფლის „ამაღლებას“ განმარტავს: „რადგან არ შეიძლება იმ მთაზე (ე.ი. ღვთის სამკვიდრებელზე) ასვლა, თუ სათნოებებთან ერთად არ ივლის ვინმე, ხელთა მიერ უცოდველქმნილი და არარა უკეთური საქმით არშებილწული, არამედ გულით განწმენდილი, არანაირი ამაოებისადმი არმიმძღვნელი საკუთარი სულისა, არც რაიმე მზაკვრობის შემამზადებელი მოყვასისათვის“.[24]

ნებისმიერი ადამიანი თუ მოვლენა, უსულო თუ სულიერი არსება,

შეიძლება აღმატებულად მნიშვნელოვანი გახდეს, თუკი მასზე უზენაესი მშვენიერების, ღმრთაებრიობის მადლი გარდამოვა (მაგალითად, წყალი თვისობრივად არ არის არც უხრწნელი, არც სულისა და ხორცის მკურნალობითი უნარის მქონე, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი (წყალი) იკურთხება და მასზე სულიწმიდის მადლი გარდამოვა, იგი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თვისებას შეიძენს, რაც, რა თქმა უნდა, საღმრთო მადლის დამსახურებაა). ამაზე მიუთითებს სწორედ გიორგი მერჩულე, როცა იგი, წმინდა გრიგოლ ხანცთელის ნიჭითა და ღვაწლით განცვიფრებული, აღმოთქვამს: „ძალი ღმრთისაჲ სადაცა დააღგრეს, ყოველსავე აღასრულებს უფროჲს ბუნებისა და ცნობისა კაცობრივისა.“[25]

როგორც დავინახეთ, ადამიანის უმთავრესი მიზანი და დანიშნულება საღმრთო მადლის მოპოვებისთვის მოღვაწეობა უნდა იყოს, რადგან ეს „მადლი“ მას უზენაეს მშვენიერებასთან აკავშირებს და თავადაც მშვენიერყოფს. ხოლო თუკი იგი მშვენიერებას მატერიალურში, მიწიერში ეძიებს, მისი ეს „ძებნა“ იმთავითვე განწირულია. სწორედ ამასთან დაკავშირებულ ურჩეულეს შეგონებას გადმოგვცემს წმინდა გრიგოლ ნოსელი: „გონებას (ადამიანისას), იმის გამო, რომ ხატად მშვენიერისა შეიქმნა, თვითონაც შეუძლია მშვენიერი იყოს, ხოლო ბუნება (კაცისა), რომელსაც გონება შეიცავს, ხატია ხატისა. ამით მტკიცდება, რომ ჩვენში მატერიალური გამართულია და დამორჩილებული, როცა ბუნებისაგან იმართება, ხოლო რაჟამს მძლეველსა და მპყრობელს შორდება და მშვენიერთან ერთობა ირღვევა, ხელახლა იშლება და ეცემა. ამგვარი რამ მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ბუნება საწინააღმდეგოსაკენ მიიქცევა და მისი მისწრაფება არა მშვენიერისაკენ, არამედ იმისკენაა მიმართული, რაც გამშვენებას თვითონვე საჭიროებს. უცილობელია, რომ მატერიის სიღატაკის გამო, რაც მას საკუთარი ფორმით ემსგავსება, თვითონაც სიმახინჯედ და უმსგავსოებად გარდაიქმნება.“[26]

დასასრულ, დავძენთ, რომ ადამიანი გარდაცვალების შემდეგ გაიგებს საბოლოოდ, შეერთო თუ არა უზენაეს მშვენიერებას. სწორედ ამიტომ წმინდა კირილე იერუსალიმელი ასე გადმოგვცემს სათქმელს იმის შესახებ, თუ რა უნდა „გვწყუროდეს“ უპირატესად: „გწყუროდეთ ის მშვენიერი ხმა, როცა თქვენთვის, გამოხსნილთათვის, იტყვიან ანგელოზნი: „ნეტარნი არიან, რომელთაც მიეტევათ ურჯულოებანი და რომელთაც დაეფარათ ცოდვები (ფს. 32:1)“.[27]

შენიშვნები

1) წმინდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბ. 2000, გვ. 324.

2) გოდებანი გრიგოლისანი, მთარგმნელ-გამომცემელი დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი, თბ. 2000, გვ. 5.

3) წმინდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბ. 2000, გვ. 324.

4) თანახუცეს ტიმოთეს დიონისე ხუცესი საღვთო სახელთა შესახებ, ჟურ. „გზა სამეუფო“, 1995, №1, გვ. 8-9.

5) წმ. გრიგოლ ნოსელი, შესაქმისათვის კაცისა, სამი ქართული რედაქცია: უძველესი (VIII-IX სს.), წმ. გიორგი მთაწმინდლისეული (XI ს.) და ახალი (თარგმანი გვანცა კოპლატაძის) ბერძნული ტექსტითურთ, თბ. 2010, გვ. 324.

6) წმინდა კასიანე რომაელი, იღუმენი ლეონტისადმი ფრიადი სარგებლობით სავსე სიტყვა სკიტის წმინდა მამებისა და განმრჩეველობის შესახებ, ბერძნულიდან თაგმნა ედიშერ ჭელიძემ, თბ.2006, სათნოებათმოყვარეობა, გვ. 129.

7) წმიდა ბასილი დიდი, ჰომილიები ექვსი დღისათვის, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გვანცა კოპლატაძემ, თბ. 2006, გვ. 53.

8) იგივე, გვ. 77.

9) წმიდა იოანე ოქროპირი, როგორ ვიცხოვროთ სახარების მცნებების მიხედვით? ნაწყვეტები წმიდა იოანე ოქროპირის თხზულებებიდან, თარგმნა რუსულდან ბუაჩიძემ, თბ. 2002, გვ. 38-39.

10) წმიდა გრიგოლ ნოსელი, შესაქმისათვის კაცისა, სამი ქართული რედაქცია: უძველესი (VIII-IX სს.), წმ. გიორგი მთაწმინდლისეული (XI ს.) და ახალი (თარგმანი გვანცა კოპლატაძის) ბერძნული ტექსტითურთ, თბ. 2010, გვ. 325.

11) წმინდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბ. 2000, გვ. 361.

12) წმიდაჲ გრიგოლ ნოსელი, ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ტერმინოლოგიური ლექსიკონი დაურთო პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, თბ. 2011, გვ. 157.

13) თანახუცეს ტიმოთეს დიონისე ხუცესი საღვთო სახელთა შესახებ, ჟურ. „გზა სამეუფო“, 1995, №1, გვ.7.

14) წმ. კირილე ალექსანდრიელი, სწავლებანი პირველქმნილი ადამიანის შესახებ, ჟურ. „გული გონიერი“, №3, 2011, გვ. 167-168.

15) წმიდაჲ გრიგოლ ნოსელი, ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ტერმინოლოგიური ლექსიკონი დაურთო პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, თბ. 2011, გვ. 158.

16) „დიდი მხატვრები“, სერიული გამოცემა, მიქელანჯელო, თბ. 2010, გვ. 38.

17) იგივე, გვ. 23.

18) იაკობ ხუცესი, წამება წმინდა მოწამე შუშანიკ დედოფლისა, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ძველი ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, ტ. I, თბ. 2008, გვ. 187.

19) წმ. იოანე ოქროპირი, რჩეული ადგილები თხზულებებიდან, თარგმნა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, თბ. 2005, გვ. 12.

20) ცხოვრებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ანტონისი [აღწერა] ათანასესგან ეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა, მამათა ცხოვრება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა, თბ. 1975, გვ. 15.

21) გიორგი მერჩულე, წმიდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება, ძველი ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ტ. 2, თბ. 2007.

22) სამოციქულოს განმარტება, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, ტ. I, თბ. 2011, გვ. 181.

23) ბასილი დიდი, ფსალმუნთათვის, ჟურ. „წყარო“, 1993, №23, გვ. 11.

24) წმ. გრიგოლ ნოსელი, ქრისტეს ამაღლებისათვის, ჟურ. „გზა სამეუფო“, 1995, №1, გვ. 64-65.

25) გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად-ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, „ჩვენი საუნჯე“, ტომი გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა, ტ. I, თბ. 1960, გვ. 174.

26) წმიდა გრიგოლ ნოსელი, შესაქმისათვის კაცისა, სამი ქართული რედაქცია: უძველესი (VIII-IX სს.), წმ. გიორგი მთაწმინდელისეული (XI ს.) და ახალი (თარგმანი გვანცა კოპლატაძის) ბერძნული ტექსტითურთ, თბ. 2010, გვ. 325-326.

27) წმ. კირილე იერუსალიმელი, ნათლისღებითი ჰომილიები, პროკატექიზისი ანუ წინაგანსწავლა, ჟურ. „გული გონიერი“, №3, 2011, გვ. 142-143.

Giorgi Vashalomidze

About Divine Magnificence

Summary

The present essay deals with the subject of "Divine Magnificence" in Christian theology. The dominant motif of the work is the correlation of the supreme magnificence of God with the magnificence of the world associated with Him (particularly with that of a human being). The author illustrates his considerations with quotations from the Bible and gives the Holy Fathers' thoughts about the aforementioned theme.

საეკლესიო ფილოლოგია

პროტოპრესვიტერი
გიორგი ზვიადაძე

რედაქტორული ჩარევები წმ. გრიგოლ ნოსელის ასკეტური ძეგლის – „ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა“ – წმ. ეფთვიმე მთაწმიდლისეულ თარგმანში

წმ. გრიგოლ ნოსელმა ნაშრომში – „ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა“ – ქრისტიანული მოძღვრების უიშვიათესი განჭვრეტით გადმოგვცა ფილოსოფიური მსჯელობისა და ტერმინთშემოქმედების გზით სრულყოფამიღწეული სწავლება ქალწულებითი მოღვაწეობის შესახებ. წმ. მამა უმნიშვნელოვანეს საეკლესიო სწავლებას გვაწვდის არა იმდენად შეგონებითი, დამოძღვრითი, მქადაგებლური სტილით (რასაც, უდავოდ, თავისი ღირსება აქვს), არამედ გაცილებით მეტად – თანმიმდევრული განხილვის წესით, ანუ სისტემური მოძღვრების სახით. შეიძლება ითქვას, რომ წმ. გრიგოლ ნოსელი ფილოსოფიურ-თეოლოგიური კუთხით ჭვრეტს ქალწულებითი ცხოვრების რაობას და, ამდენად, მის მიერ გადმოცემული სწავლება უარსებითეს მნიშვნელობას იძენს ასკეტური ცხოვრების წესის შესამეცნებლად.

სხვა ქვეყნის მეცნიერთა მსგავსად, ქართველი მკვლევრებიც დიდ ინტერესს იჩენენ აღნიშნული ძეგლისადმი. ეს ინტერესი იზრდება იმის გამოც, რომ მისი მთარგმნელი არის ათონის წმიდა მთაზე, ივირონის მონასტერში მოღვაწე დიდი ბერი, ეფთვიმე მთაწმიდელი, რომლის განსაკუთრებული და ღვთივმადლმოსილი საღვთისმეტყველო მოღვაწეობა ასე შეაფასა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთმა უდიდესმა წარმომადგენელმა: „მას მადლითა სულისა წმიდისაჲთა ჴელ-ეწიფებოდა შემატებაჲცა და კლებაჲცა“ (ეფრემ მცირე).

ასეთი სამოღვაწეო პროფილის ღვთისმეტყველ-მთარგმნელი მკვლევართა ცხოველ დაინტერესებას იწვევს არა მხოლოდ სულიერი თვალ-

თახედვით,არამედ ფილოლოგიური ასპექტითაც,რადგან ხსენებული მოღვაწის კალმით შემატებული თუ დაკლებული ყოველი ადგილი იმგვარადვე არის უმწვერვალესი ჭვრეტისა და ღვთისმხილველობითი მადლის ნაყოფი, როგორც თვით ორიგინალი. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ძეგლის თანაავტორადაც გვევლინება: ნაშრომის ტექსტუალური შესწავლის თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია, თუ როგორ აღიქვა დიდმა ქართველმა მთარგმნელმა ეს უღირსეულესი ნაშრომი და როგორ გადმოიტანა ის ქართულად.

წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულების „ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა“ ქართული თარგმანი დაცულია რამდენიმე ხელნაწერში: სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების P3-ში (1040 წ. 311v-345v), რომელიც წარმოადგენს შერეულ კრებულს[1]; ათონის ქართველთა მონასტრის Ath. 39-ში (XI ს. 102r-132v) და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციის A108-ში (XII ს. 147v-151v); ზემოაღნიშნული სათაურით თხზულება შეტანილია კიდევ ოთხ ხელნაწერში: A 394 (302v-303v), H 2350 (236v-237v), S 3661 (215r-216r), S 139 (გვ. 202-205). ეს ნუსხები XVIII-XIX საუკუნეებით თარიღდება, შერეული კრებულებია და შეიცავენ ბიზანტიელ ავტორთა თხზულებებს. მათ შორის არის დაცული წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებაც „ქალწულებისათჳს“, მაგრამ ამ ხელნაწერებში წარმოდგენილია მხოლოდ ტექსტის შესავალი ნაწილი. სრული ტექსტის შემცველი ხელნაწერების ურთიერთშეჯერებისას გაირკვა, რომ გარდა მცირეოდენი ვარიანტული სხვაობისა, ისინი ემთხვევა ერთმანეთს: 1040 წ-ის ხელნაწერ P3-ში[2], XI ს-ის Ath. 39-სა[3] და XII ს-ის A 108-ში ტექსტებს შორის საკმაოდ მჭიდრო კავშირი ჩანს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს,რომ სამივე ნუსხაში წარმოდგენილი ტექსტი ერთი რედაქციისაა: ამისავალი ჩანს P3-ში არსებული ტექსტი, საიდანაც უშუალოდ ან, შესაძლოა, რომელიმე შუალედური ხელნაწერიდან არის გადაწერილი ტექსტი Ath. 39-ში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ Ath. 39-ის ტექსტის გადაწერის შემდეგდროინდელ სწორებებს – წაშლილ ადგილებს,პირველად ტექსტში ჩამატებებსა და ზემოდან გადაწერილ ტექსტს,თანხვედრა

---

1 ხელნაწერის აღწერილობა ეკუთვნის თ. ბრეგაძეს. იხ.: გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ხელნაწერი აღწერა, შესავალი და საძიებლები დაურთო თამარ ბრეგაძემ, 1988 წ., გვ. 70-78. P3-ზე საუბრისას ვეყრდნობით ამ აღწერილობას.

2 ქვემოთ ყველგან P3-ს აღვნიშნავთ A ლიტერით. ვრცლად ამ ნუსხის შესახებ იხ. ჩვენი გამოცემა: წმ. გრიგოლ ნოსელი „ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა“, თბ., 2011, გვ. 13-14.

3 Ath. 39-ს აღვნიშნავთ C ლიტერით. ვრცლად ამ ნუსხის შესახებ იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 15-13.

P3-სა და Ath. 39-ს შორის სრულია. P3-ისა და Ath. 39-ის ტექსტებს ერთმანეთისაგან მხოლოდ ფონეტიკურ-ორთოგრაფიული წაკითხვები განასხვავებს, რომლებიც XI-XII საუკუნეთა ცოცხალი მეტყველების გამო ჩნდება წერილობით ძეგლებში, აგრეთვე ძალიან მცირერიცხოვანი ენობრივი ფორმები, რომლებიც ძველ ქართულ სამწერლობო ძეგლებში ერთმანეთის პარალელურად არსებობდა. ეს განსხვავებები გადამწერის მიერ უნდა იყოს შეტანილი Ath. 39-ში. ასევე, გადამწერის მიერ უნდა იყოს გამოტოვებული რამდენიმე ადგილას სიტყვა, რომელიც აღდგენილია იმავე P3-ის მიხედვით Ath. 39-ში წმ. გიორგი მთაწმიდლის მიერ. ასეთი შემთხვევები ბევრი არ არის. გადამწერსავე შეიძლება მივაკუთვნოთ ის რამდენიმე უმნიშვნელო განსხვავება, რომელიც არის C-სა და A-ს შორის და რაც C-ს სწორების შედეგი არ არის. რაც შეეხება A 108-ს, ის მომდინარე ჩანს Ath. 39-დან; ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის, რომ Ath. 39-ის რედაქტირებული ტექსტი არის გადასული A 108-ში, ე.ი. Ath. 39-ის ტექსტის გადაწერის შემდეგ გაკეთებული სწორებები A 108-ის ძირითად ტექსტში არის შესული. ამ შემთხვევაშიც ზუსტად თქმა იმისა, უშუალოდ Ath. 39-დან არის გადაწერილი A 108, თუ რომელიღაც შუალედური ხელნაწერიდან, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, მაგრამ ფაქტია, რომ A 108-ს საფუძვლად უდევს Ath. 39-ის ნარედაქციევი ტექსტი.

Ath. 39 არის კრებული, რომელიც გადაწერილია სამი პირის მიერ[4]; კრებული ნარევია; იწყება გრიგოლ ნოსელის რომელიღაც უსათაურო თხზულებით, შემდეგ მოდის ეპიფანე კვიპრელ მთავარეპისკოპოსის საკითხავი იესუ ქრისტეს დაფლვისათვის და გრიგოლ ნოსელის „შესხმაჲ წმიდისა მოწამისა მამაჲსი“. ხელნაწერის ძირითადი ნაწილი უკავია კირილე ალექსანდრიელის წინასწარმეტყველთა წიგნების თარგმანებებს და ბოლოს, გრიგოლ ნოსელის თხზულებას – „ქალწულებისათჳს“ (102r-132v). კრებულის დასაწყისი ფურცლები (1-24) გადაწერილია წმ. გიორგი მთაწმიდლის მიერ. ეს ფაქტი გახდა ჩვენი ვარაუდის საფუძველი, რომ ამ ნუსხაში შესული გრიგოლ ნოსელის თხზულების ეფთვიმესეული თარგმანის რედაქტირება სწორედ გიორგი მთაწმიდლის მიერ შეიძლება მომხდარიყო. იმ ხელწერის შედარება, რომლითაც ნასწორებია Ath. 39-ში გრიგოლ ნოსელის თხზულების ტექსტი, გიორგი მთაწმიდლის ავტოგრაფული ნაწილის ხელწერასთან, არ გამორიცხავს ამ ვარაუდს. მის სასარგებლოდ მეტყველებს ის უაღრესად კვალიფიციური ჩარევა ეფთვიმე ათონელის თარგმანში, რომელიც Ath. 39-ის ტექსტის ნასწორებ

---

4 Ath. 39 აღწერილია ლ. ხევსურიანის მიერ. ჩვენ ვისარგებლეთ მის მიერ შედგენილი გამოუქვეყნებელი აღწერილობით, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ. ამ ნუსხის შესახებ იხ., აგრეთვე, R. P. Blake, Catalogue des Manuscrits Géorgiens de la Bibliothèque de la Laura D' Iviron au Mont Athos, 1931-1932, p. 123-125.

ნაწილშია. გარდა ამისა, ვფიქრობთ, ეფთვიმესეული თარგმანის სწორებას ძნელად გაბედავდა რომელიმე უსახელო რედაქტორი.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რა სახის ცვლილებები შეუტანია რედაქტორს Ath. 39-ის ტექსტში: არის ეს ბერძნულთან ხელახალი შედარების შედეგად გამოვლენილი სხვაობები P3-სა და Ath. 39-ს შორის, თუ ხდება ეფთვიმეს თარგმანის მხოლოდ სტილისტური რედაქტირება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ქვემოთ მოვიტანთ ამ სწორებათა ამსახველ მასალას, ცხადია, შეზღუდული მოცულობით.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „რამეთუ მე ვგონებ, ვითარმედ ამისთჳს წყაროჲცა იგი უხრწნელებისაჲ – უფალი ჩუენი იესუ – არა ქორწინებისა მიერ შემოვიდა სოფლად...“ (314r). C რედაქციაში ნაცვლად A-ს მონაცემისა **„უფალი ჩუენი იესუ“**, გვაქვს: **„უფალი ჩუენი იესუ ქრისტე“** (104v). სიტყვა „ქრისტე“ სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი ბერძნული ტექსტის გათვალისწინებით (შდრ. τὸν κύριον ἡμῶν Ἰησοῦν Χριστὸν 266,12)[5].

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ვითარცა ჩუენ განშორებულ ვართ ღრმითა რაჲთმე მთხრებლითა, შორის ჩუენსა მდებარითა, ესრეთ განშორებულ ვართ სიქადულისაგან ქალწულებისა“ (314v). აღნიშნული ფრაზა C-ში განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი, კერძოდ, ბერძნულის კვალობაზე, რედაქტორს წინადადების დასაწყისში გადაშლილი აქვს სიტყვები: „**განშორებულ ვართ**“, რის შედეგადაც ნაცვლად A-ს მონაცემისა, C-ში სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „ვითარცა ჩუენ ღრმითა რაჲთმე მთხრებლითა, შორის ჩუენსა მდებარითა, ესრეთ განშორებულ ვართ სიქადულისაგან ქალწულებისა“ (105r). აშკარაა, რომ რედაქტორის ჩარევა ეფთვიმესეულ თარგმანში მიზნად ისახავს საკუთრივ ქართული ტექსტის სტილურ დახვეწასა და მის დაახლოებას ბერძნულ ორიგინალთან, რომელშიც აღნიშნული სიტყვები მხოლოდ ერთხელ არის გამოყენებული (შდრ. καθάπερ ἡμεῖς οἷόν τινι χάσματι πρὸς τὸ τῆς παρθενίας καύχημα **διειργόμεθα** 274,11-12).

რედაქტორის ჩარევის კვალი ასევე აშკარაა C რედაქციაში, რომელშიც ვკითხულობთ: „თჳსთა საფრჴეთა მიერ სოფელმან ღონე-ყო“ (105v); თანდებული **„მიერ“**, რომელიც სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი, A რედაქციას აკლია (შდრ. „თჳსთა საფრჴეთა სოფელმან ღონე-ყო“ 315r). თანდებული **„მიერ“** ასევე არ დასტურდება ბერძნულ ორიგინალშიც (შდრ. αὐτὰ λανθάνειν ἡ φύσις ἐμηχανήσατο 276,5). ვფიქრობთ, რომ

---

5 აქ და ყველგან ქვემოთ ბერძნულ ტექსტს ვიმოწმებთ შემდეგი გამოცემიდან: Grégoire de Nysse, Traité de la Virginité, Introduction, texte critique, traduction, commentaire et index de Michel Aubineau, les Éditions du CERF, 29, Bd de Latour-Maubourg, Paris, 1966.

რედაქტორმა კონტექსტის უკეთ გააზრებისა და საკუთრივ ქართული ტექსტის სტილური დახვეწის მიზნით საჭიროდ მიიჩნია „მიერ“ თანდებულის დამატება,მიუხედავად იმისა,რომ ბერძნულ ორიგინალში აღნიშნული თანდებული არ დასტურდება.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ვითარმედ არა თუ კაცობრივთა საქმეთა არა აქუს სიმტკიცე...“ (318v). აღნიშნული მონაკვეთი განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი C რედაქციაში: „ვითარმედ არა თუ კაცობრივთა საქმეთა **ოდენ** არა აქუს სიმტკიცე“ (108v). ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ჩარევა ეფთვიმესეულ თარგმანში განპირობებულია, ერთი მხრივ, თარგმანის ბერძნულ ორიგინალთან დაახლოების მიზნით, რომელშიც **„ოდენ“**-ის შესატყვისი დასტურდება (შდრ. ὅτι οὐ ἀνθρώπινα **μόνον** οὐκ ἔχει τὸ πάγιον 312,7), ხოლო მეორე მხრივ, საკუთრივ ქართული ტექსტის კონტექსტისეული შინაარსის გამოკვეთისა და სტილური დახვეწის მიზნით: „ვითარმედ არა თუ კაცობრივთა საქმეთა ოდენ არა აქუს სიმტკიცე, არამედ არცა ყოველი სოფელი ჰგიეს დაუსრულებელად“ (C 108v).

A-ში გვაქვს შემდეგი მონაცემი: „და შურსა შეუდგს ორგულებაჲ და ორგულებასა – სიმწარე და სიმწარესა – კაცთმოძულებაჲ და ამის ყოვლისა აღსასრული არს საშჯელი გეჰენიად და ბნელად გარესკნელად და ცეცხლად“ (319v). აღნიშნულ მონაკვეთს, ბერძნულის კვალობაზე, რედაქტორის მიერ C-ში დამატებული აქვს სიტყვა **„მიცემაჲ“**,რის შედეგადაც ნაცვლად A-ს მონაცემისა – **„ცეცხლად“**, C რედაქციაში სახეზეა სინტაგმა **„ცეცხლად მიცემაჲ“**,რაც ზედმიწევნით შესაბამისობაშია ბერძნულ დედანთან და რაც ორგანული გამოთქმაა ქართული თარგმანისათვის (შდრ. πῦρ καταλήγουσα 322,33).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „რომელი-იგი შემსგავსებულად შემსჭუალულ იყოს ქუეყანისა და გულისთქუმათა ჴორციელთადა“... (321r). C რედაქციაში სიტყვა **„შემსგავსებულად“** გადაშლილია,რის შედეგადაც სახეზეა A-სგან განსხვავებული მონაცემი: „რომელი-იგი შემშჭუალულ იყოს ქუეყანისა და გულისთქუმათა ჴორციელთადა...“ (111v). მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ ორიგინალში გვაქვს τὸ συγγενες, რომლის თარგმანსაც წარმოადგენს ეფთვიმესეული „შემსგავსებულად“, რედაქტორმა, კონტექსტიდან გამომდინარე, მაინც მიზანშეწონილად მიიჩნია მისი ამოღება, რამდენადაც ფრაზა, რომელსაც მიემართება აღნიშნული სიტყვა, დაცილებულია წინარე კონტექსტს და, შესაძლო იყო, მკითხველს ერთმნიშვნელოვნად ვერ აღექვა იგი. ამდენად, წმ. გიორგი მთაწმიდლისეული ჩარევა ეფთვიმესეულ თარგმანში განპირობებული უნდა იყოს აღნიშნული წინადადების კონტექსტისეული შინაარსის გამოკვეთისა და სტილური დახვეწის მიზნით.

A-ში გვაქვს შემდეგი სიტყვები: „უნივთოჲსა სიკუდილსა ხედვად“ (321v), რაც გადამწერისეული შეცდომა უნდა იყოს, რამდენადაც ბერ-

ძნულ ორიგინალში ნაცვლად **„სიკუდილისა“**, სახეზეა **„სიკეთისა“** (შდრ. τοῦ καλοῦ 336,21). C რედაქციაში სიტყვა „სიკუდილისა“, ბერძნულის კვალობაზე, გადაშლილია და მის ნაცვლად წმ. გიორგი მთაწმიდლისეული ხელით წერია „სიკეთისა“ (111v).

არის შემთხვევები, როდესაც C რედაქციაში რედაქტორის მიერ ცალკეული სიტყვები ან ფრაზები სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი. ეს მაშინ ხდება, როდესაც წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი, სტილური ლაკონურობის მიზნით, ალარ იმეორებს ამა თუ იმ სიტყვას, ან ფრაზას, რომელიც წინარე კონტექსტში უკვე იყო გამოყენებული. მაგალითად, C-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: **„და ჭეშმარიტისა მის გზისა სლვაჲ წარჰმართიან“** (113r), რაც A რედაქციაში არ გვხვდება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ამავე კონტექსტში, რამდენიმე სტრიქონის წინ, უკვე იყო გამოყენებული მსგავსი ფრაზა: „ჭეშმარიტებისა მიმართ წარჰმართა სლვაჲ თჳსი“ (322v). წმ. გიორგი მთაწმიდელმა აღადგინა ამ ადგილის ბერძნული დედნის წაკითხვა (348,35), რამდენადაც მან, კონტექსტიდან გამომდინარე, წმ. გრიგოლ ნოსელისეული სწავლების გამოკვეთის მიზნით, მნიშვნელოვნად მიიჩნია ეს სიტყვები განმეორებით ასახულიყო ქართულ თარგმანშიც.

A-ში გვაქვს სიტყვები: **„სათნოებაჲ დიდი“** (323r), რაც C რედაქციაში რედაქტორის მიერ, ბერძნულის კვალობაზე, წაშლილია (113v). აღნიშნული სიტყვები A-ში გამოყენებულია შემდეგ კონტექსტში: „და ესრეთ გულისჴმა-ყავთ სიტყუაჲ ჩემი: მოშიშებაჲ და სიფიცხჱ – ორნივე ბოროტნი არიან, ერთი იგი – ნაკლულევანებისაგან და მეორე – მეტობისა. და საშუალი საქმე არს სიმჴნე – **სათნოებაჲ დიდი**“ (A 323r). ბერძნულ ორიგინალთან თარგმანის ზედმიწევნით დაახლოებისა და წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლების უცვლელად გადმოღების მიზნით წმ. გიორგი მთაწმიდელმა საჭიროდ მიიჩნია აღნიშნული სიტყვების ამოღება (შდრ. ბერძნ. Σαφέστερος δ' ἂν ἡμῖν ὁ λόγος γένοιτο ἐπ' αὐτῶν τῶν πραμάτων δεικνύμενος. Δειλία καὶ θράσος δύο κακίαι κατὰ τὸ ἐναντίον νοούμεναι, ἡ μὲν κατὰ ἔλλειψιν, ἡ δὲ κατὰ πλεονασμὸν πεποιθήσεως, μέσην περιέχουσιν ἑαυτῶν τὴν ἀνδρείαν 352,1-5).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „საშოვალი სათნოებად ვიცით“ (323v). აღნიშნული სიტყვები C რედაქციაში რედაქტორის მიერ შესწორებულია ბერძნულის კვალობაზე: **„საშუვალი იცის სიტყუამან სათნოებად“** (113v; შდრ. ბერძნ. ἀρετὴν ὁ λόγος ἐγνώρισεν 354,14). აშკარაა, რომ წმ. გიორგი მთაწმიდლისეული ჩარევა ეფთვიმესეულ თარგმანში მიზნად ისახავს საკუთრივ ქართული ტექსტის ბერძნულ დედანთან დაახლოებას: რედაქტორმა მნიშვნელოვნად მიიჩნია თარგმანშიც ასახულიყო ის, რომ წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლება ემყარება წმიდა წერილს („სიტყუამან“).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ეგრეთვე ვინაჲთგან საჴმარი ქორწინებისაჲ ჩანს სოფელსა ამას...“ (324r). C რედაქციაში აღნიშნულ ფრაზას

რედაქტორის მიერ, ბერძნულის კვალობაზე, დამატებული აქვს სიტყვები: **„ურთიერთას შემდგომებისათჳს“** (114r; τῆς ἐξ ἀλλήλων διαδοχῆς 360,16), რაც აშიაზეა მიწერილი. წმ. გიორგი მთაწმიდელმა საჭიროდ მიიჩნია აღედგინა ბერძნული დედნის წაკითხვა ქართული ტექსტის ორიგინალთან დაახლოებისა და წინადადების კონტექსტისეული მნიშვნელობის გამოკვეთის მიზნით, კერძოდ, იმაზე მითითებით, რომ წმ. გრიგოლ ნოსელისეული სწავლების მიხედვით, ქორწინების საჭიროებას („საჴმარი ქორწინებისაჲ“) განაპირობებს უფლისმიერი კურთხევის აღსრულება კაცობრიობის აღორძინებისა და გამრავლების მიზნით.

A-ში გვაქვს შემდეგი წინადადება: „უძლურებისათჳს ბუნებისა ჩუენისა ვერ ყოველთა ძალ-უც ესევითარსა მას საქმესა შინა ზომსა ზედა და ჯეროვანსა დგომაჲ“ (324v). C რედაქციაში ეფთვიმესეული **„დგომაჲ“** რედაქტორის მიერ გადასწორებულია როგორც **„დადგრომაჲ“** (114v), რაც მიზნად უნდა ისახავდეს მხოლოდ და მხოლოდ ქართული ტექსტის სტილურ დახვეწას, რამდენადაც ბერძნული ἐπιτυγχάνειν-ი (362,37) თანაბრად შეიძლება ითარგმნოს როგორც **„დგომაჲ“**, ისე **„დადგრომაჲ“** ფორმით.

A-ში გვაქვს: „ამისთჳს კეთილ არს და უმჯობეს განშორებაჲ მიერ“ (324v). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა – **„განშორებაჲ მიერ“**, სახეზეა შემდეგი წაკითხვა: **„მისგან განშორებაჲ“** (114v). ნაცვალსახელი **„მისგან“** სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი. რედაქტორის ჩარევა ეფთვიმესეულ თარგმანში მიზნად უნდა ისახავდეს ერთგვარი კავშირის აღდგენას წინარე კონტექსტთან, სადაც საუბარია ხორციელ გულისთქმებში დაცემის საფრთხესა და მისგან განშორების გარდაუვალი აუცილებლობის შესახებ.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „და ნეტარ თუ ყოვლადვე გემოჲცა არა იხილოს საქმისა მის გულისთქუმათაჲსაჲ ქორწინებისა მიერ...“ (324v). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა – **„და ნეტარ თუ“**, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა **„ნეტარ არს იგი, რომელმან...“** (114v). სიტყვა **„რომელმან“** სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი. ხელნაწერში ნათლად ჩანს, რომ **„თუ“** ნაწილაკი სიტყვათა წყვილში (**„ნეტარ თუ“**) რედაქტორის მიერ გადაშლილია და მის ნაცვლად მუქად წერია **„არს იგი“**, რის შედეგადაც C-ში გვაქვს განსხვავებული მონაცემი. აშკარაა, რომ რედაქტორისეული ჩარევა ეფთვიმესეულ თარგმანში მიზნად ისახავს საკუთრივ ქართული ტექსტის სტილურ დახვეწას.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „რომლისა გონებაჲ უგულისჴმო იყოს, მისთჳს დამცირებაჲცა და ამაღლებაჲცა სიტყჳთა საკჳრველებათაჲ ესე არს“ (325v). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა: **„ესე არს“**, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: **„ერთად შერაცხილ არს“** (115v). წმ. გიორგი მთაწმიდელის ჩარევა ეფთვიმესეულ თარგმანში მიზნად უნდა ისახავდეს ქართული ტექსტის ბერძნულ ორიგინალთან დაახლოებას,

კერძოდ, რედაქტორის მიერ დამატებული სიტყვები: „ერთად შერაცხილ არს“ – წარმოადგენს ბერძნული ἐν τῷ ὁμοίῳ καθέστηκε-ს (370,13) თარგმანს, რაც ასევე ასახულია ამავე ბერძნული ტექსტის სხვაენოვან თარგმანებშიც. (შდრ. ინგლ. **for it is all one** whether you understate or whether you magnify a miracle to those who have no power whatever of percewing it[6]; რუს. для не имеющихъ чуствъ **все равно**, будеть ли слово твое умалять или превозносить достоиное удивления[7]; ფრანგ. Devant les gens en effet qui ont des sens atrophiés, cela revient **au même de** rabaisser des merveilles par ses paroles et de les exalter)[8].

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „შემძლებელ არს გონებაჲ ჩუენი სათნოყოფად მას ზედა“ (326r). C - რედაქციაში ნაცვლად A-ს მონაცემისა სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „შემძლებელ არს გონებაჲ ჩუენი დაჯერებად და სათნოყოფად მას ზედა“ (116v). აშკარაა, რომ რედაქტორისეული ჩარევა ეფთვიმესეულ თარგმანში, რაც გულისხმობს (ალბათ, ბერძნულის კვალობაზეც), ორი სიტყვის დამატებას C რედაქციაში (**„დაჯერებად და“**), მიზნად უნდა ისახავდეს საკუთრივ ქართული ტექსტის ბერძნულ ორიგინალთან უფრო მეტად დაახლოებას (შდრ. αὐτάρκης ἡμῶν ἡ κατὰ τὴν αἴσθησιν δύναμις **καὶ θαυμάσαι** καὶ ἀποδέξασθαι καὶ γνώριμον ἑτέρῳ ποιῆσαι 376,18-20).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „არარაჲ გუაქუნდეს საძიებელი მისი“ (326v). C რედაქციაში აღნიშნული ფრაზა განსხვავებულად არის წარმოდგენილი, კერძოდ: **„არღარაჲ გუაქუნდეს ზრუნვაჲ ძიებად მისსა“** (116v). აღვნიშნავთ, რომ არც A და არც C რედაქციებში წარმოდგენილი ტექსტი ზედმიწევნით არ თანხვდება ბერძნულ ორიგინალს (შდრ. μηδενὶ γνωρίμῳ τὴν κατανόησιν αὐτῶν ἐπερείδοντες 378,37-38: **„არაფერ თვალსაჩინოს არ ვაყრდნობთ რა ჩვენს შემეცნებას“**). ვფიქრობთ, რომ რედაქტორისეული ჩარევა ეფთვიმეს მიერ თარგმნილ ტექსტში მიზნად უნდა ისახავდეს საკუთრივ ქართული ტექსტის უფრო მეტ შინაარსობრივ და აზრობრივ გამჭვირვალობას ორიგინალის ტექსტისგან დამოუკიდე-

---

6 აქ და ყველგან მაგალითებს ინგლისური თარგმანიდან ვიმოწმებთ შემდეგი გამოცემიდან: Nicene and Post-Nicene Fathers, second series, volume V, chapter X.

7 აქ და ქვემოთ მაგალითებს რუსული თარგმანიდან ვიმოწმებთ შემდეგი გამოცემიდან: Творения святых отцов и учителей церкви, Святитель Григорий Нисский, Аскетические сочинения и письма, Издательский Совет Русской православной Церкви, 2007.

8 ფრანგული თარგმანიდან მაგალითს ვიმოწმებთ შემდეგი გამოცემიდან: Grégoire de Nysse, Traité de la Virginité, Introduction, texte critique, traduction, commentaire et index de Michel Aubineau, les Éditions du CERF, 29, Bd de Latour-Maubourg, Paris, 1966, p. 371.

ბლად, რადგან ბერძნულში არც **„ზრუნვის“** შესატყვისი გვაქვს, არც **„ძიებისა“**.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „რამეთუ **ესრეთ** ჩუეულ არს წერილი **სახედ** ძალსა მას სულისა წმიდისასა წოდებად“ (327v). C რედაქციაში სიტყვა **„სახედ“**, რომელიც A-ში უშუალოდ მოსდევს სიტყვას – „წერილი“, გადაშლილია და გადმოტანილია წინადადების დასაწყისში, რის შედეგადაც, ნაცვლად A-ს მონაცემისა, C-ში სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „რამეთუ **ესრეთსახედ** ჩუეულ არს წერილი ძალსა მას სულისა წმიდისასა წოდებად“ (118r). კონტექსტის შინაარსობრივი აღქმის თვალსაზრისით, უფრო მართებული ჩანს C რედაქციის მონაცემი, რამდენადაც A-ს წაკითხვას („ესრეთ ჩუეულ არს წერილი სახედ ძალსა მას სულისა წმიდისასა წოდებად“), შესაძლოა, გარკვეული ბუნდოვანება გამოეწვია მკითხველში: ეფთვიმესთან „ესრეთ სახედ“,რაც შეესატყვისება ბერძნულ გამონათქვამს ἐν αἰνίγματι („სახეობრივად“, „მინიშნებითად“, „იგავურად“), განცალკევებულია წინადადების სხვა წევრებით (**„ესრეთ** ჩუეულ არს წერილი **სახედ**“), რედაქტორმა კი აღადგინა ამ სიტყვის ერთიანობა, რითაც, ერთი მხრივ, უფრო მეტად დაუახლოვა ქართული ტექსტი ბერძნულ ორიგინალს, ხოლო მეორე მხრივ, სტილურად დახვეწა იგი (შდრ. Οὕτω γὰρ **ἐν αἰνίγματι** τὴν τοῦ πνεύματος δύναμιν τῇ γραφῇ σύνηθες ὀνομάζειν 388,9-10).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ანუ, რამეთუ სიმყრალისა მტერი არს“ (327v). აღნიშნულ ფრაზას C რედაქციაში დამატებული აქვს **„თუ“**, რაც სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი, რის შედეგადაც ნაცვლად A-ს მონაცემისა, C-ში სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „ანუ **თუ**, რამეთუ სიმყრალისა მტერი არს...“ (118r). აშკარაა, რომ რედაქტორისეული ჩარევა მიზნად ისახავს საკუთრივ ქართული თარგმანის სტილურ დახვეწას (შდრ. ἢ καὶ ὅτι δυσωδίας ἐχθρόν, 388,11-12).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „და შეერთოს ჭეშმარიტსა მას და მაღალსა სიწმიდესა, გამოჩნდების იგიცა მას შინა და შარავანდედითა აღივსების და ნათელ იქმნების“ (328r). C რედაქციაში ჩამატებულია ზმნიზედა **„ელვარედ“**,რის შედეგადაც, ნაცვლად A-ს მონაცემისა,სახეზეა განსხვავებული წაკითხვა, რაც, როგორც ჩანს, განპირობებულია ორიგინალის აზრის გამკვეთრების მიზანდასახულობით: „და შეერთოს ჭეშმარიტსა მას და მაღალსა სიწმიდესა, **ელვარედ** გამოჩნდების იგიცა მას შინა და შარავანდედითა აღივსების და ნათელ იქმნების“ (118r; შდრ. ბერძნ. καὶ ἐμμιχθῇ τῇ ἀληθινῇ καὶ ὑψηλῇ καθαρότητι, διαφαίνεται καὶ αὐτὸς ἐν ἐκείνῃ καὶ ἀκτίνων ἐμπίμπλαται καὶ φως γίνεται 390,31-33).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „და კუალად ესევე ქუეყანასაცა იხილვების სახე სარკესა ზედა“ (328r). აღნიშნულ ფრაზას ფორმობრივად განსხვავებული სახე აქვს C რედაქციაში: „და კუალად ესევე ქუეყანასაცა ზედა იხილვების სახჱ სარკესა **შინა**“ (118r). C რედაქციაში თან-

დებული **„ზედა“** რედაქტორის მიერ სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი, თუმცა იქვე გამოყენებულია მეორე თანდებულიც, კერძოდ, **„შინა“**, რაც A რედაქციაში არ დასტურდება. A-ს მონაცემში მხოლოდ ერთი თანდებული გვაქვს: „ქუეყანასაცა იხილვების სახე სარკესა **ზედა**“. ბერძნულში თანდებული **ἐπὶ** ორჯერ არის გამოყენებული: τοῦτο καὶ **ἐπὶ** τῆς γῆς ὁρῶμεν γινόμενον **ἐπὶ** κατόπτρου (392,35). C რედაქციაში ბერძნული **ἐπὶ**-ს შესატყვისად თარგმანში ერთ შემთხვევაში გვაქვს თანდებული „ზედა“, ხოლო მეორე შემთხვევაში – **„შინა“**, რაც მიზნად უნდა ისახავდეს საკუთრივ ქართული ტექსტის ბერძნულ დედანთან უფრო მეტად დაახლოებასა და მის სტილურ დახვეწას.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „მუნ ნათლისფერ ვიქმნეთ მიახლებითა მით ჭეშმარიტისა მის ნათლისა ქრისტესა“ (328r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „მუნ ნათლისფერ ვიქმნეთ მიახლებითა მით **ქრისტეჲს, ჭეშმარიტისა მის ნათლისაჲთა**“ (118v). აღვნიშნავთ, რომ ეფთვიმესეული თარგმანი ზედმიწევნით თანხვდება ბერძნულ ორიგინალს (ἐκεῖ φωτοειδεῖς γενησόμεθα τῷ ἀληθινῷ φωτὶ τοῦ Χριστοῦ ἐμπελάσαντες 392,41-42), რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ წმ. გიორგი მთაწმიდლისეული ჩარევა ეფთვიმეს თარგმანში ყოველთვის არ არის განპირობებული საკუთრივ ქართული ტექსტის ბერძნულ დედანთან დაახლოების მიზნით, არამედ მისეული სტილური ხედვით. ამ ნიმუშთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, რედაქტორის ჩარევა გამოწვეულია იმ აზრის გამოკვეთის მიზნით, რომ **ქრისტე თავად არის ჭეშმარიტი ნათელი**. როგორც ჩანს, მისთვის ეს მნიშვნელოვანი იყო წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლების უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად, რამდენადაც, იქვე, იმავე კონტექსტში, ხაზგასმით არის მითითება ქრისტეზე, როგორც ჭეშმარიტ ნათელზე, კერძოდ, დამოწმებულია იოანეს სახარების სიტყვები: „ჭეშმარიტი იგი ნათელი, რომელი ბნელსა შინა ჩანს“ (1,5).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „სიტყჳერი ესე და გონიერი ცხოველი, რომელ არს კაცი, წმიდისა მის და უხრწნელისა ბუნებისა მიერ დაიბადა მისდავე მსგავსად“ (329r). C რედაქციაში დამატებულია ნაცვალსახელი **„რომელი“**, რაც სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი: „სიტყჳერი ესე და გონიერი ცხოველი, რომელ არს კაცი, **რომელი** წმიდისა მის და უხრწნელისა ბუნებისა მიერ დაიბადა მისდავე მსგავსად“ (119r). საფიქრებელია, რომ ვინაიდან ბერძნული მიმღეობური კონსტრუქცია ითარგმნა ზმნის პირიანი ფორმით, წმ. გიორგი მთაწმიდელმა, წინადადების შინაარსის უფრო მეტად გამოკვეთისა და სტილური დახვეწის მიზნით, მართებულად მიიჩნია აღნიშნული ნაცვალსახელის დამატება (შდრ. Τὸ λογικὸν τοῦτο καὶ διανοητικὸν ζῷον ὁ ἄνθρωπος, τῆς θείας τε καὶ ἀκηράτου φύσεως ἔργον καὶ μίμημα γεγονώς 398,2,1-3).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „რამეთუ ძალი იგი ხედვისაჲ უქმად არნ დაყოფასა მას თუალთასა და საქმედ ვერ შემძლებელ არნ“ (329v).

C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „რამეთუ ძალი იგი ხედვისაჲ უქმ არნ დაყოფასა მას თუალთასა და საქმედ **საქმისა თჳსისა** ვერ შემძლებელ არნ“ (119v). რედაქტორის მიერ C-ში დამატებულია **„საქმისა თჳსისა“**, რაც სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი. აღნიშნული სიტყვები ბერძნულ ორიგინალში არ დასტურდება და იგი უფრო მეტად თანხვდება A რედაქციის მონაცემს (შდრ. τῆς γὰρ ὁρατικῆς δυνάμεως ἐν τῇ ἐπιμύσει τῶν ὀμμάτων ἐνεργεῖν ἀδυνατούσης 403-404,29-30), თუმცა წმ. გიორგი მთაწმიდელმა, კონტექსტის განმარტების მიზნით, საჭიროდ მიიჩნია ქართული თარგმანის გავრცობა იმის ნათელსაყოფად, რომ ეფთვიმესეულ თარგმანში ბერძნულის კვალობაზე დადასტურებული სიტყვები: **„საქმედ ვერ შემძლებელ არნ“** გულისხმობს თვალის ფუნქციას, კერძოდ, ხედვის უნარს.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „არცა ერთი ვინ დაუტეოს შემოსავალი ნათლისაჲ“ (329v). C-ში სიტყვა **„ვინ“**, ბერძნულის კვალობაზე, გადაშლილია (119v), ხოლო ნაცვლად სიტყვისა **„შემოსავალი“**, C-ში გვაქვს **„შესავალი“** (**„მო“** ამოფხეკილია), რაც, ორიგინალის მიხედვით, შესაძლებელია თარგმნილიყო როგორც „შემოსავალი“, ისე „შესავალი“ (შდრ. μηδεμίαν ἐντέμοι τῷ φωτὶ τὴν ἐπὶ τὰ ἔσω τάροδον, 404,33-34). აშკარაა, რომ რედაქტორის ჩარევა წმ. ეფთვიმე მთაწმიდლისეულ თარგმანში მიზნად ისახავს საკუთრივ ქართული ტექსტის ბერძნულ დედანთან უფრო მეტად დაახლოებასა და მის სტილურ დახვეწას.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „რამეთუ ბუნებასა შინა კეთილი ყოვლითკერძო წინამდებარე აქუნდა“ (329v). C-ში თანდებული **„შინა“** (119v) გადაშლილია, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თანდებულის შესატყვისი ბერძნულ ორიგინალში ნათლად იკითხება (შდრ. ἐν... τῇ φύσει 404,37). აშკარაა, რომ წმ. გიორგი მთაწმიდელი ხელმძღვანელობს მხოლოდ ქართული ტექსტით და საჭიროდ მიიჩნევს სიტყვა „ბუნებასა“ იყოს ქვემდებარე, რის გამოც აუქმებს თანდებულს – „შინა“.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „არამედ ვინაჲთგან სახითა ამით, ვთქუთ, შემოვიდა ცხორებასა კაცთასა ცოდვაჲ“ (329v). C-ში სიტყვა **„ვინაჲთგან“** გადაშლილია, ხოლო იქვე, სტრიქონს ზემოთ, რედაქტორის მიერ წერია **„ვითარცა“**, რის შედეგადაც, ნაცვლად A-ს მონაცემისა, C-ში გვაქვს განსხვავებული წაკითხვა: „არამედ სახითა ამით, ვითარცა ვთქუთ, შემოვიდა ცხორებასა კაცთასა ცოდვაჲ“ (119v). მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ ორიგინალში **ἐπειδη** დასტურდება, ხოლო C-ში მისი შესატყვისი **„ვინაჲთგან“** რედაქტორის მიერ გადაშლილია, მაინც, მოცემულ შემთხვევაშიც, C რედაქცია, ორიგინალის თანხვედრილობითაც და სტილური დახვეწილობის მხრივაც, წარმოადგენს ეფთვიმესეული თარგმანის ტექსტობრივი სრულყოფის ერთ-ერთ იშვიათ ნიმუშს (შდრ. Ἀλλ’ ἐπειδὴ κατὰ τὸν ῥηθέντα τρόπον εἰσεφθάρη τῇ ζωῇ τῶν ἀνθρώπον ἡ τοῦ ἁμαρτάνειν ἀκολουθία, 404,45-46).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „შემმოსა ჩუენ პირველი იგი დიდებაჲ“ (330r). C რედაქციაში, ნაცვლად სიტყვისა: **„პირველი“**, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა, კერძოდ, **„პირველივე“** (**„ვე“** სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი): „შემმოსა ჩუენ **პირველივე** იგი დიდებაჲ“ (120r). იმავე კონტექსტში, ნაცვლად A-ს მონაცემისა: „უკუეთუ გუენებოს, შეუძლოთ მოგებად **პირველი იგი დიდებაჲ** და **უაღრესიცა** ფრიად“, C-ში განსხვავებული წაკითხვაა: „შეუძლოთ მოგებად **პირველისა მის დიდებისა** და **უვაღრესისაცა** ფრიად“ (120r). რედაქტორის ჩასწორების კვალი C-ში სავსებით აშკარაა, რამდენადაც სიტყვები: **„პირველი იგი დიდებაჲ“** გადასწორებულია, როგორც **„პირველისა მის დიდებისა“**, ხოლო ხელნაწერში თავდაპირველად არსებული სიტყვა **„უვაღრესცა“** გადასწორებულია როგორც **„უვაღრესისაცა“** (სიტყვაში „უვაღრესისაცა“ „ისა“ რედაქტორის მიერ სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი). ვფიქრობთ, წმ. გიორგი მთაწმიდლისეული ჩარევა ეფთვიმესეულ თარგმანში მიზნად ისახავს საკუთრივ ქართული ტექსტის სტილურ დახვეწას.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „დაჰბადნა მხოლომან გულნი ჩუენნი“ (330v). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა **„მხოლომან“**, სახეზეა ზმნიზედა **„მხოლოდ“**, რის შედეგადაც აღნიშნული ფრაზა წარმოდგენილია შემდეგნაირად: „დაჰბადნა **მხოლოდ** გულნი ჩუენნი“ (120v; შდრ. ბერძნ. ὁ πλάσας κατὰ μόνας τὰς καρδίας 414,33). აშკარაა, რომ წმ. გიორგი მთაწმიდელი ეფთვიმესეულ ტექსტს ასწორებს ორიგინალთან შესაბამისობაში, რომელშიც ასევე სახეზეა ზმნიზედა **κατὰ μόνας**.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „რამეთუ იყო შიშულ სამოსელთა მათგან ტყავისა მის **მკუდრისაჲთა**“ (331r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა **„მკუდრისაჲთა“**, გვაქვს **„მკუდრისათა“** (ხელნაწერში „ჲ“ გადაშლილია 121r), რაც უფრო სწორი ფორმაა, რადგან შეთანხმებულია სიტყვა **„სამოსელთა“**-სთან.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „სამოსელთა მათ ტყავისათა **აღძურცად**“ (331v). C-ში, ნაცვლად სიტყვისა **„აღძურცად“**, სახეზეა **„აღძარცუვად“** (121v). ხელნაწერში აშკარად იკითხება რედაქტორის მიერ სტრიქონს ზემოთ მიწერილი ასოები (**„ა“ „ძ“**-ს შემდეგ, ხოლო **„ვ“ „უ“**-ს შემდეგ). ძველი ქართული ენის ნორმებით სწორია როგორც **„აღძურცა“**, ასევე **„აღძარცუვა“** ფორმა. როგორც ჩანს, წმ. გიორგი მთაწმიდელი უპირატესობას მეორე ფორმას ანიჭებს.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „გემოჲსმოყუარებისა და **თუალთა მიერ** საცთურისა დატეობად“ (331v). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა **„თუალთა მიერ“**, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: **„თუალთამიერისა“** (121v): „გემოჲსმოყუარებისა და **თუალთამიერისა** საცთურისა დატეობად“. აშკარაა, რომ რედაქტორის ჩარევა ეფთვიმესეულ თარგმანში მიზნად ისახავს საკუთრივ ქართული ტექსტის სტილურ დახვეწას ორიგინალის სინტაქსთან შესაბამისობაში.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „კეთილისაცა თანა ბოროტისაცა ცნობაჲ“ (331v). C რედაქციაში,ნაცვლად სიტყვისა **„კეთილისაცა“**, გვაქვს **„კეთილისა“**. რედაქტორმა, საკუთრივ ქართული ტექსტის სტილური დახვეწის მიზნით, ნაწილაკი **„ცა“** გადაშალა, რამდენადაც უმჯობესად მიიჩნია, რომ იგი ორივე მსაზღვრელთან არ ყოფილიყო გამოყენებული. აღნიშნული ჩარევის შედეგად C-ში სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „**კეთილისა** თანა ბოროტისაცა ცნობაჲ“ (121v).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ჭეშმარიტებით არიან თქუმულნი ესე“ (332r). C-ში, ნაცვლად A-ს მონაცემისა – **„ჭეშმარიტებით“**, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა, კერძოდ, **„ჭეშმარიტ“** (A-ს მონაცემის ბოლო ოთხი ასო: **„ებით“** – გადაშლილია). აღნიშნული სიტყვა გადმოსცემს ორიგინალის ὡς ἀληθῆ-ს (შდრ. Καὶ ὡς ἀληθῆ ταῦτα... προστεθέντων 430,8-9). ვფიქრობთ, წმ. გიორგი მთაწმიდლისეული ჩარევა ეფთვიმესეულ თარგმანში მიზნად ისახავს საკუთრივ ქართული ტექსტის სტილურ დახვეწას.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ჴორციელი შეერთებაჲ იგი ქორწინებისა საქმე არს მოკუდავთა გუამთა შექმნაჲ“ (332r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა – **„შეერთებაჲ იგი“**, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: **„იგი შეერთება“** (122r). ნაწევარი **„იგი“** C-ში გადაშლილია, წინ არის გადმოტანილი და სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი. იქვე A-ს მონაცემი **„ქორწინებისა“** რედაქტორის მიერ გადაკეთებულია როგორც **„ქორწინებისაჲ“**, რის შედეგადაც სახეზეა შემდეგი ტექსტი: „ჴორციელი შეერთება **ქორწინებისაჲ** საქმე არს მოკუდავთა გუამთა შექმნაჲ“ (122r).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ესე არს საქმედ“ (332r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა **„არს“**, სახეზეა **„აქუს“**, რაც სტილური თვალსაზრისით უფრო გამართლებული ჩანს წინარე კონტექსტის გათვალისწინებით, რამდენადაც აღნიშნული სიტყვა იმავე კონტექსტში, ბერძნულის კვალობაზე, უკვე გამოყენებული იყო.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ადამისითგან ვიდრე დღეთამდე ქალწულისა სიკუდილი არა განიკუეთა“ (332v). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა – **„ქალწულისა“**, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა – **„ქალწულისათა“** (122r). აღნიშნული სიტყვის ბოლო ორი ასო სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი. ბერძნული დედნის შესაბამის ადგილას გვაქვს შემდეგი ფრაზა: μέχρι τῆς τοῦ παρθενεύοντος (434,18). აშკარაა, რომ წმ. გიორგი მთაწმიდელმა **„ქალწულისათა“** ფორმა შეუფარდა სიტყვას **„დღეთა“**, რის შედეგადაც C-ში სახეზეა შემდეგი ტექსტი: „ადამისითგან ვიდრე დღეთამდე ქალწულისათა სიკუდილი არა განიკუეთა“ (122r).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „თუ ვიეომცა შემშჭუალა თჳსი იგი საწერტელი“ (332v). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა – **„ვიეთმცა“** სახეზეა **„ვისმცა“** (122v). აღნიშნული კითხვითი ნაცვალსახელი

წარმოადგენს თარგმანს ბერძნული სიტყვისა – τίσι (შდრ. τίσι τὸ ἑαυτοῦ κέντρον ἐναπερείσηται 436,30). მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულში მრავლობითი რიცხვის ფორმაა, რაც ზედმიწევნით შესაბამისობაშია A-ს მონაცემთან, წმ. გიორგი მთაწმიდელმა, ვფიქრობთ, ქართული ტექსტის სტილური დახვეწის მიზნით, საჭიროდ მიიჩნია ეფთვიმესეულ თარგმანში ჩარევა.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „გულისჴმა-ყავთ, თუ ვინაჲ არს დასაბამი მათი, ანუ თუ ქორწინებისაგან“ (333r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „გულისჴმა-ყავთ, თუ ვინაჲ არს დასაბამი მათი, **ქალწულებისაგან,** ანუ თუ ქორწინებისა“ (122v). აღნიშნულ ფრაზას C რედაქციაში ჩართული აქვს სიტყვა **„ქალწულებისაგან“**, ხოლო დამაბოლოებელი **„ქორწინებისაგან“** წარმოდგენილია თანდებულის გარეშე (**„გან“** გადაშლილია). A რედაქციის მონაცემი: **„ანუ თუ ქორწინებისაგან“** – ბერძნულ დედანში არ დასტურდება, იგი ეფთვიმესეული მატებაა, რაც მიზნად ისახავს ტექსტის კომენტირებას, კერძოდ, იმაზე ხაზგასმას, რომ დიდი კაბადოკიელი მოძღვრის – წმ. გრიგოლ ნოსელის კონტექსტისეული სწავლება განსაცდელთა შესახებ სწორედ ქორწინებისაგან იღებს დასაბამს. C რედაქციაში ეფთვიმესეული მატება კიდევ უფრო გავრცობილია კონტექსტის გამკვეთრების მიზნით.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „დასატაცებელად ძრიელთა წინაშემდებარენი“ (333r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა – **„დასატაცებელად“**, სახეზეა **„მი-მო-დასატაცებელად“** (**„მიმო“** სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი, 123r). აღნიშნული სიტყვა გადმოსცემს ბერძნულ **λάφυρον**-ს (შდრ. **λάφυρον** προκειμένους τοῖς δυναστεύουσιν 438,2-3).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ხოლო სიქურივისა მოქმედი რაჲ არს სხუაჲ? და არა ქორწინებაჲ-ა?“ (333r). C რედაქციაში **„და“** კავშირი გადაშლილია, რის შედეგადაც, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „ხოლო სიქურივისა მოქმედი რაჲ არს სხუაჲ? არა ქორწინებაჲ-ა? (123r). აღვნიშნავთ, რომ A-ს მონაცემი ზედმიწევნით თანხვდება ბერძნულ ორიგინალს, სადაც ასევე გვაქვს „და“ კავშირი (შდრ. Χηρείας δὲ γένεσις τίς ἄλλη **καὶ** ὀυχὶ γάμος ἐστίν 438,4-6), თუმცა, საკუთრივ ქართული ტექსტის სტილური დახვეწის მიზნით, წმ. გიორგი მთაწმიდელი საჭიროდ მიიჩნევს ეფთვიმესეულ თარგმანში ჩარევას.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ბოროტთა განმაქარვებელი არს“ (333r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა – **„განმაქარვებელი“**, სახეზეა **„განმაქარვებელ“** (123r), რაც სწორია ამ კონტექსტისათვის, რადგან მეშველ ზმნასთან სახელადი ნაწილი ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „შეცოდებულთა ზედა დადებული სასჯელი“ (333r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „შეცოდებულთა ზედა დადებული **იგი** სასჯელი“

(ნაწევარი **„იგი“** აშიაზეა მიწერილი,123r). ვფიქრობთ,აღნიშნული ნაწევარის დამატება განპირობებულია სიტყვა **„სასჯელში“** ნაგულისხმევი აზრის დაკონკრეტების მიზნით,კერძოდ,იმაზე მითითებით,რომ აქ საუბარია არა ზოგადად **„სასჯელზე“**,არამედ სიკვდილზე,რაც პირველმშობელთა შეცოდების შედეგად მოიწია. (შდრ. **ἡ...** κατὰ τῶν πεπλημμεληκότων **κατάκρισις** 438,8-9). კონტექსტის მიხედვით აშკარაა,რომ აღნიშნულ სიტყვაში კონკრეტული სასჯელი,კერძოდ,„მოკვდავობა“,„სიკვდილი“ იგულისხმება,რის გამოც წმ. გიორგი მთაწმიდელმა,ბერძნულის კვალობაზე, საჭიროდ მიიჩნია ქართული თარგმანისათვის დაემატებინა ნაწევარი **„იგი“**.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „**მათ** თანა დაიჴსნას განსაცდელიცა იგი სოფლისაჲ“ (333r-333v). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა **„მათ“**,სახეზეა მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი **„მის“**,რის შედეგადაც წინადადებას ასეთი სახე აქვს: „**მის** თანა დაიჴსნას განსაცდელიცა იგი სოფლისაჲ“ (123r).

ვფიქრობთ,რომ აღნიშნული ცვლილება განაპირობა წინარე კონტექსტში გამოყენებულმა სიტყვამ **„სასჯელი“ (κατάκρισις),** რაც მხოლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი, რის გამოც წმ. გიორგი მთაწმიდელმა, წინადადების კონტექსტისეული შინაარსის გამოკვეთისა და სტილური დახვეწის მიზნით, საჭიროდ მიიჩნია ევთვიმესეულ თარგმანში ჩარევა (შდრ. συναντήρηται πάντως ἡ ἀπὸ τοῦ βίου σιμφορα 438,11-12).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „სათნოებაჲ იგი ქალწულებისაჲ არა ლიტონი არს და მარტივი საქმე“ (334r). C რედაქციაში სიტყვა **„არს“**, რომელიც სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი,გადატანილია წინადადების ბოლოს, რაც განპირობებული უნდა იყოს საკუთრივ ქართული ტექსტის სტილური დახვეწის მიზნით. ამდენად, C-ში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „სათნოებაჲ იგი ქალწულებისაჲ არა ლიტონი და მარტივი საქმე **არს**“ (123v).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „უკუეთუ ერთისა მის მიერ შეიგინოს საწოლი იგი“ (335r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა – **„მის მიერ“**, გვაქვს **„მისგან“** (124v), რაც ასევე განპირობებული უნდა იყოს არა თარგმანის ბერძნულ დედანთან დაახლოების, არამედ საკუთრივ ქართული ტექსტის სტილური დახვეწის მიზნით (შდრ. τὸ δι᾽ ἑνός τινος μιανθῆναι τὴν κοίτην 452,23).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ეგრეთ არს ჭეშმარიტად“ (335r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული ტექსტი: „**და ესე ესრეთ** არს ჭეშმარიტად“ (124v). როგორც ჩანს,თავდაპირველად C რედაქციაშიც იყო **„ეგრეთ“**, მაგრამ რედაქტორს ხელნაწერში ფრაზის დასაწყისში **„ეგ...“** გადაუშლია და სტრიქონს ზემოთ დაურთავს: **„და ესე ეს“** (124v). მიუხედავად იმისა, რომ A-ს მონაცემი თანხვდება ბერძნულ დედანს (შდრ. **οὕτως** ἔστιν ἀληθῶς 452,28), წმ. გიორგი მთაწ-

მიდელმა, საკუთრივ ქართული ტექსტის სტილური დახვეწისა და უფრო მეტი გამომსახველობის მიზნით, საჭიროდ მიიჩნია ეფთვიმესეულ თარგმანში ჩარევა.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ყოველივე,რაჲცა არს უფალი,კეთილთა თანა შეერთებული, არა არს მათი წინააღმდგომისა ნებასა თანაზიარებაჲ“ (335r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა – **„რაჲცა არს უფალი, კეთილთა თანა შეერთებული“**, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „ყოველივე,**რომელიცა** არს **უფლისა** კეთილთა თანა შეერთებულ“ (124v). მიუხედავად იმისა, რომ A რედაქციის მონაცემი ტექსტობრივად თანხვედრაშია ბერძნულ დედანთან (შდრ. **ὅσα ἐστὶν ὁ κύριος κατὰ τὴν διαφοράν** τῶν ἐν αὐτῷ θεωρουμένων νοούμενός τε καὶ ὀνομαζόμενος, πρὸς πάντα τὰ ἐν κακίᾳ τὸ ἐναντίον νοούμενα 454,4-6), წმ. გიორგი მთაწმიდელმა, კონტექსტის უფრო მეტი გამჭვირვალობისა და ქართული ტექსტის სტილური დახვეწის მიზნით, მაინც საჭიროდ მიიჩნია აღნიშნული ცვლილების განხორციელება ეფთვიმესეულ თარგმანში.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ხოლო აღასრულებენ გულისთქუმასა მათსა პარვისმოყუარებასა ზედა“ (335v). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა – **„პარვისმოყუარებასა“**, რაც კონტექსტისათვის სრულიად შეუსაბამოა და გადამწერისეული შეცდომა უნდა იყოს, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა **„პატივისმოყუარებასა“**. აშკარაა, რომ წმ. გიორგი მთაწმიდელს აღნიშნული შეცდომა ბერძნული დედნის მიხედვით გაუსწორებია (შდრ. ἄλλως δὲ τὴν ἡδονὴν ἐν τιμαῖς καὶ **φιλαρχίαις** θηρεύουσι 454,3-456,4).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „არა აქუს აზნაურებაჲ“ (335v). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „არა აქუს **მას** აზნაურებაჲ“ (124v). ნაცვალსახელი **„მას“** რედაქტორის მიერ სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი და მიზნად ისახავს აღნიშნული ფრაზის კონტექსტისეული შინაარსის გამოკვეთას და სტილურ დახვეწას.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ხოლო არიან სხუანი, რომელნი მრავლითა მით გულისთქუმათა მიმართ ბრძოლითა ძლეულ იქმნეს წინააღმდგომისა მის ვნებისაგან“ (335v). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა – **„ძლეულ იქმნეს“**, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: **„არა ძლეულ იქმნეს“** (125r), რაც რედაქტორის მიერ სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი. იქვე, იმავე კონტექსტში, A-ს მონაცემს: **„წინააღმდგომისა მის ვნებისაგან“** (335v), დამატებული აქვს შემდეგი სიტყვები: **„ძლეულ იქმნეს“** (125r), რის შედეგადაც C რედაქციის ტექსტი შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: „ხოლო არიან სხუანი, რომელნი მრავლითა მით გულისთქუმათა მიმართ ბრძოლითა **არა იძლინეს და წინააღმდგომისა მის ვნებისაგან ძლეულ იქმნნეს**“ (125r). ამავე კონტექსტში ასევე შესამჩნევია განსხვავებული მონაცემები A-სა და C რედაქციებს შორის, კერძოდ,

A-ში სახეზეა წაკითხვა: „რომელნი ვნებისა მისგან გულისთქუმათაჲსა წინააღმდგომ არიან, მათ მიერ ადვილად იძლევიან“ (335v), ხოლო რაც შეეხება C-ს მონაცემს, მასში, ნაცვლად სიტყვისა **„მისგან“**, გვაქვს ნაცვალსახელი **„მის“** (125r), ხოლო ნაცვლად ზმნისა **„იძლევინ“** (A335v) – **„ძლეულ იქმნეს“** (შდრ. „რომელნი **ვნებისა მის** გულისთქუმათაჲსა წინააღმდგომ არიან, მათ მიერ ადვილად **ძლეულ-იქმნეს**“ (125r). Εἰσὶ δὲ πάλιν οἳ τῇ πολλῇ πρὸς τὰς ἡδονὰς μάχῃ εὐκαταγώνιστοί πως τῷ ἀντικειμένῳ πάθει γεγόνασι (456,9-11).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ვითარცა მოციქული იტყჳს, არს იგი თჳთსიბრძნე და სიწმიდე, ჭეშმარიტება, სიხარულ, მშჳდობა და ყოველი, რავდენი არს მსგავსი ამათი“ (335v). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „ვითარცა მოციქული იტყჳს, არს იგი თჳთსიბრძნე და სიწმიდე **და** ჭეშმარიტება, სიხარულ, მშჳდობა და ყოველი**ვე**, რავდენი არს მსგავსი ამათი“ (125r). C-ში დამატებულია **„და“** კავშირი (შდრ. A: „სიწმიდე, ჭეშმარიტება“; C: „სიწმიდე **და** ჭეშმარიტება“). იქვე A-ს მონაცემს – **„ყოველი“,** C-ში ემატება **„ვე“**, რაც რედაქტორის მიერ სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი, რის შედეგადაც, ნაცვლად სიტყვისა **„ყოველი“**, გვაქვს **„ყოველივე“** (125r). მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ დედანში **„და“** კავშირი სიტყვა **„სიწმიდის“** შემდეგ არ დასტურდება (შდრ. **ἁγιασμοσ, ἀλήθειά...** 456,6-458,7), წმ. გიორგი მთაწმიდელი, საკუთრივ ქართული ტექსტის სტილური დახვეწის მიზნით, მაინც საჭიროდ მიიჩნევს ეფთვიმესეულ თარგმანში ჩარევას. აღვნიშნავთ, რომ ბერძნულ დედანში **„და“** კავშირი გვაქვს როგორც სიტყვა „ჭეშმარიტების“, ისე „სიხარულის“ შემდგომ (შდრ. ἀλήθειά τε **καὶ** χαρὰ **καὶ** εἰρήνη 458,7).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „და არცა კუალად მრავალღონეობაჲ და სიმახჳლე, რომელი მრავალთა მიერ საქებელ არს, შეერაცხოს ოდენ სათნოებად“ (336r). C რედაქციაში სიტყვა **„ოდენ“** გადმოტანილია წინ და სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი, რის შედეგადაც სახეზეა A-ს მონაცემისაგან განსხვავებული წაკითხვა: „და არცა კუალად მრავალღონეობაჲ **ოდენ** და სიმახჳლე...“ (125v). ვფიქრობთ, რომ ამ კონკრეტულ ნიმუშთან დაკავშირებითაც რედაქტორისეული ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს არა იმდენად თარგმანის დაახლოებას ბერძნულ ორიგინალთან, რომელშიც სიტყვა **„ოდენ“** ფრაზის დასაწყისში გვხვდება (შდრ. μηδ' **αὖ** πάλιν τὴν ἐπαινουμένην ὑπὸ τῶν πολλῶν δεινότητα καὶ πανουργίαν ἀμιγῆ τῶν ἐναντίων καὶ ἄκρατον ἀρετὴν νομίζειν 460,30-34), არამედ საკუთრივ ქართული ტექსტის სტილურ დახვეწას.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „რასა გულისჴმა-ვჰყოფთ ჩუენ სხუასა ამის იგავისაგან?“ (336v). C რედაქციაში აღნიშნული ფრაზის წინ დამატებული აქვს კავშირი **„ანუ“**, რის შედეგადაც სახეზეა A-ს მონაცემისაგან განსხვავებული წაკითხვა: „**ანუ** რასა გულისჴმა-ვჰყოფთ ჩუენ

სხუასა ამის იგავისაგან?“ (125v). მიუხედავად იმისა, რომ A-ს მონაცემი ზედმიწევნით თანხვდება ბერძნულ დედანს (შდრ. **τί ἄλλο ἐκ τῆς παραβολῆς ταυτης μανθάνομεν**), რომელშიც ასევე არ იკითხება კავშირი „ანუ“, წმ. გიორგი მთაწმიდელი, საკუთრივ ქართული ტექსტის სტილური დახვეწის მიზნით, მაინც საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნული სიტყვის დამატებას.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ესრეთვე თანა-აც ჩუენისაცა სამკჳდრებელისა სახლისა-უფალსა, განმგონებელსა გონებასა ვიტყჳ“ (337r). აღნიშნული ფრაზა ზუსტად ასევე იკითხება C რედაქციაშიც, თუმცა მოსალოდნელი იყო, რომ რედაქტორს, ორიგინალის კვალობაზე, შეესწორებინა იგი, რამდენადაც ბერძნულის მიხედვით **„და“** კავშირის არსებობა აუცილებელია (შდრ. οἰκοδεσποτην **και** οἰκονόμον 468,14-15). შესაძლოა, ეფთვიმეს თარგმანში, ბერძნულის კვალობაზე, იყო **„განმგებელი გონებაჲ“**, რაც ნიშნავს გონებას, რომელიც წარმართავს, განაგებს ადამიანურ ბუნებას, მაგრამ გადამწერთა მიერ **„განმგებელი“** შეიცვალა **„განმგონებელით“**. მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ ამგვარი ცვლილება მხოლოდ მექანიკური ლაფსუსი არ იყოს. იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ხელნაწერში, როგორც P3-ში, ისე Ath. 39-ში, გვაქვს **„განმგონებელი გონებაჲ“**, გამორიცხული არ არის ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს არა გადამწერის შეცდომასთან, არამედ ეფთვიმეს მიერ ტექსტის თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოღების ნიმუშთან; თავისთავად, შესიტყვებას **„განმგონებელი გონებაჲ“** არაერთი პარალელი აქვს XI-XII სს-ის ქართულ საეკლესიო ტექსტებში და გულისხმობს „შემმეცნებელ, შემცნობელ გონებას“, ანუ იმასვე, რასაც ბერძნული ὁ νοῶν νοῦς (შდრ. „ეგრეთვე ამასცა ზედა კეთილითა სჳნდისითა და კადნიერებითა იყავნ **განმგონებლობისაებრ** თჳსისა ყოველი, რომელი მოუჴდებოდის ღმერთსა“, ეპისტოლე დიონჳსი ალექსანდრიელისაჲ, „დიდი სჯულისკანონი“, გვ. 452,2-4). თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ბერძნული ორიგინალი მხარს უჭერს წაკითხვას **„განმგებელი“,** რასაც ზედმიწევნით თანხვდება აგრეთვე სხვაენოვანი თარგმანები. დავიმოწმებთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ყველა წყაროს (შდრ. ბერძნ. τὸν τοῦ σκηνώματος ἡμῶν οἰκοδεσπότην καὶ **οἰκονόμον**, τὸν νοῦν λεγω...,ინგლ. **The same duty**... is incumbent on that **master** of our “tabernacle”, the mind; რუს. хозяинъ и распорядитель и нашего дома, - **я разумею умъ**...). მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ სიტყვა **„განმგებელი“** (ბერძნ. **οἰκονόμος**) **„და“** კავშირით **(και)** შეერთებულია წინარე სიტყვასთან – **„სახლისა-უფალსა“ (οἰκοδεσπότην)**, ხოლო მისი მომდევნო სიტყვები: **„გონებასა ვიტყჳ“ (τὸν νοῦν λέγω)**, რომლებიც მძიმით არის გამოყოფილი, მსაზღვრელის გარეშეა წარმოდგენილი; ამდენად, ორიგინალის მიხედვით, ქართულში მოსალოდნელი იყო შემდეგი წაკითხვა: „სახლისა-უფალსა და განმგებელსა, გონებასა ვიტყჳ“, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ეფთვიმეს მიერ ტექსტის

თავისუფალი გადმოღების ნიმუშთან, რის გამოც, ვფიქრობთ, ეფთვიმესეული ტექსტი პუნქტუაციურად ასე უნდა გაიმართოს: „ჩუენისაცა სამკუდრებელისა სახლისა-უფალსა, განმგონებელსა გონებასა, ვიტყუ...“.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „უკუეთუ ვინ არა ცუდად შეჰრაცხოს სიტყუაჲ ჩუენი...“ (337r). C-ში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, **„ვინ არა“**, გვაქვს **„არა ვინ“** (126r),რის შედეგადაც სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „უკუეთუ **არა ვინ** ცუდად შეჰრაცხოს სიტყუაჲ ჩუენი“. ვფიქრობთ, რომ ამ კონკრეტულ ნიმუშთან დაკავშირებით რედაქტორისეული ჩარევა ეფთვიმესეულ თარგმანში მიზნად ისახავს როგორც საკუთრივ ქართული ტექსტის ბერძნულ დედანთან დაახლოებას (შდრ. Εἰ δὲ **μὴ** φλυαρίαν **τινὰ** καὶ ἀδολεσχίαν τοῦ λόγου τις καταγνώσεται 468,18-19), ისე თარგმანის სტილურ დახვეწას.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „დაუდგრომელსა მას შფოთითა სავსე ცხორებასა“ (338v). C-ში რედაქტორის მიერ, ბერძნულის კვალობაზე, ჩამატებულია **„და“** კავშირი, რის შედეგადაც, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „დაუდგრომელსა მას და შფოთითა სავსე ცხორებასა“ (127v; შდრ. τὸν ἄστατον τοῦτον **καὶ** ἐμπαθῆ καὶ ταραχῶδη βίον 480,23-24). აშკარაა, რომ წმ. გიორგი მთაწმიდელმა ბერძნულის გავლენით ადადგინა **„და“** კავშირი, რითაც უფრო მეტი ბუნებრიობა შესძინა თარგმანს.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ხოლო ცოდვაჲ მძიმე არს, ტალანტსა ზედა ბრპენისასა მჯდომარე, სიტყჳსაებრ წინაჲსწარმეტყუელისა...“ (338v). C-ში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „ხოლო ცოდვაჲ მძიმე არს **და** ტალანტსა ზედა ბრპენისასა მჯდომარე“ (127v). მიუხედავად იმისა, რომ **„და“** კავშირი, რაც დამატებულია C რედაქციაში, ბერძნულ დედანში არ დასტურდება (შდრ. βαρὺ δὲ ἡ ἁμαρτία, καθως φησί τις τῶν προφητῶν, ἐπὶ τάλαντον μολύβδου καθεζομένη 484,38-40), წმ. გიორგი მთაწმიდელმა, საკუთრივ ქართული ტექსტის უფრო მეტი ბუნებრიობისა და სტილური დახვეწის მიზნით, საჭიროდ მიიჩნია აღნიშნული ცვლილების განხორციელება.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ხოლო ნათესაობისა პატიოსნობაჲ – არა ამაოჲ ესე და თჳთმოსრული, რომელი მრავალთა უკეთურთაცა აქუს, არამედ რომელი-იგი შრომითა და მოსწრაფებითა თჳსთა სათნოებათაგან მოგებულ იყოს, რომელი მათ ხოლო აქუს, რომელნი არიან ძე ნათლისა და შვილ ღმრთისა და „ნათესავ დიდებულ აღმოსავალით მზისა“ პატიოსნებისათჳს და **სინანულისა** საქმეთა მათთაჲსა“ (A 340r). აშკარაა, რომ სიტყვა **„სინანულისა“**,რაც კონტექსტისათვის სრულიად შეუსაბამოა, გადამწერისეული შეცდომა უნდა იყოს. აღნიშნული ცდომილება წმ. გიორგი მთაწმიდელმა, ბერძნულის კვალობაზე – Γένους δὲ σεμνότητα οὐ κατὰ τὴν αὐτόματον συντυχίαν πολλοῖς καὶ τῶν φαύλων προσοῦσαν κἀκεῖνος ἔχειν φιλοτιμήσεται, ἀλλὰ τὴν πόνῳ καὶ σπουδῇ δι’ οἰκείων

κατορθωμάτων προσγινομένην, ἣν μόνοι αὐχοῦσιν οἱ τοῦ φωτὸς υἱοὶ καὶ τέκνα θεοῦ καὶ τῶν ἀφ' ἡλίου ἀνατολῶν εὐγενεῖς διὰ τῶν ἔργων τῶν φωτεινῶν χρηματίζοντες (498,11-17) – შეასწორა, რის შედეგადაც C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა – **„სინანულისა“**, სახეზეა **„სინათლისა“,** რაც თანხვედრილობაშია ბერძნულ დედანთან (ხელნაწერში „სინანულისა“ გადაშლილია და მის ნაცვლად გარკვევით, მუქად წერია „სინათლისა“ 129r; შდრ. ბერძნ. τῶν φωτεινῶν).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „და რაჲთა არცა ცხორებისა მისგან, არცა ნათესაობისაგან იყოს მის ზედა ყუედრებაჲ“ (340r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა: „არცა ცხორებისა **მისგან**“, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „არცა ცხორებისა **მისისაგან**“. როგორც ჩანს, თავდაპირველად C-ში იყო **„მისგან**“, მაგრამ რედაქტორის შესწორების შედეგად გადაკეთებულია როგორც **„მისისაგან“** (დამატებული ასოები, კერძოდ, **„ისა“**, სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი). აღნიშნული ჩარევა ეფთვიმესეულ თარგმანში მიზნად უნდა ისახავდეს საკუთრივ ქართული ტექსტის უფრო მეტ გამჭვირვალობასა და სტილურ დახვეწას, რამდენადაც ტექსტობრივი თანხვედრა სახეზეა სწორედ A რედაქციაში (შდრ. καὶ τοῦ μηδὲν μήτε **ἐκ τοῦ βίου** μήτε ἐκ τοῦ γένους ἐπάγεσθαί τι ὄνειδος 498,3-5).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ხოლო ვიცი ზითევიცა ამის ქორწილისაჲ არა განჴრწნილთა საფასეთაგან ქმნილი, არამედ თჳსისა მის სიმდიდრისაგან სულისა მიცემული“ (340r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „ხოლო ვიცი ზითევიცა ამის ქორწილისაჲ არა განჴრწნილთა საფასეთაგან ქმნილი, არამედ თჳსისა მის სიმდიდრისაგან სულისა **მიერ** მიცემული“ (129r). აშკარაა, რომ წმ. გიორგი მთაწმიდელის ჩარევა ეფთვიმესეულ თარგმანში, რაც გამოხატულია **„მიერ“** თანდებულის შემატებით, მიზნად ისახავს მხოლოდ საკუთრივ ქართული ტექსტის სტილურ დახვეწას, რამდენადაც ტექსტობრივი ზედმიწევნითობა ბერძნულ დედანთან სახეზეა სწორედ A რედაქციაში, სადაც **„მიერ“**-ის შესატყვისი არ დასტურდება. (შდრ. Οἶδα δὲ καὶ τὰ ἕδνα τοῦ γάμου τούτου οὐκ ἀπὸ φθαρτῶν χρημάτων πεποιημένα, ἀλλ' ἐκ τοῦ ἰδίου πλούτου **τῆς ψυχης** δωροφορούμενα). C რედაქციაში სიტყვა „მიერ“ სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „არიან საფასენი იგი“ (340r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „**და ესე** არიან საფასენი იგი“ (129r). სიტყვები **„და ესე“** რედაქტორის მიერ სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი (შდრ. ბერძნ. ἐν τίσι πλουτοῦσιν 500,24). ვფიქრობთ, რომ წმ. გიორგი მთაწმიდლისეული ჩარევა ეფთვიმესეულ თარგმანში მიზნად ისახავს საკუთრივ ქართული ტექსტის სტილურ დახვეწას, თუმცა აგრეთვე სახეზეა მცდელობა ორიგინალთან ტექსტობრივი დაახლოებისა (შდრ.˝Ακουσον Παύλου τοῦ καλοῦ νυμφοσ-

τόλου ἐν τίσι πλουτοῦσιν οἱ ἐν παντὶ συνιστῶντες ἑαυτούς 500,24-25).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ვითარცა იტყჳს მოხუცებული მოციქული“ (340v). C-ში სიტყვა **„მოხუცებული“** გადაშლილია (129v). აღნიშნული სიტყვა ასევე არ გვხვდება არც ბერძნულ დედანში (შდრ. καθώς φησιν ὁ ἀπόστολος, 502,38). A რედაქციაში ამ სიტყვის არსებობა გადამწერისეული შეცდომა უნდა იყოს, სავარაუდოდ, გამოწვეული იმით, რომ მან, როგორც ჩანს, მექანიკურად გაიმეორა რამდენიმე სიტყვის წინ ტექსტში გამოყენებული სიტყვა: **„მოხუცებულთა“** (შდრ. „ხოლო საცნაურ არს, ვითარმედ სიტყუაჲ ესე ზიარ არს მამათათჳს და დედათა, ჭაბუკთა და **მოხუცებულთა**“ 129v).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „მცირედ რაჲმე თქუმულთა ამათგან **სიწმიდესა ღმრთისასა** გამოგუეცხადა ჩუენ“ (340v). როგორც ჩანს, კონტექსტისათვის სრულიად შეუსაბამო სიტყვები: **„სიწმიდესა ღმრთისასა“** A რედაქციიდან C-შიც გადასულა (129v), რაც რედაქტორს, ორიგინალის კვალობაზე, მართებულად გადაუშლია (შდრ. μετρίως ἡμῖν ἐκ τῶν εἰρημένων ἀνακεκάλυπται 502,44-45).

A-ში გვაქვს შემდეგი ტექსტი: „გუამი ჩუენი ოთხთა ნივთთაგან, – არა მსგავსთა, არამედ ურთიერთას წინააღმდგომთა, – შეზავებულ არს. მჴურვალისა და გრილისა **თანა შეზავებულ არს.** ნოტიისა და ჴმელისა, და მჴურვალე გრილსა თანა შეზავებულ არს და ნოტია – ჴმელსა თანა, უზეშთაეს სიტყჳსა“ (341v). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „გუამი ჩუენი ოთხთა ნივთთაგან, – არა მსგავსთა, არამედ ურთიერთას წინააღმდგომთა, – შეზავებულ არს, მჴურვალისა და გრილისა, **ნოტიისა და ჴმელისა, და მჴურვალე გრილსა თანა შეზავებულ არს და ნოტია – ჴმელსა თანა,** უზეშთაეს სიტყჳსა“ (130r).

A-ს ხაზგასმული მონაცემი **„თანა შეზავებულ არს“** C რედაქციაში გადაშლილია (შდრ. ბერძნ. ἐκ τεσσάρων ἡμῖν οὐχ ὁμοειδῶν στοιχείων ἀλλ᾽ ἐναντίως διακειμένων τὸ σῶμα συγκέκραται, θερμοῦ τε καὶ ψυχροῦ, ὑγροῦ τε καὶ ξηροῦ 514,17-20). ამის მიზეზი უნდა იყოს, ერთი მხრივ, ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან დაახლოება, ხოლო მეორე მხრივ, ნათარგმნი ტექსტის სტილური დახვეწა.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: **„და** ესრეთ ურთიერთას განყოფილნი **ნივთნი** საზრდელთა მიერ **შეიერთვიან და** ცივი იგი და ცხელი **ნოტიათა და ჴმელთა** ჭამადთა **მიერ** შეიზავებიან. და კუალად, ნოტიაჲ იგი და ჴმელი **გრილთაგან და მჴურვალეთაგან შეიერთვიან**“ (341v). C რედაქციაში ნაცვლად სიტყვებისა: „საზრდელთა მიერ **შეიერთვიან**“, სახეზეა: „საზრდელთა მიერ **შეიზავნიან**“ (130r); ასევე **„და“** კავშირს, რაც A-ს მონაცემია, C-ში ცვლის **„რამეთუ“** (შდრ. „**და** ცივი იგი და ცხელი A“; „**რამეთუ** ცივი იგი და ცხელი C“), ხოლო ნაცვლად „ნოტიათა და ჴმელთა“, C-ში გვაქვს **„გრილთაგან და მჴურვალთა“**. საგულისხმოა

ისიც,რომ A-ში დადასტურებული თანდებული **„მიერ“** C-ში გადაშლილია, რის შედეგადაც სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: **„გრილთაგან და მჯურვალთა ჭამადთა შეიზავნიან“**. იქვე A-ს მონაცემი: **„გრილთაგან და მჯურვალეთაგან შეიერთვიან“**, C-ში გადაკეთებულია შემდეგნაირად: **„ნოტიათა და ჯმელთა ჭამადთა მიერ შეიერთებიან“**. ვფიქრობთ, ყველა მითითებულ შემთხვევაში წმ. გიორგი მთაწმიდლისეული ჩარევა ეფთვიმესეულ თარგმანში კვლავაც მიზნად ისახავს საკუთრივ ქართული ტექსტის სტილურ დახვეწას.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „და ესრეთ ურთიერთას **განყოფილნი** საზრდელთაგან იქმნების **წინააღმდგომთა მათ ერთობაჲ**“ (341v). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა **„განყოფილნი“,** სახეზეა **„განყოფილთა“**, C-ში არ დასტურდება A-ს წაკითხვა **„წინააღმდგომთა“**, ხოლო ნაცვლად სიტყვებისა: „იქმნების.... ერთობაჲ“, სახეზეა განსხვავებული ტექსტი: **„ერთობად მოყვანებაჲ და ერთობაჲ“** (130v). აღვნიშნავთ,რომ წმ. გიორგი მთაწმიდლისეული ჩარევა ეფთვიმესეულ თარგმანში განპირობებული უნდა იყოს საკუთრივ ქართული ტექსტის სტილური დახვეწის მიზნით (კონტექსტის სრულად გათვალისწინების მიზანდასახულობით მოვიტანთ ბერძნული ტექსტის სიტყვა-სიტყვით თარგმანს: **„თვისებათა იგივეობა, საწინააღმდეგოთა შორის თანასწორად წარმოჩენილი, თავისი თავის მიერ წინააღმდეგობრივთა შეერთებას მოქმედებს“** – ἡ τῶν ποιοτήτων ταὐτότης ἐπίσης τοῖς ἐναντίοις ἐμφαινομένη δι’ ἑαυτῆς ποιεῖ τῶν ἀντικειμένων τὴν σύνοδον 514,10-11).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „არა იქმს ამას, რაჲთამცა მალემსრბოლსა სცემდა უმეტესად სლვად,არცა მცონარსა მას და გჳანსა აშთობნ აღჳრითა“ (341v). აღნიშნულ წინადადებას C რედაქციაში დამატებული აქვს **„და“** კავშირი, რის შედეგადაც, ნაცვლად A-ს მონაცემისა, „უმეტესად სლვად,არცა მცონარსა მას“,სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „უმეტესად სლვად **და** არცა მცონარსა მას“ (130v). მიუხედავად იმისა, რომ **„და“** კავშირი ბერძნულ დედანში არ დასტურდება (შდრ. οὔτε τὸν ὀξὺν ἐπισπέρχει τῇ μάστιγι οὔτε τὸν βραδὺν κατάγχει ταῖς ἡνίαις 516,6-8), რედაქტორმა, საკუთრივ ქართული ტექსტის სტილური დახვეწის მიზნით, მაინც საჭიროდ მიიჩნია მისი შემატება.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „არცა ძნიადმოსაქცეველსა და განმზიდვარსა თავისუფლად დაუტეობს და ვინაჲ უნდეს, რბოდის უწესოდ“ (341v). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა, რაც გამოხატულია იმით, რომ სიტყვა **„ვინაჲს“** წინ, **„და“** კავშირის ნაცვლად, გვაქვს კავშირი **„რაჲთა“** (შდრ. „თავისუფლად დაუტეობნ, **რაჲთა** ვინაჲ უნდეს, რბოდის უწესოდ“ (130v). აღვნიშნავთ იმასაც, რომ C-ში, ნაცვლად A-ს მონაცემისა – **„დაუტეობს“**, სახეზეა **„დაუტეობნ“** ფორმა. ვფიქრობთ, რომ რედაქტორისეული ჩარევა განპირობებულია საკუთრივ ქართული ტექსტის სტილური დახვეწის მიზ-

ნით (შდრ. ბერძნ. οὐδ' αὖ πάλιν τὸν ἐνδιάστροφον ἢ δυσήνιον ἄνετον ἐᾷ ταῖς οἰκείαις ὁρμαῖς εἰς ἀταξίαν ἐκφέρεσθαι 516,9-10).

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „და არცა ნაყროვნებითა და შუებითა **უწესო და** აღძრულ და აღურაღუსხმელ ყვნეს ჴორცნი“ (342r). C-ში, ნაცვლად A-ს მონაცემისა: „**უწესო და** აღძრულ“, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „**უწესოდ** აღძრულ“ (130v). მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ დედანს A-ს მონაცემი თანხვდება (შდრ. **ἄτακτον καὶ δυσήνιον** 518,22), რედაქტორმა, სტილური დახვეწის მიზნით, მაინც საჭიროდ მიიჩნია აღნიშნული ტექსტობრივი ცვლილების შეტანა ეფთვიმესეულ თარგმანში.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ესე არს სრული იგი მარხვისა წესი“ (342r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „**ხოლო** ესე არს სრული იგი მარხვისა წესი“ (130v), რაც გამოხატულია წინადადების დასაწყისში **„ხოლო“** კავშირის შემატებით. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ დედანში აღნიშნული კავშირი არ დასტურდება (შდრ. Οὗτος ὁ τελεώτατος τῆς ἐγκρατείας σκοπός 520,25-26), რედაქტორმა, საკუთრივ ქართული ტექსტის სტილური დახვეწის მიზნით, მაინც საჭიროდ მიიჩნია მისი შემატება.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „რაჲთა მას ოდენ თჳსი სიწმიდე არა დაეხრწეოდის“ (342r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „რაჲთა მას ოდენ თჳსი სიწმიდე **და მოღუაწება** არა დაეხრწეოდის“ (130v). აღვნიშნავთ, რომ არც A-ს მონაცემი და არც C-ს გავრცობილი ფორმა **„და მოღუაწება“**, რაც სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი, ბერძნულ დედანში არ დასტურდება. A-ს მონაცემი ეფთვიმეს შენამატია, რომელიც, თავის მხრივ, წინადადების კონტექსტისეული აზრის გაღრმავების მიზნით განავრცო წმ. გიორგი მთაწმიდელმა.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ვითარცა მოციქული იტყჳს, აქა არს სათნოებისა იგი მოძღურებაჲ“ (342r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „ვითარცა მოციქული იტყჳს **და** აქა არს სათნოებისა იგი მოძღურებაჲ“ (130v), რაც გულისხმობს რედაქტორის მიერ **„და“** კავშირის შემატებას (**„და“** სტრიქონს ზემოთ არის მიწერილი). მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ დედანში **„და“** კავშირი არ დასტურდება, წმ. გიორგი მთაწმიდელმა, საკუთრივ ქართული ტექსტის სტილური დახვეწის მიზნით, მაინც საჭიროდ მიიჩნია წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანში ჩარევა.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „განცხადებულად დედათა თანა **იყოფვოდიან**, არა მავნებელ უწოდდეს ეგევითარსა მას მათ თანა აღრევასა, რაჲთამცა ბოროტი მათი იჭჳ სახელითა მით უვნებელობისაჲთა დაფარეს“ (343v). C რედაქციაში „ყოფნა“ ზმნა, ნაცვლად A-ში დადასტურებული აწმყოს ხოლმეობითისა (**„იყოფვოდიან“**), წარმოდგენილია უწყვეტელის მწკრივში (**„იყოფვოდეს“**), ასევე დამატებულია **„და“** კავშირი: „დედათა

თანა **იყოფვოდიან და** არა მავნებელ უწოდეს ეგევითარსა მას მათ თანა აღრევასა“, ხოლო წინადადების ბოლოს ბერძნულთან თანმხვედრი A-ს მონაცემი **„იჭკ“** („ბოროტი მათი **იჭკ**“) გადაშლილია („ბოროტი **მათი** სახელითა მით უვნებელობისაითა დაფარეს“ 132r). მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ დედანში სიტყვა **„იჭკ“** დასტურდება (შდრ. ბერძნ. ἀλλὰ καὶ γυναιξὶ κατὰ τὸ φανερὸν συνοικοῦντες καὶ ἀδελφότητα τὴν τοιαύτην συμβίωσιν ὀνομάζοντες, ὡς δὴ τὴν πρὸς τὸ χεῖρον **ὑπόνοιαν** ὀνόματι σεμνοτέρῳ περικαλύπτοντες 538-540,8-11), წმ. გიორგი მთაწმიდელმა, საკუთრივ ქართული ტექსტის უფრო მეტი გამჭვირვალობისა და სტილური დახვეწის მიზნით, საჭიროდ მიიჩნია აღნიშნული ცვლილების შეტანა წმ. ეფთვიმე მთაწმიდლისეულ თარგმანში.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „ცხორებასა **მას** ჩუენსა“ (343v). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „ცხორებასა **ამას** ჩუენსა“ (132r). აშკარაა, რომ რედაქტორისეული ჩარევა თარგმანში მიზნად ისახავს ქართული ტექსტის სტილურ დახვეწას, რამდენადაც A-ს მონაცემს, შესაძლოა, ბუნდოვანება გამოეწვია მკითხველში იმ კუთხით, თუ კონკრეტულად რომელ ცხოვრებას გულისხმობს ნაცვალსახელი **„მას“** (ამუამინდელს თუ სამომავლოს), მაშინ როდესაც „ცხორებასა **ამას** ჩუენსა“ სავსებით ნათლად წარმოაჩენს, რომ აქ საუბარია ამქვეყნიურ ცხოვრებაზე.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „არიან სულნი მათნი სანატრელნი კეთილად **წინააღსლვისა** მათისათჳს ამიერ“ (344r). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა: **„წინააღსლვისა“**, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: **„წიაღსლვისა“** (ხელნაწერში ზედმეტი **„ნა“** გადაშლილია), სავარაუდოა, რომ A-ში საქმე გვქონდეს გადამწერის ცთომილებასთან.

A-ში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „შენ რასა გამოეძიებ და აღჰრაცხავ, თუ სადა ვიეთნიმე შემოვიდეს მოქალაქობასა ამას“ (344v). C რედაქციაში, ნაცვლად A-ს მონაცემისა, სახეზეა განსხვავებული წაკითხვა: „შენ **უკუე** რასა გამოეძიებ და აღჰრაცხავ, თუ სადა ვიეთნიმე შემოვიდეს მოქალაქობასა ამას“ (132v; C-ში დამატებულია „უკუე“). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სიტყვა ბერძნულ დედანში არ დასტურდება, წმ. გიორგი მთაწმიდელმა საკუთრივ ქართული ტექსტის უფრო მეტი ბუნებრიობისა და სტილური დახვეწის მიზნით საჭიროდ მიიჩნია ეფთვიმესეულ თარგმანში ჩარევა.

ამგვარად, წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულების „ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა“ – ქართული თარგმანის ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად კიდევ ერთი ძეგლი შეემატა წმ. გიორგი მთაწმიდლის მიერ რედაქტირებულ უმდიდრეს ლიტერატურას.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1975.
- გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ხელნაწერი აღწერა, შესავალი და საძიებლები დაურთო თამარ ბრეგაძემ, თბ., 1988.
- კეკელიძე კ., ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1945.
- კეკელიძე კ., მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1956.
- კეკელიძე კ., უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში, ეტიუდები, ტ. V, თბ., 1957.
- კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980.
- სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001.
- სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენა, თბ., 1997.
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, თბ., 1976.
- ჭურციკიძე ც., ისევ ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ, „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ტ. VI, თბ., 1978.
- შანიძე აკ., ძველი ქართული ენის გრამატიკა., თბ., 1976.
- წმიდაჲ გრიგოლ ნოსელი, „ქალწულებისაჲს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ტერმინოლოგიური ლექსიკონი დაურთო პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011.
- Grégoire de Nysse, Traité de la Virginité, Introduction, texte critique, traduction, commentaire et index de Michel Aubineau, les Éditions du CERF, 29, Bd de Latour-Maubourg, Paris, 1966.

PROTOPRESBYTER
GIORGI (ZVIADADZE)

Editorial implications in the translation of St. Euthymius the Athonite of the ascetical treatise of St. Gregory of Nyssa

Summary

The author of this article presents St. Gregory of Nyssa as a great ecclesiastical figure and theologian and St. Gregory's ascetical treatise, which includes a systematic doctrine of teaching about life in a state of virginity and asceticism. St. Gregory's treatise, On Virginity, gives a philosophical and theological analysis of the essence of virginity, and is a work of great importance as a source of insight into the ascetic life. The translation of this work into Georgian was made by the great ecclesiastical figure Euthymius the Athonite who lived and worked with great zeal at the Iviron Monastery on Mount Athos. Like the original, the translation is the result of spiritual contemplation and the grace of the vision of God.

The translation of On Virginity into Georgian has survived as a full version in two copies: P3 dated 1040, a copy rewritten in the Calypso Georgian monastery, Antiochea, and presently kept in the Manuscripts Department of the St. Petersburg Institute of Eastern Studies; and Ath. 39 dated 11th century, rewritten in the Georgian monastery on Mount Athos and presently preserved there, in the repository of Georgian manuscripts. The first nine pages (Chapters I-III) are extant in one more copy – A108, dated 11th-12th centuries. The four copies dated 18th-19-th centuries (A394, H2350, S3661, S139) only contain the introduction.

The initial text, which proved to be the text given in P3, was determined as a result of linguistic analysis. Ath. 39 was rewritten from that text directly or from one of its manuscript copies. It became known that the initial text of Ath. 39 was edited by George the Athonite, the great ecclesiastical figure and translator of the 11th century. That edited text is given in A108.

It is supposed that George the Athonite was the editor of Ath. 39 because, along with St. Gregory of Nyssa's treatise, this manuscript contains a number of other works copied in George the Athonite's handwriting. The supposition may be confirmed as accurate also by comparing this handwriting with the manuscript text by Gregory of Nyssa contained in Ath. 39. Moreover, this conclusion is supported by George the Athonite's competent efforts to bring some sections in

the translation by Euthymius the Athonite closer to the Greek original, to avoid misinterpretation by the reader. Such treatment was the main aim of George the Athonite while editing the already existing translations. Finally it is also noteworthy that only a renowned translator like George the Athonite would dare to correct the translation performed by Euthymius. The above chapter gives examples of how the edited texts of Ath. 39 were classified into several groups.

On the basis of analyzing the vast material in the article, it is possible to draw certain conclusions regarding the changes made by George the Athonite to the translation of Euthymius the Athonite of the treatise of St. Gregory of Nyssa. These changes are as follows:

1. He adds a word or phrase that do not exist in the Greek original;
2. Removes a word, because it does not exist in the Greek original;
3. Corrects a mistake made by the copyist;
4. Corrects a phrase in order to clarify the meaning of the content;
5. Emphasizes and clarifies the content, stylistically polishing the translation;

Thus, after the textological research of the translation of the treatise of St. Gregory of Nyssa "On Virginity", one more monument was added to the rich ecclesiastical literature edited by St. George the Athonite.

მაია რაფავა

არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძის მიმართ, როგორც გელათური სკოლის ეპისტოლოგრაფიის ნიმუში

ქართული ეპისტოლარული ჟანრის თხზულებათა შორის ცნობილია არსენ ბულმაისიმისძის, XIII ს-ის ქართლის კათალიკოსის, ეპისტოლე ერისთავთ-ერისთავის, აბუსერ აბუსერისძის, მიმართ. ეპისტოლემ მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, რაც გაპირობებულია, ერთი მხრივ, ავტორის, არსენ ბულმაისიმისძის, შემოქმედების მიმართ ინტერესით, მეორე მხრივ, აბუსერ და წმ. ტბელ აბუსერისძეების მიმართ მისი ურთიერთობის ხასიათის გარკვევის სურვილით. ეპისტოლე წარმოადგენს პასუხს ძმების, აბუსერისა და წმ. ტბელ აბუსერისძეების, თხოვნაზე, რომ მას, არსენს, შეეთხზა საგალობლები მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატზე, რაც მან, როგორც ცნობილია, შეასრულა კიდეც და საგალობლები ეპისტოლესთან ერთად გაუგზავნა აბუსერ აბუსერისძეს.

აღნიშნული ეპისტოლე ხუთჯერ არის გამოქვეყნებული. პირველად იგი გამოსცა თ. ჟორდანიამ.[1] მეორედ გამოსცა თ. ბრეგაძემ A-85 ხელნაწერის აღწერილობასთან ერთად.[2] შემდგომი, მესამე გამოცემა ეკუთვნის რ. ხალვაშს.[3] მეოთხე პუბლიკაცია განხორციელდა წმ. ტბელ აბუსერისძის თხზულებების გამოცემაში.[4] უკანასკნელი, მეხუთე გამოცემა წარმოდგენილია ნ. სულავას წიგნში „XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია“.[5]

ეპისტოლის ტექსტის პუბლიკაციასთან ერთად მკვლევართა მიერ გამოთქმულია საყურადღებო შეხედულებანი ეპისტოლის რაობასა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით. არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე იმ-

---

1 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II,1897, 108-110.

2 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექციისა), ტ. I, 1973, 289-290.

3 რ. ხალვაში, არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი, საისტორიო მაცნე, №4, 1996, 38-42 (ქვემოთ ვიმოწმებთ შემოკლებით: ხალვაში 1996).

4 აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ნ. გოგუაძემ, მ. ქავთარიამ და რ. ჩაგუნავამ, ბათუმი, 1998, 102-103 (ქვემოთ ვიმოწმებთ: აბუსერისძე 1998).

5 ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003, 172-176 (ქვემოთ ვიმოწმებთ: სულავა 2003).

დროინდელი საქართველოს ზოგად პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ჭრილშია დანახული. ტბელ აბუსერისძის თხზულებების გამომცემელთა შეფასებით, იგი „დასტურია იმისა, თუ ქართული ეკლესიის მამამთავარი როგორი პატივისცემითა და რიდით არის გამსჭვალული აბუსერისძეთა ოჯახის მიმართ. მეორეც, მაჩვენებელია დიდი შემოქმედებითი კონტაქტებისა და, რაც მთავარია, საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი აქტიურად უდგას გვერდში... ეროვნული სულისკვეთების პროპაგანდას“.[6]

ეპისტოლის ლიტერატურულ-ესთეტიკური ღირებულებების შეფასებას ისახავს მიზნად ნ.სულავა თავის მონოგრაფიაში. იგი შენიშნავს: „არსენის მიერ აბუსერ აბუსერისძისადმი მიწერილ ეპისტოლეს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება,ერთი მხრივ,ეპისტოლარული ჟანრის ისტორიისათვის ქართულ მწერლობაში,მეორე მხრივ,ეპოქის ლიტერატურული მოთხოვნების გასათვალისწინებლად, ავტორის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებებისა და მისი სამწერლობო მეთოდის შესასწავლად“.[7]

მიუხედავად იმისა,რომ ეპისტოლე მცირე მოცულობისაა,იგი იმდენად მრავალპლანიანია და საკითხთა ისეთ ფართო სპექტრს შეიცავს, რომ ეჭვი არ არის, კიდევ არაერთხელ მოექცევა მეცნიერთა კვლევა-ძიების ინტერესთა სფეროში.

ჩემი ყურადღება მიიპყრო ეპისტოლის ესთეტურ-სტილისტურმა და ტერმინოლოგიურმა მხარემ, რადგან, როგორც შემდგომ დავინახავთ, სწორედ ტერმინოლოგიასა და სტილისტურ ხერხებში ნათლად აისახა არსენ ბულმაისიმისძის თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი ლიტერატურულ-კულტუროლოგიური პროცესების თავისებურებანი. მხედველობაში გვაქვს ის ლიტერატურულ-შემოქმედებითი სტილი, რომელიც ტიპიური იყო გელათის ლიტერატურული სკოლისათვის. ეპისტოლის გელათური (პეტრიწონული) სკოლის ტრადიციებთან დაკავშირების მიზანშეწონილება ერთი ლაკონური და ზუსტი ფრაზით მიანიშნა კ. კეკელიძემ: არსენ კათალიკოსის „ეს წერილი... მაჩვენებელია მისი ელინური განათლებისა და ენაწყლიანობისა.“[8]

ელინური განათლება და ენაწყლიანობა ანუ მჭევრმეტყველება,ანუ ის, რასაც შუა საუკუნეების რიტორიკა ითვალისწინებდა,არის ის მახასიათებლები, რომელთა შერწყმით ქრისტიანულ საღვთისმეტყველო მოძღვრებასთან შეიქმნა ქართული მწერლობის ელინოფილური მიმდინარეობა. არსენ ბულმაისიმისძის მოღვაწეობის დრო (XIII ს.) ელინოფილური

---

6 აბუსერისძე 1998: 101.

7 სულავა 2003: 172.

8 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. 1980, 328.

ტრადიციების გაფურჩქვნის პერიოდია. ამ ტრადიციების გამოვლენის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე.

არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე თავისი შინაარსითა და თხრობის განწყობით აშკარა სიახლოვეს ავლენს ქართული ეპისტოლარული ჟანრის ისეთ ძეგლებთან, როგორებიცაა იოანე საბანისძის, გიორგი მცირისა და დაჩის ეპისტოლეები. მათ მსგავსად, არსენ ბულმაისიმისძე ჰაგიოგრაფი მოღვაწის შემოქმედებით კლიშეს ქმნის იმით, რომ შემოქმედებითი პროცესი დაფუძნებული აქვს უკიდურესად გამახვილებულ ქრისტიანულ თავმდაბლობასა და მოკრძალებაზე. მაგრამ ამ ძირითადი ანალოგიის პარალელურად, არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე იოანე საბანისძის, გიორგი მცირისა და დაჩის ეპისტოლეებისგან განსხვავებით, ეპისტოლის სრულიად სხვა ტიპს წარმოადგენს.

იოანე საბანისძის, გიორგი მცირისა და დაჩის ეპისტოლეები ფორმობრივ-სტილისტურად, მხატვრული ხერხებით, ენობრივ-ლექსიკური მონაცემებით, ბიბლიური ციტატებითა და რემინისცენციებით სრულიად ადექვატურია მათი ქრისტიანულ-მართლმადიდებლური შინაარსისა.

არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლეში განსხვავებული სურათია. ეპისტოლის შინაარსი ქრისტიანული რწმენისა და მორალის საზღვრებშია მოქცეული, გამომსახველობითი ფორმები და სტილისტური მხარე კი ელინურ კულტურას არის დასესხებული.

თვალის ერთი გადავლებითაც ნათლად იკვეთება ეპისტოლის ორი პლასტი: ერთია მართლმადიდებელი ქრისტიანის სულიერებით გაჯერებული რწმენა და მეორეა ღრმად მოაზროვნე მოღვაწის ზოგად-კულტუროლოგიური, ელინური განსწავლულობა.

ეპისტოლეში ნათლადაა გამჟღავნებული, რომ მისი ავტორი სავსებით იზიარებს ქრისტიანულ მოძღვრებაში ორმაგი ჭეშმარიტების ანუ რწმენისა და ცოდნის ურთიერთშეთავსების აუცილებლობას, მართლმადიდებლური მოძღვრების შინაარსში ელინურ-ფილოსოფიური გამომსახველი ფორმებისა და დიალექტიკური არგუმენტაციის გამოყენების საჭიროებას. ელინური და ელინისტური მოტივების შეჭრა XI-XIII სს-ის ქართულ მწერლობაში კარგად ცნობილი ფაქტია. ამის შესახებ არსებული ლიტერატურის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლის ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ქარგა ეპისტოლის პირველივე სიტყვებშია ჩადებული: „დიდ არს გონიერებაჲ ნაშობითურთ თჳსით სიბრძნით, რომელი მარადის ღმრთისათა განიხილავს მისთჳსთა მოქმედი, ვითარცა დასაბამად შიშსა მისსა მაწუეველი“. აქ უაღრესად ღრმა საღვთისმეტყველო აზრია გაცხადებული, რომლის მიხედვით სიბრძნე ღმერთისგან არის შობილი (შდრ.

„სიბრძნე მამისაჲ ძე არს“[9] „მამისაგან... იშვა ძე“;[10] სიბრძნეს დასაბამს აძლევს შიში ღმრთისა: „დასაბამი სიბრძნისაჲ არს შიში უფლისაჲ“). ეს არის რემინისცენცია ბიბლიის იგავთა წიგნიდან[11]. იგი ძალზე აქტუალურად იყო გამოყენებული ეკლესიის დიდ მოძღვართა შრომებში. მაგ. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი საგანგებოდ მსჯელობს მასზე თავის 39-ე ლიტურგიკულ ჰომილიაში. ჯერ მოჰყავს ციტატა: „დასაბამად... სიბრძნისა მოიგე სიბრძნე“ და შემდგომ კითხვას სვამს: „რასა იტყჳს ამას დასაბამად სიბრძნისა, არამედ შიშსა?“ ამ ბიბლიურ რემინისცენციას ღვთისმეტყველი ასეთ კომენტარს უკეთებს: „შიშითა განმტკიცებულთა და განწმედილთა [ელით] სიმაღლედ ამაღლებაჲ, რამეთუ სადა – შიში, დაცვაჲ მცნებათაჲ, და სადა – დაცვაჲ მცნებათაჲ, განწმედაჲ ჴორცთაჲ ღრუბლისაგან, სულსა ზედა დადებულისა,... ხოლო სადა სიწმიდე, მუნ გამობრწყინვებაჲ. ხოლო გამობრწყინვება არს აღსავსებაჲ სურვილისაჲ დიდთათჳს... ამისთჳს განიწმიდებოდედ პირველ.“[12]

უთუოდ ქრისტიანული მორალის გავლენას უნდა მივაწეროთ თავმდაბლობის, რიდის ის გამოვლენა, რაც იკვეთება ეპისტოლეში. ეს არის სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალა, ჭეშმარიტების უზენაესობა, ყოველივე კეთილის ღმრთისმიერობა, გონებისა და სულის ზენაჲთ მოცემული განწმედა – ქრისტიანული მორალის ამ პრინციპებზე იშლება ეპისტოლის მთლიანი ფონი.

ქრისტიანულ-საღვთისმეტყველო შინაარსით არის გამსჭვალული ეპისტოლის ის ადგილი, სადაც რჯულისმეტყველებასა და რიტორიკულ მეტყველებასთან დაკავშირებით დამოწმებულია წინასწარმეტყველი და წმ. იოანე ოქროპირი: „ჰრიდეთ სიტყუათა შჯულისა ჩემისათა, რომელთადაეგე არა მიბრძანებიეს მეტყუელებად“. აქ გაცხადებულია შემდეგი: უფალი აფრთხილებს ყველას, თავი აარიდონ ცრუ რჯულისმდებელთა სიტყვებს.

---

9 წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა), გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მაია რაფავამ. წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფავამ; ძეგლი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2000, 69 (ქვემოთ ვიმოწმებთ: წმ. იოანე დამასკელი 2000).

10 ეფთვიმე მთაწმიდელი, წინამძღუარი (სარწმუნოებისათჳს), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თორნიკე ჭყონიამ და ნანა ჩიკვატიამ, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. ჩიკვატიამ, თბილისი, 2007,5,31.

11 იგავნი 1,7.

12 გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყუაჲ ნათელთაათჳს (or. 39), ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა მ. რაფავამ, S.Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica, V. Orationes XXXIX, XL [Corpus Christianorum. Series Graeca, 58, Corpus Nazianzenum, 20], Turnhout- Leuven, 2007,59-62.

იგივე აზრი უკვე იოანე ოქროპირის სიტყვებით არის პერიფრაზირებული: „რომელთა არა სულისა მიერ წმიდისა მიეღოს და რიტორობდენ, მსგავს არიან ბრმისა, კედელსა მფეშუებელისა“. ანუ ყოველი შემოქმედი, რიტორი სული წმიდის მიერ თუ არ არის შთაგონებული, ჰგავს ბრმას, რომელიც კედელს ეხეთქება. აქ ის აზრია გატარებული, რომ ყოველი ჭეშმარიტი სიტყვა სული წმიდის მიერ ებოძება შემოქმედს.

საყურადღებოა ეპისტოლეში გამოთქმული აზრი რწმენისა და საქმის ერთიანობის აუცილებლობისა და მათი თანაბარი ღირებულების შესახებ: „მიგმადლენ გულსმოდგინებამან სარწმუნოებაჲ და სარწმუნოებამან – საქმე.“ არსენ ბულმაისიმისძის ეს სიტყვები პერიფრაზია იაკობ მოციქულის ცნობილი გამონათქვამისა: „სარწმუნოებაჲ თჳნიერ საქმეთასა მკუდარ არს“ (იაკ. ეპისტ. 2,26). ეს არის ქრისტიანული მოძღვრების უაღრესად ჰუმანური იდეა, რომელიც სარწმუნოებასთან ერთად ცოდნის, მოქმედების, საქმიანობის აუცილებლობას ქადაგებს. საყურადღებოა, რომ ახალი აღთქმის ამ კონცეპტმა შემდგომი განვითარება ჰპოვა მართლმადიდებელ საეკლესიო მოღვაწეთა შრომებში. კლიმენტ ალექსანდრიელმა (II-IIIსს.) ქრისტიანული მოძღვრების აქტუალურ პრობლემად აქცია რწმენისა და ცოდნის ერთობა[13]. ჭეშმარიტი სიტყვა და სარწმუნოება ჰარმონიაში უნდა იყოს ცხოვრებასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ აზრი ეკარგებათ. აუცილებელია ცხოვრების რეალიების გათვალისწინება და გათავისება. „უკუეთუ წინააღუდგებინ სიტყუაჲ და სარწმუნოებაჲ ცხორებასა, არარად საჭმარ არიან, დაღათუ საკჳრველებათაცა მოქმედებად მიიწინენ, რამეთუ მკუდარ არიან“ – აი, როგორ მოთხოვნებს უყენებს რწმენას XI ს-ის ბიზანტიელი მართლმადიდებელი მოღვაწე ნიკიტა სტითატი.[14]

არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლის ზოგად-ქრისტიანული შინაარსი და სარწმუნოებრივი განწყობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადმოცემულია ისეთი გამომსახველობითი ფორმებით, რომელთა არსებობა ელინურობის გავლენით არის გაპირობებული. ეპისტოლეში ირეკლება ის სურათი, რაც ტიპიური იყო იმდროინდელი ბიზანტიური ეპისტოლოგრაფიისათვის და ძირითადად გამოიხატებოდა ელინურობით გატაცებაში.

უპირველეს ყოვლისა, ეპისტოლეში არ ხდება სივრცესა და დროზე რაიმე მინიშნება, იგი დაცლილია ყოველგვარი კონკრეტიზაციისაგან. ერთადერთ დაკონკრეტებას ადგილი აქვს იქ, სადაც ადრესატისადმი მიმართვაში გაცხადებულია სახელი აბუსერი და მისი დიდგვაროვანი ტიტული. საინტერესოა, რომ ადრესატისადმი მიმართვა წერილის და-

---

13 კლიმენტ ალექსანდრიელი, სტრომატები, V,1,3.

14 ნიკიტა სტითატი, სიტყუაჲ განსაჭქებელი მგმობრისა მის წვალებისა სომეხთაჲსა, S 1463, 262r.

საწყისში კი არ არის, რასაც ჩვეულებრივ ადგილი აქვს ეპისტოლეებში, არამედ საღვთისმეტყველო შინაარსის პასაჟის შემდეგ. თვალშისაცემია, რომ შინაარსი ინფორმაციულობით ძალზე მწირია, ხოლო გამომსახველობითი ფორმებით – ძალზე უხვი.

ეპისტოლეში სათქმელის აბსტრაგირება ხდება დახვეწილი სტილიზაციის წყალობით, რაც აშკარად ანტიკური რიტორიკული სტილის გავლენას უნდა მიეწეროს. ალეგორიულად, ანტითეტური პარალელიზმით, იშვიათი მხატვრული ტროპებით ავტორი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ იგი სრულიად ულირსია იმ დიდი და უწმინდესი საქმისათვის, რის შესრულებასაც მისგან ითხოვენ. ჩვეულებრივი თავმდაბლობის ეს კლიშე, ჰაგიოგრაფიისათვის ნიშანდობლივი სარწმუნოებრივი რეფრენისაგან განსხვავებით, ახალ, ანტიკურობით გაჯერებულ შინაარსს შეიცავს. დაახლოებით მსგავსი სიახლე დადასტურებულია საშუალბიზანტიურ ეპისტოლოგრაფიაში.[15]

ცნობილია, რომ X-XI სს-ისთვის ეპისტოლე იქცა რიტორიკული პროზის ერთ-ერთ ჟანრად. იმდროინდელ ეპისტოლოგრაფიაში რიტორიკული კლიშეებისა და სტანდარტიზირებული გამოთქმების უკან დაიკარგა ავტორისეული „მე“, არ იგრძნობა ავტორის აზრები და გრძნობები.[16] მიუხედავად ეპისტოლარულ ჟანრში არსებული ასეთი საერთო ფონისა, რიტორიკული ფრაზების სიჭარბისა და ინფორმაციულობის სიმწირისა, არსენის ეპისტოლეში მაინც იგრძნობა ავტორის აზრები და სული, მისი პიროვნება, იგრძნობა ღრმა სულიერი სიახლოვე ავტორსა და ადრესატს შორის. ზემონათქვამის საილუსტრაციოდ ეპისტოლის ერთ მონაკვეთს დავიმოწმებთ. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ადგილი მოგვაქვს მეტ-ნაკლები კორექტივებით ეპისტოლის გამოცემებთან შედარებით:

„გარნა თქუენ რაჲ ჰყავთ და ვითარ და რად ღირდლოვანსა შინა ურწყულსა ჴევსა უდაბნოჲსასა ჰგონეთ მდინარე და მდიდროობასა ნილოჲსა ნანდჳლ ოქრონექტართასა და არა აღივსენით ჯურღმულნიცა? რად თავისა დამტეობელთა, თქუმულთაებრ, ფერჴთანი მოიხადენით? ანუ ვინ სადა მჯდომარემან აღსავსესა ტრაპეზსა ჰრქუა „გიხაროდენი“, ხოლო გლახაკისა უბეთაგან სასოებდა განძღომასა? ანუ სამეფონი საწდევნი ტაკუკნი და ფიალნი აღსავსენი და-ვინმე-უტევნა-ა ოდესცა და გული უთქუმიდა მახრუტსა პერეღრინთასა შთაწრედად?. შემნდობელ თქუენდა მაღალი, რომელთა აიძულენით თავნი დატევებად, ვითარ ვინ თქუას, წყალთა პონტოჲსათა და მისწრაფად ფრეათა უქმთა არაბიაჲსათა?“

15 Попова Т. В., Византийская эпистолография, в книге: Византийская литература, М., 1974, 210.

16 Любарский Я., Михаил Пселл, Личность и творчество, М. 1978,38.

ამ უაღრესად საინტერესო პასაჟს, შინაარსიდან გამომდინარე, რამდენიმე სეგმენტად წარმოვადგენ, რათა ცხადად გამოჩნდეს ის ერთიანი მოტივაცია,რაც მათ კრავს. თითოეული სეგმენტი ანტითეტური პარალელიზმის შემცველი წინადადებისგან შედგება. მოხმობილ პასაჟში ასახულია მხატვრული აზროვნების ბინალური პრინციპი და მასზე დაყრდნობილი სიმბოლიკა. მსგავს ესთეტიკურ პრინციპს მკვიდრად ჰქონდა ფეხი მოკიდებული შუა საუკუნეთა აზროვნებაში.[17] საფიქრებელია,რომ ბიზანტიურ კულტურას ზიარებული არსენ ბულმაისიმისძისთვის ცნობილი იყო სენტენციების,სწავლანის შემცველი რომელიმე კრებული ან კრებულები, რომლითაც ასე მდიდარი იყო ბიზანტიური მწერლობა. ეპისტოლის ავტორი რომ სხვათა გამონათქვამებს იმეორებს,ამაზე მიუთითებს ერთ-ერთ სენტენციაში ნახმარი სიტყვა: „თქუმულისაებრ“. „თქუმულისაებრ“ ნიშნავს ან ზეპირგადმოცემას ან წერილობით წყაროს (უპირველეს ყოვლისა, ბიბლიურს). ჯერ-ჯერობით ჩვენთვის უცნობია, თუ რომელი წყაროთი ისარგებლა არსენმა,მაგრამ ის,რომ იგი რაღაცას ეფუძნებოდა,ჩანს იქიდან, რომ ერთ-ერთი მისი სენტენცია: „მდიდროობასა ნილოჲსა ნანდჳლ ოქრონექტართასა“ – გარკვეული პერიფრაზით დასტურდება სხვა ავტორთანაც,კერძოდ, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ერთ-ერთ ჰომილიაში (Or. 21). იქ, არსენის ეპისტოლის მსგავსად, ლაპარაკია ოქრომდინარე ნილოსზე: „თქუა ვინმე ფილოსოფოსმან ნილოჲსი: ოქრომდინარეო“ (წმ. ეფთვიმე ათონელის თარგმანი), „ამას ნილოსისათჳს იტყჳს, ნამდჳლვე ოქრონაკადულისა“ (ეფრემ მცირის თარგმანი).[18]

ეპისტოლის ჩვენთვის საინტერესო პასაჟის პირველივე წინადადება, რომელშიც არსენი მიმართავს ძმებ აბუსერისძეებს, ანტითეზას, კონტრასტულ დაპირისპირებას წარმოადგენს:

1. „გარნა თქუენ რაჲ ჰყავთ და ვითარ და რად ღირდლოვანსა შინა ურწყულსა ჴევსა უდაბნოჲსასა ჰგონეთ მდინარე და მდიდროობასა ნილოჲსა ნანდჳლ ოქრონექტართასა და არა აღივსენით ჯურღმულნიცა?“ ანუ: როგორ და რა მიზნით დაუშვით თქვენ,რომ უდაბნოს ხრიოკ და ურწყულ ხევში იფიქრეთ მდინარის არსებობა და ნილოსის დიდროობისას არ აღივსეთ ჭები? ალეგორიულად ეს ნიშნავს: თქვენ ჩემნაირ უდაბნო და ხრიოკ ხევს როგორ მომმართეთ და თქვენი ცნობისწადილი ნილოსის მსგავსი წყაროთი არ შეავსეთო?

2. „რად თავისა დამტეობელთა, თქუმულისაებრ, ფერჴთანი მოიხადენ-

17 Лихачев Д. С., Поэтика древнерусской литературы, Л., 1971, 135.

18 გრიგოლ ღვთისმეტყველი,შესხმაჲ და ქებაჲ წმიდისა ათანასესი,ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისაჲ (Or. 21), გამოსაცემად მოამზადა მ. რაფავამ, XXIX,153 (რომაული ციფრით აღნიშნულია ბერძნული ორიგინალის პარაგრაფი, არაბულით – ქართული თარგმანის მუხლი). (იბეჭდება).

ით?“ ეს წინადადებაც კონტრასტული პარალელიზმის ნიმუშია: თავის დამკარგველებმა ფეხზე რას გაიხადეთო? ანუ: თქვენ თავი, გონება მიგიტოვებიათ და მე, ფეხის ბადალს, მომმართავთო.

3. „ანუ ვინ სადა მჯდომარემან აღსავსესა ტრაპეზსა ჰრქუა: „გიხაროდენი“, ხოლო გლახაკისა უბეთაგან სასოებდა გაძღომასა?“. აქაც ანტითეტური პარალელიზმია: სავსე ტრაპეზთან მჯდომარემ მხოლოდ მისალმება თქვა, ხოლო ჭამა-გაძღომის იმედი გლახაკისაგან ჰქონდა. ალეგორიულად ეს ნიშნავს შემდეგს: ავტორი თავის თავს გლახაკად მიიჩნევს, რომლისაგან რაღაცას ელიან, მაშინ, როცა არსებობენ ამ საქმის დიდოსტატები.

4. „ანუ სამეფონი საწდევნი ტაკუკნი ფიალნი აღსავსენი და-ვინმეუტევნა-ა ოდესცა და გული უთქუმიდა მახრუტსა პერეღრინთასა შთაწრედად?“ ანტითეზა: სამეფო სასმურების უარმყოფელს ყარიბის მდაბიური ჭიქის გამოცლა უნდა? ანუ: თქვენ სამეფო წყაროზე უარი თქვით და ჩემი სახით უბადრუკ სასმელს დაეწაფეთო?

5. „შემნდობელ თქუენდა მაღალი, რომელთა აიძულენით თავნი დატევებად, ვითარ ვინ თქუას, წყალთა პონტოჲსათა და მისწრაფად ფრეათა უქმთა არაბიაჲსათა?“ ანტითეზა: შეგინდოთ ღმერთმა, რომელთაც მიატოვეთ პონტოს ზღვის ტალღები და არაბეთის გამომშრალ ჭებს მიაშურეთ. უკანასკნელ ანტითეზაში ავტორი თავის თავს არაბეთის ცარიელ ჭას ადარებს.

ასეთ ალეგორიულ-სიმბოლურ სახეებში, ანტითეზების შეუდარებელ კასკადში გამოხატულია ქრისტიანული მორალის უარსებითესი პრინციპი: თავმდაბლობა, საკუთარი ღირსების შეგრძნება. ეს რიტორიკული ხერხი ქრისტიანულმა მწერლობამ ანტიკური რიტორიკიდან (არისტოტელე, რიტორიკა, III 9, 1410 a 24) ისესხა.[19] სავსებით ქრისტიანული შინაარსი გადმოცემულია ელინური რიტორიკულ-ესთეტური ფორმებით.

მოყვანილი პასაჟი ეპისტოლის პატარა მონაკვეთია. ეპისტოლე მთლიანად ამ სტილით არის შედგენილი: ქრისტიანული შინაარსი და ანტიკური ტრადიციებიდან ნასესხები გამომსახველობითი ფორმები.

მხატვრულ-ესთეტური სტილიზაციის გარდა, არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლეში ანტიკურობით გატაცება ლექსიკაშიც მჟღავნდება. ეპისტოლეში დასტურდება ბერძნული სიტყვები: ამარტოლი, რიტორება, ოქრონექტარი, ტრაპეზი, პერეღრინი, ფრეა, ორღანო, ფიალა. მათგან რიტორი, ფიალა, ტრაპეზი, ოქრონექტარი ბუნებრივად დამკვიდრდა სალიტერატურო ქართულში. „ამარტოლი“ უთარგმნელად გადმოსული სიტყვაა. ბერძნულში მას აქვს „ცოდვილის“, „უნდოს“ მნიშვნელობა. ნიშანდობლივია, რომ არსენიც ეპისტოლის დასაწყისში თავის თავს მოიხსენიებს შემდეგ-

19 Guinet, St. Grégoire de Nazianze et la Rhétorique, Paris, 1911, 121-127.

ნაირად: „მდაბალი არსენი ამარტოლი“, რაც რ. ხალვაშის სამართლიანი შენიშვნით, არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი „ხრონოგრაფის“ ავტორის, გიორგი ამარტოლის, მიბაძვას წარმოადგენს. მჭევრმეტყველების, ორატორობის მნიშვნელობით იხმარება სიტყვა „რიტორი“. პერეღრინიც ბერძნულია და ნიშნავს „უცხოელს“, „ყარიბს“. ეპისტოლეში იხმარება უთარგმნელად გადმოსული სიტყვა: „ფრეა“, რაც ბერძნული φρέαρ-ის ტრანსლიტერაციაა. φρέαρ ბერძნულში ნიშნავს „ჭას“. „ფრეა“, საბას განმარტებით, არის „წყარო ჭისა“. სხვათა შორის, ეს სიტყვა ქართულ წყაროებში ჯერ-ჯერობით სხვაგან ვერ დავადასტურეთ.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ეპისტოლეში არსებული ორი სიტყვა. ესენია: **„ორღანო“** და **„გაოზანება“.**

ეპისტოლის ბოლოს არსენი მიმართავს თავის ადრესატებს, ძმებ აბუსერისძეებს: ეს ნაშრომი იყოს თქვენთვის ხვავი და ნამუშაკევი, ნაყოფი, შეწირული ღმრთისათვის, რადგან არ არსებობს ქვეყნად სიკეთე, რომელიც მისგან არ მოდის. ამას მოსდევს შემდეგი ფრაზა: „მეცა, **ორღანოსა,** მითხოეთ არა **გაოზანებაჲ** უკადრებელთათჳს და საღმრთოთა მკადრესა.“ ამ ფრაზის შინაარსი მკვლევართა მხრივ ან უკომენტაროდ არის დატოვებული ან სხვაგვარად არის გაგებული.

პირველ სიტყვას – ორღანოს – წაკითხვის თვალსაზრისით ზოგი მკვლევრის დაეჭვება გამოუწვევია. თ. ბრეგაძე ვარაუდობს, რომ ამ ადგილას უნდა იკითხებოდეს „ორიანოსს“. მისი ვარაუდი საფუძვლიანად მიიჩნია რ. ხალვაშმა.[20] ნ. სულავას მიერ გამოცემულ ტექსტში „ორღანო“ დასტურდება, მაგრამ სქოლიოში გაკეთებულია შენიშვნა: შეიძლება „ორიანოსა“, ეს სიტყვა, ხელნაწერში ცუდად იკითხება.“[21] ნ. გოგუაძის, მ. ქავთარიას და რ. ჩაგუნავას გამოცემაში სწორი წაკითხვა გვაქვს: “ორღანოსა“.

ეპისტოლეში ნამდვილად იგულისხმება და წერია კიდეც „ორღანოსა“, რომელიც ბერძნული organon–ის ტრანსლიტერაციას წარმოადგენს. ბერძნულში ამ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. ორგანო, იარაღი, საშუალება; 2. მუსიკალური ინსტრუმენტი; 3. ანატომ. ორგანო, 4. მასალა; 5. ქმნილება. პირველი, ძირითადი მნიშვნელობით, **ორღანო,** როგორც საშუალება, იარაღი, გელათის სკოლის მოღვაწეთა შრომებში საკმაოდ ხშირად დასტურდება: „მდაბალი და მორჩილი ***ორღანოდ*** გამოჩნდების მის შორის მეტყველისა სულისად“.[22] „ვითარცა აქუნდეს *ორღანოჲ,* ეგრეთცა საქმე ჴელოვნისაჲ გამოჩნდების“.[23] „ვინაჲ აწ ამის

---

20 ხალვაში 1996: 42.

21 სულავა 2003: 309.

22 წმ. იოანე დამასკელი 2000: 27.

23 ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამო-

სულითისა *ორღანოდსად* თქუას სიტყუამან“.[24] „ორღანოსა (ἀξινάριον) რასმე სამუშაკოსა“.[25]

ორღანოს ამ მნიშვნელობით გათვალისწინების შემთხვევაში საფუძველი არ რჩება ეჭვისათვის, ეპისტოლის აღნიშნულ ადგილას „ორღანო“ წერია, თუ „ორიანო“. ავტორი, არსენი, თავის თავს მიიჩნევს ორღანოდ ანუ შემსრულებლად, იარაღად საგალობლების შეთხზვის საქმეში.

უფრო საინტერესოა მეორე სიტყვა: **„გაოზანება“**. ეს სიტყვა ქართულ სამწერლობო ძეგლებში სხვაგან არ შეგვხვედრია. ამიტომ არსენის ეპისტოლეში მისი არსებობის ფაქტს უნიკალური ხასიათი აქვს. ეპისტოლის გამომცემლებს ყურადღება მიუქცევიათ მისთვის. რ. ხალვაში ტექსტზე დართულ მცირე ლექსიკონში „გაოზანება“ სიტყვასთან კითხვის ნიშნის ქვეშ აღადგენს „გაუზანება“ ფორმას. იგი უშვებს ვარაუდს, რომ „გაუზანება“, შესაძლებელია, უკავშირდებოდეს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში დადასტურებულ ლექსემას - „უზანი“. საბას განმარტებით: „უზანი (ხე)“.[26]

„გაოზანება“ სიტყვის ეს მნიშვნელობა თვითონ მკვლევარს, როგორც ვთქვით, კითხვის ქვეშ აქვს დაყენებული და სავსებით სამართლიანად, რადგან „უზან-ხის“ მნიშვნელობა არანაირად არ ჯდება მოცემულ კონტექსტში.

„გაოზანება“ სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით სრულიად სამართლიანი და დამაჯერებელი მსჯელობა წამოაყენა ნ. სულავამ. იგი წერს: „არსენ ბულმაისიმისძე სთხოვს თავის ადრესატს, რომ მისი ნაღვაწი არ შეადარონ ვინმე ოზანისას, რომელიც ცნობილი იყო ათონურ ხელნაწერთა წარყვნით. ამიტომაც ამბობს, რომ „გაოზანება“ არ დასწამონ მას.“ ამ ზოგადი ხასიათის ინფორმაციას იგი ვარაუდის სახით სქოლიოში უმატებს: “საინტერესოა, ხომ არა აქვს მას („გაოზანებას“) რაიმე საერთო II მეფეთა წიგნში ნახსენებ (II მეფ. 6,3-4, 6-7) ოზიასთან, რომელიც შჯულის კიდობნის ხელმყოფელი იყო“.[27] გონებამახვილური ვარაუდია.

ის, რაც ვარაუდის სახით გამოითქვა, შემდეგში, სავსებით დამაჯერებლად იქნა დასაბუთებული მზ.შანიძის მიერ. მან სპეციალური ნაშრომი უძღვნა მიქაელ დაღალისონელის (XI ს.) მიერ ნახსენებ წმ. ეფთვიმე

საცემად მოამზადეს ნათელა კეჭაღმაძემ და მაია რაფავამ, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მაია რაფავამ, თბ., 1985, 38,25.

24 იოანე პეტრიწის შრომები, II, თბილისი, 1937, 208,5.

25 ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტფილისი, 1920, 168,9.

26 ხალვაში 1996: 42.

27 სულავა 2003: 176.

მთაწმიდლის ნაწერების შემრყვნელ „ოზან“ სახელის განმარტებას. ბიბლიური მასალის საფუძველზე ნაჩვენები იქნა, რომ **ოზანი // ოზია**, უფლის კიდობნის ხელმყოფელის კონკრეტული სახელი, აბსტრაქტულ სახელად იქცა და გახდა სინონიმი წარმყვნელის, წამხდენ-დამმახინჯებლისა. ეფთვიმე ათონელის შრომების ანონიმი გადამწერი, რომელმაც გარკვეულად დაამახინჯა ისინი, შედარებულია ბიბლიურ ოზანს // ოზიას.[28]

და აი, არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლეში დადასტურდა ამ საკუთარი სახელიდან ნაწარმოები ინფინიტივი: „გაოზანება“, რომელსაც განზოგადებული, განყენებული მნიშვნელობა აქვს. „გაოზანება“ ნიშნავს „წახდენას“, „გაფუჭებას“, „შებღალვას“.

ამრიგად, „ოზან ვინმე“ (მიქაელ დაღალისონელის ანდერძ-მინაწერი) და „გაოზანება“ (არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე) სიტყვების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ძველ ქართულ სამწერლობო ლექსიკაში დამკვიდრებული იყო „ოზან“ და ამ ძირიდან ნაწარმოები სიტყვები და მათ ჰქონდათ წახდენის, წარყვნის მნიშვნელობა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, არსენ ბულმაისიმისძის ფრაზა, სადაც **„ორღანო“** და **„გაოზანება“** სიტყვები გვხვდება, შემდეგნაირად უნდა იქნას გაგებული: ჩემთვის, როგორც შემსრულებლისთვის (ორღანოსთვის), ითხოვეთ [იგულისხმება ღმრთისგან] არ გაოზანება (არ წარყვნა) უკადრებელისა და საღმრთოთა მკადრისა.

შემოქმედებითი ნაღვაწი (საგალობლების შეთხზვა) არსენ ბულმაისიმისძის მიერ შეფასებულია, როგორც შეკადრება **უკადრებელისა და საღმრთოთა მკადრისა.** ასეთი გაგება სრულ ანალოგიას პოულობს ეპისტოლის დასაწყისში გამოთქმულ აზრთან იმის შესახებ, რომ სიყვარული იმორჩილებს „გონებასა შეკადრებად შეუკადრებელთაცა“.[29] აქ არსენის მიერ ის აზრია გატარებული, რომ ადრესატების მიმართ სიყვარულმა დასძლია მისი სიფრთხილე, გონება და გააბედვინა შეუკადრებელთა შეკადრება, ანუ გააბედვინა საგალობლების შეთხზვა. საერთოდ, ეს გამოთქმა – „შეკადრებად შეუკადრებელთა“ – გავრცელებული კლიშეა მწერლობის ძეგლებში ქრისტიანული თავმდაბლობისა და მოკრძალების გამოსახატავად.[30]

ყოველივე ზემოთქმული მოწმობს იმას, რომ არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლეში სრულიად ადეკვატურად არის არეკლილი ის მსოფლმხედ-

---

28 მზ. შანიძე„ რა ერქვა ეფთვიმე მთაწმიდლის შრომების ხელმყოფელს? მრავალთავი, XVIII, 1999, 116-117.

29 აბუსერისძე 1998: 102.

30 „შეკადრებად შეუვალთა“ (ეფრემ მცირე), „შეკადრებად შეუძლებელთა“ (არსენ იყალთოელი), წმ. იოანე დამასკელი 2000: 26.

ველობრივი იდეები და ენობრივ-სტილისტური მახასიათებლები, რომლებიც წარმოაჩენენ გელათის ლიტერატურული სკოლის შემოქმედებითმთარგმნელობითი საქმიანობის პრინციპებს და ზოგად კულტუროლოგიურ ორიენტაციას.

Maia Raphava

Arsen Bulmaisimisdze's Epistle to Abuser Abuserisdze - The Epitome of the Gelati Epistolary School

Summary

Arsen Bulmaisimisdze's epistle sent to the brothers Abuser and Tbel Abuserisdze bears every mark typical of the Gelati literary school. The epistle pertains to the translation of hymns. Its substance is completely consistent with the moral standard of Christianity. As well as that, the influence of Hellenistic rhetoric is obvious in the style and the linguistic-lexicological forms of the epistle.



პატრისტიკა

ირაკლი ორჯონია

წიგნი III

ი გ ა ვ ე გ ი[1]

ერმი „მწყემსი“

იგავები, რომლებიც თქვა ჩემდამი[2]

50.

1. მეუბნება მე: „თქვენ იცით, რომ ღვთის მონანი უცხოობაში მკვიდრობთ, რადგან თქვენი ქალაქი შორსაა ამ ქალაქიდან. თუკი იცით, - ამბობს, - თქვენი ქალაქი, სადაც დამკვიდრება მოგელით, აქ რად იმზადებთ ადგილ-მამულებს[3], ძვირადღირებულ კეთილმოსაწყობელთ, ნაგებობებსა თუ

---

1 დასაწყისი იხ. „გული გონიერი“, 2011, № 2, გვ. 138-154; № 3, გვ. 181-200 და „გული გონიერი“, 2012, № 1(4), გვ. 192-204.

2 შდრ. παραβολαιάς ἐλάλησε μετ᾽ ἐμοῦ. ერმის მესამე წიგნის სათაურის ზედმიწევნითი თარგმანია „იგავები, რომლებიც თქვა ჩემთან ერთად (ჩემითურთ)“. იგულისხმება, რომ ანგელოზისგან მიღებული იგავები ერმმა სხვებისთვის უნდა განაცხადოს და ამ საქმეში იგი უხორცო ძალთა თანაზიარი და თანამოღვაწეა. სწორედ ამ მნიშვნელობითაა წარმოდგენილი სათაურის ბოლო ნაწილი: „...ჩემთან ერთად (ანუ ჩემითურთ)“. შედ. ღათ. Similitudines decem quas ***mecum*** locutus.

3 „მწყემსის“ ბერძნულ ტექსტში მითითებულ ადგილზე გვხვდება ტერმინი ὁ ἀγρός (εἰ οὖν οἴδατε, φησί, τὴν πόλιν ὑμῶν, ἐν ᾗ μέλλετε κατοικεῖν, τί ὧδε ὑμεῖς ἑτοιμάζετε **ἀγροὺς**...). მისი შესატყვისია აგარაკი, დაბა, სოფელი, ველი (καὶ πᾶς ὅστις ἀφῆκεν οἰκίας ἢ ἀδελφοὺς ἢ ἀδελφὰς ἢ πατέρα ἢ μητέρα ἢ τέκνα ἢ **ἀγροὺς** ἕνεκεν τοῦ ὀνόματός μου... შდრ. *„და ყოველმან, რომელმან დაუტევა სახლი გინა ძმანი ანუ დანი ანუ მამაჲ ანუ დედაჲ ანუ ცოლი ანუ შვილნი ანუ **აგარაკნი** სახელისა ჩემისათჳს...“* მთ. 19.29; (2) καὶ οἱ βόσκοντες αὐτοὺς ἔφυγον καὶ ἀπήγγειλαν εἰς τὴν πόλιν καὶ εἰς **τοὺς ἀγροὺς**. შდრ. *„ხოლო მწყემსნი იგი მათნი იქცტოდეს და უთხრეს ქალაქსა და **დაბნებსა**“*. მრ. 5.14; (3) ἀπόλυσον αὐτούς, ἵνα ἀπελθόντες εἰς τοὺς κύκλῳ **ἀγροὺς**. შდრ. *„განუტევე ერი ესე, რაჲთა წარვიდენ გარემო **სოფლებსა**“*. მრ. 6.36). მოცემულ კონტექსტში საუბარია ქვეყნიურ, მატერიალურ კეთილდღეობაზე.

ამაო საცხოვრისებს? 2. ვინც ამ ქალაქში ეგევითართ იმარაგებს, აღარ განიზრახავს თავის მამულში დაბრუნებას. 3. უგუნურო, ორგულო და საწყალობელო ადამიანო, განა ვერ ხვდები, რომ ეს ყოველივე სხვისია და სხვისი ხელმწიფების ქვეშაა? ამ ქალაქის უფალი ამბობს[4]: „არ მსურს შენი დამკვიდრება ჩემს მამულში, არამედ განვედ ამ ქალაქიდან, რადგან ჩემს კანონებს არ აღასრულებდი“. 4. ამრიგად, შენ, ადგილ-მამულთა, საცხოვრებლებისა და სხვა მრავალი ქონების მქონე, მისგან გაძევებული, რას მოუმოქმედებ იმას, რაც საკუთარი თავისთვის იმზადე? სამართლიანად გეუბნება ამ ქვეყნის უფალი: „ან ჩემი კანონები მიიღე, ან განერიდე ჩემს სამფლობელოს“. 5. ასე რომ, შენ, რომელსაც შენს მამულში გაქვს რჯული, რის აღსრულებას იზრახავ? ნუთუ შენი მინდვრებისა და დანარჩენ მოსახვეჭელთა გამო შენეულ რჯულს ყოვლითურთ უარყოფ და ამ ქალაქის კანონებს შეუდგები?[5] ეკრძალე, რომ საზიანო არ იყოს უარყოფა შენი რჯულისა, რადგან რაჟამს უკან, შენს მამულში, მიბრუნებას ისურვებ, არ მიგიღებენ, ვინაიდან უარყავი შენეული მამულის რჯული. და გაგაძევებენ მისგან. 6. ასე რომ, გაფრთხილდი, ვითარცა უცხოობაში მცხოვრები, საკუთარი თავისთვის ზედმეტს ნურაფერს დაიუნჯებ, არამედ საკმარისით დაკმაყოფილდი, და მზად იყავი, რომ რაჟამს ამ ქალაქის მბრძანებელი იზრახებს, შენ, მისი კანონის ურჩი, გაგაძევოს, დატოვე მისი ქალაქი, საკუთარ მამულში დაბრუნდი და მხიარულმა შენეული რჯული აღასრულე უდრტვინველად. 7. ასე რომ, ეკრძალეთ თქვენ, უფალს დამონებულებმა, და ვისაც გულში გყავთ იგი, ღვთის საქმენი იმუშაკეთ მისი აღთქმებისა და გაცხადებული მცნებების მომგონებლებმა (ფს. 102.18) და მიენდეთ, ვინაიდან აღასრულებს მათ, უკეთუ მის მცნებებს დაიცავთ. 8. ადგილ-მამულთა ნაცვალ შეჭირვებული სულები შეიძინეთ, ვისაც როგორ ძალგიძთ; ქვრივები და ობლები მოიკითხეთ და ნუ უგულებელჰყოფთ მათ (იაკ. 1.27). თქვენი სიმდიდრე და ყოველგვარი მონაგები, ეს ადგილ-მამულნი და საცხოვრისები, იმისთვის გაიღეთ, რისთვისაც უფლისგან გებოძათ, 9. რადგან იმის გამო გაგამდიდრათ თქვენ მეუფემ, რომ ეს მსახურებანი აუსრულოთ მას. ფრიად სახიერია იმ მამულის, სიმდიდრისა თუ საცხოვრისების შეძენა, რასაც შენს ქალაქში

ჩვენ აღნიშნული ტერმინი ადგილ-მამულად ვთარგმნეთ.

4 შდრ. ἐρεῖ γὰρ ὁ κύριος **τῆς πόλεως ταύτης...** ამ ქალაქში (τῆς πόλεως ταύτης) წუთისოფელი მოიაზრება, ხოლო მისი უფალი (ὁ κύριος) ანუ ის, ვისაც საღვთო დაშვებით სოფელზე ძალმოსილება გააჩნია, უკეთური ძალაა (შდრ. *„ვიცით, რამეთუ ღმრთისაგან ვართ და ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას“*. I იოან. 5.19).

5 შდრ. ἕνεκεν τῶν ἀγρῶν σου καὶ τῆς λοιπῆς ὑπάρξεως **τὸν νόμον σου** πά ντως ἀπαρνήσῃ καὶ πορεύσῃ τῷ νόμῳ τῆς πόλεως ταύτης; ბერძნული წინადადების ხაზგასმულ ნაწილში - „შენეულ რჯულში“ (τὸν νόμον σου) უზენაესის მიერ ადამიანისთვის ბოძებული საღვთო კანონები მოიაზრება.

აღმოაჩენ, რაჟამს მასში გადასახლდები[6]. 10. მშვენიერია და სამხიარულო ასეთი სიმდიდრე, სადაც არათუ დარდი და შიშია, არამედ სიხარული. მაშ ასე, წარმართთაებრ სიმდიდრეს ნუ დაიუნჯებთ, ვინაიდან თქვენ, ღვთის მონებს, არაფერში გამოგადგებათ იგი. 11. საკუთარი სიმდიდრე კი ამუშაკეთ, რითიც ძალგიძთ სიხარული. ნუ იყალბისმქნელებთ[7], ნურც სხვისას შეეხებით, არც ინდომოთ მისი, რადგან უკეთურებაა სხვათა [საკუთრების] სურვილი. ხოლო შენ საქმე აკეთე და გადარჩები.

სხვა იგავი[8]

51.

1. ველისკენ მივემგზავრებოდი. თელა და ვაზი შევნიშნე. მათი და მათი ნაყოფების შესახებ განმსჯელს მწყემსი გამომეცხადა და ამბობს: „თელასა და ვაზის შესახებ რას ეძიებ საკუთარ თავში? “ მივუგე: „უფალო, მიმაჩნია, რომ ერთიმეორეზე უმშვენიერესნი არიან“. 2. „ეს ორი ხე, - ამბობს, - ღვთის მორწმუნეებს ნიშნად განეწესათ“. ვეუბნები: „მსურს შევიმეცნო ამ ხეთა სახეობები, რაზეც ლაპარაკობ“. „ხედავ, - მპასუხობს, - თელასა და ვაზს?“ მივუგე: „ვხედავ, უფალო“. 3. „ეს ვაზი ნაყოფს იძლევა, ხოლო თელა უნაყოფო ხეა, მაგრამ თუკი ვაზი თელაზე არ ამაღლდა, მიწაზე გართხმულს აღარ ძალუძს ფრიადი ნაყოფმსხმოიარობა და რასაც მოისხამს, დამპალი იქნება, რადგან თელას ვერ დაეყრდნო. მაგრამ რაჟამს ვაზი თელას დაენდობა, საკუთარი თავისთვისა და თელასთვისაც იძლევა მტევანს. 4. ასე რომ, ხედავ, თელაც მრავალ მოსავალს იძლევა, ვაზზე არა ნაკლებს, გაცილებით მეტს“. ვეკითხები: „თელა, უფალო?“ მომიგებს: „როგორც თელაზე დაყრდნობილი ვაზი მრავალ და კეთილ მტევანს მოგვიბოძებს, ამგვარადვე, მიწაზე გართხმული, მცირესა და დამპალს მოისხამს. ამრიგად, ეს იგავი ღვთის მონებს, ღარიბებსა და მდიდრებს, განეკუთვნებათ“. 5. „როგორ, უფალო, - ვეუბნები, - გამაგებინე მე?“ „ისმინე! - მომიგებს, - მდიდარი სიმდიდრის მფლობელია, მაგრამ უპოვარია უფლის წინაშე. საკუთარი სიმდიდრით გატაცებულს ძალიან მცირედი ლოცვა და აღმსარებლობა აქვს

---

6 მოცემულ შემთხვევაში ადგილ-მამულებში, სიმდიდრესა და საცხოვრისებში (შდრ. βέλτιόν ἐστι **τοιούτους ἀγροὺς** ἀγοράζειν καὶ **κτήματα καὶ οἴκους,** οὓς εὑρήσεις ἐν τῇ πόλει σου, ὅταν ἐπιδημήσῃς εἰς αὐτήν) მარადიული ზეციური საუნჯე იგულისხმება (შდრ. *„ხოლო თქუენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადა არცა მღილმან, არცა მჭამელმან განრყუნის, და სადა არცა მპარავთა დათხარიან და განიპარიან“. მთ. 6.20; „განყიდენით მონაგებნი თქუენნი და მიეცით ქველის-საქმე და ყავთ თავისა თქუენისა საფასე, რომელი არა დაძუელდეს, და საუნჯე მოუკლებელი ცათა შინა, სადა-იგი მპარავი არა მიეხების, არცა მღილმან განრყუნის“.* ლკ. 12.33;).

7 *Gr.* **μὴ παραχαράσσετε.**

8 *Gr.* **Ἄλλη παραβολή.** იგულისხმება იგავი მეორე.

უფალთან და რაც აქვს, ისიც სუსტია და უმნიშვნელო, არც სხვა რამ ძალას ფლობს. მაგრამ თუკი მდიდარი ღარიბს მწყალობლობს და საჭიროებისამებრ ამარაგებს მას, სწამდეს, რომ რაჟამს ღარიბისთვის იმუშაკებს, ძალუძს სასყიდელი ღმერთის წინაშე იპოვოს, რამეთუ ღარიბი მდიდარია საკუთარი ლოცვითა და აღმსარებლობით და დიდი ძალა აქვს მის ვედრებას ღვთისადმი. მდიდარი კი, შეეწევა რა ღარიბს ყოველივეში უეჭველად, 6. მდიდრის მიერ ნაწყალობები ღარიბი ღმერთს ევედრება და მადლობს იმისთვის, რაც მისგან მიიღო. ის კვლავაც და კვლავც მოშურნეობს ღარიბის გამო, რომ დაუბრკოლებელი იყოს მისი საჭიროება, ვინაიდან იცის, რომ ღარიბის ლოცვა საამოა და ნაყოფიერი უფლის წინაშე. 7. ორივენი ერთდროულად აღასრულებენ საქმეს: ღარიბი ლოცვით მუშაკობს, რაშიც მდიდარია, და იმით მსახურებს, რაც უფლისგან მიიღო[9]; მდიდარიც ღვთისგან შეწყნარებულ სიმდიდრეს ასევე დაუბრკოლებლად უწყალობებს ღარიბს. დიდი და საამოა ეს საქმე უფლის წინაშე, რადგან შეიმეცნა [მდიდარმა], რომ უფლის ძღვენთაგანაა მისი სიმდიდრე, ღარიბს მოახმარა და მსახურება სწორად აღასრულა. 8. ადამიანებს თელა უნაყოფოდ მიაჩნიათ, არ იციან, ვერც ხვდებიან, რომ რაჟამს გვალვა იქნება, ვაზს წყლის შემცველი თელა კვებავს და დაუბრკოლებლად სინოტივის მქონე ვაზი ორმაგ ნაყოფს იძლევა საკუთარი თავისა და თელასთვის. ასევე ღარიბნიც უფალს შეჰღაღადებენ მდიდართა გამო, რომ გამრავლდეს მათი სიმდიდრე. და კვლავ, ღარიბთა საჭიროებისამებრ მომსახურე მდიდარნი მათ სულებს განამტკიცებენ. 9. ამრიგად, მართალი საქმის ზიარნი ხდებიან ორივენი. ამგვარად მოქმედს არ მიატოვებს უფალი, არამედ ცოცხალთა წიგნებში ეწერებიან. 10. ნეტარ არიან შეძლებულნი და გულისხმისმყოფელნი, რომ ღვთისგან მდიდრდებიან, რადგან ძალუძს ამის მცოდნეს, სათნო რამ იმსახუროს.

იგავი III

52.

1. მიჩვენა მე მრავალი უფოთლო ხე. იფიქრებდი, თითქოს გამხმარნი არიანო, ვინაიდან ყველანი მსგავსნი იყვნენ. მეუბნება: „ხედავ ამ ხეებს?“ „ვხედავ, უფალო, - მივუგე, - ერთნაირებსა და გამხმარებს“. მპასუხობს: „ეს ხეები, რასაც ხედავ, ამა საუკუნეში მკვიდრნი არიან“. 2. ვეკითხები: „უფალო, რატომაა, რომ თითქოს გამხმარან და [ურთიერთს] დამსგავსებიან?“ მომიგებს: „რადგან არც მართალნი და არც ცოდვილნი ამ საუკუნეში არ განირჩევიან, არამედ ერთნაირები არიან. ზამთარია ეს საუკუნე მართალთათვის და ცოდვილებთან ერთად დამკვიდრებულნი არ სხვაობენ მათგან, 3. ვინაიდან როგორც ზამთარში ემსგავსებიან და არ განირჩევიან

9 ე. ი. ღარიბი მდიდართათვის ლოცვით აღასრულებს მსახურებას.

ფოთლებდაცვენილი ხეები, რომელია გამხმარი ანთუ ცოცხალი, ასევე არ წარმოჩნდებიან ამა საუკუნეში არც მართალნი, არც ცოდვილნი, არამედ ყველანი მსგავსები არიან[10].

სხვა იგავი[11]

53.

1. კვლავ მიჩვენა მე მრავალი ხე, რომლებიც ყვაოდნენ, [სხვანი] კი გამხმარიყვნენ, და მეუბნება: „ხედავ ამ ხეებს?“ „ვხედავ, უფალო,- მივუგე, - გამხმარებსა და აყვავებულებს“. 2. „ეს აყვავებული ხეები, - ამბობს, - მართალნი არიან, რომლებიც მომავალ საუკუნეში დამკვიდრებას ელიან, რადგან სამომავლო საუკუნე ზაფხულია მართალთათვის, ხოლო ცოდვილთათვის - ზამთარი. ამრიგად, რაჟამს ღვთის წყალობა გამობრწყინდება[12], მაშინ საჩინონი იქნებიან ღმერთს დამონებულნი და ყველაფერი გაცხადდება. 3. ასე რომ, როგორც ზაფხულობით მოიხილება ყოველი ხის ნაყოფი და ცნაურდება, თუ როგორია, ასევე წარმოჩინდება მართალთა ნაყოფი და ყველა შეიცნობა, ვინც იმ საუკუნეში კეთილყვავილოვანი იქნება. 4. ხოლო წარმართები და ცოდვილები, რომლებიც გამხმარ ხეებს ემსგავსებიან, ამგვარადვე ხმელნი და უნაყოფონი აღმოჩნდებიან იმ საუკუნეშიც და, ვითარცა ხმელი შეშა, დაიწვებიან და გაცხადებული იქნება, რომ უკეთური ყოფილა მათი საქმენი მათსავე ცხოვრებაში. ცოდვილნი დაიწვებიან, რამეთუ შესცოდეს და არ შეინანეს, ხოლო წარმართნი დაიწვებიან იმიტომ, რომ არ შეიცნეს თავიანთი შემოქმედი. 5. შენ კი საკუთარ თავში ინაყოფიერე, რომ იმ ზაფხულს გახდეს საცნაური შენი ნაყოფი. განეკრძალე მრავალ საქმეს და არასოდეს შესცოდავ, რადგან ისინი, რომლებიც მრავალს მოქმედებენ, მრავლადაც სცოდავენ და საკუთარ საქმეებზე მზრუნველნი არ მორჩილებენ თავიანთ უფალს. 6. როგორ ძალუძს, - ამბობს, - ასეთს რამე ითხოვოს უფლისგან და მიიღოს, როდესაც არ ემონება მას? ისინი კი,

---

10 იგულისხმება, რომ წუთისოფელში მკვიდრობისას მართალნი ერთი შეხედვით არაფრით სხვაობენ ცოდვილთაგან და საბოლოოდ მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ ხდება საცნაური მათი მდგომარეობა. წარმოდგენილ მოსაზრებას კარგად ეხმიანება ეპისტოლე დიოგნეტესადმი: „ქრისტიანები არც საცხოვრებელი ადგილით, არც მეტყველებით, არც ჩვეულებებით არ განირჩევიან სხვათაგან. ისინი არც სადმე კერძო ქალაქებში სახლობენ, არც სხვა ენაზე მეტყველებენ, არც რაღაც უჩვეულო ცხოვრების წესს მისდევენ...“ (სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა; ეპისტოლე დიოგნეტესადმი; ტ. I; თბილისი, 1990 წ.).

11 *Gr*. **Ἄλλη παραβολὴ**. იგულისხმება იგავი IV.

12 შდრ. ὅταν οὖν ἐπιλάμψῃ τὸ ἔλεος τοῦ κυρίου... *ღვთის წყალობის გამობრწყინებაში* ქრისტეს მეორედ მოსვლა და მარადიული სასუფევლის დამყარება მოიაზრება.

რომელნიც ღმერთს მორჩილებენ, თავიანთ ნავედრებს ღებულობენ, ხოლო დაუმორჩილებელნი ვერაფერს იწყნარებენ. 7. ამრიგად, თუკი ვინმე ერთ საქმეს იმუშაკებს, შეუძლია უფალსაც ემონოს, ვინაიდან არ შეირყვნება უფლისგან მისი ჩანაფიქრი, არამედ მისი წმინდა აზრების მტვირთველი დაემონება მას[13]. 8. რაჟამს ამას აღასრულებ, მომავალ საუკუნეში ძალგიძს ნაყოფმსხმოიარობა. ვინც ამგვარად მოიქცევა, ინაყოფიერებს.

სხვა იგავი V[14]

54.(1).

1. მარხვისას ერთ-ერთ მთაზე ვიმყოფებოდი და უფალს ვმადლობდი ყველაფრის გამო, რაც ჩემთვის აღესრულებინა. ვხედავ, ჩემ გვერდით მწყემსი ჩამოჯდა და მეუბნება: „დილაადრიან აქ რად მოსულხარ?“ ვუპასუხე: „უფალო, მედეგობა მაქვს“[15]. 2. მეკითხება: „მედეგობა რა არის?“. მივუგე: „ვმარხულობ, უფალო“. „ეს, რასაც მარხულობ, - ამბობს, - განა მარხვაა?“ ვუთხარი: „უფალო, რაცაა ჩვეულება, ისე ვმარხულობ“. 3. „არ იცი, - მპასუხობს, - მარხვა ღვთისათვის. ეს მარხვა, რითიც მარხულობ, ფუჭია მისთვის“. მივუგე: „ასე რად ამბობ, უფალო?“ „შენ გეუბნები, - ამბობს, - განა მარხვაა, რაც მარხვა გგონია; მაგრამ მე გასწავლი, თუ როგორი მარხვაა საამო და სრული ღვთისთვის“. „ნეტარმყოფ მე, - ვეუბნები, - უკეთუ უფლისთვის საამო მარხვას მასწავლი“. „ისმინე! - მომიგებს, 4. - განა ეს ფუჭი მარხვა ჰსურს ღმერთს, რადგან ამგვარად მმარხველი არ მუშაკობს სიმართლეს. ეს მარხვა იმარხე: 5. შენს ცხოვრებაში არასოდეს იუკეთურო, არამედ განწმენდილი გულით ემონე უფალს, მცნებები დაიცავი (მთ. 19.17) და მის განჩინებებში ისრბოლე, ნურასოდეს აღიწევა შენს გულში საქმე უკეთური, ღმერთის გწამდეს. უკეთუ ამას შეასრულებ და

---

13 შდრ. ἐὰν δὲ μίαν τις πρᾶξιν ἐργάσηται, δύναται καὶ τῷ κυρίῳ δουλεῦσαι: οὐ γὰρ μὴ διαφθαρήσεται ἡ διάνοια αὐτοῦ ἀπὸ τοῦ κυρίου, ἀλλὰ δουλεύσει αὐτῷ ἔχων καθαρὰν τὴν διάνοιαν αὐτοῦ. იგულისხმება, რომ იმ ადამიანის ჩანაფიქრს, ვინც მრავალსა და ამაო საზრუნავს უარყოფს და უმთავრესს ეძიებს, ღმერთი იწონებს (შდრ. *„მიუგო იესუ და ჰრქუა მას: მართა, მართა! ზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათჳს, აქა ერთისაჲ არს საჭმარ. ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არასადა მიეღოს მისგან“*. ლუკ. 10. 41-42).

14 ***Gr.*** **Ἄλλη παραβολὴ ε.**

15 ბერძნულ ტექსტში მითითებულ ადგილზე გვხვდება ტერმინი στατίων (***Gr.*** Ὅτι, φημί, κύριε, **στατίωνα** ἔχω), რასაც ჩვენ **მედეგობად** ვთარგმნით (ლათ. quoniam, domine, **stationem** habeo; ინგლ. I have **a station**; რუს. Потому, господин, что нахожусь **на стоянии**). აღნიშნული ტერმინი ნიშნავს მარხვის პერიოდს, როდესაც ქრისტიანები ერთად იკრიბებოდნენ (შდრ. Lampe: „στατίων, ἡ, (Lat. *statio*) period of fasting when Christians assembled together, of regular occurrence“. **A Patristic Greek Lexicon**, *Oxford 1961, p. 1251*).

უფლის მოშიში ყოველგვარი უზნეო საქმისგან თავს განიკრძალავ, ღმერთთან იცოცხლებ. რაჟამს ასე იმუშაკებ, დიდსა და ღვთისთვის საამო მარხვას აღასრულებ.

55.(2).

1. ისმინე იგავი, რომელიც მსურს შენ გაუწყო, მარხვის შესაბამისი. 2. ვინმე [ადამიანს] მამული და მრავალი მონა ჰყავდა. მიწის გარკვეულ ნაწილზე ვენახი დარგო. გამოარჩია ფრიად სარწმუნო და სათნო მსახური. უცხოობაში წასვლის განმზრახმა მოიხმო იგი და ეუბნება მას: „ეს ვენახი, რომელიც გავაშენე, ჩაიბარე; ვიდრე მოვიდოდე, შემოზღუდე იგი, ხოლო სხვა ვენახში ნუ იმუშაკებ. ჩემი ეს მცნება დაიცავი და თავისუფალი იქნები ჩემგან“. და უცხოობაში წავიდა მონის მბრძანებელი. 3. ხოლო გაემგზავრა რა იგი, აიღო მონამ და ვენახი გარშემოზღუდა. როცა განასრულა ვაზის მოზღუდვა, იხილა, რომ ვენახი სავსე იყო ბალახით. 4. საკუთარ თავთან მსჯელობდა და ამბობდა: „ბატონის ეს მცნება შევასრულე. ახლა კი ამ ვენახსაც გადავბარავ და დაბარული უმშვენიერესი გახდება. უკეთუ სარეველა არ იქნება, ნაყოფსაც სრულად მოგვცემს ბალახისგან დაუშთომელი“. აიღო და ვაზი დაბარა, მთელი ბალახი ამოძირკვა ვენახში. და გახდა ვაზი უმშვენიერესი და კეთილყვავილოვანი, არ ჰქონდა რა ბალახი დამაშთობელი. 5. რაღაც დროის შემდეგ მამულისა და მონის მბრძანებელი მოვიდა და ვენახისკენ ისწრაფა. იხილა ვაზი კეთილად გარშემოზღუდული და მეტიც - დაბარული, ხოლო ბალახი ამოძირკული და ვენახი აყვავებული. დიდად გაიხარა მონის საქმიანობით. 6. მოიხმო თავისი საყვარელი ძე, რომელიც მემკვიდრედ ჰყავდა, და თანამზრახველი მეგობრები. ეუბნება მათ, თუ რა დაავალა საკუთარ მონას და რა აღმოაჩინა აღსრულებული. მონაზე დამოწმებულით, რასაც ბატონი ადასტურებდა მასზე, ისინიც თანამოხარულობდნენ. 7. და ეუბნება მათ: „მე ამ მონას თავისუფლებას შევპირდი, თუკი ჩემს მცნებას დაიცავდა, რომელიც მას დავავალე. ჩემი მცნება აღასრულა და ვენახს კეთილი საქმეც თანაშეჰმატა, რაც ჩემთვის ფრიად სათნოა. იმ საქმის წილ, რაც იმუშაკა, მსურს, ჩემი ძის თანამემკვიდრედ დავადგინო, რადგან კეთილად განმსჯელმა არათუ უგულებელჰყო, არამედ აღასრულა იგი“[16]. 8. ბატონის ძეც დაეთანხმა ამ აზრს, რომ ძის თანამემკვიდრე გახდეს მონა. 9. მცირე დროის შემდეგ სერი ამზადა მისი (მონის, ი. ო.) სახლის მბრძანებელმა[17] და ტრაპეზიდან მრავალი სანოვაგე გაუგზავნა მას;

---

16 მონამ, რომელსაც ბატონისგან მხოლოდ ვენახის გარშემოზღუდვა დაევალა, სხვა საქმის (ბალახის აღმოფხვრის) აუცილებლობაც გულისხმაჰყო და შეეძლო რა, ოდენ ბატონის მოთხოვნა აღესრულებინა, კეთილი აზრი არ უკუაგდო და გულმოდგინედ ბოლომდე იმუშაკა.

17 Gr. **ὁ οἰκοδεσπότης.**

მიიღო რა მონამ საკუთარი ბატონის წარგზავნილი საკვები, მისთვის საკმარისი იხმია, ხოლო დანარჩენი თავის თანამონებს უწილადა. 10. საკვების შემწყნარებელმა თანამსახურებმა გაიხარეს და ლოცვა დაიწყეს მისთვის, რომ აღმატებული მადლი ეპოვა მბრძანებლის წინაშე, ვინაიდან ამგვარად მოექცა მათ. 11. ეს ყოველივე მომხდარი ბატონმა შეიტყო და მისი საქმე კვლავ დიდად ეამა. ბატონმა ისევ თანამოიხმო მეგობრები, საკუთარი ძე და მონის საქმე შეატყობინა, რაც მიღებული საკვებით მოიმოქმედა მან. ისინი კი უფრო მეტად დაეთანხმნენ ძის თანამემკვიდრედ მონის დადგენას“.

56.(3).

1. ვეუბნები მწყემსს: „უფალო, მე ამ იგავებს ვერ ვიმეცნებ, არც გაგება ძალმიძს მათი, თუკი არ განმარტავ“. 2. „ყველაფერს განგიმარტავ შენ, - ამბობს, - რასაც კი გეტყვი და გიჩვენებ. უფლის მცნებები დაიცავი და სათნო იქნები მისთვის და მისი მცნებების დამცველთა რიცხვში ჩაეწერები, 3. ხოლო რაჟამს ღვთის მცნების გარდა რამ სიკეთეს აღასრულებ (ეკლეს. 12.13; მთ. 19.17), საკუთარ თავს უაღმატებულეს დიდებას შესძენ და ღვთის წინაშე იმაზე უდიდებულესი იქნები, ვიდრე ისურვებდი. ამრიგად, როდესაც ღვთის მცნებათა დამცველი ამ მსახურებებსაც გაამრავლებ, გაიხარებ, თუკი ჩემი უწყებისამებრ დაიმარხავ მათ“ [18]. 4. ვეუბნები მას: „უფალო, დავიცავ იმას, რაც კი რამ მამცნე, რადგან ვიცი, რომ შენ ჩემთან ერთად ხარ“. „შენთან ერთად ვიქნები, - მომიგებს, - ვინაიდან კეთილმოქმედების ასეთი სურვილი გაქვს, და ყველასთან ვიქნები, ვინც ამ ზრახვას იტვირთავს. 5. ეს მარხვა, - ამბობს, - ღვთის მცნებათა დამცველთათვის ფრიად სახიერია. მარხვა, რომელიც გსურს იმარხო, ამგვარად უნდა აღასრულო. 6. უპირველეს ყოვლისა ნებისმიერ უკეთურ სიტყვას და ყველანაირ უზნეო სურვილს ერიდე; გული შენი განიწმინდე ამა საუკუნის ყოველგვარი ამაოებისგან. რაჟამს ამას დაიცავ, სრული იქნება მარხვა. 7. ხოლო იმოქმედე ამგვარად: წინარეგანცხადებულნი აღასრულე, იმ ჟამს, როცა მარხულობ,

---

18 შდრ. ἐὰν δέ τι ἀγαθοῦ ποιήσῃς ἐκτὸς τῆς ἐντολῆς τοῦ θεοῦ, σεαυτῷ περιποιήσῃ δόξαν περισσοτέραν καὶ ἔσῃ ἐνδοξότερος παρὰ τῷ θεῷ οὗ ἔμελλες εἶναι. ἐὰν οὖν φυλάσσων τὰς ἐντολὰς τοῦ θεοῦ προσθῇς καὶ τὰς λειτουργίας ταύτας, χαρήσῃ, ἐὰν τηρήσῃς αὐτὰς κατὰ τὴν ἐμὴν ἐντολήν. იგულისხმება, რომ ერმმა ანგელოზისგან ნაუწყებ მცნებებთან ერთად სხვა სათნოებანიც უნდა აღასრულოს. მიღებული უწყება ზემოთ წარმოდგენილ იგავს ეხმიანება. კერძოდ, ბატონმა, რომელიც უცხოობაში მიდიოდა, საკუთარ მსახურს ვენახის გარემოზღუდვა განუწესა, ხოლო მსახურმა, გარდა მითითებული საქმისა, ბაღი გადაბარა და ბალახისგან გაწმინდა ანუ იმაზე მეტი იმუშაკა, რაც ბატონისგან დაევალა, და აღმატებული პატივის ღირსი შეიქნა, ძის თანამემკვიდრეობა განეკუთვნა (შდრ. ***„...ხოლო რაჟამს ღვთის მცნების გარდა რამ სიკეთეს აღასრულებ, საკუთარ თავს უაღმატებულეს დიდებას შესძენ და ღვთის წინაშე იმაზე უდიდებულესი იქნები, ვიდრე ისურვებდი“***).

ნურაფერს იგემებ გარდა პურისა და წყლისა. შენი საზრდელიდან, რითიც გსურს იკვებო, იმ დღის საჭმლის ხარჯი გამოთვალე, რის გაღებასაც აპირებდი, და დამზოგველმა იგი ქვრივს, ობოლს, ან უპოვარს უწილადე და ასე დამდაბლდები, ვინაიდან შენი სიმდაბლისგან მიმღები, დაინაყრებს რა საკუთარ სულს, ილოცებს შენთვის უფლის წინაშე[19]. 8. თუკი იმ მარხვას აღასრულებ, რასაც გამცნებ, შენს მსხვერპლს უფალი შეიწირავს (სიბრძ. ზირაქ. 35.9; 4.18; ეს. 56.7; მთ 5.24; I პეტრ. 2.5) და ეს მარხვა აღწერილი იქნება; ასე შესრულებული მსახურებაა სათნო, სასიხარულო და შეწირული უფლისგან. 9. ესენი ამგვარად დაიცავი შენს შვილებთან და მთელს შენს სახლეულთან ერთად, ხოლო მათი აღმსრულებელი ნეტარი იქნები; და ყველა, ვინც მოისმენს და მას დაიცავს, ინეტარებს და რასაც კი უფალს შეევედრება, მიიღებს“.

57.(4).

1. მრავალს ვევედრებოდი მას, რომ გაეცხადებინა ჩემთვის იგავი მამულის, ბატონის, ვაზის, მონის მიერ გარშემოზღუდული ვენახის, დაბარვის, ვენახიდან ამოძირკული ბალახის, ძისა და თანამზრახველი მეგობრების შესახებ, რადგან მივხვდი, რომ რაღაც იგავია ეს ყოველივე. 2. მიპასუხა და მომიგო: „ფრიად თამამი ხარ შეკითხვაში. საერთოდ არ გევალება იკითხო, ვინაიდან თუკი მითითება იქნება შენთვის საჭირო, განგეცხადება“. ვეუბნები მწყემსს: „უფალო, უკეთუ იმას, რასაც მიჩვენებ, არ განმიმარტავ, ფუჭი იქნება ამგვარი ხილვა და ვერ მივხვდები, თუ რომელი რა არის. ამგვარადვე, რაჟამს იგავს მეტყვი და არ განმარტავ, ამაოა შენგან სმენილი“. 3. კვლავ მპასუხობს და მეუბნება: „ვინც ღმერთს ემონება და საკუთარ გულში ჰყავს უფალი, ითხოვს რა მისგან გულისხმისყოფას (იაკობ. 1.5-6), იგავის განმარტებას ღებულობს და უფალთან ერთობით ხდება მისთვის გასაგები იგავებით გამოთქმული. ხოლო ის, ვინც ვედრებაში უძლურია და ზარმაცი, ღვთისადმი თხოვნისას ორჭოფობს. 4. მრავალმოწყალეა უფალი და მისგან ყველა უეჭველად მთხოვნელს მწყალობლობს. შენ კი, დიდებული ანგელოზის მიერ გამტკიცებული და მისგან ესოდენ მეოხების შემწყნარებელი, ზარმაცი რომ არ იყო, რად არ ითხოვ უფლისგან გონიერებას? განა ისე მიიღებ?“ 5. ვეუბნები მას: „უფალო, მე, გამაჩნია რა შენთან ერთობა, მაქვს საჭიროება, რომ შენ გევედრო და შეგეკითხო, რადგან ყოველივეს მიმითითებ და მეუბნები, მაგრამ უკეთუ ამას შენგან ეული ვიხილავდი ან მოვისმენდი, მაშინ უფალს დავეკითხებოდი, რომ გაეცხადებინა ჩემთვის“.

---

19 მოცემულ შემთხვევაში ანგელოზი ერმს განუმარტავს, რომ მარხვისას საჭიროა გამოითვალო ყოველდღიური საკვების საფასური, რასაც ჩვეულებრივ, არასამარხვო დღეს საკუთარი თავისთვის გაიღებდი, და პურსა და წყალზე დახარჯული თანხის გარდა დანარჩენი შეჭირვებულ ადამიანებს უწილადო.

58.(5).

1. „ახლახან გეუბნებოდი, რომ ჭკუამახვილი და თამამი ხარ-მეთქი, - ამბობს, - ითხოვდი რა იგავთა განმარტებას, მაგრამ შენი ასეთი სიმტკიცის გამო განგიმარტავ იგავს მამულსა და დანარჩენ ყოველივე თანმდევზე, რომ გასაგები გახადო ისინი ყველასთვის. ახლა კი ისმინე და შეიმეცნე: 2. მამული ეს სამყაროა (მთ. 13.38). მამულის უფალი ყოვლის შემოქმედი (ეფეს. 3.9; აპოკალ. 4.11; ებრ. 3.4; ეკლეს. 18.1), მათი შემაკავშირებელი და განმაძლიერებელია (ფს. 67.29)[20]. ძე სულიწმინდაა. მონა ძე ღვთისაა. ვენახი ის ხალხია, რომელიც მან დარგო. 3. ზღუდეები უფლის წმინდა ანგელოზები არიან, მის ხალხთან მჭიდრო კავშირში მყოფნი. ვენახიდან ამოძირკული ბალახი ღვთის მონათა უკეთურებანია. საკვები, რომელიც სუფრიდან გაუგზავნა მონას, მცნებებია, რაც თავისი ძის მიერ გადასცა საკუთარ ხალხს. მეგობრები და თანამზრახველები პირველქმნილი წმინდა ანგელოზები არიან. ბატონის მოგზაურობა მის მოსვლამდე დარჩენილი ჟამია“[21]. 4. ვეუბნები მწყემსს: „უფალო, დიადი, გასაოცარი და დიდებულია ყოველივე. განა ძალმიძდა მე, ეს გამეგო? არც სხვა ადამიანს, თუნდაც რომ ფრიად გონიერი იყოს მავანი, არ შეუძლია ამის შემეცნება. ამრიგად, უფალო, კვლავაც განმიცხადე ის, რაც მსურს შენ შეგეკითხო“. 5. „მკითხე, - მომიგებს, - თუ რამ გწადია“. „უფალო, რატომ წარმოგვიდგება იგავში ძე ღვთისა მონის სახით?“

59.(6).

1. „ისმინე, - მპასუხობს, - ღვთის ძე არათუ მონის სახით, არამედ დიადი ხელმწიფებითა და მეუფებით წარმოგვიდგება“. „როგორ, - ვეუბნები, - ვერ ვხვდები?“. 2. „ღმერთმა რომ ვენახი დარგო, ესაა ხალხი, რომელიც შექმნა და საკუთარ ძეს გადასცა. ძემ კი თითოეულ მათგანზე მცველად ანგელოზები დაადგინა. ფრიად დამაშვრალმა და მრავალი შრომით დაქანცულმა მათი ცოდვები განწმინდა (რადგან არავის ძალუძს, ვენახი ჯაფისა და შრომის გარეშე დაბაროს). 3. თავად ხალხის ცოდვათა განმწმენდელმა მათ სიცოცხლის გზები უჩვენა (ფს. 15.11; იგავ. 16.17), რჯული მიჰმადლა, რომელიც საკუთარი მამისგან მიიღო (ინ. 10.18; 12.49; 14.31; 15.10). ხომ ხედავ, - ამბობს, - რომ ისაა ხალხის უფალი, რომელმაც ყოველი ხელმწიფება საკუთარი მამისგან შეიწყნარა (მთ. 28.18; ეფეს. 1.20-23). 4. ისმინე, თუ რატომ იახლა უფალმა თანამზრახველად საკუთარი ძე და დიდებული ანგელოზები მონის მემკვიდრეობის თაობაზე. 5. დაუსაბამო[22] სულიწმინდა,

---

20 იგულისხმება მამა ღმერთი.

21 მოიაზრება მეორედ მოსვლამდე დარჩენილი დრო.

22 შდრ. τὸ πνεῦμα τὸ ἅγιον **τὸ προόν**... ხაზგასმულ ბერძნულ ტერმინს მოცე-

ყოველი ქმნილის შემოქმედი, ღმერთმა იმ სხეულში დაამკვიდრა, რომელიც ისათნოვა. ამრიგად, ეს სხეული, სადაც სულიწმინდამ დაივანა, სიწმინდესა და უბიწოებაში მავალი, კეთილად დაემორჩილა სულს[23] და საერთოდ არაფრით შეუბღალავს იგი. 6. შესაბამისად, ის[24], კეთილად და უბიწოდ მცხოვრები და სულთან თანადამაშვრალი და ყოველ საქმეში თანამოქმედი, ძლიერად და მამაცურად მიმოიქცეოდა, რადგან სულიწმინდასთან ერთობისთვის გამოირჩა, რომელმაც ამ სხეულის მეგზურობა ისათნოვა, რომ არ შებღალულიყო დედამიწაზე მყოფი სულიწმინდა[25]. 7. თანამზრახველად კი ძე და დიდებული ანგელოზები შეიწყნარა, ვინაიდან სულს უბიწოდ დამონებულ ამ სხეულს თავშესაფარად ჰქონოდა რამ ადგილი და მისი მორჩილების სასყიდელი დაკარგულად არ მიეჩნია, რათა მთელ სხეულს, აღმოჩენილს უმწიკვლოდ და შეუბღალავად, სადაც სულიწმინდა მკვიდრობდა, სასყიდელი მიეღო[26]. 8. ამ იგავის ახსნაც მიიღე“.

მულ შემთხვევაში „დაუსაბამოდ“ ვთარგმინით. იგი მყოფზე, არსებულზე უწინარესს ნიშნავს (წინდებული προ - უწინარესი; ὄν - მყოფი, არსებული). ინგლ. The holy, **pre-existent** Spirit... რუს. Дух Святой, **прежде сущий**...

23 იგულისხმება სულიწმინდა.

24 მოიაზრება სხეული, რომელშიც, წარმოდგენილი მოძღვრების თანახმად, სულიწმინდა დამკვიდრდა.

25 წარმოდგენილი სწავლება სულიწმინდის შესახებ შეუსაბამოა მართლმადიდებლურ მოძღვრებასთან, ვინაიდან საეკლესიო დოგმის თანახმად, კაცობრიობის გამოსახსნელად განკაცდა ყოვლადწმინდა სამების მეორე პირი, ძე ღმერთი, ხოლო ერმი ანგელოზისგან გებულობს, რომ განკაცების საიდუმლო სულიწმინდის ჰიპოსტასზე აღსრულა (შდრ. ***„დაუსაბამო სულიწმინდა, ყოველი ქმნილის შემოქმედი, ღმერთმა იმ სხეულში დაამკვიდრა, რომელიც ისათნოვა“.*** *Gr.* τὸ πνεῦμα τὸ ἅγιον τὸ προόν, τὸ κτίσαν πᾶσαν τὴν κτίσιν, κατῴκισεν ὁ θεὸς εἰς σάρκα ἣν ἠβούλετο. **῾Αλλη παραβολὴ ε. 59.(6).5).**

26 შდრ. Σύμβουλον οὖν ἔλαβε τὸν υἱὸν καὶ τοὺς ἀγγέλους τοὺς ἐνδόξους, ἵνα καὶ ἡ σὰρξ αὕτη, δουλεύσασα τῷ πνεύματι ἀμέμπτως, σχῇ τόπον τινὰ κατασκηνώσεως, καὶ μὴ δόξῃ τὸν μισθὸν τῆς δουλείας αὐτῆς ἀπολωλεκέναι: πᾶσα γὰρ σὰρξ ἀπολήμψεται μισθὸν ἡ εὑρεθεῖσα ἀμίαντος καὶ ἄσπιλος, ἐν ᾗ τὸ πνεῦμα τὸ ἅγιον κατῴκησεν. მოცემულ შემთხვევაში საუბარია იმის შესახებ, რომ სხეული, რომელშიც სულიწმინდა დამკვიდრდა, ღვთისთვის გაწეული სამსახურის გამო გარკვეულ სასყიდელს მიიღებს (შდრ. ***„შესაბამისად, ის, კეთილად და უბიწოდ მცხოვრები და სულთან თანადამაშვრალი და ყოველ საქმეში თანამოქმედი, გამოირჩა რა სულიწმინდასთან ერთობისთვის, ძლიერად და მამაცურად მიმოიქცეოდა...“*** Gr.: πολιτευσαμένην οὖν αὐτὴν καλῶς καὶ ᾽γνῶς καὶ συνκοπιάσασαν τῷ πνεύματι καὶ συνεργήσασαν ἐν παντὶ πράγματι, ἰσχυρῶς καὶ ἀνδρείως ἀναστραφεῖσαν, μετὰ τοῦ πνεύματος τοῦ ᾽γίου εἴλατο κοινωνόν: **῾Αλλη παραβολὴ ε.** 59.(6).6). საეკლესიო სწავლების თანახმად, განკაცების საიდუმლო აღსრულდა მაშინ, როდესაც ყოვლადწმინდა სამების მეორე პირმა, ძე ღმერთმა, მარადისქალწულ მარიამისგან ჭეშმარიტად ხორცი შეისხა და სრული ადამიანური ბუნება მიიღო. მიუხედავად ორი ბუნების შეერთებისა, პირი ერთია და ესაა სამების მეორე ჰიპოსტასი. შესაბამ-

60. (7).

1. ვეუბნები: „ვხაროზ, უფალო, ამ განმარტების მსმენელი“. მომიგებს: „ახლა კი ისმინე. ეს შენი სხეული წმინდად და შეუბღალავად დაიცავი, რომ სულმა, რომელიც მასში დამკვიდრდა, მასზე დაამოწმოს და გამართლდეს შენი სხეული. 2. ეკრძალე, არასოდეს აღიწიოს შენს გულში [აზრი], რომ სხეული შენი არის გახრწნადი და რაიმე ბიწით შებღალავ მას[27]. რაჟამს შენს სხეულს წაბილწავ, წმინდა სულიც შეირყვნება და უკეთუ სხეულს წაახდენ, ვეღარ ცხონდები“. 3. ვეკითხები: „უფალო, უწინარეს ამ სიტყვების მოსმენისა, თუკი მავანი უმეცარი იყო, საკუთარი სხეულის წამბილწავი ადამიანი როგორღა ცხონდება?“ „ადრინდელი უმეცრებების გამო, - ამბობს, - ოდენ ღმერთს ძალუძს კურნება მიანიჭოს, რადგან მისია ყოველი ხელმწიფება. 4. მაგრამ ამიერიდან დაიცავი და მარადმოწყალე უფალი უწამლებს მათ, უკეთუ მომავალში არ წაბილწავ შენს სხეულსა და სულს, რადგან ორივენი ზიარნი არიან და არ შეიძლება, ერთი შეირყვნას მეორის გარეშე. ამრიგად, სიწმინდე დაიცავი და ღმერთთან იცოცხლებ“.

იგავი VI

61.(1).

1. ჩემს სახლში ვიჯექი და ღმერთს ვადიდებდი ყველაფრის გამო, რაც მინახავს, და მცნებების შესახებ ვმსჯელობდი, რადგან სათნონი, ძლიერნი, მხიარულნი, დიდებულნი არიან და ადამიანის სულის ხსნა ხელეწიფებათ (იაკობ. 1.21). ჩემს თავს ამას ვეუბნებოდი: „ნეტარი ვიქნები, რაჟამს ამ მცნებებში ვისრბოლებ, და ბედნიერია, ვინც მათ შეუდგება“ (ფს. 1. 1-2; 118.1). 2. ვიდრე ამას ვეზრახებოდი საკუთარ თავს, ვხედავ, მოულოდნელად ჩემ გვერდით მწყემსი ჩამოჯდა და ამბობს: „რატომ ორჭოფობ მცნებების გამო, რომლებიც დაგავალე? სათნონი არიან ისინი. საერთოდ არ დაეჭვდე, არამედ უფლის რწმენა შეიმოსე და მათში ისრბოლებ, რადგან მე განგამტკიცებ. 3. სასარგებლოა ეს მცნებები სინანულის მსურველთათვის; ფუჭია სინანული, უკეთუ მათ არ აღასრულებენ. 4. მონანულებმა ამა საუკუნის წარმწყმედელი უკეთურებანი მოირიდეთ; ყოველგვარი სიმართლის სათნოებაში შემოსილებს კი ძალგიძთ, ეს მცნებები დაიცვათ და ნურც თქვენს შეცოდებებს გაამრავლებთ. ჩემს მცნებებში ისრბოლეთ და ღმერთში

ისად, ეკლესიისთვის უცხოა ღვთის მიერ საკუთრივ მისივე სხეულისთვის, როგორც დამოუკიდებელი პირისადმი, რაიმე სახის სასყიდლის მინიჭების შესახებ მოძღვრება მისგან (ანუ სხეულისგან) ღვთისთვის გაწეული სამსახურის გამო.

27 შდრ. βλέπε, μήποτέ σου ἐπὶ τὴν καρδίαν ἀναβῇ τὴν σάρκα σου ταύτην φθαρτὴν εἶναι καὶ παραχρήσῃ αὐτῇ ἐν μιασμῷ τινι. იგულისხმება, რომ ერმს არ უნდა მიაჩნდეს, თითქოს გარდაცვალებით მისი სხეული საბოლოოდ დაასრულებს არსებობას და ამიტომაც შესაძლებელია, ვნებებით ტკბობას მიეცეს.

იცოცხლებთ. ამ ყოველივეს მე გეუბნებით თქვენ“. 5. მას შემდეგ, რაც ასე მომმართა, ამბობს: „ველად წავიდეთ და ცხვართა მწყემსებს გიჩვენებ“. მივუგე: „წავიდეთ, უფალო“. ერთ-ერთ დაბლობზე გავედით და ყვითელი ფერის ნაქსოვი სამოსით მოსილ ახალგაზრდა მწყემსზე მიმითითა. 6. ძალზედ ბევრ ცხვარს აბალახებდა. ეს ცხვრები თითქოს იშვებდნენ, ფრიად ნებივრობდნენ და მხიარულნი ხტუნავდნენ აქეთ და იქით. თავად მწყემსიც ძლიერ გახარებული იყო საკუთარი სამწყსოთი. იგი თავისი გარეგნობით დიდად მოხარული ჩანდა და ცხვრებს შორის მიმორბოდა. ერთ ადგილზე სხვა ნებიერა და მხიარული ცხვრებიც ვიხილე, თუმცა არ დახტოდნენ.

62.(2).

1. მეუბნება მე: „ხედავ ამ მწყემსს?“ მივუგე: „ვხედავ, უფალო“. „ის, - ამბობს, - შვებისა და სიცრუის ანგელოზია. წარხოცავს ღვთის მონათა სულებს და ჭეშმარიტებისგან გადააცდენს მათ, ატყუებს რა უკეთური სურვილებით, რითიც წარწყმედს; 2. ცხოველი ღმერთის მცნებებს ივიწყებენ, სიცრუითა და ამაო განცხრომით სრბოლობენ და იღუპებიან ამ ანგელოზის მიერ, ზოგი სასიკვდილოდ, სხვანი კი გასახრწნელად“. 3. ვეუბნები მას: „უფალო, ვერ გავიგე, რას ნიშნავს სასიკვდილოდ და რას - გასახრწნელად“. „ისმინე, - მომიგებს, - ცხვრები, რომლებიც იხილე, რომ უხაროდათ და ხტუნავდნენ, ისინი არიან, ვინც ბოლომდე განუდგა ღმერთს და ამა საუკუნის ზრახვებს გადასცა საკუთარი თავი. ამრიგად, აღარაა მათში ცხოველი სინანული, რადგან თავიანთი შეცოდებანი ამრავლეს და დაგმეს უფლის სახელი. სწორედ ესაა სიკვდილი. 4. ხოლო ცხვრები, რომლებიც იხილე, რომ არათუ დახტოდნენ, არამედ ერთ ადგილზე ბალახობდნენ, ისინი არიან, ვინც საკუთარი თავი შვებასა და სიცრუეს გადასცა, მაგრამ უფალი არ დაუგმია. ასეთნი გახრწნილი არიან სიმართლისთვის, მაგრამ არის მათში იმედი სინანულისა, რომელსაც გადარჩენა ხელეწიფება. ხრწნილებაში არის რამ იმედი განახლებისა, ხოლო სიკვდილი კი საუკუნო წარწყმედის მფლობელია“. 5. კვლავ გავიარეთ მცირედი და თხის თეთრი ტყავით გარშემორტყმული დიდი მწყემსი მიჩვენა, თითქოს ველური გარეგნობის. აბგა ჰქონდა მხარზე, ხელში ფრიად მძიმე, დატოტილი კვერთხი და დიდი მათრახი ეჭირა. ისეთი დამწუხრებული გარეგნობა ჰქონდა, რომ შემეშინდა მისი. ასეთი შესახედაობისა იყო. 6. ეს მწყემსი ახალგაზრდა მწყემსისგან იწყნარებდა ნებიერა და განცხრომილ ცხვრებს, რომლებიც არ დახტოდნენ, და რომელიღაც ციცაბო, ეკლიანი და ნარშავიანი ადგილისკენ მიერეკებოდა მათ, ამიტომაც ცხვრებს ეკლებისა და ნარშავებისგან არ ძალუძდათ დახსნილიყვნენ და ებმებოდნენ მათში. 7. ამრიგად, ბალახობისას ეკლებსა და ნარშავებს შორის გაბმულნი ფრიად იტანჯებოდნენ, მწყემსისგან გალახულნი. აქედანაც და იქიდანაც უვლიდა, მოსვენებას არ აძლევდა მათ და საერთოდ არ აჩერებდა ამ ცხვრებს.

63.(3).

1. ვიხილე რა ისინი ამგვარად გამათრახებულნი და გატანჯულნი, მათზე ვდარდობდი, რადგან ასე იტანჯებოდნენ და განსვენება საერთოდ არ გააჩნდათ. 2. ჩემთან მოსაუბრე მწყემსს ვეკითხები: „უფალო, ვინ არის ეს მწყემსი, რომელიც ასეთი უმოწყალო და მრისხანეა და ამ ცხვრებს საერთოდ არ იბრალებს?“ „იგი, - მომიგებს, - შურისგების ანგელოზია, მართალ ანგელოზთაგანაა, ხოლო დადგენილია შურისგებისთვის. 3. ის ღმერთისგან განდგომილებს და ამა საუკუნის სურვილებითა და სიცრუით მოგზაურთ იწყნარებს და ისე სჯის მათ, როგორც ღირსია მავანი, საშინელი და სხვადასხვა შურისგებით“. 4. ვეუბნები: „უფალო, მსურს ვიცოდე, თუ როგორია ეს მრავალგვარი შურისგება“. „ისმინე, - ამბობს, - სხვადასხვა ტანჯვისა და შურისგების შესახებ. ცხოვრებისეულნი არიან ტანჯვანი[28]: ზოგიერთი დანაკარგით ისჯება, სხვანი - სიღარიბით, ნაწილი - სხვადასხვა უძლურებით, მავანი - გამუდმებული შფოთით, ზოგიერთი უღირსთაგანაა შეურაცხყოფილი და მრავალი სხვა საქმის დამთმენია. 5. მრავალი, საკუთარ სურვილებში დაუდგრომელი, ბევრს ტვირთულობს, თუმცა საერთოდ ვერაფერში წარემატება მათგან; და საკუთარ თავთან მსჯელობენ, რომ ვერ კმაყოფილდებიან თავიანთ საქმეებში, არც აღწევნილა მათ გულზე, უკეთურებას რომ იქმოდნენ, არამედ უფალს ადანაშაულებენ[29]. 6. რაჟამს მრავალი შეჭირვებით განიკითხებიან, მაშინ კეთილად განსწავლისთვის მე გადმომეცემიან და გაძლიერდებიან უფლის რწმენაში, ხოლო თავიანთი ცხოვრების დარჩენილ დღეებს სუფთა გულით უფალს დაემონებიან (ფს. 51.10). ამრიგად, როცა შეინანებენ, მაშინ აღიწევა მათ გულებზე უკეთური საქმენი, რასაც იქმოდნენ, და მაშინ განადიდებენ ღმერთს, რადგან სამართლიანი მსაჯულია (ფს. 7.12; II მაკაბ. 12.5; II ტიმ. 4.8) და სიმართლით განსჯის ყველას, თითოეულს თავისი საქმისამებრ (მთ. 16.27; აპოკალ. 2.23; ფს. 61.13). მომავალში კი სუფთა გულით უფალს დაემონებიან და წარემატებიან თავიანთ ყველა საქმეში და რასაც ითხოვენ უფლისგან, ყოველივეს მიიღებენ (მთ. 21.22; I იო. 3.22). და განადიდებენ მაშინ ღმერთს, რომ მე გადმომეცნენ, და მეტად აღარც განიკითხებიან უკეთურებათა გამო“.

64.(4).

1. ვეუბნები მას: „უფალო, ესეც განმიმარტე“. მომიგებს: „რა გაინტერ-

---

28 *Gr.* βιωτικαί εἰσι βάσανοι. ცხოვრებისეულ ტანჯვაში წუთისოფლად ადამიანზე მოწევნადი განსაცდელები მოიაზრება.

29 შდრ. καὶ λέγουσιν ἑαυτοὺς μὴ εὐοδοῦσθαι ἐν ταῖς πράξεσιν αὐτῶν, καὶ οὐκ ἀναβαίνει ἐπὶ τὴν καρδίαν αὐτῶν ὅτι ἔπραξαν πονηρὰ ἔργα ἀλλ᾽ αἰτιῶνται τόν κύριον. იგულისხმება, რომ ასეთი ადამიანის გული აღსრულებული უკეთურებების გამო სინანულს არ განიცდის, ხოლო წარუმატებლობაში ღმერთს ადანაშაულებს.

ესებს?“ „უფალო, ნუთუ იმდენ ხანს იტანჯებიან შვებითა და ტყუილით მცხოვრებნი, რაც შვებასა და სიცრუეში გაატარეს?“ ამბობს: „ეს დრო დაიტანჯებიან“. 2. ვპასუხობ: „უფალო, ნუთუ უმნიშვნელოდ განიკითხებიან? რადგან საჭიროა, ამგვარად განცხრომილნი და ღვთის დამვიწყებელნი შვიდწილად დაისაჯონ“. 3. ამბობს: „უგუნური ხარ და ვერც კი ხვდები ტანჯვის ძალას“. ვეუბნები: „თუკი გავიგებდი, უფალო, აღარც გკითხავდი, რომ გაგეცხადებინა ჩემთვის“. „ისმინე, - მომიგებს, - ორივეს ძალის შესახებ. 4. შვებისა და სიცრუის დრო ერთი საათია, ხოლო სასჯელის საათს ოცდაათი დღის ძალა აქვს. თუკი ვინმე ერთი დღე იშვებდა და ცრუობდა, ერთი დღე დაისჯება, მაგრამ სასჯელის დღეს მთელი წლის ძალა აქვს. რამდენ დღესაც ისიამოვნებს მავანი, იმდენ წელს დაიტანჯება. ხომ ხედავ, - ამბობს, - სიამოვნებისა და სიცრუის დრო ძალზედ მცირეა, ხოლო შურისგებისა და სასჯელისა კი - მრავალრიცხოვანი“[30].

65.(5).

1. „უფალო, - ვეუბნები, - საერთოდ ვერაფერს ვხვდები სიცრუის, სიამოვნებისა და ტანჯვის დროის შესახებ, უფრო ცხადად განმიმარტე“. 2. მპასუხობს და მეუბნება მე: „ხანგრძლივია (παράμονός) შენი უგუნურება და არ გსურს, რომ გული შენი განიწმინდო და უფალს ემონო. ეკრძალე, - ამბობს, - რომ ჟამი არ განსრულდეს და შენ კი უგუნური არ აღმოჩნდე. მაშ ასე, ისმინე და გაიგე ისე, როგორც მოგსურვებია. 3. ვინც ერთი დღე იშვებდა თუ ცრუობდა და რასაც იზრახავდა, იმას აღასრულებდა, ფრიადი სიშლეგით შემოსილა და ვერ იმეცნებს საქმეს, რომელსაც მოქმედებს, ივიწყებს რა ხვალამდე, თუ რას იქმოდა ერთი [დღის] წინ, რადგან სიამოვნებასა და ტყუილს უგუნურების გამო, რაშიც იმოსება, მოსაგონარი არ გააჩნია, ხოლო როცა ადამიანს ერთი დღის შურისგება და სასჯელი მიეახლება, წლის მანძილზე სჯის და სტანჯავს, რამეთუ დიდი ხსოვნა აქვს მას. 4. ამრიგად, მთელი წლის მანძილზე ტანჯული და დასჯილი, რაჟამს შვებასა და ტყუილს იხსენებს, ხვდება, რომ ამ უკეთურებათა გამო განიკითხება. ყველა განცხრომილი და მტყუარი ადამიანი ამგვარად დაისჯება, რადგან სიცოცხლის მფლობელებმა საკუთარი თავი სიკვდილს გადასცეს“. 5. შევეკითხე: უფალო, როგორი შვებაა დამღუპველი?“ „ნებისმიერი საქმე, - მომიგებს, - შვებაა ადამიანისთვის, რაჟამს სიამოვნებით ასრულებს მას, რადგან აღგზნებულიც (ὁ ὀξύχολος) საკუთარი ვნებით არამცირედი განცხრომით მოქ-

30 მოცემულ შემთხვევაში საუბარია ადამიანის მიერ აღსრულებული შეცოდებების წილ სიცოცხლეშივე მოწევნად განსაცდელებზე. ანგელოზი ერმს განუმარტავს, რომ შვებისა და სიამოვნებისას განცდილი კმაყოფილება მსწრაფლწარმავალია, ხოლო იმავე დროის მანძილზე გადატანილი სასჯელი წარუშლელ უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანზე.

მედებს. მრუში, მემთვრალე, ავმეტყველი, მატყუარა, ანგარი თუ მძარცველი და მათ მსგავსად მქმნელი თავის უკეთურებას საკმარისად აღასრულებს და სწორედაც რომ ტკბება საკუთარი საქმით. 6. ყველა ეს შვება დამღუპველია ღვთის მონათათვის. ამრიგად, დასჯილნი და ტანჯულნი ამ საცთურთა გამო განიკითხებიან. 7. მაგრამ არის შვება, რომელიც იხსნის ადამიანს, რადგან მრავალი, ვინც სიკეთეს იქმს, საკუთარ თავს შვებას სიამოვნებით ანიჭებს. ასე რომ, ეს შვება სასარგებლოა ღვთის მონათათვის და სიცოცხლეს ანიჭებს ამ ადამიანს. წინარეგანცხადებული დამღუპველი განცხრომანი კი სასჯელსა და შურისგებას შემოიკრებენ. ხოლო ვინც შეყოვნდება და არ შეინანებს, საკუთარ თავს სიკვდილს მიაახლებს“.

იგავი VII

66.

1. რამდენიმე დღის შემდეგ იმ დაბლობზე ვიხილე იგი, სადაც მწყემსებიც მენახა, და მეუბნება: „რას ეძიებ?“ „უფალო, - ვპასუხობ, - მოვედი, რომ შურისგების მწყემსს ჩემი სახლიდან წასვლა უბრძანო, რადგან ძლიერ მტანჯავს მე“. მომიგებს: „უნდა დაისაჯო, ასე ბრძანა შენ შესახებ დიდებულმა ანგელოზმა, ჰსურს რა შენი გამოცდა“. ვუთხარი: „უფალო, ასეთი რა უკეთურება აღვასრულე, რომ იმ ანგელოზს მიმაბარეს?“ 2. „ისმინე. - ამბობს, - მრავალია შენი შეცოდება, თუმცა არა ეგზომ ფრიადი, რომ ამ ანგელოზს გადასცემოდი, მაგრამ დიდი ცოდვა და ურჯულოება შენმა სახლეულმა აღასრულა. დიდებული ანგელოზი კი განრისხებულია მათი საქმეებით და ამიტომაც ბრძანებს შენ დასჯას გარკვეული დროით, რათა მათ შეინანონ და ამა საუკუნის ყოველგვარი სურვილისგან განიწმინდონ საკუთარი თავი. ამრიგად, რაჟამს მოინანიებენ და განსპეტაკდებიან, მაშინ გაგერიდება შურისგების ანგელოზი“. 3. ვეუბნები მას: „უფალო, თუკი ისინი აღასრულებდნენ იმას, რამაც დიდებული ანგელოზი განარისხა, მე რა გავაკეთე?“. მომიგებს: „წარმოუდგენელია, ისინი სხვაგვარად დაისაჯონ, თუკი შენ, ოჯახის თავი, არ განიკითხე, რადგან შენი ტანჯვით გარდაუვალად ისინიც იტანჯებიან, ხოლო შენი განსვენებით კი შეუძლებელია რაიმე მწუხარების განკუთვნა“. 4. „მაგრამ აჰა, უფალო, - ვპასუხობ, - მთელი თავიანთი გულით შეინანეს“. „ვიცი, - ამბობს, - რომ მთელი გულით მოინანიეს. ნუთუ გგონია, რომ მონანულებს შეცოდებანი მყისვე მიეტევებათ? ერთიანად არა, რადგან საჭიროა, მონანულმა ტანჯოს საკუთარი სული, ყოველ საქმეში ძლიერ დამდაბლდეს და ივნოს მრავალი და განსხვავებული სასჯელით. რაჟამს მასზე მოწევნად სასჯელებს დაითმენს, ყოვლისშემოქმედი (ეფეს. 3.9; ფს. 67.29) და განმაძლიერებელი უეჭველად შეიბრალებს და კურნებას მიჰმადლებს მას. 5. ესეც, უდაოდ, როდესაც იხილავს ყოველი უკეთური საქმისგან განწმენდილ მონანულის გულს. შენ და შენი სახლეული კი კარგია ახლა დაისაჯოთ, მაგარამ რაღა გითხრა მეტი? უნდა იტანჯო,

როგორც ბრძანა უფლის იმ ანგელოზმა, ვინც შენი თავი მე გადმომცა. ამისთვისაც მადლობდე უფალს, რომ მწუხარების გაცხადების ღირსი გაგხადა, რადგან წინასწარმცოდნემ მამაცურად აიტანო იგი“. 6. ვეუბნები: „უფალო, ჩემთან ერთად იყავი და ძალმიძს, ყოველგვარი შეჭირვება ვიტვირთო“. „მე, - ამბობს, - შენთან ერთად ვიქნები. შურისგების ანგელოზსაც შევევედრები, რომ შენ უმსუბუქესად[31] დაგსაჯოს. მცირე დროით განიკითხები და კვლავ შენს სახლეულს დაუბრუნდები. მხოლოდ სიმდაბლე შეინარჩუნე, უფალ ღმერთს სუფთა გულით ემსახურე შენი შვილებითა და შენი სახლეულით, ჩემს მცნებებში ისრბოლე, რომლებიც შენ გაუწყე, და ძალუძს შენს სინანულს, იყოს წმინდა და ძლიერი. 7. რაჟამს ამას დაიცავ შენს სახლეულთან ერთად, ყოველგვარი შეჭირვება განილტვის შენგან. და ყველას განეშორება მწუხარება, ვინც კი ჩემს მცნებებში ისრბოლებს.

იგავი VIII

67.(1).

1. მიჩვენა მე დიდი ტირიფი, რომელიც მთასა და ბარს ფარავდა. ყველა, უფლის სახელით მოწოდებული, ტირიფის საფარქვეშ იკრიბებოდა. 2. ტირიფთან ფრიად მაღალი, უფლის დიდებული ანგელოზი იდგა, დიდი ნამგალი ჰქონდა, ტირიფს ტოტებს ათლიდა და ტირიფქვეშ თავშეფარებულ ხალხს აწვდიდა. პატარა რტოებს გადასცემდა მათ, დაახლოებით მტკაველის ზომისას. 3. ანგელოზმა მას შემდეგ, რაც რტოები ყველას მიაწოდა, ნამგალი დადო, ის ხე კი მთელი იყო, როგორც მენახა. 4. მე გავოცდი, საკუთარ თავთან ვმსჯელობდი: „ხეს ამდენი ტოტი მოეკვეთა, როგორაა მთელი?“ მწყემსი მეუბნება: „ნუ გიკვირს, რომ ეს ხე, ეგზომ ტოტებმოკვეთილი, ჯანსაღი დარჩა. მოითმინე, - ამბობს, - ხოლო რაჟამს ყველაფერს ნახავ, გეუწყება შენ, თუ რა არის“. 5. ხალხისთვის რტოთა მიმწოდებელმა ანგელოზმა უკან მოითხოვა ისინი. როგორც მიეღოთ, ასევე მოიხმობოდნენ მასთან. თითოეული მათგანი რტოს უბრუნებდა; უფლის ანგელოზი კი ჩამოართმევდა და აკვირდებოდა მათ. 6. ზოგიერთისგან გამხმარი და თითქოს ჩრჩილისგან გამოხრული რტოები დაიბრუნა. ანგელოზმა ამ რტოთა მიმწოდებლებს ცალკე განთავსება უბრძანა. 7. სხვები ხმელ [ტოტებს] აძლევდნენ, მაგრამ არ იყვნენ ჩრჩილისგან დაზიანებულნი. მათაც განცალკევებით დადგომა განუწესა. 8. სხვანი ნახევრად ხმელს გადასცემდნენ. ისინიც განმარტოებით დგებოდნენ. 9. ნაწილი სანახევროდ გამხმარ და ბზარების მქონე რტოებს აწვდიდა. მათაც განმხოლოება დაევალა. 10. სხვები მწვანე ტოტებს აბრუნებდნენ, მაგრამ ბზარები ჰქონდათ. ისინიც მოშორებით დააყენეს. 11. ნაწილი სანახევროდ ხმელსა და ნახევრად მწვანე

---

31 *Gr. ἐλαφροτέρως.*

რტოებს აძლევდა. მათაც განმარტოება განეწესა. 12. სხვებმა თავიანთი ტოტები მოიტანეს. გამწვანებული იყო რტოს მეორედი ნაწილი, ხოლო მესამედი კი - ხმელი. ისინიც ცალკე განთავსდნენ. 13. სხვები კი მეორედი ნაწილით ხმელს, ხოლო მესამედით მწვანეს აწვდიდნენ. მათაც განმარტოება განეწესა. 14. ნაწილი თავის ტოტებს თითქმის მთლიანად მწვანეს გადასცემდა, მხოლოდ მცირედი, ტოტის უმნიშვნელო [ნაწილი] იყო გამხმარი, მისი კენწერო, მაგრამ ბზარები ჰქონდა მათ. ისინიც განზე გადგნენ. 15. სხვების მცირედით მწვანე იყო, ხოლო დანარჩენი ნაწილი ტოტებისა კი ხმელი. მათაც ცალკე აყენებდნენ. 16. სხვები მოდიდოდნენ და მწვანე ტოტები ისე მოჰქონდათ, როგორც ანგელოზისგან შეეწყნარებინათ. ხალხის უდიდესი ნაწილი ასეთ ტოტებს აბრუნებდა. ძლიერ ხარობდა ანგელოზი მათ გამო. ცალკე განაწესეს ისინი. 17. ნაწილი მწვანესა და კვირტების მქონე ტოტებს აწვდიდა. ისინიც მოშორებით დააყენეს. მათ გამოც ფრიად მხიარულობდა ანგელოზი. 18. სხვები მწვანე და კვირტების მქონე რტოებს გადასცემდნენ, ხოლო მათ კვირტებს კი თითქოს რამ ნაყოფი ჰქონდა. ამ ადამიანებს, რომლებიც ასეთი ტოტებით წარმოჩინდნენ, ძლიერ უხაროდათ; ანგელოზიც მხიარულობდა. მწყემსიც მათთან ერთად ფრიად გახალისებული იყო.

68.(2).

1. უფლის ანგელოზმა გვირგვინების მოტანა ბრძანა. გვირგვინები მიართვეს, თითქოს პალმის ფოთლებისგან დაემზადებინათ, და იმ ადამიანებს დაადგა, რომლებმაც კვირტისა და ნაყოფის მქონე ტოტები გადასცეს. კოშკისკენ გააგზავნა ისინი. 2. სხვებიც, ვინც კვირტებიან, მაგრამ უნაყოფო ტოტებს აბრუნებდა, კოშკისკენ გაისტუმრა. მათ ბეჭედი მისცა[32]. 3. ყველას, ვინც კი კოშკისკენ მიემართებოდა, ისეთი თეთრი სამოსელი ჰქონდა, როგორც თოვლი. 4. ისინიც განუტევა, რომლებმაც ისეთივე მწვანე ტოტები დააბრუნეს, როგორიც მიიღეს. თეთრი სამოსი და ბეჭედი გადასცა მათ. 5. ამის დასრულების შემდეგ ანგელოზი მწყემსს ეუბნება: „მე წავალ, შენ კი ისინი კედლებთან მიუშვი, რომ სადაც ღირსია, იქ დამკვიდრდეს მავანი. გულმოდგინედ დააკვირდი მათ ტოტებს და ასე გაისტუმრე. ყურადღებით მოიხილე, უყურე, რომ არავინ გაგცდეს, ხოლო თუკი ვინმე ჩაგივლის, - ამბობს, - მე გამოვცდი მათ საკურთხეველთან“. მწყემსს ეს უთხრა და გაგვშორდა. 6. ანგელოზის წასვლის შემდეგ მწყემსი მეუბნება: „ტოტები ყველას გამოვართვათ და დავრგოთ ისინი, თუ ძალუძს მათგან რომელიმეს იცოცხლოს“. ვპასუხობ: „უფალო, ამ გამხმართ როგორღა ძალუძთ

---

32 ***Gr***. **δοὺς αὐτοῖς σφραγῖδα.** ბეჭდის მიცემაში ნათლისღების საიდუმლოს აღსრულება იგულისხმება (იხ. Sources Chrétiennes; Hermas le Pasteur. Paris, 1968; p. 264, nt. 1).

სიცოცხლე?“ 7. მომიგებს და მეუბნება მე: „ეს ხე ტირიფია და სიცოცხლისმოყვარე ჯიშისაა[33]. ამრიგად, რაჟამს დავრგავთ და ტოტები მცირე ტენიანობას მიიღებენ, მათგან მრავალი გაცოცხლდება. შემდეგ ვეცადოთ და წყლით მოვრწყათ ისინი. უკეთუ რომელიმე მათგანს ხელეწიფება სიცოცხლე, გავიხარებ მათით, ხოლო თუკი არ იცოცხლებენ, არ გამოვჩნდები მე უზრუნველი“. 8. მწყემსმა მათი ხმობა ისე მიბრძანა, როგორც იდგა მავანი. მწყობრი-მწყობრ მოდიოდნენ და რტოებს მწყემსს გადასცემდნენ. მან რტოები მიიღო და მწყობრადვე დარგო ისინი. დარგვის შემდეგ წყალი მრავლად დაასხა, ისე რომ, აღარ ჩანდა ტოტები წყალში. 9. ტოტების მორწყვის შემდეგ მეუბნება: „წავიდეთ, რამდენიმე დღის შემდეგ დავბრუნდეთ და თითოეული ეს ტოტი მოვიხილოთ, რადგან ამ ხის შემოქმედს ყველას სიცოცხლე ჰსურს, ვინც ამ ხისაგან რტოები მიიღო. მეც ვიმედოვნებ, რომ დატენიანებული და წყლით დარწყულებული ტოტების უდიდესი ნაწილი იცოცხლებს“.

69.(3).

1. ვეუბნები მას: „უფალო, გამაგებინე მე, თუ რა არის ეს ხე, რადგან გაოცებული ვარ მის გამო, ამდენი ტოტი ჩამოჭრეს, ხე კი მთელია და არაფერი ეტყობა მას მოკვეთილი. ამით ვარ გაოგნებული“. 2. „ისმინე! - ამბობს, - ეს დიდი ხე, რომელიც მთასა და ბარს და მთელ დედამიწას ფარავს, მთელი სამყაროსთვის ბოძებული ღვთის რჯულია. ეს რჯული კი ძე ღვთისაა, რომელიც დედამიწის დასასრულამდეა ნაქადაგები. საფარქვეშ მყოფი ხალხი კი ისინი არიან, ვინც ქადაგება ისმინა და ირწმუნა იგი. 3. ხოლო დიდი და დიდებული ანგელოზი მიქაელია, რომელსაც აქვს ხელმწიფება ამ ხალხზე და განაგებს მათ, რადგან თავად ანიჭებს რჯულს მორწმუნეთა გულებს. ამრიგად, აკვირდება, ვისაც რჯული გადასცა, იცავენ თუ არა მას. 4. ხომ ხედავ თითოეულის ტოტს, ტოტებიც რჯულია. შეხედე რტოთაგან მრვალ უსარგებლოს და მიხვდები, რომ მათგან არავის დაუცავს რჯული. თითოეულის სამკვიდრებელსაც იხილავ“. 5. ვეუბნები მას: „უფალო, რატომ გაგზავნა ზოგიერთები კოშკისკენ, ხოლო ნაწილი კი შენთან დატოვა?“ მომიგებს: „ისინი, ვინც მისგან მიღებულ რჯულს გარდახდა, ჩემს ხელმწიფებაში რჩებიან სინანულისთვის; ხოლო ვინც უკვე აღასრულა რჯული და დაიმარხა იგი, ასეთები საკუთარი ხელმწიფების ქვეშ ჰყავს“. 6. შევეკითხე: „უფალო, გვირგვინოსანნი და კოშკისკენ მავალნი ვინ არიან?“ მომიგებს: „გვირგვინოსანნი ისინი არიან, რომლებმაც დემონის წინააღმდეგ იბრძოლეს და სძლიეს მას. რჯულისთვის ვნებულნი არიან ისინი[34].

---

33 *Gr*. **φiλόζωον τό γένος**.

34 იგულისხმებიან მოწამეები.

7. სხვები, რომლებიც მწვანესა და კვირტების მქონე ტოტებს აწვდიდნენ, მაგრამ ნაყოფი არ გააჩნდათ, რჯულის გამო დევნილნი არიან, არა ვნებულნი, მაგრამ არც თავიანთი რჯულის უარმყოფელნი[35]. 8. ხოლო ისინი, ვინც მწვანე [ტოტები] როგორიც მიიღო, ისეთივე დააბრუნა, უბიწონი და მართალნი არიან, ფრიად განწენდილი გულით მავალნი და ღვთის მცნებათა აღმსრულებელნი (ეკლეს. 12.13)[36]. დანარჩენს მაშინ გაიგებ, როდესაც ამ დარგულ და დარწყულებულ რტოებს მოვიხილავ“.

70.(4).

1. რამდენიმე დღის შემდეგ ადგილზე დავბრუნდით. მწყემსი დიდი ანგელოზის ალაგზე დაჯდა, მეც მასთან დავდექი და ამბობს: „ტილო შემოირტყი და მე მემსახურე“. ძაძის სუფთა ტილო მოვირტყი. 2. მიხილა რა მე წელშემოსარტყლული და მასთან მოსაგრეობისთვის მზადმყოფი, მეუბნება: „მამაკაცები, რომელთა ტოტებიც დარგულია, რიგისამებრ მოიხმე, როგორც გვაწვდიდა რტოებს მავანი“. დაბლობისკენ წავედი და ყველას მოვუწოდე. ისინი მწყობრში ჩადგნენ. 3. ეუბნება მათ: „თითოეულმა თავისი ტოტები იპყრას და ჩემთან მოიტანოს“. 4. პირველად მოსულებს, რომლებსაც საკუთარი [რტოები] გამხმარი და გამოხრული გადაეცათ, კვლავაც ისეთივე გამხმარნი და გამოხრულნი აღმოაჩნდათ. მათ ცალკე დადგომა უბრძანა. 5. შემდეგ ის ტოტები მიაწოდეს, რომლებიც ხმელი, მაგრამ გამოუხრავი იყო. ზოგიერთი მათგანი მწვანე რტოებს აბრუნებდა, ხოლო ნაწილი გამხმარსა და თითქოს ჩრჩილისგან დაზიანებულს აწვდიდა. მწვანე რტოების მიმწოდებლებს განცალკევებით დგომა უბრძანა, ხოლო ხმელისა და გამოხრულის დამბრუნებლებს პირველებთან ერთად განთავსება მოსთხოვა. 6. შემდეგ ის [რტოები] მიართვეს, რომელნიც გამხმარი და ბზარების მქონენი იყვნენ. მრავალი მათგანი მწვანესა და ბზარების არმქონეს აბრუნებდა. ზოგიერთები მწვანესა და ყლორტებიანს და ყლორტებთან ნაყოფის მქონე [ტოტებს] აწვდიდნენ, როგორც კოშკისკენ მიმავალ გვირგვინოსნებს ჰქონდათ. ვიღაცეები ხმელებსა და გამოხრულთ აბრუნებდნენ, ხოლო ნაწილი - გამხმარსა და გამოუხრავს, ზოგიერთებს ნახევრად გამხმარი და დაბზარული მიჰქონ-

---

35 წინარე შემთხვევისგან განსხვავებით, ამჯერად მითითებაა იმ ადამიანებზე, რომლებსაც ღვთის მცნებათა ერთგულების გამო დევნის და შეაჭირვებს წუთისოფელი, თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ისინი მადლიერებით ერთგულებენ უფალს (შდრ. ***„ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდენ და გდევნიდენ და თქუან ყოველი სიტყვაჲ ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუვით ჩემთჳს. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა, რამეთუ ეგრეთვე დევნნეს წინაწარმეტყუელნი უწინარეს თქუენსა“***. მთ. 5. 11-12).

36 ამჯერად მოიაზრებიან ისინი, რომლებიც ღვთის მცნებებისამებრ ცხოვრობენ, მაგრამ წინარე ორი შემთხვევისგან განსხვავებით, რჯულის მიზეზით მოწამეობრივი აღსასრული ან დევნა არ განუცდიათ.

დათ. უბრძანა, რომ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე, საკუთარ რიგებში ჩამდგარიყო.

71.(5).

1. შემდეგ იმათ მიართვეს, რომელთაც მწვანე, მაგრამ დაბზარული ტოტები ჰქონდათ[37]. ყველა ისინი მწვანე [რტოებს] იძლეოდნენ და თავიანთ რიგში დგებოდნენ. უხაროდა მწყემსს მათ გამო, რომ ყველანი შეიცვალნენ და აღხოცილიყო მათი ბზარები. 2. ისინიც აწვდიდნენ, რომელთაც ნახევრად მწვანე, მაგრამ სანახევროდ ხმელი [ტოტები] ჰქონდათ. ზოგიერთების რტოები ყოვლითურთ აყვავებული აღმოჩნდა, ნაწილის - სანახევროდ ხმელი, ვიღაცეების - ხმელი და გამოხრული, სხვებს მწვანე და ყლორტიანი [რტოები] ჰქონდათ. ყველანი სათითაოდ მიემართებოდნენ თავიანთი რიგებისკენ. 3. შემდეგ ისინი აბრუნებდნენ, რომელთაც მეორედი ნაწილი მწვანე, ხოლო მესამედი გამხმარი ჰქონდათ. მათგან მრავალმა მწვანე დააბრუნა, ბევრმა - ნახევრად ხმელი, სხვებმა - ხმელი და გამოხრული. ყველანი თავიანთი რიგებისკენ იგზავნებოდნენ. 4. სხვები, ვისაც თავისი ტოტები მეორედი ნაწილით ხმელი, ხოლო მესამედით მწვანე მიეწოდებინა, მრავალი მათგანი სანახევროდ გამხმარს, ვიღაცეები ხმელსა და გამოხრულს, კიდევ სხვანი ნახევრად ხმელსა და ბზარის მქონე ტოტებს აბრუნებდნენ, მცირე რაოდენობა გამწვანებულებს გადასცემდა. ყველა ისინი საკუთარ რიგში დგებოდნენ. 5. მწვანე, მაგრამ მცირედი [ნაწილით] გამხმარი და ბზარის მქონე ტოტების მიმწოდებელთაგან ზოგი მწვანეს, ვიღაცეები მწვანესა და ყლორტის მქონეს აბრუნებდნენ. ისინიც თავიანთი რიგებისკენ მიემართებოდნენ. 6. შემდეგ იმათაც დააბრუნეს, რომელთაც ოდნავ გამწვანებული, ხოლო დანარჩენი ნაწილით ხმელი [რტოები] ჰქონდათ. მათი ტოტების უდიდესი ნაწილი გამწვანებული, ყლორტის მქონე და ნაყოფიერი აღმოჩნდა, სხვები მთლიანად მწვანე იყო. დიდად ხარობდა მწყემსი მათი ტოტების გამო, რადგან ამგვარად წარმოჩინდნენ. ისინიც სათითაოდ საკუთარი რიგისკენ მიემართებოდნენ.

72.(6).

1. მწყემსი, მას შემდეგ, რაც ყველა ტოტი მოიხილა, ამბობს: „გეუბნებოდი შენ, რომ ეს ხე სიცოცხლისმოყვარეა. ხედავ, რამდენმა შეინანა და გადარჩა?“ ვპასუხობ: „ვხედავ უფალო“. ამბობს: „უფლის მრავალმოწყალებას უმზირე, როგორი დიდი და დიდებულია, და სული მიჰმადლა სინანუ-

37 იგულისხმება ხალხი, რომელმაც თავიდან მწვანე და დაბზარული ტოტები დაუბრუნა მწყემსს და სწორედ ამიტომ მიეცათ მათ გარკვეული ჟამი გამოსასწორებლად.

ლის ღირსებს“[38]. 2. „უფალო, - ვეკითხები, - რატომ ყველამ არ შეინანა?“ მომიგებს: „ვისაც იხილავს უფალი, რომ მოსურნეა გულის განწმენდისა და მთელი გულით მას დაემონება, ეგევითარს უწყალობებს სინანულს, ხოლო თუკი მზაკვარობით, უკეთურებითა და ცბიერებით მონანიების მზრახველთ დაინახავს, არ ანიჭებს ასეთებს სინანულს, რომ კვლავ არ შეურაცხჰყონ მისი სახელი“. 3. ვეუბნები მას: „უფალო, ახლა უკანდაბრუნებული ტოტები განმიმარტე, თუ ვინ არიან ისინი და [სადაა] მათი სამკვიდრებელი, რომ მსმენელებმა, რომლებმაც ირწმუნეს, ბეჭედი მიიღეს, მაგრამ წარხოცეს იგი და სიმრთელე არ დაიცვეს, შემმეცნებლებმა საკუთარი საქმეებისა შეინანონ, ბეჭედი შენგან მიიღონ და განადიდონ უფალი, რადგან შეიბრალა ისინი და მათი სულების განსაახლებლად შენ წარმოგგზავნა“. 4. „ისმინე! - ამბობს, - ტოტები, რომლებიც ხმელი და ჩრჩილისგან გამოხრული აღმოჩნდა, განდგომილნი, ეკლესიის გამყიდველნი, თავიანთი ცოდვებით უფლის მგმობელნი და ასევე ისინი არიან, რომლებსაც შერცხვათ უფლის სახელისა, რითიც იწოდნენ (საქმ. მოც. 15.17; იაკობ. 2.7; დაბ. 48.16). ამრიგად, ასეთნი ბოლომდე მოუკვდნენ ღმერთს. ხედავ, რომ მათგან არავინ შეინანა, მიუხედავად იმისა, სიტყვა, რომელიც შენ გეუწყა და მათთვის ითქვა, მოისმინეს. ასე რომ, განერიდა ასეთებს სიცოცხლე. 5. მათთან ახლოს არიან ხმელი და ულპოლველი [რტოების] დამბრუნებელნიც, რადგან ისინი ცბიერები, სხვა მოძღვრებათა შემომტანნი და ღვთის მონათა გარემიმაქცეველნი იყვნენ. განსაკუთრებით შემცოდეებისა, რადგან არ ანებებდნენ მათ სინანულს, არამედ უგუნურ სწავლებას უმორჩილებდნენ. მაგარამ ფლობენ ისინი იმედს სინანულისა. 6. ხედავ, რომ მათგან მრავალმა შეინანა მას შემდეგ, რაც ჩემი მცნებები განუცხადე; კვლავაც შეინანებენ. ისინი, რომლებიც არ მოინანიებენ, საკუთარ სიცოცხლეს წარიწყმედენ, ხოლო ვინც მათგან შეინანებს, სახიერი შეიქმნება და მათი სამკვიდრებელი პირველი კედლები გახდება, ზოგიერთნი კი კოშკისკენაც ზეაღიწევნენ. ხედავ, - ამბობს, - რომ ცოდვილთა სინანული სიცოცხლეს ფლობს, ხოლო მოუნანიებლობა - სიკვდილს[39].

---

38 შდრ. ...μεγάλη καὶ ἔνδοξός ἐστιν καὶ ἔδωκεν πνεῦμα τοῖς ἀξίοις οὗσι μετανοίας. იგულისხმება, რომ საიდუმლოთა მცოდნე ღმერთი გულწრფელად სულიერ ღვაწლს შედგომილ ადამიანს ჭეშმარიტი სინანულის უნარს ანიჭებს.

39 შდრ. βλέπεις δὲ ἐξ αὐτῶν πολλοὺςμετανενοηκότας ἀφότε ἐλάλησας αὐτοῖς τὰς ἐντολάς μου: καὶ ἔτι μετανοήσωσιν. ὅσοι δὲ οὐ μετανοήσουσιν, ἀπώλεσαν τὴν ζωὴν αὐτῶν: ὅσοι δὲ μετενόησαν ἐξ αὐτῶν, ἀγαθοὶ ἐγένοντο, καὶ ἐγένετο ἡ κατοικία αὐτῶν εἰς τὰ τείχη τὰ πρωήτα: τινὲς δὲ καὶ εἰς τὸν πύργον ἀνέβησαν. βλέπεις οὖν, φησίν, ὅτι ἡ μετάνοια τῶν᾽μαρτωλῶν ζωὴν ἔχει, τὸ δ) μὴ μετανοῆσαι θάνατον. ტერმინში – **„პირველი კედლები“** (τὰ τείχη τὰ πρωήτα) იგულისხმება ადგილი, სადაც, გადმოცემული მოძღვრების თანახმად, მონანულთა ნაწილი პოვებს სამკვიდრებელს, მაგრამ სინანულის ანგელოზი ერმს უცხადებს, რომ ამ ადგილიდანაც (ანუ

73.(7).

1. მათ შესახებ ისმინე, ვინც ნახევრად ხმელ, ბზარების მქონე [ტოტებს] აბრუნებდა. ბევრი მათგანი, რომლებსაც სანახევროდ ხმელი ტოტები ჰქონდათ, ორგულნი არიან, არც ცოცხალნი, არც გარდაცვლილნი. 2. ისინი, რომლებსაც სანახევროდ გამხმარი და დაბზარული [ტოტები] ჰქონდათ, ორგულნი და ავმეტყველნი არიან, საკუთარ თავში არასოდეს მშვიდობისმყოფელობენ, არამედ მუდამჟამ მეამბოხეობენ. მათთვის ჯერაც განწესებულია სინანული. ხედავ, რომ ზოგიერთმა უკვე შეინანა. ასეთებისთვის კვლავაც არის იმედი სინანულისა. 3. ამრიგად, ბევრი მათგანი შეინანებს და სამკვიდრებელი კოშკში ექნება. ისინი, რომლებიც ფრიად დაგვიანებით მოინანიებენ, კედლებთან განლაგდებიან, ხოლო მრავალი, ვინც არ შეინანა, არამედ კვლავაც საკუთარ საქმეებში შეყოვნდა, სიკვდილით აღესრულება[40]. 4. ამრიგად, - ამბობს, - ვინც მწვანე და ბზარების მქონე ტოტები დააბრუნა, მარადჟამ მორწმუნენი და სახიერნი არიან, მაგრამ პირველობისა და რამ დიდების გამო ურთიერთიერთისადმი შური გააჩნდათ. ყველა, ვისაც პირველობის მიზეზით ერთურთში მოშურნეობა აქვს, უგუნურია; 5. მაგარამ მოისმინეს რა ჩემი მცნებები, სახიერნი გახდნენ, რადგან განიწმინდეს საკუთარი თავი და მყისვე შეინანეს. ასე რომ, კოშკშია მათი სამკვიდრებელი. თუკი რომელიმე მათგანი კვლავ განხეთქილებისკენ მიიქცევა, კოშკიდან განიდევნება და საკუთარ სიცოცხლეს წარიწყმედს. 6. უფლის მცნებათა ყოველი დამმარხველისთვის არის სიცოცხლე (ეკლეს. 12.13). არაფერია მცნებებში პირველობის ან რაიმე დიდების შესახებ, არამედ ადამიანის სულგრძელებისა და სიმდაბლის თაობაზეა. ასე რომ, მათშია უფლის სიცოცხლე, ხოლო განხეთქილებასა და ურჯულოებაში სიკვდილია[41].

პირველი კედლებიდან) სინანულის შემთხვევაში შესაძლებელია კოშკის უშინაგანეს ნაწილში მოხვედრა (შდრ. რუს. а некоторые вошли даже **внутрь башни**). აღნიშნულ ადგილთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ***პირველ კედლებთან განთავსებულებში*** მოიაზრებიან მონანულნი, რომლებსაც, იმყოფებოდნენ რა ეპიტემიის ქვეშ, ეკრძალებოდათ ზიარება. ისინი ეკლესიის ზღურბლთან, გარეთ, ელოდნენ ტაძარში შესვლის უფლებას (იხ. **Sources Chrétiennes; Hermas le Pasteur. Paris**, 1968; ჰ. 278, ნტ. 1).

40 ***Gr***. ...ἀλλᾳ ἐμμενοῦσιν ἐν ταῖς πράξεσιν αὐτῶν, **θανάτῳ ἀποθανοῦνται.** სეპტუაგინტა: ὅτι εἶπεν κύριος αὐτοις **θανάτῳ ἀποθανοῦνται** ἐν τῇ ἐρημῳ. შდრ. *„რამეთუ ჰრქუა მათ უფალმან: **სიკუდილით მოკუდენ** უდაბნოსა ზედა“* (რიცხვ. 26.65). აღნიშნული შესიტყვება („სიკვდილით აღესრულება“) ნიშნავს, რომ ასეთი ადამიანი მარადიულ წარსაწყმედელს მიეცემა.

41 შდრ. ἐν ταῖς ἐντολαῖς δὲ περὶ πρωτείων ἢ περὶ δόξης οὐκ ἔστιν, ἀλλὰ περὶ μακροθυμίας καὶ περὶ ταπεινοφροσύνης ἀνδρός. ἐν τοῖς τοιούτοις οὖν ἡ ζωὴ τοῦ κυρίου, ἐν δὲ τοῖς διχοστάταις καὶ παρανόμοις θάνατος. სინანულის ანგელოზი ერმს განუმარტავს, რომ გაცხადებული მცნებები არათუ ვინმეზე უპირატესობისა და აღმატებულების საშუალებას იძლევა, არამედ პირიქით, მათი საშუალებით ადამიანი

74.(8).

1. სანახევროდ მწვანე და ნახევრად ხმელი ტოტების დამბრუნებელნი ისინი არიან, რომლებიც საქმეებით აღრეულან და არც წმინდანებს შეერთებიან. ამიტომაცაა მათი [რტოების] ნახევარი ცოცხალი და ნახევარიც - მკვდარი. 2. მრავალმა მსმენელმა ჩემი მცნებებისა შეინანა. ასე რომ, ვინც უკვე მოინანია, კოშკშია მათი სამკვიდრებელი, ხოლო ზოგიერთი მათგანი ბოლომდე განდგა. ისინი სინანულს ვერასოდეს ეუფლებიან, რადგან თავიანთი საქმეებით უფალი შეურაცხჰყვეს და უარყვეს იგი. ამიტომაც წარიწყმიდეს თავიანთი სიცოცხლე უკეთურების გამო, რასაც აღასრულებდნენ. 3. ორჭოფობდა მრავალი მათგანი, მაგრამ ისინი კვლავაც ფლობენ სინანულს. თუკი მყისვე შეინანებენ, კოშკში იქნება მათი სამკვიდრებელი, ხოლო უკეთუ ფრიადი დაგვიანებით მოინანიებენ, კედლებთან დამკვიდრდებიან, მაგრან თუ არ შეინანებენ, საკუთარ სიცოცხლეს ისინიც წარიწყმედენ. 4. მეორედი ნაწილით მწვანე, მაგრამ მესამედით ხმელი [რტოების] დამბრუნებელნი ისინი არიან, ვინც მრავალი განდგომით უარყო. 5. ამრიგად, მათგან ბევრმა შეინანა და კოშკთან მივიდა დასამკვიდრებლად; მრავალი კი ბოლომდე განუდგა ღმერთს. საბოლოოდ წარიწყმიდეს მათ სიცოცხლე. ზოგიერთი მათგანი ორგულობდა და მეამბოხეობდა. ასეთებისთვის ჯერაც არის სინანული, თუკი სწრაფად შეინანებენ და არ შეყოვნდებიან თავიანთ ვნებებში, ხოლო უკეთუ საკუთარ საქმეებში დარჩებიან, სიკვდილს შეამთხვევენ თავიანთ თავს.

75.(9).

1. მეორედი ნაწილით ხმელი, ხოლო მესამედით მწვანე ტოტების დამბრუნებელნი ის მორწმუნეები არიან, რომლებიც გამდიდრდნენ და განდიდებულნი გახდნენ წარმართთაგან, დიდი ამპარტავნება შეიმოსეს, გაამაყდნენ, ჭეშმარიტება დაუტევეს და არათუ მართალთ შეუერთდნენ, არამედ წარმართებთან ერთად თანამოქალაქეობდნენ და ეს გზა უტკბესი გახდა მათთვის; მაგრამ ღვთისგან არ განდგომილან, რწმენაში დარჩნენ, ხოლო რწმენის საქმეებს კი არ მუშაკობდნენ. 2. ამრიგად, მათგან მრავალმა შეინანა და კოშკი გახდა მათი სამკვიდრებელი. 3. სხვანი კი, ბოლომდე წარმართებთან ერთად თანამცხოვრებნი და წარმართთა პატივმოყვარეობასთან აღრეულნი, ღმერთს განუდგნენ და წარმართთა საქმეებს მუშაკობდნენ. ასე რომ, წარმართთა შორის აღირიცხნენ ისინი. 4. კიდევ სხვანი მერყეობდნენ, არ ჰქონდათ რა იმედი გადარჩენისა საქმეების გამო, რასაც იქმოდნენ. სხვები მერყეობდნენ და ურთიერთში მეამბოხეობდნენ. ორგულთათავის თავიანთი საქმეების გამო სინანული ჯერაც არის, მაგრამ სინანული დაჩქარებას

ძლიერ უნდა დამდაბლდეს და საკუთარი თავი სხვებზე უკან დააყენოს.

საჭიროებს, რომ კოშკი გახდეს მათი სამკვიდრებელი, ხოლო უკეთუ არ შეინანებენ, არამედ საკუთარ ვნებებში შეყოვნდებიან, ახლოსაა სიკვდილი.

76.(10).

1. ისინი, ვინც მწვანე ტოტები დააბრუნა, მაგრამ ხმელი კენწერო და ბზარები ჰქონდა, მარადის სახიერნი, მორწმუნენი და დიდებულნი არიან ღვთის წინაშე. მცირედით შესცოდეს უმნიშვნელო სურვილის გამო და ერთურთისადმი უმნიშვნელო რამ [წყენა] გააჩნდათ, მაგრამ მოისმინეს რა ჩემი სიტყვები, უდიდესმა ნაწილმა მყისვე შეინანა და კოშკი გახდა მათი სამკვიდრებელი. 2. ზოგი მათგანი შეორგულდა, ხოლო ზოგიერთმა შეორგულებულმა დიდი განხეთქილება მოიმოქმედა, მაგრამ კვლავ არის ასეთებში იმედი სინანულისა, რადგან მუდამ სახიერნი (ἀγαθοὶ) იყვნენ. ამიტომაც ძნელად თუ მოკვდება ვინმე მათგანი[42]. 3. ხმელი, მაგრამ მცირედი სიმწვანის მქონე ტოტების დამბრუნებელნი ისინი არიან, რომელთაც მხოლოდ ირწმუნეს, მაგრამ უკეთურ საქმეებს აღასრულებდნენ. ისინი ღვთისგან არასოდეს განდგომილან, სიხარულით ატარებდნენ სახელს და სიამოვნებით ღებულობდნენ თავიანთ სახლებში ღვთის მონებს. ასე რომ, ამ სინანულის მსმენელებმა შეუორგულებლად შეინანეს და სიმართლის ყოველგვარი სათნოება აღასრულეს (საქმ. მოც. 10.15; ებრ. 11.33). 4. ზოგიერთი მათგანი სიხარულით იტანჯა და მწუხარებდა, შემმეცნებელი საკუთარი საქმეებისა, რასაც იქმოდა. ამრიგად, კოშკშია ყველა მათგანის სამკვიდრებელი“.

77.(11).

1. მას შემდეგ, რაც მან ყველა ტოტის შესახებ განასრულა განმარტებები, მეუბნება მე: „წადი და ყველას უთხარი, რომ შეინანონ და ღვთისთვის იცხოვრონ, რადგან მოწყალეა უფალი და თითოეულისთვის სინანულის მისანიჭებლად წარმომგზავნა (II პეტრ. 3.9), თუნდაც რომ არ იყოს მავანი ღირსი ხსნისა თავისი საქმეების გამო; მაგარამ სურს სულგრძელ უფალს, დაიხსნას თავისი ძის მიერ ხმობილი“. 2. ვეუბნები მას: „უფალო, ვიმედოვნებ, რომ ყოველი, ვინც კი ამას მოისმენს, შეინანებს, რადგან მჯერა, ყოველი, საკუთარი საქმის შემმეცნებელი და მოშიში ღვთისა, მოინანიებს“. 3. მომიგებს მე და მპასუხობს: „მათგან მრავალნი მთელი გულით შეინანებენ და განიწმენდენ თავს თავიანთ წინარეგანცხადებულ უკეთურებათაგან და მეტად ნურავინ ამრავლებს საკუთარ შეცოდებებს, რომ კურნება მიიღოს უფლისგან უწინარეს ცდომილებათა გამო. თუკი არ შეორგულდებიან ამ მცნებებში, ღმერთთან იცოცხლებენ. მაგარამ, - ამბობს, - მრავალნი გაამრავ-

---

42 იგულისხმება, რომ ასეთი ადამიანები, მიუხედავად ცხოვრებაში დაშვებული შეცდომებისა, აღსრულებული სიკეთეების მიზეზით არ იმსახურებენ წარწყმედას.

ლებენ საკუთარ ცოდვებს და იმოგზაურებენ ამა საუკუნის გულისთქმებით და თავიანთ თავს სიკვდილს განუწესებენ. 4. შენ კი ჩემს მცნებებში ისრბოლე და ღმერთთან იცოცხლებ. და ვინც მათში იმეგზურებს და სწორად აღასრულებს, ღმერთში იცოცხლებს“. 5. მიჩვენა რა და მითხრა ყოველივე ეს, მეუბნება მე: „დანარჩენს რამდენიმე დღის შემდეგ განგიცხადებ“.

იგავი IX

78.(1).

1. მწყემსის, სინანულის ანგელოზის, მცნებებისა და იგავების აღწერის შემდეგ იგი ჩემთან მოვიდა და მეუბნება: „მსურს გიჩვენო, რაც სულიწმინდამ გაგიცხადა და ეკლესიის სახით საუბრობდა შენთან ერთად, რადგან ეს სული ძე ღვთისაა. 2. ვინაიდან სხეულით უუძლურესი იყავი, არ გიცხადდებოდა ანგელოზის საშუალებით, ხოლო რაჟამს სულის მიერ მოღონიერდი და შენი ძალით განმტკიცდი, ანგელოზის ხილვა შეძელი. სწორედ მაშინ გამჟღავნდა შენთვის ეკლესიის მიერ კოშკის მშენებლობა. კეთილია და წმინდა ყოველივე, რაც ქალწულმა გიჩვენა, მაგრამ ახლა ანგელოზის მიერ ხედავ, კვალად იმავე სულისა[43]. 3. საჭიროა, რომ შენ ჩემგან უზუსტესად შეიმეცნო ყველაფერი, რადგან ამიტომაც მერგო დიდებული ანგელოზისგან შენს სახლში მკვიდრობა, რათა ნათლად იხილო ყოველივე და არაფრის გეშინოდეს, როგორც ადრე“. 4. და წამიყვანა მე არკადიისკენ, სფეროსებრი (μαστῶδες) მთისკენ. დამსვა მე მთის მწვერვალზე და დიდი დაბლობი მიჩვენა. დაბლობის ირგვლივ კი თორმეტი მთაა. მთებს სხვადასხვა შესახედაობა ჰქონდათ. 5. შავი ფერის იყო პირველი, როგორც მური. მეორე გაშიშვლებულიყო, არ გააჩნდა ბალახი. მესამე ეკლებითა და სარეველათი დაფარულიყო. 6. მეოთხეს ნახევრად გამხმარი ბალახი ჰქონდა, ბალახი ზევიდან მწვანე იყო, ხოლო ძირისკენ - ხმელი. ხმებოდა ბალახის ნაწილი, რაჟამს მზე დააცხუნებდა. 7. ფრიად უსწორმასწორო იყო მეხუთე მთა, მაგრამ მწვანე ბალახი ჰქონდა. მეექვსე მთა როგორც დიდი, ასევე მცირე ბზარებით მოფენილიყო მთლიანად. ბზარებში ბალახი ამოვიდა, მაგრამ ბალახი არა ფრიად აყვავებული, არამედ უმეტესობა - დამჭკნარი. 8. მეშვიდე მთას ლამაზი[44] ბალახი ჰქონდა, მთელი მთა იყო აყვავებული.

---

43 იგულისხმება, რომ ერმმა გამოცხადებები საკუთარი სულიერი მდგომარეობის შესაბამისად მიიღო. თავიდან, ზეციური საიდუმლოებანი ადამიანის, ასაკოვანი ქალის მიერ ეუწყა („ხილვები“ - წიგნი I); შემდეგ იგივე ერმი, მეტად განმტკიცებული, ვიდრე უწინ, გამოცხადებას ანგელოზისგან ღებულობს („მცნებები“ - წიგნი II და „იგავები“ - წიგნი III).

44 შდრ. τὸ δὲ ἕβδομον ὄρος εἶχεν βοτάνας **ἰλαράς**, καὶ ὅλον τὸ ὄρος εὐθηνοῦν ἦν, καὶ πᾶν γένος κτηνῶν αἰ ὀρνέων ἐνέμετο εἰς τὸ ὄρος ἐκεῖνο. ხაზგასმული ბერძნული ტერმინის (ἰλαρός) ძირითადი მნიშვნელობაა „მხიარული“, თუმცა იმა-

ყველა ჯიშის ცხოველი და ფრინველი ამ მთაზე იკვებებოდა და რამდენსაც შეექცეოდნენ ცხოველები და ფრინველები, იმ მთაზე მეტი და მეტი ბალახი ყვაოდა. ნაკადულებით იყო სავსე მერვე მთა და ყველა სახის უფლის ქმნილება იმ მთის წყაროებიდან რწყულდებოდა. 9. მეცხრე მთას წყალი საერთოდ არ გააჩნდა და მთლიანად გაუდაბურებულიყო. მხეცები და ადამიანის მომაკვდინებელი შხამიანი ქვეწარმავლები იყვნენ მასზე. მეათე მთას კი უდიდესი ხეები ჰქონდა და მთლიანად დაჩრდილულიყო. ხეების საფარქვეშ ცხვარი იწვა, ისვენებდა და იცოხნებოდა. 10. ხოლო მეთერთმეტე მთას ძალზე ხშირი ტყე[45] ჰქონდა და ნაყოფიერი იყო ეს ხეები. სხვადასხვა ნაყოფით გამშვენებულებს, თუკი ვინმე იხილავდა, ამ ნაყოფთაგან დაგემოვნებას ისურვებდა. მთლიანად თეთრი იყო მეთორმეტე მთა, ხოლო მისი შეხედულება - გასაოცარი (ἱλαρα) და ფრიად სასიხარულო.

79.(2).

1. დაბლობის შუაში მინდვრიდან ზეაზიდული დიდი, თეთრი კლდე მიჩვენა. კლდე მთებზე უფრო მაღალი იყო და ოთხკუთხა, თითქოს ძალუძდა, მთელი სამყარო მოეცვა. 2. ძველი იყო ეს კლდე და კარი ჰქონდა გამოკვეთილი. იფიქრებდი, თითქოს კარი ახლადამოკვეთილიაო. მზეზე მეტად ბრწყინავდა კარი, ისე რომ, კარის ბრწყინვალებით მე გაოცებული ვიყავი. 3. კარის ირგვლივ თორმეტი ქალწული იდგა. მე კუთხეებთან მდგომი ოთხი [ქალწული] უფრო დიდებულად მეჩვენა, მაგრამ სხვებიც დიდებულები იყვნენ. კარის ოთხივე მხარეს იდგნენ, ხოლო მათ შორის კი - ორ-ორი ქალწული. 4. სელის სამოსი ემოსათ და ლამაზად იყვნე წელშემოსარტყლულნი. მარჯვენა მხარი ჰქონდათ გაშიშვლებული, თითქოს რაღაც ტვირთის წაღებას იზრახავდნენ. ამგვარად მომზადებულიყვნენ. ფრიად მხიარულნი და გულმოდგინენი იყვნენ. 5. მას შემდეგ, რაც ისინი დავინახე, საკუთარ თავს გავუოცდი, რომ დიდი და დიდებული საქმენი ვიხილე. კვლავაც დაბნეული ვიყავი ქალწულთა გამო, რადგან ნაზად მყოფნი, ისე მამაცურად იდგნენ, თითქოს აპირებდნენ, მთელი ზეცა ეტვირთათ. 6. მწყემსი მეუბნება: „რატომ განსჯი, მწუხარებ და საკუთარ თავს დარდს მოუზიდავ? რისი გაგებაც არ ძალგიძს, ნუ იტვირთავ ვითარცა გონიერი; არამედ უფლისგან ითხოვე, რომ ამის განმსჯელი კეთილგონიერება მიიღო. 7. განა ძალგიძს უკან იმზირო? ხოლო იმას, რაც შენ წინაა, დაინახავ. ამრიგად, იმისთვის, რისი ხილვაც არ შეგიძლია, საკუთარ თავს ნუ დატანჯავ; მაგრამ ეუფლე იმას, რასაც

ვდროულად „ლამაზს, განსაცვიფრებელს, გასაოცარსაც“ ნიშნავს (შდრ. „ἱλαρός ά όν (ἵλαος) cheerful; **merry**...“ A Greek-English Lexicon; compiled by Henry George Liddel and Robert Scott; with a revised supplement 1996; p. 827). ლათ. Septimus vero mons **delectabiles** habebat herbas, et totus fertilis erat.

45 *Gr.* **σύνδενδρον**.

განჭვრეტ, და დანარჩენის შესახებ ამაოდ ნუ დაშვრები, რადგან ყოველივეს გაგიცხადებ, რასაც გიჩვენებ. მაშ ასე, დანარჩენს უმზირე“.

80.(3).

1. ვხედავ, მაღალი, დიდებული და შეხედულებით მსგავსი ექვსი მამაკაცი მოემართება. ადამიანების სიმრავლეს მოუწოდეს. ეს ხმობილი კაცები მაღლები, მშვენიერნი (καλοὶ) და ძლიერები იყვნენ. ექვსმა მამაკაცმა მათ კლდის ზემოთ კოშკის აგება უბრძანა. კოშკის ასაშენებლად მოსული კაცები დიდად ხმაურობდნენ და კარის გარშემო აქეთ და იქით მიმორბოდნენ. 2. კარის ირგვლივ მდგომი ქალწულები კაცებს ეუბნებოდნენ, რომ კოშკი სწრაფად აეშენებინათ. ქალწულები ხელებს იწვდიდნენ, თითქოს მათგან რაღაცის მიღება სურდათ. 3. ექვსი მამაკაცი ერთ-ერთი დაბლობიდან ქვების მოტანასა და კოშკის შენობაში შეტანას ბრძანებდა. ათი ოთხკუთხა, ბრწყინვალე და გამოუკვეთელი ქვა ამოიტანეს. 4. ექვსმა მამაკაცმა ქალწულები მოიხმო და ყველა კოშკთან მიტანილი ქვის აღება, კარის გავლით შეტანა და კოშკის შენების განმზრახი კაცებისთვის გადაცემა უბრძანა მათ. 5. სიღრმიდან ამოტანილი პირველი ათი ქვა ქალწულებმა ურთიერთზე განათავსეს და ერთად წაიღეს, ვითარცა ერთი ქვა.

81.(4).

1. როგორც იდგნენ კარის წრიულად ერთად, ამგვარადვე მიჰქონდათ. ისინი, რომლებიც ძლიერებად მიიჩნეოდნენ, ქვის კუთხეების ქვეშ განთავსებულიყვნენ, ხოლო სხვანი ქვის გვერდებში ჩადგნენ და ასე გადაჰქონდათ ყველა ქვა. კარის გავლით გაჰქონდათ ისინი, როგორც ებრძანათ, და მამაკაცებს კოშკში გადასცემდნენ. ისინი კი იღებდნენ და აშენებდნენ. 2. კოშკის შენება დიდ კლდეზე ხდებოდა, კარის მაღლა. ის ათი ქვა შემოიკრიბა და მთელი კლდე შეავსო. ისინი კოშკის შენობისთვის საფუძველი გახდა, ხოლო კლდე და კარი მთელ კოშკს ტვირთულობდა. 3. ათი ქვის შემდეგ დაბლობიდან ოცი სხვა ქვა ამოიტანეს. ისინიც კოშკის ასაშენებლად შეაგროვეს. ქალწულებს ისე მიჰქონდათ, როგორც უწინდელნი. ამის შემდეგ ოცდათხუთმეტი ამოიტანეს და მათაც მსგავსადვე კოშკთან აგროვებდნენ. შემდეგ სხვა ორმოცი ქვა ამოიზიდა. ყველა მათგანი კოშკის ასაშენებლად შემოიკრიბა. ასე რომ, კოშკის საფუძველში ოთხი რიგი[46] შეიქმნა. 4. და შეწყდა დაბლობიდან ამოტანა. მცირე [დროით] მშენებლებიც შეჩერდნენ. ექვსმა მამაკაცმა კვლავ უბრძანა ხალხის სიმრავლეს, რომ ქვები კოშკის ასაშენებლად მთებიდან მოეზიდათ. 5. და მოჰქონდათ ყოველი მთიდან მამაკაცთა მიერ გამოკვეთილი, განსხვავებული ფერის ქვები და ქალწულებს

---

46 *Gr.* **στοῖχοι**.

გადასცემდნენ, ხოლო ქალწულებს კარის გავლით გადაჰქონდათ ისინი და კოშკის ასაშენებლად აწვდიდნენ. როდესაც მრავალნაირი ქვა შენობაში განათავსეს, ადრინდელი ფერი შეეცვალათ და ერთნაირები, თეთრები, გახდნენ. 6. მამაკათა მიერ ასაშენებლად მიღებული ზოგიერთი ქვა არ გამხდარა ბრწყინვალე, არამედ როგორიც დაედოთ, ისეთივე იყვნენ, რადგან არც ქალწულებს მიუწვდიათ, არც კარის გავლით გაუტანიათ. ამრიგად, ეს ქვები უადგილონი იყვნენ კოშკის შენობაში. 7. ექვსმა მამაკაცმა, იხილა რა შენობაში ეს უადგილო ქვები, მათი აღება და დაბლა, თავის ადგილზე დაბრუნება ბრძანა, საიდანაც მოეზიდათ. 8. და ეუბნებიან ქვების მომტან კაცებს: „საერთოდ ნუღარ გადასცემთ ქვებს მშენებლობისთვის, არამედ კოშკთან განალაგეთ ისინი, რომ ქალწულებმა კარის გავლით შეიტანონ და ასაშენებლად მიაწოდონ, რადაგნ თუკი ამ ქალწულების ხელისა და კარის გავლით არ მოიტანენ, არ ძალუძს მათ ფერს შეიცვალოს. ამრიგად, ფუჭად ნუღარ დაშვრებით“.

82.(5).

1. და დამთავრდა იმ დღეს შენება, ხოლო კოშკი არ განსრულებულა. აგება შეჩერებული იყო, მაგრამ შენება კვლავ იზრახებოდა. ექვსმა მამაკაცმა ყველა მშენებელს მცირე [დროით] წასვლა და დასვენება უბრძანა, ხოლო ქალწულებს ამცნეს, კოშკს არ განშორებოდნენ. ვიფიქრე, რომ ქალწულები კოშკის დასაცავად რჩებოდნენ. 2. მას შემდეგ, რაც ყველანი დასასვენებლად წავიდნენ, მწყემსს ვეუბნები: „უფალო, კოშკის შენება რად არ განსრულდა?“ მომიგებს: „არ ძალუძს კოშს დასრულდეს, ვიდრე მისი უფალი არ მოვა და გამოცდის ამ ნაგებობას, რადგან თუკი რომელიმე ქვა უვარგისი აღმოჩნდა, შეცვლის მას, ვინაიდან კოშკი მისი სურვილით შენდება“. 3. ვპასუხობ: „უფალო, მსურს გავიგო, რა არის ეს კოშკი, კლდე, კარი, მთები, ქალწულები, წყლის ფსკერიდან ამოტანილი და გამოუკვეთელი ქვები, რომლებიც შენობაში შეჰქონდათ; 4. რატომ ჩაიდო საფუძველში პირველად ათი ქვა, შემდეგ ოცი, მერე ოცდათხუთმეტი, მოგვიანებით ორმოცი; შენობაში მოტანილი, კვლავ აღებული და თავის ადგილზე დაბრუნებული ქვები. ამ ყოველივეს გამო ჩემს სულს განუსვენე, უფალო, და განმიმარტე მე ისინი“. 5. „თუკი ამაოდმოქმედი[47] არ აღმოჩნდი, - ამბობს, - ყველაფერს გაიგებ, რადგან რამდენიმე დღის შემდეგ აქ მოვალთ და ამ კოშკის მომავალს იხილავ და ყველა იგავს ზუსტად შეიმეცნებ“. 6. რამდენიმე დღის შემდეგ იმ ადგილზე მივედით, სადაც ვისხედით, და მეუბნება: „კოშკისკენ წავიდეთ, რადგან კოშკის მეუფე მოდის, რომ მოიხილოს იგი“. და წავედით კოშკისკენ. საერთოდ არავინ იყო გარდა ქალწულებისა. 7.

47 *Gr.* **κενόσπουδος**.

მწყემსმა ქალწულებს ჰკითხა, კოშკის მეუფე თუ მობრძანებულიყო. მიუგეს, რომ მას შენობის დასათვალიერებლად სურდა მოსვლა.

83.(6).

1. და აჰა, მცირე [დროის] შემდეგ ვხედავ მრავალი მამაკაცი მწყობრად მოემართება. შუაში ვიღაც კაცია, სიდიდით მაღალი, თითქოს კოშკზე აღმატებული. 2. მშენებლობაზე დადგენილი ექვსი მამაკაცი მას მარჯვნივ და მარცხნივ მოჰყვებოდა. და ყველა, ვინც ნაგებობას აშენებდა, სხვებიც, მრავალი დიდებული, მის ირგვლივ იყვნენ. კოშკის მცველმა ქალწულებმაც მიირბინეს მასთან, ეამბორნენ და კოშკის გარშემო მის სიახლოვეს დაიწყეს სიარული. 3. საფუძვლიანად იკვლევდა ეს ადამიანი შენობას ისე, რომ თითოეულ ქვას თითებით ეხებოდა. ხელში ერთი კვერთხი ეპყრა და ყოველ სამშენებლო ქვას ეხებოდა. 4. რაჟამს დაჰკრავდა, ზოგი მათგანი შავი ხდებოდა, როგორც მური. ზოგიერთი იხორკლებოდა. სხვებს ბზარები ჰქონდათ. ნაწილი დამოკლებულიყო. კიდევ სხვები არც თეთრი იყვნენ, არც შავი. ზოგი - უსწორმასწორო და სხვა ქვებთან თანაშეუწყობელი. ნაწილს მრავალი ლაქა ჰქონდა. ასეთი განსხვავებულები იყვნენ მშენებლობისთვის უვარგისი ქვები. 5. ბრძანა, ყველა მათგანი კოშკიდან გაეტანათ, გარეთ დაედოთ, სხვა ქვები მოეზიდათ და მათ ადგილზე განეთავსებინათ. 6. მშენებლებმა ჰკითხეს მას, თუ რომელი მთიდან სურდა ქვების მოტანა და მათ ადგილზე დადება. მთებიდან წამოღება არ დაუვალებია, არამედ ახლოს მდებარე ერთ-ერთი დაბლობიდან მოსთხოვა მოზიდვა. 7. დაბლობი გაითხარა და ბრწყინვალე, ოთხკუთხა ქვები აღმოჩნდა, ხოლო ზოგიერთები - მომრგვალებულნიც. ყველა ქვა, რომელიც იმ დაბლობზე იყო, მოიტანეს და კარის გავლით ქალწულებს გადაჰქონდათ. 8. ოთხკუთხა ქვები გამოკვეთეს და გათავისუფლებულ ადგილზე განათავსეს. მომრგვალებულნი კი შენობაში არ დაუდიათ, რადგან ძნელი და შემაფერხებელი იქნებოდა მათი გამოკვეთა. კოშკთან მოათავსეს, რომ მოგვიანებით გამოეკვეთათ ისინი და შენობაში დაედოთ, რადგან ფრიად ბრწყინვალენი იყვნენ.

84.(7).

1. რაჟამს დიდებულმა მამკაცმა და მთელი კოშკის უფალმა ეს დაასრულა, მწყემსი მოიხმო და მას ყველა კოშკთან მდებარე, შენობიდან განგდებული ქვა გადასცა და ეუბნება: 2. „გულმოდგინედ გაწმინდე ეს ქვები და კოშკის შენობაში განათავსე, რომ ძალუძდეთ დანარჩენებთან კავშირი, ხოლო ისინი, რომლებიც ვერ შეუკავშირდებიან, კოშკიდან შორს მოისროლე“. 3. ეს დაავალა მწყემსს და ყველასთან ერთად, ვისთან ერთადაც მოსულიყო, კოშკს გაშორდა, ქალწულები კი კოშკის ირგვლივ დადგნენ მის დასაცავად. 4. მწყემსს ვეუბნები: „როგორ ძალუძთ ამ უარყოფილ ქვებს

კოშკის შენობაში დაბრუნება?“ მიპასუხებს და მომიგებს: „ხედავ ამ ქვებს?“ ვეუბნები: „ვხედავ, უფალო“. „მე, - ამბობს, - ამ ქვების უდიდეს ნაწილს გამოვკვეთ, შენობაში შევიტან და დანარჩენ ქვებს შეეწყობიან“. 5. ვეკითხები: „უფალო, გამოკვეთილებს როგორღა ძალუძთ იმ ადგილის შევსება?“ მპასუხობს: „ისინი, რომლებიც პატარები აღმოჩნდებიან, შენობის შუაში განთავსდებიან, ხოლო დიდები კიდეებში დაიდებიან და მათ თანაშეაკავებენ“. 6. ასე მომიგო და მეუბნება: „წავიდეთ, ორი დღის შემდეგ მოვიდეთ, ეს ქვები გავწმინდოთ და შენობაში შევიტანოთ, რადგან ყველაფერი, რაც კოშკის ირგვლივაა, უნდა გასუფთავდეს, რომ მოულოდნელად არ მოვიდეს კოშკის მბრძანებელი და გარშემო უსუფთაობის აღმომჩენი არ განრისხდეს; რომ ეს ქვებიც არ მოარიდონ კოშკის შენობას და მეც უზრუნველად მყოფი არ ვეჩვენო მბრძანებელს“. 7. ორი დღის შემდეგ კოშკთან მივედით და მეუბნება: „ყველა ქვა მოვიხილოთ და ვნახოთ, შენობაში რისი შეტანაა შესაძლებელი“. მივუგე: „ვნახოთ, უფალო“.

85.(8).

1. მისულებმა პირველად შავი ქვები დავათვალიერეთ. ისეთივე აღმოჩნდნენ, როგორებიც შენობასთან განეთავსებინათ. მწყემსმა ბრძანა, რომ ისინი კოშკიდან წაეღოთ და განეცალკევებინათ. 2. შემდეგ დახორკლილ ქვებს დააკვირდა. მათგან მრავალი აიღო, გამოთალა და ქალწულებს მიუთითა, რომ აეღოთ ისინი და შენობაში შეეტანათ. იღებდნენ მათ ქალწულები და კოშკის შენობის შუაში განათავსებდნენ. ბრძანა, დანარჩენები შავ [ქვებთან] ერთად მოეთავსებინათ, რადგან ისინიც შავები აღმოჩნდნენ. 3. შემდეგ ბზარების მქონე [ქვებს] უმზირა. მათგანაც მრავალი გამოკვეთა და ქალწულებს უბრძანა, შენობაში შეეტანათ. კიდეებში განთავსდნენ, რადგან ფრიად გაჯანსაღებულნი აღმოჩნდნენ. დანარჩენების გამოკვეთა ბზარების სიმრავლის გამო შეუძლებელი იყო. ამიტომაც კოშკის შენობას ამ მიზეზით მოარიდეს. 4. შემდეგ მოკლე [ქვებს] დააკვირდა. მათში მრავალი აღმოჩნდა შავი ფერის, ხოლო ნაწილზე დიდი ბზარები წარმოქმნილიყო. ბრძანა, ისინიც განცალკევებულებთან ერთად დაედოთ. მიუთითა, რომ მრავალი გაწმენდილი და გამოკვეთილი [ქვა] შენობაში მოეთავსებინათ. ქალწულები მათ იღებდნენ და კოშკის შენობის შუაში დებდნენ, რადგან ფრიად სუსტნი იყვნენ. 5. შემდეგ [იმ ქვებს] დააკვირდა, რომლებიც ნახევრად თეთრი და სანახევროდ შავი ფერისანი აღმოჩნდნენ[48]. მრავალი მათგანი შავი ფერის გამოდგა. მოითხოვა, ისინიც გადაყრილებთან ერთად განელაგებინათ. ქალწულებმა ყველა დარჩენილი [ქვა] აიღეს, რადგან თეთრები იყვნენ ისინი, და კოშკში განათავსეს, კიდეებში დადეს, ვინაიდან მთლიანები აღმოჩნდნენ. ამ-

48 შავ-თეთრი ფერი მითითებულ ქვებს ადრინდელი შემოწმებისას ჰქონდათ. მოცემულ შემთხვევაში კი მწყემსი მათ ამჟამინდელ მდგომარეობას აკვირდება.

იტომაც მათ შუაში განლაგებული ქვების განმტკიცება ძალუძდათ, რემეთუ მათგან საერთოდ არც ერთი არ დამოკლებულა. 6. შემდეგ უსწორმასწორო და მძიმე [ქვები] მოიხილა და მათგან მცირედი განაგდო, ვინაიდან ფრიად მძიმენი გამოდგენენ და ამიტომაც შეუძლებელი იყო მათი გამოკვეთა. დანარჩენები გამოკვეთა. ქალწულებმა აიღეს და, რადაგან ძალზედ ფაქიზები იყვნენ, კოშკის შენობის შუაში განალაგეს. 7. შემდეგ ლაქების მქონე [ქვებს] დააკვირდა. მათგან მცირედი გაშავებულიყო; დანარჩენებთან გადაყარეს, ხოლო უმეტესი მთელი და ბრწყინვალე აღმოჩნდა. ქალწულებმა ისინიც შენობაში განათავსეს და კიდეებში დადეს მათი აღმატებული ძალის გამო.

86.(9).

1. შემდეგ დასათვალიერებლად თეთრ და მრგვალ ქვებთან მივიდა და მეკითხება: „ამ ქვებთან დაკავშირებით როგორ მოვიქცეთ?“ ვპასუხობ: „მე რა ვიცი, უფალო?“ მეუბნება: „ვერაფერს მოიფიქრებ მათ შესახებ?“ 2. ვეუბნები: „არ ვფლობ ამ ხელობას, უფალო. არც ქვისმთლელი ვარ, არც მოფიქრება ძალმიძს“. „ვერ ხედავ, - ამბობს, - რომ ფრიად მომრგვალებულნი არიან? თუკი მოვისურვებ, ისინი ოთხუკუთხედებად ვაქციო, საჭიროა, დიდი ნაწილი მოეკვეთოს. ზოგიერთი მათგანი აუცილებლად შენობაში უნდა დაიდოს“. 3. „უფალო, - მივუგე, - უკეთუ აუცილებელია, რატომ იტანჯავ საკუთარ თავს და არ გამოარჩევ შენობისთვის იმას, რომელიც გსურს, და არ შეიტან მასში?“ დიდი და უბრწყინვალესი[49] ქვები მოიძია და ჩამოთალა ისინი, ხოლო ქალწულებმა აიღეს და შენობის გარეთა ნაწილში დადეს. 4. დარჩენილები კი წაიღეს და იმ დაბლობზე განათავსეს, საიდანაც მოეტანათ, მაგარამ არ გადაუყრიათ. „კოშკი, - ამბობს, - კვლავაც დარჩა ასაშენებელი, ხოლო კოშკის მბრძანებელს სურს, ყველა ეს ქვა შენობასთან შეაკავშიროს, რადგან ფრიად ბრწყინვალენი არიან“. 5. უმშვენიერესი გარეგნობის შავებში მოსილ, წელშემოსარტყლულ თორმეტ დედაკაცს მოუხმო. მხრები გაშიშვლებული ჰქონდათ და თმები ჩამოშვებული. მე ეს დედაკაცები ველურებად მივიჩნიე. მწყემსმა მათ შენობიდან განგდებული ქვების აღება და იმ მთებისკენ წაღება უბრძანა, საიდანაც მოეტანათ. 6. მხიარულებმა აიღეს, ყველა ქვა წააბრძანეს და იქ განათავსეს, საიდანაც წამოეღოთ. მას შემდეგ, რაც ყველა ქვა გაზიდეს და კოშკის ირგვლივ ქვა აღარ იდო, მწყემსი მეუბნება: „კოშკს შემოვუაროთ და ვნახოთ, ნაკლული რამ ხომ არ არის მასში“. და შემოვუარე მე მასთან ერთად. 7. კოშკის მშვენიერების მხილველი მწყემსი ფრიად მხიარული იყო მშენებლობით, რადაგან კოშკი იმგვარად აგებულიყო, რომ მე, მხილველს, ამ შენობისთვის გული მითქვამდა, რადგან ისე იყო ნაშენი, ვითარცა ერთიანი ქვისგან, არც ერთი შეერთება არ ჰქონდა მას. ქვა

---

49 *Gr.* **λαμπροτάτους**.

თითქოს კლდისგან გამოკვეთილი ჩანდა. იფიქრებდი, მონოლითური არისო.

87.(10).

1. მასთან ერთად მოარული, მეც მხიარული ვიყავი ამ სიკეთეთა მხილველი. მწყემსი მეუბნება: „წადი, კირი და თხელი თიხა მოიტანე, რომ აღებული და შენობაში დადებული ქვების ფორმები აღავადგინო, რადგან საჭიროა, კოშკის ირგვლივ ყველაფერი მოსწორდეს“. 2. გავაკეთე, როგორც მიბრძანა, და მას მივუტანე. „დამეხმარე, - ამბობს, - და საქმე მალე დასრულდება“. შენობაში შეტანილი ქვების ფორმები აღადგინა და ბრძანა, კოშკის გარშემო დაეგავათ და გაეწმინდათ. 3. ქალწულებმა ცოცხები აიღეს, დაგავეს, მთელი ჭუჭყი კოშკიდან მოარიდეს და წყალი ასხურეს. და გახდა კოშკის ადგილი უმშვენიერესი და სამხიარულო. 4. მწყემსი მეუბნება: „ყველაფერი სუფთაა! რაჟამს უფალი კოშკის დათვალიერებას ისურვებს, არაფერი ექნება ჩვენთვის სასაყვედურო“. ეს მითხრა და წასვლა განიზრახა. 5. მის აბგას ჩავეჭიდე და უფლის სახელს ვაფიცებდი, განემარტა ის, რაც მე მიჩვენა. მეუბნება: „ახლა ცოტა დრო მაქვს, მაგრამ ყველაფერს აგიხსნი. აქ დამელოდე, ვიდრე მოვიდოდე“. 6. ვპასუხობ: „უფალო, მარტო აქ რა ვაკეთო?“ მომიგებს: „არა ხარ მარტო, რადგან ეს ქალწულები შენთან ერთად იქნებიან“. ვეუბნები: „მაშინ მათ მიმაბარე“. მწყემსმა ისინი მოიხმო და ეუბნება: „ამას თქვენ გაბარებთ, ვიდრე დავბრუნდებოდე“. და წავიდა. 7. მე ქალწულებთან ერთად მარტო ვიმყოფებოდი. უმხიარულესნი იყვნენ და კეთილგანწყობა ჰქონდათ ჩემდამი, განსაკუთრებით, მათგან ოთხ უბრწყინვალესს.

88.(11).

1. ქალწულები მეუბნებიან: „მწყემსი დღეს აქ აღარ მოვა“. მივუგე: „მე როგორ მოვიქცე?“ მპასუხობენ: „საღამომდე მაინც დაელოდე მას. თუკი მოვა, ისაუბრებს შენთან, ხოლო უკეთუ არ მობრძანდა, აქ ჩვენთან ერთად დარჩი, ვიდრე მოვიდოდეს“. 2. ვეუბნები მათ: „დაღამებამდე დავუცდი, ხოლო თუ არ მობრძანდა, სახლში გავემართები და განთიადისას დავბრუნდები“. პასუხად მომიგეს: „რადგან ჩვენ მოგვებარე, არ ძალგიძს ჩვენგან წახვიდე“. 3. ვეკითხები: „სად დავრჩე?“ „ჩვენთან ერთად დაიძინე როგორც ძმამ და არა როგორც ქმარმა, - ამბობენ, - რადგან ჩვენი ძმა ხარ. მომავალშიც გვსურს შენთან ერთად მკვიდრობა, ვინაიდან ძლიერ გვიყვარხარ“. მე კი მრცხვენოდა მათთან გაჩერება. 4. ის, ვინც მათში უპირატესად მიიჩნეოდა, მეამბორა და მომეხვია. როდესაც სხვებმა იგი დაინახეს, როგორ მეხვეოდა, ამბორი მათაც დამიწყეს. კოშკის ირგვლივ დავყავდით და ჩემთან ერთად ხალისობდნენ. 5. მეც თითქოს ახალგაზრდა გავხდი და მათთან ვილხენდი. ისინი უკრავდნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ, მე კი, მათთან ერ-

თად კოშკის ირგვლივ მოარული, მდუმარე ვიყავი, მაგრამ მიხაროდა. 6. დაღამებისას სახლში წასვლა ვისურვე. არ გამიშვეს, შემაკავეს. და დავრჩი ღამე მათთან ერთად. კოშკთან მეძინა. 7. ქალწულებმა მიწაზე თავიანთი სელის მოსასხამები დამიგეს და მე მათ შორის დამაწვინეს. საერთოდ არაფერი უკეთებიათ, თვინიერ ლოცვისა. მეც მათთან ერთად შეუჩერებლად ვლოცულობდი და არანაკლებ, ვიდრე ისინი. ახარებდათ ქალწულებს ჩემი ასეთი ვედრება. დავრჩი იქ ქალწულებთან ერთად დილამდე, ვიდრე მეორე ჟამამდე. 8. შემდეგ მწყემსი მოვიდა და ეუბნება ქალწულებს: „ცუდად ხომ არ მოეპყარით მას?“ მიუგეს: „თავად ჰკითხე“. ვეუბნები: „უფალო, გავიხარე მათთან ერთად დარჩენით“. მეკითხება: „რითი ისადილე?“ ვპასუხობ: „მთელი ღამე უფლის სიტყვას ვიხმევდი, უფალო“. განაგრძობს: „კეთილად გისტუმრეს?“ მივუგე: „დიახ, უფალო“. 9. „ახლა კი, - ამბობს, - რისი მოსმენა გსურს პირველად?“ „უფალო, ის, რაც დასაწყისში მიჩვენე. გევედრები, უფალო, ვითარცა შეგეკითხები, ისე გამნმიცხადე“. „როგორც გენებოს, ისე განგიცხადებ, - მომიგებს, - და საერთოდ არაფერს დავფარავ შენგან“.

89.(12).

1. „უფალო, - ვეუბნები, - უპირველეს ყოვლისა, ეს განმიცხადე: კლდე და კარი რა არის?“ „ეს კლდე და კარი, - ამბობს, - ძე ღვთისაა“. „როგორ, - მივუგე, - უფალო, კლდე ძველია, ხოლო კარი ახალი?“ „ისმინე, - მომიგებს, - და გაიგებ, უგულისხმოვ. 2. ძე ღვთისა ყოველგვარ მის ქმნილზე უწინარესია, ამიტომაც იგი მრჩეველი გახდა მამისა მისი ქმნილების შესახებ (იგავ. 8. 27-30). ამის გამოა კლდე ძველი“. ვეკითხები: „უფალო, კარი რატომაა ახალი?“ 3. „რადგან უკანასკნელ დღეთა დასასრულს განცხადდა[50], - მომიგებს, - ამიტომაც გახდა კარი ახალი, რომ გადარჩენის მსურველნი მისი გავლით შევიდნენ ღვთის სასუფეველში (ინ. 3.5; მრ. 9.47). 4. ნახე, - ამბობს, - კარის გავლით ქვები რომ შეჰქონდათ და კოშკშის შენობაში განათავსეს და ისინიც, რომლებიც არ შეიტანეს და კვლავ თავის ადგილზე დადეს?“ ვპასუხობ: „ვნახე, უფალო“. „ასევე ვერავინ შევა ღვთის სასუფეველში (ინ. 3.5), თუკი მისი წმინდა სახელი არ მიიღო. 5. რაჟამს რომელიმე ქალაქში შესვლას ისურვებ, ეს ქალაქი კი ირგვლივ კედელმოზღუდულია[51] და ერთი კარიბჭე აქვს, ვერ შეძლებ ამ ქალაქში შეღწევას, თუ არა კარის გავლით, რომელიც აქვს“. მივუგე: „უფალო, განა სხვანაირად შესაძლებელია მოხდეს?“ ამბობს: „ამრიგად, უკეთუ ქალაქში არ ძალგიძს შეღწევა, თუკი მისი კარიბჭე არ გაიარე, ასევე სხვაგვარად არ შეუძლია ადამიანს ღვთის სასუფეველში შევიდეს (ინ. 3.5), თუ არა მისგან შეყვარებული მისი

---

50 იგულისხმება ძე ღმერთის განკაცება.

51 *Gr.* **περιτετειχισμένη**.

ძის სახელის მიერ[52]. 6. ნახე კოშკის მაშენებელთა სიმრავლე?“ მივუგე: „ვნახე, უფალო“. „ისენი ყველანი დიდებული ანგელოზები არიან. სწორედ ისინი გარშემოეხვეოდნენ უფალს[53]. კარი კი ძე ღვთისაა. ისაა ერთადერთი მისასვლელი უფლთან. სხვაგვარად ვერავინ მიეახლება მას, თუ არა მისი ძის მიერ (ინ. 14.6). 7. ხედავდი, - ამბობს, - ექვს მამაკაცს და მათ შორის მაღალსა და დიდებულ კაცს, კოშკის ირგვლივ მავალს და შენობიდან ქვების გამომხშირავს?“ მივუგე: „ვხედავდი, უფალო“. 8. „დიდებული კაცი ძე ღვთისაა, - მპასუხობს, - ისინი კი ექვსი დიდებული ანგელოზია, მის მარჯვნივ და მარცხნივ შემოკრებილნი. ეს დიდებული ანგელოზები არავის მიუშვებენ ღმერთთან მისი გვერდისავლით. ვინც მისი სახელი არ მიიღო, ვერ შევა ღვთის სასუფეველში“ (ინ. 3.5).

90.(13).

1. ვეუბნები: „კოშკი რა არის?“ „ეს კოშკი, - ამბობს, - ეკლესიაა“. 2. „ის ქალწულები ვინ არიან?“ „ისინი, - მომიგებს, - წმინდა სულები არიან. სხვაგვარად ადამიანს არ ძალუძს ღვთის სასუფეველში აღმოჩნდეს, თუკი მათ არ შემოსეს იგი თავიანთი სამოსით; რადგან უკეთუ მხოლოდ სახელი მიიღე, ხოლო მათგან სამოსი არ შეგიწყნარებია, არაფერი შეგეწევა, ვინაიდან ეს ქალწულები ღვთის ძის ძალები არიან. რაჟამს სახელს მიიღებ, მაგრამ ძალას არ იტვირთავ, მისი სახელის ამაოდ მატარებელი იქნები. 3. ქვები, რომლებიც განგდებულნი იხილე, ისინი არიან, რომლებიც სახელს ატარებდნენ, მაგრან ქალწულთა სამოსი არ შეუმოსავთ“. შევეკითხე: „უფალო, რა არის მათი სამოსი?“ „მათი სამოსი მათი სახელებია. ვინც ღვთის ძის სახელს ატარებს, ამ სახელთა ტვირთვაც ევალება, რადგან თავად ძეც ამ ქალწულთა სახელებს ატარებს. 4. ყველა ქვა, რომელიც კოშკის შენობაში შეტანილი იხილე, ქალწულთა ხელებში გავლით რომ გადაეცემოდნენ და შენობაში რჩებოდნენ, ისინი არიან, ვინც ამ ქალწულთა ძალებით შეიმოსა. 5. ამიტომაც ხედავ კოშკს მონოლითურს, კლდესთან გაერთიანებულს. ასევე ერთი სული და ერთი სხეული ხდებიან ამ სულებით მოსილნი უფლის მორწმუნენიც მისი ძის მიერ (ინ. 1.7; ეფეს. 4.4). მათი სამოსიც ერთი ფერია. ამ

---

52 შდრ. Εἰ οὖν εἰς τὴν πόλιν οὐ δύνῃ εἰσελθεῖν εἰ μὴ διὰ τῆς πύλης ἧς ἔχει, οὕτω, φησί, καὶ εἰς τὴν βασιλείαν τοῦ θεοῦ ἄλλως εἰσελθεῖν οὐ δύναται ἄνθρωπος εἰ μὴ διὰ τοῦ ὀνόματος τοῦ υἱοῦ **αὐτοῦ** τοῦ ἠγαπημένου **ὑπ᾽ αὐτοῦ.** ხაზგასმულ ნაცვალსახელებში მამა ღმერთი მოიაზრება.

53 ანგელოზი ადრე ნანახ ხილვას იგონებს, რომლის თანახმადაც კოშკის დასათვალიერებლად ერმისთვის ჯერაც უცნობი ამავე კოშკის უფალი მოდიოდა: *„...ვხედავ, მრავალი მამაკაცი მწყობრად მოემართება. შუაში ვიღაც კაცია, სიდიდით მაღალი, თითქოს კოშკზე აღმატებული. მშენებლობაზე დადგენილი ექვსი მამაკაცი მას მარჯვნივ და მარცხნივ მოჰყვებოდა. და ყველა, ვინც ნაგებობას აშენებდა, სხვებიც, მრავალი დიდებული, მის ირგვლივ იყო“.* (იგავი 83.(6).1.2).

ქალწულების სახელთა მატარებელნი კოშკის მკვიდრნი არიან“. 6. ვეკითხები: „უფალო, უარყოფილი ქვები რატომ განაგდეს, ისინი კოშკის შენობაში ხომ კარის გავლითა და ქალწულთა ხელებით განთავსდნენ?“ მომიგებს: „რადგან შენ ყველაფერი გაინტერესებს და ზუსტად გამოეძიებ, განგდებული და უარყოფილი ქვების შესახებაც ისმინე. 7. ყველა ისინი, - ამბობს, - ღვთის ძის სახელს ღებულობდნენ. იმ ქალწულთა ძალაც შეიწყნარეს. ამრიგად, ამ სულთა მიმღებნი გაძლიერდნენ და ღვთის მორჩილებთან თანამყოფობდნენ. და ჰქონდათ მათ ერთი სული, ერთი სხეული (ეფეს. 4.4) და ერთი სამოსი, რადგან ისინი განსჯიდნენ და სიმართლეს აღასრულებდნენ (II კორინ. 13.11; ფილიპ. 2.2; ფს. 14.2; საქმ. მოც. 10.35; ებრ. 11.33). 8. მაგრამ რაღაც დროის შემდეგ ცდუნდნენ დედაკაცთა მიერ, რომლებიც შენ პირმშვენიერნი, შავი მოსასხამით მოსილნი, გაშიშვლებული მხრებითა და გაშლილი თმებით იხილე. დაინახეს რა ისინი, ისურვეს და მათი ძალა შეიმოსეს, ხოლო ქალწულთა სამოსი და ძალა განიმოსეს. 9. ამრიგად, ისინი განიდევნენ ღვთის სახლიდან და მათ გადაეცნენ. ხოლო ის, ვინც ამ დედაკაცთა სილამაზით არ მოტყუებულა, ღვთის სახლში დარჩა. გაქვს განმარტება უარყოფილი [ქვების] შესახებ“.

91.(14).

1. ვეკითხები: „უფალო, თუკი ეს ადამიანები, ამგვარად მყოფნი, შეინანებენ და იმ დედაკაცების სურვილს დაუტევებენ, ქალწულებსა და მათ ძალას დაუბრუნდებიან და მათი საქმეებით ისრბოლებენ, ვეღარ შევლენ ღვთის სახლში?“ 2. „შევლენ, - მომიგებს, - რაჟამს იმ დედაკაცთა საქმეებს მოირიდებენ, ქალწულთა ძალას შეიწყნარებენ და მათ საქმეებს იმოქმედებენ. ამიტომაცაა შეჩერებული მშენებლობა, რომ თუ ისინი შეინანებენ, კოშკის შენობაში შევიდნენ. მაგარამ უკეთუ არ მოინანიებენ, მაშინ სხვები შევლენ, ხოლო ისინი საბოლოოდ განიდევნებიან“. 3. ყოველივე ამისთვის ვმადლობდი უფალს, რომ ყველა მისი სახელის მხმობელთ მწყალობლობს (ეს. 43.7) და ჩვენ, მის მიმართ მცოდველთ, სინანულის ანგელოზს გვიგზავნის და ჩვენს სულსა თუ ჩვენ, უკვე გახრწნილთ, აღგვადგენს და ცხოვრების იმედის არმქონეთ სიცოცხლეს განგვიახლებს. 4. ვეუბნები: „უფალო, ახლა კი განმიცხადე, კოშკი რატომ მიწაზე არ აშენდა, არამედ - კლდესა და კარზე“. „კვლავაც უგუნური და უგულისხმო ხარ?“ - მომიგებს. „უფალო, იძულებული ვარ შენ შეგეკითხო, რადგან საერთოდ არაფერი ძალმიძს გავიგო, ვინაიდან ყოველივე დიდი და დიდებულია და ძნელადსაწვდომია ადამიანისთვის“. 5. „ისმინე! - ამბობს, - ღვთის ძის სახელი დიდია და განუსაზღვრელი, მთელი მსოფლიო უპყრია. თუკი ყველა ქმნილება ღვთის ძის სახელითაა პყრობილი, რას ფიქრობ მისი სახელით ხმობილებზე, ღვთის ძის სახელის მატარებლებსა და მის მცნებებში მსრბოლელებზე? 6. ხედავ, როგორ განადიდებს მისი სახელის მთელი გულით მატარებელთ? ამრიგად,

ის გახდა მათთვის საფუძველი და სიხარულით უპყრია ისინი, რადგან არ შეჰრცხვენიათ მისი სახელის ტარება“.

92.(15).

1. ვეუბნები: „უფალო, გამაგებინე მე ქალწულთა და შავ მოსასხამებში მოსილ დედაკაცთა სახელები“. „ისმინე, - მომიგებს, - კუთხეებთან მდგომ უძლიერეს ქალწულთა სახელები. 2. პირველი რწმენაა, მეორე - თავშეკავება, მესამე - ძალა, მეოთხე - სულგრძელება[54], ხოლო სხვები, მათ შორის მდგომნი, ამ სახელებს ფლობენ: უბრალოება, უმანკოება, უმწიკვლოება, სიხარული, ჭეშმარიტება, გულისხმისყოფა, ერთსულოვნება, სიყვარული[55]. ღვთის სასუფეველში შესვლა ამ სახელებისა და ღვთის ძის სახელის მატარებელს შეუძლია (ინ. 3.5). 3. შავი სამოსის მქონე დეადკაცთა სახელებიც ისმინე. მათგან ოთხნი უძლიერესნი არიან: პირველი ურწმუნოებაა, მეორე - თავშეუკავებლობა, მესამე - ურჩობა, ხოლო მეოთხე - ცბიერება. მათ შედგომილებს კი ეწოდებათ დარდი, უკეთურება, გარყვნილება, მრისხანება, ტყული, უგუნურება, ბოროტმეტყველება, შური. მონა ღვთისა, ვინც ამ სახელებს ატარებს, ღვთის სასუფეველს იხილავს, მაგრამ მასში ვერ შევა“. 4. შევეკითხე: „უფალო, დაბლობიდან ამოტანილი ქვები ვინ არაიან?“ „საფუძველში განთავსებული პირველი ათი [ქვა], ამბობს, - პირველი მოდგმაა. ოცდახუთი [ქვა] მართალი ადამიანების მეორე მოდგმაა, ხოლო ოცდათხუთმეტი ღვთის წინასწარმეტყველნი და მისი მსახურები არიან. ორმოცი კი - მოციქულები და ღვთის ძის მოძღვრების მასწავლებლები“. 5. ვეუბნები: „უფალო, რატომ გადასცეს ქალწულებმა ეს მოტანილი ქვები კოშკის ასაშენებლად კარის გავლით?“ 6. მომიგო: „რადგან მათ პირველებმა იტვირთეს ეს სულები და საერთოდ არ განშორებიან ურთიერთს, არც სულები - ადამიანებს, არც ადამიანები - სულებს, არამედ რჩებოდნენ სულები მათთან ვიდრე გარდაცვალებამდე. და თუკი ეს სულები მათთან ერთად არ

---

54 ერმს აღნიშნული ქალწულები ადრეული ხილვისას ჰყავდა ნანახი: ***„კარის ირგვლივ თორმეტი ქალწული იდგა. მე კუთხეებთან მდგომი ოთხი [ქალწული] უფრო დიდებულად მეჩვენა, მაგრამ სხვებიც დიდებულები იყვნენ. კარის ოთხივე მხარეს იდგნენ, ხოლო მათ შორის კი - ორი-ორი ქალწული“*** (იგავი 79.(2)3). ამჯერად ერმი ღებულობს განმარტებას, თუ რომელ სათნოებას განასახიერებს თითუეული მათგანი. შდრ. ἡ μὲν πρώτη **Πίστις**, ἡ δὲ δευτέρα **Ἐγκράτεια**, ἡ δὲ τρίτη **Δύναμις**, ἡ δὲ τετάρτη **Μακροθυμία**. ინგლ. The first is **Faith**, the second **Continence**, the third **Power**, the fourth **Patience.** რუს. **первая зовется Верою, вторая — Воздержанием, третья — Мощью, четвертая — Терпением.**

55 შდრ. **Ἁπλότης, Ἀκακία, Ἁγνεία, Ἱλαρότης, Ἀλήθεια, Σύνεσις, Ὁμόνοια, Ἀγάπη.** ინგლ. **Simplicity**, **Innocence**, **Purity**, **Cheerfulness**, **Truth**, **Understanding**, **Harmony**, **Love**. რუს. Простота, Невинность, Целомудрие, Радость, Правдивость, Разумение, Согласие и Любовь.

იქნებოდნენ, ვერ გახდებოდნენ სასარგებლონი ამ კოშკის შენობისთვის“.

93.(16).

1. ვეუბნები: „უფალო კვლავაც განმიმარტე“. მეკითხება: „რა გაინტერესებს?“ მივუგე: „უფალო, თუკი ქვები ამ სულთა მატარებელნი იყვნენ, რატომ ამოიტანეს წყლის ფსკერიდან და განათავსეს კოშკის შენობაში?“ 2. მომიგებს: „აუცილებელი იყო წყლის გავლით ამოტანა, რომ განცხოველებულიყვნენ, რადაგან არ ძალუძდათ სხვაგვარად ღვთის სასუფეველში შესვლა (ინ. 3.5), თუკი არ დაუტევებდნენ თავიანთი ადრინდელი ცხოვრების სიკვდილს[56]. 3. ამრიგად, ამ გარდაცვლილებმაც მიიღეს ღვთის ძის ბეჭედი და ღვთის სასუფეველში შევიდნენ (ინ. 3.5), რადგან მკვდარია ადამიანი ღვთის ძის სახელის შემოსვამდე, მაგარამ როდესაც ბეჭედს მიიღებს, მაშინ სიკვდილს დაუტევებს და სიცოცხლეს შეიწყნარებს. 4. ასე რომ, წყალია ბეჭედი. შესაბამისად, წყალში მკვდრები ჩადიან და ცოცხლები ამოდიან. ეს ბეჭედი მათთვის იქადაგა და კეთილექმნა იგი, რადგან ღვთის სასუფეველში შევიდნენ“ (ინ. 3.5). 5. „უფალო, - ვეკითხები, - ბეჭდის მქონე ორმოცი ქვა მათთან ერთად წყლის ფსკერიდან რატომ ამოიტანეს?“ მპასუხობს: „რადაგან ისინი მოციქულები და ღვთის ძის სახელის მქადაგებელი მოძღვრები არიან. ღვთის ძის ძალითა და რწმენით გარდაცვლილებმა შესვენებულებისთვისაც იქადაგეს და თავად მიანიჭეს მათ ქადაგების ბეჭედი. 6. ასე რომ, მათთან ერთად ჩავიდნენ წყალში და კვლავ ამოვიდნენ[57], მაგარამ ისინი ცოცხალნი ჩავიდნენ და ცოცხალნი ამოვიდნენ, ხოლო ეს შესვენებულნი მკვდრები შთავიდნენ, მაგრამ ცოცხალნი აღმოვიდნენ[58]. 7. სწორედ მათი

---

56 შდრ. Ανάγκην, φησίν, εἶχον διᾳ ὕδατος ἀναβῆναι, ἵνα ζωοποιηθῶσιν: οὐκ ἠδύναντο γὰρ ἄλλως εἰσελθεῖν εἰς τὴν βασιλείαν τοῦ θεοῦ, εἰ μὴ τὴν νέκρωσιν ἀπέθεντο τῆς ζωῆς αὐτῶν τῆς προτέρας. საუბარია ქვებზე, რომლებიც ძველი აღთქმის მართალთ განასახიერებენ. მოცემულ შემთხვევაში მოუნათლავობა „ადრინდელი (ანუ ძველაღთქმისეული) ცხოვრების სიკვდილად“ სახელდება.

57 შდრ. ΄Οτι, φησίν, οὗτοι οἱ ἀπόστολοι καὶ οἱ διδάσκαλοι οἱ κηρύξαντες τὸ ὄνομα τοῦ υἱοῦ τοῦ θεοῦ, κοιμηθέντες ἐν δυνάμει καὶ πίστει τοῦ υἱοῦ τοῦ θεοῦ ἐκήρυξαν καὶ τοῖς προκεκοιμημένοις καὶ αὐτοὶ ἔδωκαν αὐτοῖς τὴν σφραγῖδα τοῦ κηρύγματος. ერმის „მწყემსის“ თანახმად, ძველი აღთქმის გარდაცვლილ მართალთა ნათლისღება მოციქულებისა და ჭეშმარიტების მასწავლებელი მოძღვრების მიერ იმოქმედება. ტექსტის თანახმად, ისინი გარდაცვალების შემდეგ ჯოჯოხეთში ჩადიან და ნათლისღების საიდუმლოს აღასრულებენ.

58 შდრ. ἀλλᾳ οὗτοι μὲν ζῶντες κατέβησαν καὶ ζῶντες ἀνέβησαν: ἐκεῖνοι δὲ οἱ προκε κοιμημένοι νεκροὶ κατέβησαν, ζῶντες δὲ ἀνέβησαν. ცოცხლად ჩასულებსა და ცოცხლად ამოსულებში ახალი აღთქმის მართალნი (მოციქულები და მოძღვარნი) იგულისხმებიან, რომელთაც ამასოფელში ყოფნისას მიიღეს ნათლისღების საიდუმლო და „ბეჭედდასმულნი“ მიიცვალნენ, ხოლო მკვდრებად შთასულებსა და ცოცხლებად აღმოსულებში ძველი აღთქმის მართალნი მოიაზრებიან, რომელნიც არ

საშუალებით განცხოველდნენ და შეიმეცნეს ღვთის ძის სახელი. ამიტომაც ამოვიდნენ მათთან ერთად, თანაშეეწყვნენ კოშკის შენობას და ხელშეუხებელნი თანაშეუშენდებოდნენ[59], რადგან სიმართლესა და დიდ უმწიკვლოებაში აღესრულნენ, მხოლოდ ეს ბეჭედი არ გააჩნდათ. ამრიგად, გაქვს განმარტება ამის შესახებაც“. ვპასუხობ: „დიახ, უფალო“.

94.(17).

1. „უფალო, ახლა კი მთების შესახებ განმიცხადე, თუ რატომაა მათი გარეგნობა განსხვავებული და მრავალგვარი?“ მომიგებს: „ისმინე. ეს თორმეტი მთა მთელს სამყაროში დასახლებული თორმეტი ტომია, რომლებსაც მოციქულთა მიერ ექადაგათ ღვთის ძის სახელი“. 2. „უფალო, რატომაა მთების სახე მრავალგვარი და სხვადასხვა?“ „მისმინე! - ამბობს, - მთელ სამყაროში დამკვიდრებული ეს თორმეტი ტომი თორმეტი ხალხია. განსხვავებულები არიან აზრებითა და გონებით. როგორი მრავალსახოვანი მთებიც იხილე, ასეთივე განსხავავებაა ამ ხალხების აზრსა და გონებას შორის. და აი, თითოეულის საქმეს განგიცხადებ შენ“. 3. ვეკითხები: „უფალო, პირველად ეს გამაგებინე: როდესაც ასეთი მრავალსახოვანი მთებიდან [მოტანილი] ქვები შენობაში განათავსეს, როგორ გახდნენ ერთი ფერისანი, მსგავსად წყლის ფსკერიდან ამოტანილი ბრწყინვალე ქვებისა?“ 4. მომიგებს: „რადგან ცისქვეშეთში დამკვიდრებულ ყველა ხალხს, მსმენელსა და მრწმუნებელს, ღვთის ძის სახელი ეწოდა. ამრიგად, მიმღებლებს ბეჭდისა ერთი აზრი და ერთი გონე გააჩნდათ (ეფეს. 4.4), ერთი გახდა მათი სარწმუნოება, ერთია სიყვარული და სახელთან ერთად ქალწულთა სულებიც იტვირთეს. ამიტომაც გახდა კოშკის შენობა ერთი ფერის, ბრწყინვალე, ვითარცა მზე. 5. მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი მასში (კოშკში, ი. ო.) შევიდნენ და ერთი სხეული შეიქნენ, ზოგიერთმა მათგანმა საკუთარი თავი წაბილწა, მართალთა მოდგმიდან განიდევნა და როგორებიც ადრე იყვნენ, კვლავ ისეთივე გახდნენ, მეტად უარესნიც“.

95.(18).

1. ვეუბნები: „უფალო, ღვთის შემმეცნებელნი უარესნი როგორღა გახდნენ?“ მომიგებს: „ვისაც ღმერთი არ შეუმეცნებია და უკეთურობს, თავისი ცოდვების გამო განეკუთვნება სასჯელი, ხოლო ღვთის შემმეცნებელი ვალდებულია, აღარ სცოდოს, არამედ - კეთილმოქმედება აღასრულოს. 2. ამრიგად, თუკი ის, ვინც მოვალეა სიკეთე ქმნას, უკეთურობს, არ ფიქრობ, რომ უმეტეს ცოდვას ჩადის, ვიდრე ის, ვინც ღმერთი არ იცის? ამიტომაც

მოსწრებიან ქრისტეს და, შესაბამისად, მათზე ფიზიკურად (წყლის გამოყენებით) არც ნათლისღების საიდუმლო აღსრულებულა.

59 ***Gr.*** **συνφκοδομήθησαν.**

ღვთის შეუმეცნებელნი და უკეთურების მოქმედნი სიკვდილისთვის არიან განწირულნი, მაგარამ ღვთის შემმეცნებელნი, მისი დიდებულებების მხილველნი და მცოდველნი ორმაგად დაისჯებიან და საუკუნოდ მოკვდებიან. ასე რომ, ამგვარად განიწმინდება ღვთის ეკლესია. 3. ხომ იხილე, რომ კოშკიდან აღებული და იქიდან განგდებული ქვები უკეთურ სულებს გადაეცნენ, განწმენდილებიც ერთი სხეული არიან, ვითარცა კოშკი, რომელიც გასუფთავების შემდეგ თითქოს ერთიანი ქვისგან ნაშენი გამხდარიყო, ამგვარივე იქნება ღვთის ეკლესია მისი განწმენდის, უკეთურთა, ფარისეველთა, მგმობელთა, ორგულთა და მრავალგვარი ცოდვებით ბოროტმოქმედთა გაძევების შემდეგ. 4. მათი უარყოფის მერე ღვთის ეკლესია ერთი სხეული, ერთი აზრი, ერთი გონება, ერთი რწმენა, ერთი სიყვარული იქნება და მაშინ საკუთარი განწმენდილი ხალხის მიმღები ძე ღვთისა იმხიარულებს და გაიხარებს მათით". ვეუბნები: „უფალო, დიდებული და დიადია ყოველივე. 5. ახლა კი თითოეული მთის ძალა და საქმე განმიმარტე, რომ უფალს მინდობილმა ყოველმა სულმა, ვინც უფალს მიენდო, მოისმენს რა, განადიდოს მისი დიდი, გასაოცარი და დიდებული სახელი" (ფს. 8.2; 85.9; 98.3). მომიგებს: „ისმინე მრავალსახოვანი მთებისა და თორმეტი ხალხის შესახებ.

96.(19).

1. პირველი შავი მთა ასეთი მორწმუნეები არიან[60]: განდგომილნი, უფლის მგმობელნი და ღვთის მონათა გამცემნი. არაა მათთვის სინანული, ხოლო სიკვდილი კი არის. ამიტომაც არიან შავი ფერის, რადგან ურჯულოა მათი მოდგმა. 2. მეორე გაშიშვლებული მთა ასეთი მორწმუნეები არიან: ფარისეველნი და უკეთურების მოძღვარნი. ამრიგად, ისინიც პირველთა მსგავსნი არიან, არ გააჩნიათ რა სიმართლის ნაყოფი (ფილიპ. 1.11; ებრ. 12.11; იაკ. 3.8), რადგან როგორც მათი მთა არის უნაყოფო, ამგვარადვე ეს ადამიანები, სახელის მქონენი[61], რწმენისგან დაცლილნი არიან და არაა მათში ნაყოფი ჭეშმარიტებისა. ასე რომ, მათ სინანული განეწესათ, თუკი სწრაფად შეინანებენ, მაგრამ უკეთუ შეყოვნდებიან, პირველებთან ერთად იქნება მათი სიკვდილი". 3. „უფალო, - ვეუბნები, - რატომაა მათთვის სინანული, ხოლო პირველთათვის არა, თუ ეს საქმენი მათებრ არიან?"[62] მპასუხობს: „მათ სინანული იმიტომ განეკუთვნათ, რომ თვიანთი უფალი არ დაუგმიათ, არც ღვთის მონათა გამცემნი გამხდარან, მაგრამ ანგარების სურვილის მიზეზით მზაკვრობდნენ და შემცოდე ადამიანთა გულისთქმისამებრ იმოძღვრებოდა

---

60 იგულისხმება, რომ თორმეტივე მთა, რომელთა შესახებაც ერმი განმარტებას მიიღებს, ადამიანთა სულიერი მდგომარეობის სიმბოლოდაა წარმოდგენილი.

61 ე. ი. ნათელღებულნი.

62 იგულისხმება, რომ ამ ადამიანთა მიერ აღსრულებული საქმეები მსგავსია პირველი მთის შემთხვევაში წარმოდგენილი საქმეებისა.

თითოეული[63]; გარკვეული სასჯელი მოელით, მაგრამ არ გამხდარან რა ისინი მგმობელნი, არც გამცემნი, ამიტომაც სინანული განეწესათ მათ.

97.(20).

1. სარეველებისა და ეკლების მქონე მესამე მთა ასეთი მორწმუნეები არიან: ზოგიერთი მათგანი მდიდარია, სხვანი მრავალი საქმით აღრეულან. სარეველები მდიდრები არიან, ხოლო ეკლები - მრავალგვარ საქმეში აღრეულნი (მთ. 13.22; მრ. 4. 18-19). 2. ამრიგად, ისინი, მრავალგვარსა და განსხვავებულ საქმეებს შეჭიდებულნი, არათუ ღვთის მონებს უკავშირდებიან, არამედ დაეხეტებიან თავიანთი ქმედებებით მოშთობილნი[64]. ძნელად უკავშირდებიან მდიდრები ღვთის მონებს, რადგან შიშობენ, რამე არ ითხოვონ მათგან. ასე რომ, ძნელად შევლენ ისინი ღვთის სასუფეველში (მრ. 10.23); 3. ვითარცა სამძიმოა შიშველი ფეხებით ეკლებზე სიარული, ასევე ძნელია მათთვის ღვთის სასუფეველში შესვლა (მთ. 10.23). 4. მაგარამ არის სინანული ყველა მათგანისთვის, ოღონდ სწრაფად, რომ ადრინდელი ჟამი, როდესაც არ მოქმედებდნენ, ახლანდელ დროში ზეაღირბინონ[65] და რამ სიკეთე აღასრულონ. ამრიგად, რაჟამს შეინანებენ და სიკეთეს იმუშაკებენ, ღმერთთან იცხოვრებენ; ხოლო თუკი თავიანთ საქმეებში შეყოვნდებიან, გადაეცემიან დედაკაცებს, რომლებიც მოაკვდინებენ მათ.

98.(21).

1. მრავალი ბალახის მქონე მეოთხე მთა, ზემოდან მწვანე და ძირისკენ ხმელი ბალახით, ხოლო ზოგიერთები მზისგან გამხმარნი, ასეთი მორწმუნეები არიან: ორგულები, რომლებიც უფალს ბაგეებით ატარებენ, მაგრამ გულში კი არ ჰყავთ. 2. ამის გამოა მათი ძირები ხმელი და ძალა არა გააჩნიათ. მხოლოდ მათი სიტყვაა ცოცხალი, მაგრამ მათი საქმეები - მკვდარი. ასეთნი არც ცოცხლები და არც მიცვალებულები არიან. ამრიგად, ორგულებს ემსგავსებიან, რადგან ორგულნი არც მწვანე ფერისა არიან და არც გამხმარნი ანუ არც ცოცხალნი და არც მკვდარნი. 3. რადგან როგორც მზის მხილველი ის ბალახი გახმა, ასევე ორგულნი, რაჟამს დევნის შესახებ მოისმენენ, შიშის გამო კერპებს ეთაყვანებიან და თავიანთი უფლის სახე-

---

63 შდრ. …ἐδίδαξεν ἕκαστος κατὰ τὰς ἐπιθυμίας τῶν ἀνθρώπων τῶν᾽ μαρτανόντων. ე. ი. ასეთი ადამიანები, ვერცხლისმოყვარების სურვილით აღძრულნი, მავანთა, განსწავლისას ნაცვლად მხილებისა და სინანულისკენ მოწოდებისა, მაამებელ სიტყვებს წარმოთქვამდნენ გამორჩენის მიზნით.

64 ***Gr.*** **πνιγόμενοι**. ანუ სულიერ უნაყოფობაში იმყოფებიან.

65 „ზეაღირბინონ“ (***Gr.*** **ἀναδράμωσιν**) ე. ი. უწინდელი უმოქმედობის დროს აღემატონ.

ლის რცხვენიათ. 4. ამიტომაც არც ცოცხალნი, არც მიცვალებულნი არიან. მაგრამ ისინიც, თუკი სწრაფად შეინანებენ, შეძლებენ ცხონებას. ხოლო უკეთუ არ მოინანიებენ, უეჭველად გადაეცემიან თავიანთი სიცოცხლის ხელმყოფელ დედაკაცებს.

99.(22).

1. მწვანე ბალახის მქონე და უსწორმასწორო მეხუთე მთა ასეთი მორწმუნეები არიან: მორწმუნენი, მაგრამ ძნელადგანსასწავლნი და თავდაჯერებულნი, საკუთარი თავით კმაყოფილნი და მსურველნი ყოველივეს გაგებისა, მაგრამ საერთოდ ვერაფრის შემმეცნებელნი. 2. საკუთარი თავდაჯერებულობის გამო გონიერება დაუტევეს და ბრიყვული უგუნურება მიეახლა მათ. თავს განიდიდებენ, თითქოსდა საზრიანობას ფლობდნენ, და, უგუნურებს, ჰსურთ თვითმარქვია მოძღვარნი იყონ[66]. 3. ამრიგად, ამ მაღალწარმოდგენის[67] გამო მრავალმა ამაღლებულმა დაამხო საკუთარი თავი, რადგან დიდი ეშმაკეულობაა თავდაჯერებულობა და ფუჭი სასოება. ასე რომ, უარყოფილია ბევრი მათგანი, მაგრამ ზოგიერთებმა შეინანეს, ირწმუნეს და შემმეცნებლებმა საკუთარი უგუნურებისა საკუთარი თავი გონიერების მქონებელთ დაუმორჩილეს. 4. დანარჩენებსაც, ვინც ასეთია, სინანული განეკუთვნება, ვინაიდან არ გამხდარან უკეთურები, ძლიერ ბრიყვნი და უგულისხმონი. ამრიგად, რაჟამს შეინანებენ ისინი, ღმერთთან იცოცხლებენ, მაგრამ უკეთუ არ მოინანიებენ, მათ მიმართ უკეთურებისმოქმედ დედაკაცებთან ერთად დამკვიდრდებიან.

100.(23).

1. მეექვსე მთა, რომელსაც დიდი და მცირე ბზარები ჰქონდა, ხოლო ბზარებში გამხმარი ბალახი იყო, ასეთი მორწმუნეები არიან: 2. მცირე ბზარის მქონენი ის მორწმუნეები არიან, რომლებსაც ურთიერთთან დაპირისპირება აქვთ და თავიანთი ავმეტყველების გამო სარწმუნოებაში მოუძლურდებიან, მაგრამ მათგან მრავალი შეინანებს. დანარჩენებმაც უნდა მოინანიონ, როდესაც ჩემს მცნებებს მოისმენენ, რადგან უმნიშვნელოა მათი ავმეტყველება და მალევე შეინანებენ. 3. ხოლო დიდი ბზარების მქონენი ისინი არიან, რომლებიც საკუთარ ავმეტყველებაში რჩებიან და, ხდებიან

---

66 შდრ. ἐπαινοῦσι δὲ ἑαυτοὺς ὡς σύνεσιν ἔχον τας καὶ θέλουσιν **ἐθελοδιδά σκαλοι** εἶναι, ἄφρονες ὄντες. ხაზგასმული ბერძნული სიტყვა (ἐθελοδιδάσκαλος) თვითმარქვია მოძღვარს, მასწავლებელს ნიშნავს (შდრ. Lampe: „ἐθελοδιδάσκαλος, ὁ, self-appointed teacher“. **A Patristic Greek Lexicon, Oxford 1961, p. 406**).

67 ***Gr.* τὴν ὑψηλοφροσύνην**. იგულისხმება ამპარტავნული, ამაღლებული წარმოდგენა საკუთარ თავზე.

რა ავმეხისიერნი, ერთურთისადმი მრისხანებენ. ამრიგად, ისინი კოშკიდან განიგდებიან და აღმოიფხვრებიან მისი შენობიდან. ასე რომ, ძნელად ცხონდებიან ასეთნი. 4. თუკი ღმერთი და უფალი ჩვენი, ყოველთა მეუფე და თავის ყველა ქმნილებაზე ხელმწიფების მქონე, არ ავმეხსიერებს საკუთარი ცოდვების აღმსარებელზე, არამედ მოწყალე ექმნება, განა ადამიანი, ხრწნადი და ცოდვებით აღსავსე, უნდა ბოროტმეხსიერებდეს ადამიანზე, თითქოს ძალუძდეს მისი დაღუპვა ანთუ დახსნა (იაკ. 4.12)? 5. სინანულის ანგელოზი გეუბნებით თქვენ, რომლებსაც ასეთი არჩევანი გაქვთ, განუდექით მას, შეინანეთ და რაჟამს ამ ეშმაკეულობისგან განიწმინდებით, განკურნავს თქვენს უწინდელ შეცოდებებს უფალი, ხოლო უარის შემთხვევაში სიკვდილს გადაეცემით.

101.(24).

1. მეშვიდე მთა, რომელსაც მწვანე და გასაოცარი ბალახი ჰქონდა, მთლიანად აყვავებულიყო და ყველა ჯიშის ცხოველი თუ ცის ფრინველი იკვებებოდა ამ მთის მდელოზე, ბალახიც, რომლითაც იკვებებოდნენ, მეტად ყვაოდა, ისინი ასეთი მორწმუნეები არიან: 2. მარადჟამ უბრალონი და უბოროტონი, ურთიერთთან დაპირისპირების არმქონენი, ღვთის მონათა გამო მარადის მოხარულები, ქალწულთა წმინდა სულით მოსილნი, მუდამ ყველა ადამიანის მიმართ მოწყალების მქონენი, რომლებიც თავიანთ ნაშრომთაგან თითოეულ ადამიანს დაუბრკოლებლად და უყოყმანოდ უნაწილებდნენ. 3. ამრიგად, მათი უბრალოებისა და ყოველგვარი უმანკოების მხილველმა უფალმა მათი ხელების ნაღვაწი გაამრავლა და ყველა საქმეში უწყალობა. 4. მე, სინანულის ანგელოზი კი, გეუბნებით თქვენ, რომლებიც ასეთნი ხართ, ასე დარჩით და არ წარიხოცება თქვენი მოდგმა ვიდრე საუკუნოდ, რადგან უფალმა გამოგცადათ და ჩვენს რიცხვში ჩაგწერათ, მთელი თქვენი სახლეულიც ღვთის ძესთან ერთად დამკვიდრდება, ვინაიდან მისი სული მიიღეთ.

102.(25).

1. მერვე მთა, სადაც მრავალი ნაკადული იყო და უფლის ყველანაირი ქმნილება ნაკადულებიდან რწყულდებოდა, ასეთი მორმუნეები არიან: 2. მოციქულები და მთელ სამყაროში მქადაგებელი მოძღვრები, რომლებიც უბიწოდ და უმწიკვლოდ ასწავლიდნენ ღვთის სიტყვას და, საერთოდ, არანაირი უკეთური გულისთქმა არ შეუთვისებიათ, არამედ მარადჟამ სიმართლესა და ჭეშმარიტებაში სრბოლობდნენ, რადგან სულიწმინდა შეიწყნარეს. ამრიგად, ანგელოზებთან ერთადაა მათი გზა.

103.(26).

1. მეცხრე გაუდაბურებული მთა, მასზე მყოფი ადამიანთა მომაკვდინებელი გველებითა და მხეცებით, ასეთი მორწმუნეები არიან: 2. ბიწის (σπίλους) მქონე დიაკვნები, ბოროტად მომუშაკენი, ქვრივთა და ობოლთა საკუთრების მძარცველნი და მსახურებისგან, რაც აღსასრულებლად მიიღეს, საკუთარი თავის გამამდიდრებელნი. ამრიგად, თუ ამ ზრახვაში შეყოვნდებიან, დაიღუპებიან და აღარაა მათთვის იმედი ცხონებისა; ხოლო უკეთუ შემობრუნდებიან და უმწიკვლოდ განასრულებენ თავიანთ მსახურებას, ძალუძთ ცხონება. 3. დახორკლილი [ქვები] ისინი არიან, რომლებმაც უარყვეს და არ მოიქცნენ თავიანთი უფლისკენ, არამედ გახდნენ ველურნი და გაუდაბურებულნი. არც ღვთის მონებს უკავშირდებიან და მარტომცხოვრებნი[68], საკუთარ სულებს წარიწყმედენ (მთ. 10.39; ლკ. 9.24; 17.33; ინ. 12.25). 4. როგორც სადმე შემოღობილში დატოვებული ვენახი, აღმოჩნდება რა უზრუნველი, ნადგურდება, ბალახისგან უდაბურდება, ველური ხდება დროში და აღარც საკუთარი პატრონისთვის არის სასარგებლო, ამგვარადვე ასეთი ადამიანები თავიანთ თავს უარყოფენ და გაველურებულები უსარგებლონი ხდებიან უფლისთვის. 5. ექნებათ მათ სინანული, რაჟამს გულით უარმყოფელნი არ აღმოჩნდებიან, მაგარამ თუკი გულით უარისმთქმელი იპოვება მავანი, არ ვიცი, თუ შეძლებს ცხონებას. 6. და ამას არა იმ დღეებზე ვამბობ, როდესაც ვინმე უარმყოფელი სინანულს მიიღებს, რადგან შეუძლებელია გადარჩენა იმისა, ვინც ახლა იზრახავს, საკუთარ უფალს განუდგეს, არამედ მათთვის, რომლებმაც ადრე უარყვეს, ვფიქრობ, განწესებულია სინანული[69]. ამრიგად, თუ ვინმეს ჰსურს სინანული, კოშკის დასრულებამდე გახდეს მოსწრაფე, ხოლო უკეთუ არა, დედაკაცების მიერ დაიღუპება სასიკვდილოდ. 7. მოკლე [ქვები] მზაკვარნი და ავმეტყველნი არიან. მხეცებიც, მთაზე რომ იხილე, ისინი არიან. რადგან როგორც გველები თავიანთი შხამით ანადგურებენ და კლავენ ადამიანს, ამგვარადვე ასეთი ადამიანების სიტყვებიც ხრწნის და კლავს ადამიანს. 8. ამრიგად, ისინი მოკლებულნი არიან რწმენას თავიანთი ქმედებების გამო, რასაც საკუთარ თავში ატარებენ. ზოგიერთებმა შეინანეს და გადარჩნენ. დანარჩენებსაც, ამგვარად მყოფებს, ძალუძთ ცხონება, რაჟამს მოინანიებენ, მაგრამ თუკი არ შეინანებენ, იმ ძალის მფლობელი დედაკაცების მიერ დაიღუპებიან.

---

68 ***Gr.*** **μονάζοντες**.

69 შდრ. καὶ τοῦτο οὐκ εἰς ταύτας τὰς ἡμέρας λέγω, ἵνα τις ἀρνησάμενος μετά νοιαν λάβῃ... ბერძნულ ტექსტში ხაზგასმული სიტყვა „უარმყოფელი“ (ἀρνησάμενος) მომავალი დროის მიმღეობითაა წარმოდგენილი (ზმნა - ἀρνέομαι). მოცემულ შემთხვევაში ხაზგასმაა იმისა, რომ თუკი მავანი ფიქრობს, მომავალში, დევნისას, ღმერთს უარყოფს და მოგვიანებით, როდესაც ეს განსაცდელი გაივლის, კვლავ აღმსარებელი გახდება, ასეთისთვის სინანული შეუძლებელია; მაგრამ ისინი, რომლებიც ღმერთს ადრე განუდგნენ, პოვებენ მონანიების შესაძლებლობას.

104.(27).

1. მეათე მთა, რომელზეც ხეები იყო და ცხვარს იფარავდა, ასეთი მორწმუნეები არიან: 2. ეპისკოპოსები და სტუმართმოყვარენი, რომლებიც მუდამ სიხარულით, ფარისეველობის გარეშე იწყნარებდნენ ღვთის მონებს საკუთარ სახლებში. ეპისკოპოსები კი თავიანთი მსახურებით მუდამჟამ დაუღალავად იფარავდნენ შეჭირვებულებსა თუ ქვრივებს და მარადის უმწიკვლოდ მიმოიქცეოდნენ. 3. ამრიგად, სამარადჟამოდ დაიცავს ყველა მათგანს უფალი. ამის მოქმედნი დიდებულნი არიან ღვთისა წინაშე და მათი ადგილი ამჟამადაც ანგელოზებთან ერთადაა, თუკი ბოლომდე დარჩებიან მსახურნი ღვთისა.

105.(28).

1. მეთერთმეტე მთა, რომელზეც სხვადასვა ნაყოფით გამშვენებული და დახუნძლული ხეები იყო, ასეთი მორწმუნეები არიან: 2. ღვთის ძის სახელის გამო ვნებულნი, რომლებიც სიხარულით, მთელი გულით იტანჯნენ და თავიანთი სიცოცხლე დათმეს“. 3. „უფალო, - ვეუბნები, - რატომაა, რომ ნაყოფი ყველა ხეს აქვს, მაგრამ ზოგიერთი მათგანის ნაყოფნი უკეთილსახილველესია?“[70] „ისმინე! - მომიგებს, - ვინც კი ოდესმე [უფლის] სახელის გამო ვნებულა, უდიდებულესია ღვთის წინაშე, ყველა მათგანის შეცოდებანიც აღიხოცა, რადგან ღვთის ძის სახელის გამო იტანჯნენ. ისმინე, რატომაა მათი ნაყოფები მრავალგვარი, ხოლო – ზოგიერთი - უაღმატებულესი. 4. ბევრი, ხელისუფალთან მიყვანილი გამოიცადა და არ უარუყვია, არამედ სიხარულით ევნო. ისინი მეტად უდიდებულესნი არიან უფლის წინაშე. მათი ნაყოფია აღმატებული. მრავალი მხდალი კი მერყეობდა და საკუთარ გულში განსჯიდა, უარეყო თუ ეღიარებინა, და იტანჯა. მცირეა მათი ნაყოფი, რადგან აღწევნილა მათ გულებში ეს სურვილი, ეს უკეთური სურვილი, რომ მონა საკუთარ უფალს განუდგეს. 5. ამრიგად, ეკრძალეთ თქვენ, ამის მზრახველნი, ნურასოდეს შეყოვნდება ეს სურვილი თქვენს გულებში, რომ ღმერთს არ მოუკვდეთ. ხოლო თქვენ, სახელის გამო ვნებულებს, ღვთის დიდება გევალებათ, რომ ღმერთმა ამ სახელის ტარების ღირსად შეგრაცხოთ და ყველა თქვენი ცოდვა განიკურნება. 6. შესაბამისად, ინეტარებთ. მაგრამ მიგაჩნიათ, დიდი საქმე აღასრულა, თუ რომელიმე თქვენგანი ღვთის გამო იტანჯა? სიცოცხლეს ღმერთი განიჭებთ, და არ კი ფიქრობთ, რადგან ცოდვებმა დაგამძიმეს, და უკეთუ არ ივნებოდით უფლის სახელის გამო, ღმერთს მოუკვდებოდით თქვენი ცოვების მიზეზით. 7. თქვენ გეუბნებით ამას, რომლებიც მერყეობთ უარყოფასა თუ აღიარებას შორის. აღიარეთ, რომ გყავთ უფალი და თვინიერ განდგომილებისა საპყრობილეს

---

70 *Gr.* **εὐειδέστεροί**.

მიეცემით. 8. თუკი წარმართები სჯიან საკუთარ მონებს, რაჟამს პატრონს განუდგება ვინმე, ფიქრობთ, რას მოიმოქმედებს უფალი, ვისაც ყოველივეზე აქვს ხელმწიფება? მოირიდეთ ეს ზრახვანი თქვენი გულებიდან, რომ ყველამ იცოცხლოთ ღმერთთან.

106.(29).

1. მეთორმეტე თეთრი მთა ასეთი მორწმუნეები არიან: ვითარცა უმანკო ყრმანი, რომელთა გულზე არასოდეს აღიწევა ბოროტება, არც იციან, თუ რა არის უკეთურება, არამედ მარადჟამ ყრმობაში რჩებიან[71]. 2. ამრიგად, ასეთნი უეჭველად ღვთის სასუფეველში დამკვიდრდებიან, რადგან არც ერთ საქმეში არ შეუბღალავთ ღვთის მცნება, არამედ საკუთარი კეთილგონიერებით უმანკოებაში გაატარეს თავიანთი ცხოვრების ყველა დღე. 3. ასე რომ, ვინც ასე დარჩებით, - ამბობს, - იქნებით ვითარცა ყრმანი, არ მქონენი ბოროტებისა და ყველა წინარეგანცხადებულზე უდიდებულესნი გახდებით, რადგან ყოველი ყრმა დიდებულია და უპირატესი ღვთის წინაშე. ამრიგად, ნეტარნი ხართ თქვენ, რომლებიც საკუთარი თავიდან უკეთურებას განირიდებთ და უმანკოებით შეიმოსებით, რადგან ყველაზე პირველები იცოცხლებთ ღმერთთან“. 4. მთების შესახებ იგავების დასრულების შემდეგ ვეუბნები მას: „უფალო, ახლა დაბლობიდან ამოზიდული და კოშკიდან აღებულთა ნაცვალ შენობაში დადებული ქვების, ნაგებობაში განთავსებული მომრგვალებული და ჯერაც [კოშკის] ირგვლივ მდებარე ქვების შესახებ მაუწყე“[72].

---

71 შდრ. …ἀλλὰ πάντοτε **ἐν νηπιότητι** διέμειναν. ე. ი. სულიერ ყრმობას ანუ უზაკველობას ინარჩუნებენ.

72 გაგრძელება შემდეგ ნომერში.

Irakli Orzhonia

Hermas and His Book "The Shepherd"

Summary

Hermas is an author of the early Christian period. Since then one book of his authorship has survived entitled "The Shepherd". It belongs to the works of the Apostolic Fathers and consists of three parts: 1. "Visions" (comprises five visions); 2. "Commandments" (twelve commandments); 3. "Parables" (comprises ten parables). The Georgian translation of the first two parts ("Visions" and "Commandments") was published in the religious-educational journal "The Understanding Heart" (2011, №2, p.138-154; №3, p.181-200; 2012, №1(4), p.192-204). Now, through our humble efforts we have tried to offer to the attention of readers the Georgian translation of the third part "Proverbs".

The ten parables given in the book speak about the following:

1. A prophecy about the heavenly city;
2. The parable about the poplar tree and the vine; it teaches us that if a rich man shows generosity to the poor, the prayer of the latter will be of saving value to him;
3. The parable about the withered trees explains to us that on the surface the righteous and the sinners cannot be distinguished from one another until their death;
4. The parable about the blooming trees describes the final separation of the righteous and the lawless which will take place only after death;
5. This parable expounds on the essence of fasting and an undefiled body;
6. The parable about the shepherd and sheep speaks about the fate of those who lead a life of indulgence in this world thus incurring punishment in the age to come;
7. The next parable is about a repentant person who has to endure trials in his life;
8. Life force returns to the branches of a willow when watered and this is a living picture of a sinful man's soul which becomes revitalized through repentance;
9. In the following parable Hermas beholds a castle which is being erected on a rock. The castle is a symbol of the Militant Church;
10. The last parable tells us about the acts of repentance and alms.

The book was written in ancient Greek language but the final part of the ninth parable and the whole of the tenth have only survived in Latin.

While translating "The Shepherd" we used the conclusively authentic text: Sources Chrétiennes; Hermas le Pasteur, Introduction, Texte Critique, Traduction et Notes par Robert Joly, Paris, 1968.

გიორგი ჯულაყიძე

ჩვენი ღმინდა მამის, კირილე იერუსალიმელი მთავარეპისკოპოსის მეხუთე ქადაგება ნათლღებადთადმი[1]

იერუსალიმში, მოუმზადებლად, ***სარწმუნოების შესახებ,*** *და საკითხავი ებრაელთა მიმართ ეპისტოლიდან:* ***„ხოლო სარწმუნოება არის სასოებულთა საფუძველი, უხილავ საქმეთა მამხილებელი, რადგან ამით მიიღეს მოწმობა უხუცესებმა“*** *(ებრ.11.1-2) და შემდგომი*

1. თუ რაოდენ დიდი ღირსება გიბოძათ თქვენ უფალმა, გადაინაცვლეთ რა კათაკმეველთა მწყობრიდან სარწმუნოთა რიგებში, [ამას] მოციქული პავლე წარმოადგენს, ამბობს რა: „**სარწმუნოა ღმერთი, რომლის მიერაც ხართ მოწოდებულნი მისი ძის, იესო ქრისტეს თანაზიარებაში“** (I კორ. 1,9). ვინაიდან თუ ღმერთი არის სარწმუნო და შენც ამ სახელწოდებას ღებულობ, დიდია მიღებულის ღირსება, რადგან როგორც ეწოდება ღმერთს სახიერი, სამართლიანი, ყოვლისმპყრობელი და ყოველთა შემოქმედი, ასევე _ სარწმუნოც. მაშ, განსაჯე, რაოდენ ღირსებში მაღლდები, მოგელის რა გახდე თანაზიარი ღვთის სახელისა.

2. მაშ, ეს იძიებოდეს ამიერიდნ, რომ თითოეული თქვენგანი აღმოჩნდეს სარწმუნო სინდისით, რადგან „სარწმუნო კაცი ძნელი საპოვნელია“ (იგავ. 20.6), არა იმისთვის, რომ მე მიჩვენო შენი სინდისი (რადგან არა ადამიანური დღისგან გეგულვება განსჯა, I კორ. 4.3), არამედ იმისთვის, რომ ღმერთს უჩვენო სარწმუნოების უზაკველობა, რომელიც განიკითხავს თირკმლებსა და გულსა და იცის ადამიანთა გულისთქმანი. დიდი რამ საქმეა სარწმუნო კაცი, ყოველგვარ მდიდარზე უმდიდრესად მყოფი, რადგან სარწმუნოსია სიმდიდრის მთელი სამყარო (იგავ. 17.6), რომელსაც მოიძაგებს და გათელავს. ისინი, რომელნიც ჩენილთაგან მდიდრდებიან და ბევრი შეუძენიათ, ღარიბნი არიან სულით, რადგან რამდენადაც მეტს აგროვებენ, იმდენად უფრო იდაგებიან დანარჩენთა სურვილით. ხოლო სარწმუნო კაცი, რაც ყველაზე მეტად საკვირველია, სიღარიბეში არის მდიდარი, რადგან იცის, რომ აუცილებელია ჰქონდეს მხოლოდ სამოსი და საკვები და ამით დაკმაყოფილებული (I ტიმ. 6.8), ფეხქვეშ თელავს სიმდიდრეს.

---

1 პირველი ოთხი ქადაგება გამოქვეყნებულია ჟურნალში „გული გონიერი“, №3, 2011 წ. გვ. 136-162; №1(4), 2012 წ. 178-190. ბერძნული ორიგინალისთვის იხ. J.-P. Migne, Patrologia Graeca, t. 33, col. 505-524;

3. და არა მხოლოდ ჩვენში, რომელთაც გვაქვს სახელი ქრისტესი, არის დიდი სარწმუნოების ღირსება, არამედ ყველაფერი, რაც სამყაროში აღესრულება, ეკლესიისგან უცხოთა შორისაც, სარწმუნოებით აღესრულება. სარწმუნოებით აერთებს ქორწინების რჯული უცხოებს ერთმანეთთან და უცხო ადამიანი უცხო სხეულისა და ქონების თანაზიარი ხდება სარწმუნოებისმიერი ქორწინებითი კავშირით. სარწმუნოებით შემყარდება მიწათმოქმედებაც, რადგან ვისაც არ სწამს, რომ მიიღებს ნაყოფს, არ დაითმენს ჯაფას. სარწმუნოებით ზღვაოსანი ადამიანები, უმცირეს ძელს მინდობილნი უმყარეს სტიქიას, მიწას, ტალღათა დაუდგრომელ კვეთებაში ცვლიან, საკუთარ თავს ბუნდოვან იმედს ანდობენ და სარწმუნოება ყოველგვარ ღუზაზე უმტკიცესად შეურაცხავთ. მაშ, სარწმუნოებით შემტკიცდება ადამიანთა საქმეების უმრავლესობა და არა მხოლოდ ჩვენ გვწამს ეს, არამედ გარეშეებსაც, როგორც ითქვა. და თუმცა არ ღებულობენ წერილს, მაგრამ რაღაც საკუთარ სწავლებებს წარმოადგენენ, რომელსაც ასევე სარწმუნოებით ღებულობენ.

4. ჭეშმარიტი სარწმუნოებისკენ მოგიწოდებთ თქვენ დღევანდელი საკითხავიც, რომელიც წარმოგიდგენთ თქვენ გზას, თუ თქვენც როგორ უნდა სათნო-ეყოთ ღმერთს, ვინაიდან ამბობს: **„სარწმუნოების გარეშე შეუძლებელია სათნოყოფა“** (ებრ. 11.6). რადგან როგორ გადაწყვეტს ადამიანი დაემონოს ღმერთს, როცა არ სწამს, რომ იქნება ნაცვალგება? როგორ დაიცავს ქალწულებას გოგონა და უბიწოებას ჭაბუკი, როცა არ სწამს, რომ სიწმინდისთვის არის დაუჭკნოებლი გვირგვინი? სარწმუნოება არის ყოველგვარი სინდისის განმანათლებელი თვალი და გულისხმისყოფის შემოქმედი, რადგან ამბობს წინასწარმეტყველი: **„თუკი არ ირწმუნებთ, ვერც გულისხმაყოფთ“** (ეს. 7.9). სარწმუნოებამ დაუხშო ლომებს პირი, თანახმად დანიელისა, რადგან მის შესახებ ამბობს წერილი: **„ამოყვანილ-იქნა დანიელი ხაროდან და ვერავითარი ვნება ვერ უპოვეს მას, რადგან ირწმუნა თავისი ღმერთი“** (დან. 6.23). არის რამე ეშმაკზე საშინელი? მაგრამ მის წინააღმდეგაც არა გვაქვს სხვა იარაღი, თუ არა სარწმუნოება _ უსხეულო ფარი უხილავ მტერთა წინააღმდეგ, რადგან გზავნის მრავალფერ ისრებს და სიბნელით განგმირავს იმათ, რომელნიც არ ფხიზლობენ. მაგრამ რადგან უჩინარია მტერი, სარწმუნოება გვაქვს მტკიცე ზღუდედ, თანახმად მოციქულისა, რომელიც ამბობს: **„ყველაფერში აიღეთ სარწმუნოების ფარი, რითაც შეძლებთ ბოროტის გახურებულ ისართა დაშრეტას“** (ეფეს. 6.16). ეშმაკისგან იგზავნება ხშირად სამარცხვინო ტკბობის გულისთქმის გახურებული ისარი, მაგრამ სარწმუნოება აღწერს რა სამსჯავროს, აგრილებს გონებას და დაშრეტს ისარს.

5. მრავალია სარწმუნოების შესახებ სიტყვა და არ გვეყოფა ჩვენ მოსათხრობად მთელი დღის ჟამი. ახლა ჯერჯერობით საკმარისი იყოს ჩვენთვის ძველი აღთქმის მაგალითებიდან მხოლოდ აბრაამი, რადგან მისი

ძეები გავხდით სარწმუნოების მიერ. იგი გამართლდა არა მხოლოდ საქმეებით, არამედ სარწმუნოებით, რადგან ბევრი კი იღვაწა, მაგრამ არასოდეს წოდებულა მეგობრად ღვთისა, არამედ როცა ირწმუნა. მისი ყოველი საქმე სარწმუნოების შესაბამისად აღესრულებოდა. სარწმუნოების გამო დატოვა მშობლები, სარწმუნოების გამო დატოვა მამული, ქვეყანა და სახლი. მაშ, როგორც იგი გამართლდა, შენც გამართლდი! შემდეგ, მკვდარი იყო სხეულით შვილთასხმისათვის, რადგან მოხუცებული იყო, მოხუცებული ჰყავდა მეუღლე სარაც და არანაირი სასოება არ დარჩენილიყო შვილიერებისა. ღმერთმა მოხუცებულს აღუთქვა რა შვილის შობა, არ მოუძლურდა სარწმუნოებით აბრაამი და ხედავდა რა უკვე მკვდარს საკუთარ სხეულს, უმზერდა არა სხეულის უძლურებას, არამედ იმის ძალას, ვინც აღუთქვა, **„რადგან სარწმუნოდ შერაცხა აღმთქმელი“** (ებრ. 11.11), და თითქოსდა მკვდარი სხეულებიდან[2] საკვირველად შვა ვაჟი. შობის შემდგომაც მიიღო ბრძანება ძის შეწირვისა (მიუხედავად იმისა, რომ მოსმენილი ჰქონდა: **„ისააკში გეწოდება შენ ნათესავი“**, დაბ. 21.12), და მსხვერპლად შესწირა ღმერთს მხოლოდშობილი ძე, რადგან სწამდა, რომ ღმერთს მკვდრეთით აღდგინებაც ძალუძს. შეკრა რა ძე და შეშებზე დასვა, განზრახვით შესწირა, ხოლო ღვთის სახიერებით, რომელმაც ყრმის ნაცვლად კრავი მისცა მას, ცოცხალი დაიბრუნა ძე. იყო რა სარწმუნო ამათში, აღიბეჭდა სიმართლით და მიიღო წინადაცვეთა - ბეჭედი წინადაუცვეთელობაში ქონებული სარწმუნოებისა (რომ. 4.11) და მიიღო აღთქმა, რომ იქნებოდა მამა მრავალი ხალხისა.

6. მაშ, ვნახოთ, როგორ არის აბრაამი მრავალი ხალხის მამა. იუდეველებისა არის აღსარებულად, ხორციელი შთამომავლობის მეშვეობით. მაგრამ თუ ხორციელ შთამომავლობას გავითვალისწინებთ [მხოლოდ], იძულებულნი ვიქნებით სიცრუედ გამოვაცხადოთ ნათქვამი, რადგან ხორციელად არც ერთი ჩვენგანის მამა არ არის, არამედ მისი სარწმუნოების მაგალითი აქცევს ყოველ ჩვენგანს აბრაამის ძედ. როგორ და რა გზით? როგორც არასარწმუნოა ადამიანთაგან ზოგიერთისთვის ვინმეს მკვდრეთით აღდგომა, ასევე არასარწმუნოა მკვდარ მოხუცთაგან შვილიერების აღმოცენებაც. მაგრამ ჩვენ გვწამს ქრისტეს ძელზე ჯვარცმის, სიკვდილისა და აღდგომის ქადაგებისა. ამრიგად, სარწმუნოების მსგავსებით აბრაამის ძეობილობისკენ მივეშურებით და მაშინ, სარწმუნოების კვალობაზე, მის მსგავსად ვიღებთ სულიერ ბეჭედს, წინადავიცვეთთ რა საბანელის მიერ სულიწმინდით არა ხორცის ჩუჩას, არამედ გულს, თანახმად იერემიასი, რომელიც ამბობს: **„წინადაიცვითეთ ღმერთში თქვენი გულის ჩუჩა“** (იერ. 4.4) და, თანახმად მოციქულისა: **„ქრისტეს წინადაცვეთით, თანადაფლულნი მასთან ნათლისღებით“** (კოლ. 2.11-12) და შემდგომი.

---

2 შდრ. ***Gr:*** ἐκ νενεκρωμένων σωμάτων.

7. თუკი ამ სარწმუნოებას დავიმარხავთ, ვიქნებით ბრალდაუდებელნი და ყოველნაირი სახის სიქველით შევიმკობით, რადგან ისე აძლიერებს სარწმუნოება, რომ ზღვაზე მოსიარულე ადამიანსაც ამსუბუქებს. ჩვენივე მსგავსი ადამიანი იყო პეტრე, სისხლისა და ხორცისგან შედგენილი და მსგავსივე საკვებით გამოზრდილი, მაგრამ როცა ქრისტემ უთხრა: „მოდი“ (მათ. 14.20), ირწმუნა და გაიარა წყლებზე, რადგან სარწმუნოება ჰქონდა ყოველგვარ საყრდენზე უმტკიცესად წყლებზე და მძიმე სხეული სარწმუნოების სიმსუბუქით იყო ზეაწეული. მაგრამ სანამ სწამდა, ჰქონდა საიმედო ბილიკი წყალზე, ხოლო როცა შეორგულდა, მაშინვე იწყო დანთქმა, რადგან სარწმუნოების მცირედ-მცირედ დაქვეითებისას მასთან ერთად ქვედაიზიდა სხეულიც. და იხილა რა მისი გასაჭირი, უთხრა სულთა ვნებების მკურნალმა იესომ: **„მცირედმორწუნეო, რატომ შეორგულდი?“** (მათ. 14.31) და კვლავ, გაძლიერებულმა იმისგან, ვინც მარჯვენა ჩასჭიდა, რის შემდეგაც ისევ ირწმუნა, მეუფის მიერ ხელაპყრობილმა მიიღო იგივე სიარული წყლებზე. ამას ირიბად მიანიშნებს სახარება, როცა ამბობს: **„ავიდნენ ისინი ნავზე“** (მათ. 14.32), რადგან არ უთქვამს რომ გაცურა პეტრემ და ავიდა, არამედ მიგვანიშნა, რომ რა მანძილიც გაიარა იესოსკენ, იმდენივეთი დაბრუნდა უკან და კვლავ ავიდა ნავზე.

8. ისეთი ძალა აქვს სარწმუნოებას, რომ არა მხოლოდ მორწმუნეებს შველის, არამედ ერთნი გამოიხსნებიან მეორეთა სრწმუნოებით. არ იყო მორწმუნე კაპერნაუმელი განრღვეული, მაგრამ სწამდათ იმათ, რომელთაც იგი მოიყვანეს და სახურავიდან ჩაუშვეს. ავადმყოფის სხეულთან ერთად დასნეულებული იყო სულიც. არ გეგონოს, რომ ამაოდ შევასმენ მას. თავად სახარება ამბობს: „იხილა რა იესომ არა მისი სარწმუნოება, არამედ მათი სარწმუნოება, უთხრა დავრომილს: ადექი“ (შდრ. მრკ. 2.1-5). მომყვანებს სწამდათ და დავრდომილმა მიიღო კურნება.

9. გსურს თვალნათლივ იხილო, რომ ერთთა სარწმუნოებით მეორენი გამოიხსნებიან? აღესრულა ლაზარე, გავიდა ერთი, მეორე და მესამე დღე, დაიშალა მისი ძარღვები და უკვე ლპობამ მოიცვა სხეული. როგორ შეეძლო ოთხი დღის მკვდარს ერწმუნა და საკუთარი თავისთვის შევედრებოდა გამომსყიდველს? მაგრამ რაც აკლდა გარდაცვლილს, ის ღვიძლი დების მიერ შეივსო. რადგან მოვიდა რა უფალი, და მუხლებში ჩაუვარდა და როცა [უფალმა] იკითხა: „სად დადეთ იგი?“ მან მიუგო: „უფალო, უკვე ყარს, რადგან ოთხი დღის მკვდარია“. უფალმა თქვა: „თუ ირწმუნებ, იხილავ ღვთის დიდებას“. თითქოს თქვა, რომ „შენ მკვდარში სარწმუნოების არარსებობა შეავსე“. ისე გაძლიერდა დების სარწმუნოება, რომ მკვდარს ჯოჯოხეთის ბჭეებიდან აღმოუწოდა. ამრიგად, სხვებმა სხვებისთვის ირწმუნეს რა, მკვდრეთით აღდგინება შეძლეს, ხოლო შენ თუკი საკუთარი თავისთვის ირწმუნებ უზაკველად, ნუთუ უფრო მეტად არ ისარგებლებ? მაგრამ თუნდაც ურწმუნო იყო, ანაც მცირედმორწმუნე, კაცთმოყვარეა

უფალი, შეგიტკბობს შენ მონანულს, მხოლოდ თქვი შენც კეთილგონიერებითად: **„მწამს, უფალო, შეეწიე ჩემს ურწმუნოებას“** (მრკ. 9.24). ხოლო თუკი მიგაჩნია, რომ ხარ მორწმუნე, მაგრამ არა გაქვს სისრულე სარწმუნოებისა, შენც გჭირდება თქვა მოციქულისამებრ: **„უფალო, შეგვმატე ჩვენ სარწმუნოება“** (ლუკ. 17.5), რადგან, მართალია, რაღაც გაქვს შენეული, მაგრამ უფრო მეტს ღებულობ მისგან.

10. რწმენისსარწმუნოების სახელი ერთია სიტყვით, მაგრამ ორად განიყოფა. ერთი სახე სარწმუოებისა არის მოძღვრებითი[3], რომელსაც სულის თანხმობა გააჩნია რამ საკითხებზე და სასარგებლოა სულისთვის, როგორც უფალი ამბობს: **„ვინც მოისმენს ჩემს სიტყვებს და ირწმუნებს ჩემს მომავლინებელს, საუკუნო ცხოვრება ექნება და სასჯელში არ შევა“** (ინ. 5.24). და კვლავ: **„ვისაც სწამს ძე, არ განისჯება, არამედ გადავა სიკვდილიდან ცხოვრებაში“** (ინ. 3.18; 5.24). ჰოი, უდიდესი კაცთმოყვარება ღვთისა! რადგან მართალნი მრავალი წლის მანძილზე სათნო-ეყვნენ [ღმერთს], ხოლო რის მოსახვეჭადაც მათ მრავალი წელი დასჭირდათ, იღვწოდნენ რა სათნოყოფისთვის, მას შენ ახლა იესო ერთი ჟამის განმავლობაში განიჭებს. რადგან თუკი ირწმუნებ, რომ უფალია იესო ქრისტე და რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, ცხონდები (რომ. 10.9) და გადაინერგები სამოთხეში იმის მიერ, ვინც ავაზაკი შეიყვანა მასში. ნუ შეორგულდები, შესაძლებელი არის თუ არა, რადგან ვინც ავაზაკი გამოიხსნა ამ წმინდა გოლგოთაზე, რომელმაც ერთ ჟამს ირწმუნა, იგი შენც გამოგიხსნის, თუკი ირწმუნებ.

11. მეორე სახე სარწმუნოებისა კი არის, ქრისტეს მიერ ბოძებული მადლის ნაწილი (τὸ ἐν χάριτος μέρει), **„რადგან ზოგს მიეცემა სიტყვა სიბრძნისა სულიწმინდის მიერ, ხოლო სხვას სიტყვა ცოდნისა იმავე სულისგან, სხვას რწმენა იმავე სულით და სხვას _ მადლი კურნებათა“** (I კორ. 12. 8-9). ამრიგად იგი, მადლის შესაბამისად სულიწმინდის მიერ ბოძებული სარწმუნოება, არათუ მხოლოდ მოძღვრებითია, არამედ ადამიანის ძალაზე აღმატებულად მოქმედი, რადგან ვისაც ეს სარწმუნოება ექნება, რომ უთხრას ამ მთას: „გადაინაცვლე აქედან იქით“, გადაინაცვლებს. როცა სარწმუოებით იტყვის ვინმე ამას და სწამს, რომ ახდება და არ შეეჭვდება თავის გულში (მრკ. 11-23), მაშინ მიიღებს მადლს. ამ სარწმუნოების შესახებ ნათქვამია: **„თუ გექნებათ მდოგვის მარცვლის ოდენი სარწმუნოება“** (მათ. 17.20), რადგან როგორც მდოგვის მარცვალი მცირეა სიდიდით, მაგრამ ცხარე მოქმედებით, და მცირე ფართობზე დათესილს დიდრონი რტოების გარშემოწერილობა მოსავს, ისე რომ აღორძინებულს შეუძლია ფრინველთა შეფარებაც, ასევე სარწმუნოებაც უმოკლეს დროში (ἐν ὀξυτάτῃ ῥυπῇ) წარმართავს

---

3 შდრ. ***Gr:*** δογματικὸν.

უდიდეს საქმეებს სულში. რადგან სარწმუნოებით განათლებული [სული] ღვთის შესახებ წარმოისახავს და ღმერთს ჭვრეტს როგორც ძალუძს, სამყაროს კიდეებს შემოივლის და ამ საუკუნის აღსასრულამდე უკვე ხედავს სამსჯავროს და აღთქმულთა ნაცვალგებას. მაშ, გქონდეს შენეული სარწმუნოება მის მიმართ, რათა მისგანაც მიიღო ის, რაც ადამიანის ძალაზე აღმატებულად მოქმედებს.

12. ხოლო სწავლებითა და ქადაგებით მოიხვეჭე და დაიმარხე მხოლოდ ის სარწმუნოება[4], რომელიც ეკლესიისგან ახლა გადმოგეცემა შენ და რომელიც მთელი წერილით არის გამყარებული. მაგრამ რადგან ყველას არ ძალუძს წერილთა აღმოკითხვა, არამედ ზოგს უცოდინრობა, ზოგს კი რამ მოუცლელობა უშლის ხელს შემეცნებაში, იმისთვის, რომ სული უსწავლელობისგან არ წარწყმდეს, მცირე მუხლებით სარწმუნოების მთელ დოგმებს გარემოვიცავთ. მინდა, რომ თქვენ ეს სიტყვები დაიმახსოვროთ და თქვენთვის მთელი მონდომებით გაიმეოროთ. არა ქაღალდზე დაწეროთ, არამედ გულში მეხსიერებით აღბეჭდოთ და დაიცვათ შესწავლისას, რომ კათაკმეველთაგან ვინმემ რამენაირად არ მოისმინოს გადმოცემულნი. გქონდეთ ეს საგზალი მთელი ცხოვრების ჟამს და მის გარდა სხვას ნურაფერს შეიწყნარებთ, ნურც თვით ჩვენც რომ შევიცვალოთ და ახლახან ნაქადაგებს დავუპირისპირდეთ, ნურც მოწინააღმდეგე ანგელოზს, რომელიც ნათლის ანგელოზად გარდაისახება და შენი შეცდენა სწადია, **„რადგან თუნდაც ჩვენ, ან ანგელოზი ზეციდან გახარებდეთ თქვენ იმისგან განსხვავებულს, რაც ახლა მიიღეთ, შეჩვენებულ იყოს“** (გალ. 1.8). ჯერჯერობით ეს სიტყვები მოისმინე და დაიხსომე სარწმუნოება[6], ხოლო საჭირო დროს მიიღე საღვთო წერილიდან მტკიცებულება თითოეული დებულებისა, რადგან სარწმუნოება[7] შედგა არა ისე, როგორც ადამიანებმა სათნო-იჩინეს, არამედ მთელი წერილიდან შესაბამისნი (τὰ καιριώτατα) გამოიკრიბა და სარწმუნოების ერთი სწავლება შეადგინა. და როგორც მდოგვის თესლი მცირე მარცვალში მრავალ რტოს შეიცავს, ასევე ეს სარწმუნოებაც მცირე სიტყვებში ძველი და ახალი აღთქმის მთელი კეთილმსახურების ცოდნას იტევს. მაშ, იხილეთ, ძმანო, და დაიუნჯეთ გადმოცემები, რომლებიც ახლა მიიღეთ და თქვენი გულის ფიცარზე დაიწერეთ ისინი[8].

---

4 შდრ. ***Gr:*** **πίστιν**. მინის გამოცემაში შემოშნულია, რომ აქ სარწმუნოების სიმბოლო, ანუ „მრწამსი“ უნდა ვიგულისხმოთ: Symbolum intellige. იხ. PG. t. 33. col. 519, n. 1.

5 მინის გამოცემაში: **ἀνάθεμα ὑμῖν ἔστω** (თქვენი შეჩვენება იყოს). იხ. PG. t. 33. col. 521.

6 შდრ: ***Gr:*** μνημόνευσον **τῆς πίστεως**.

7 შდრ. ***Gr:*** **τὰ τῆς** Πίστεως. ***Lat:*** fidei summa.

8 აქ, როგორც მინის გამოცემაში არის შენიშნული, წმ. კირილე იერუ-

13. დაიმარხეთ [ესენი] ღვთისმოშიშებით, რომ რამენაირად მტერმა არ გაძარცვოს ვინმე მოდუნებული, ნურც რომელიმე ერეტიკოსი შეცვლის თქვენთვის გადმოცემულთაგან რამეს. სარწმუნოება _ ეს არის ვერცხლის დადება სავაჭროში (ლუკ. 19.23), რაც ჩვენ ახლა მოვიმოქმედეთ, ღმერთი კი თქვენგან ითხოვს მიბარებულის ნაცვალგებას[9]. **„ვმოწმობ, როგორც ამბობს მოციქული, ღვთის წინაშე, რომელმაც ცხოველ-ჰყო ყოველივე და ქრისტე იესოს [წინაშე], რომელმაც სწამა პონტოელი პილატეს დროს კეთილი აღსარება: დაიმარხეთ თქვენთვის გადმოცემული ეს სარწმუნოება უბიწოდ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს გამოჩინებამდე“** (I ტიმ. 5.21; 6.13-14). შენ ახლა ცხოვრების საუნჯე მოგეცა და თავისი გამოჩინებისას მოიძიებს მიბარებულს მეუფე, „რომელიც სათანადო ჟამს გაცხადდება, სანატრელი და მხოლო ძლიერი, მეუფე მეუფეთა და უფალი უფლებათა, მხოლო მქონე უკვდავებისა, მიუწვდომელ ნათელში მკვიდრი, რომელიც ადამინთაგან არავის უხილავს, არც ხელ-ეწიფება ხილვა“ (I ტიმ. 6.15-16), რომლისაც არის დიდება, პატივი და ძლიერება, უკუნითი-უკუნისამდე, ამინ.

სალიმელი გადმოსცემს „მრწამსს” (იხ. PG, t. 33, col. 523, n. 1). ეს „მრწამსი“ გამოცემაში წარმოდგენილია მეხუთე ქადაგების ბოლოს და, როგორც აღნიშნულია, იგი სხვადასხვა ქადაგებიდან არის გამოკრებილი (Ex variis Cyrillianarum Catecheseon locis collectum, იხ. PG, t. 33, col. 533). ეგევე „მრწამსი“, ე. ჭელიძისეული თარგმანით, გამოქვეყნებულია ჟურნალში „გული გონიერი“. მოგვაქვს ეს ტექსტი უცვლელი სახით:

„გვწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისმპყრობელი, შემოქმედი ცისა და მიწისა, ხილულთა ყოველთა და უხილავთა. და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა მხოლოდშობილი, მამისგან შობილი, ღმერთი ჭეშმარიტი, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, რომლის მიერ ყოველივე შეიქმნა. ხორცშესხმული და განკაცებული, ჯვარცმული და დაფლული, აღმდგარი მესამე დღეს, და ასული ცათა მიმართ და დამჯდარი მამის მარჯვნივ, და მომსვლელი დიდებით განსჯად ცოცხალთა და მკვდართა, რომლის სუფევასაც არ ექნება დასასრული. და ერთი სულიწმინდა, ნუგეშისმცემელი, მეტყველი წინასწარმეტყველთა მიერ, და ერთი ნათლისღება სინანულისა მისატევებლად ცოდვათა, და ერთი წმინდა კათოლიკე ეკლესია, და ხორცთა აღდგომა, და ცხოვრება საუკუნო“. იხ. „გული გონიერი”, №1(4), 2012 წ. გვ. 133-134.

9 შდრ. ***Gr:*** **τῆς παρακαταθήκης τοὺς λόγους**

Giorgi Julakidze

The Fifth Homily of Our Holy Father Cyril, Archbishop of Jerusalem Addressed to the New Converts

Summary

"The Fifth Homily Addressed to the Seekers of Baptism" is one from the series of catechetical homilies by St. Cyril of Jerusalem (4th c). These homilies were spoken in Jerusalem and pertained to the people who were preparing themselves to receive holy baptism. In the fifth sermon St. Cyril of Jerusalem speaks about the saving value of faith and about its symbol (the "Creed"). According to the Holy Father faith is a treasure committed to a human being by God and the responsibility of any person is to preserve the true faith immutable.

ავთანდილ ასათიანი

ნეტარი იერონიმეს მოღვაწეობა და პედაგოგიკური შეხედულებები

ნეტარი იერონიმე მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების უდიდესი წარმომადგენელია. იერონიმე დაიბადა 340 (342) წელს ქალაქ სტრიდონში, ღირსეულ ქრისტიანულ ოჯახში. განათლების მისაღებად მშობლებმა ჭაბუკი იერონიმე რომში გაგზავნეს, სადაც იგი სრულად ეზიარა ანტიკურ განათლებას. თავდაპირველად, დედაქალაქში ჩასული იერონიმე ქალაქური ფუფუნებითა და ახალგაზრდული თავაშვებულობით ცხოვრობდა, მაგრამ მალე მასში გაიღვიძეს სულიერმა ძალებმა და იგი ძირფესვიანად ცვლის ცხოვრების წესს; 20 წლის ასაკში მომავალი წმიდანი მოინათლა.

372 წელს იერონიმე მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. დედ-მამა გარდაცვლილი დახვდა, ამიტომ უმცროს და-ძმაზე ზრუნვა სწორედ მას მოუწია. ამ დროს იერონიმეს ბერად აღკვეცა ჰქონდა გადაწყვეტილი, თუმცა საოჯახო საქმეებმა გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება გამოიწვია. ამ პერიოდში იგი აქტიურად სწავლობდა საღვთო წერილს. მალე ნეტარი მამა აღმოსავლეთში გაემგზავრა და სირიის უდაბნოებში შეუდგა სამონასტრო ცხოვრებას. აქ იერონიმე ინტენსიურად მუშაობდა წმიდა წერილზე და მკაცრ ასკეტურ ცხოვრებას მისდევდა. იერონიმემ საფუძვლიანად შეისწავლა ებრაული და ქალდეური ენები. ჩვენამდე მოაღწია მისმა 120-მა წერილმა. მალე ანტიოქიაში საეკლესიო უთანხმოება დაიწყო, რამაც იმ მონასტერშიც იჩინა თავი, რომელშიც ნეტარი იერონიმე მოღვაწეობდა, ამიტომ იგი მონასტერს ტოვებს და ანტიოქიაში გადადის. აქ ეპისკოპოსმა პავლინემ იერონიმე მღვდლად აკურთხა. შემდეგ იგი კონსტანტინეპოლში ჩავიდა, სადაც ხანგრძლივი თეოლოგიური თანამშრომლობა ჰქონდა აღმოსავლური ქრისტიანობის უდიდეს მღვდელმთავრებთან: წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველთან და წმ. გრიგოლ ნოსელთან. 381 წელს მომავალი წმიდანი რომში გაემგზავრა და რომის პაპთან ერთად სამეცნიერო მოღვაწეობა გააგრძელა. სამი წლის შემდეგ იგი კვლავ უდაბნოს ცხოვრებას დაუბრუნდა. 386 წელს ნეტარი იერონიმე ბეთლემში, სწორედ იმ გამოქვაბულში განმარტოვდა, სადაც მაცხოვარი იშვა და მკაცრ სამონასტრო ცხოვრებას შეუდგა. სწორედ ეს პერიოდი გამოირჩევა ყველაზე მეტი ნაყოფიერებით ნეტარი იერონიმეს საღვთისმეტყველო მოღვაწეობიდან. მან მდიდარი წერილობითი მემკვიდრეობა დატოვა: დოგმატურ-პოლემიკური და ზნეობრივ-ასკეტიკური ნაწერები, წმიდა წერილის განმარტებები, ისტორიული თხზულებები. მისი უმთავრესი ნამოღვაწარია ძველი და ახალი აღთქმის საღვთო წიგნების

ხელახალი თარგმანი ლათინურ ენაზე. ეს თარგმანი, რომელსაც ვულგატა უწოდეს, დასავლეთის ეკლესიაში საყოველთაო ხმარებაშია.

წმიდა იერონიმე აღესრულა დაახლოებით 420 წელს. მისი წმიდა ნაწილები რომში გადაასვენეს.

ნეტარი იერონიმე პედაგოგიურ ქმნილებებში უპირატესად განიხილავს ქრისტიანი ქალების აღზრდის პრობლემებს. წერილებში - „ლეთასა და გავდენციას“, დაწვრილებით აყალიბებს ქრისტიანული აღზრდის წესებს და წარმოადგენს გოგონათა აღზრდის ერთიან სისტემას. ნეტარი იერონიმეს მიერ გამოთქმული პედაგოგიური შეხედულებები მრავალმხრივაა საინტერესო.

ღირსი მამის აზრით, სწავლება და აღზრდა განუყოფელ კავშირშია ერთმანეთთან. ამასთან ერთად, მათი მიზანი არის არა მარტო გონების განვითარება, არამედ ადამიანის სულიერი ძალებისა და უნარების ჩამოყალიბება. უმთავრესი პირობა, რომელიც განსაზღვრავს გონების ჭეშმარიტ განათლებას, კეთილი ზნეობაა: „ბოროტად მოხატული სული ვერ ხედავს დიდ სიბრძნეს“; თუკი ნება მიმართულია სიკეთისაკენ, გონება თვითონ მიაკვლევს ჭეშმარიტებას. განსჯა ხომ გონების მანათობელია, რომლითაც ადამიანს შეუცდომლად შეუძლია წარმართოს თავისი საქმიანობა: „როცა თავი ჯანმრთელია, – გვასწავლის ნეტარი იერონიმე, – ნაწილებიც ჯანმრთელია“. რაც შეეხება ჩვენი ბუნების ფიზიკურ მხარეს, იგი სრულად უნდა ემორჩილებოდეს სულიერებას: „სხეული ბავშვია, ხოლო სული – პედაგოგი“, – წერდა ღირსი მამა.

ნეტარი იერონიმე უფრო შორს მიდის და თავისი დროისათვის მართლაც უპრეცედენტო საკითხს, აღმზრდელობითი სწავლების იდეას ავითარებს. მისი აზრით, აღმზრდელობითი სწავლების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტი ქრისტიანი და წმიდა ეკლესიის მორჩილი შვილი. ამ მიზნის მისაღწევად, ნეტარი მამის აზრით, საჭიროა მორწმუნე ქრისტიანის აღზრდა ღვთის შიშითა და სიყვარულით. უფლის შიში მთავარი რელიგიური ძალაა, რომელიც უნდა მსჭვალავდეს და, ამასთან, მართავდეს ადამიანის ყოველგვარ განცდას სწავლის პროცესში. სიბრძნისა და სათნოების საწყისი ამაღლებული რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდაა, რაც გამსჭვალული უნდა იყოს ღმერთის შიშით. მაგრამ თუკი უფლის შიში სიბრძნის შემეცნების დასაწყისია, მისი სიყვარული ყველა სათნოების მშობელია. სიყვარული განწმენდს ღვთის შიშს და განდევნის მისგან შეუთავსებელს. იგი მის უზენაესობას იცავს არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აღძრავს მასში შიშს ან წყალობის სურვილს, არამედ იმიტომ, რომ ღვთის უზენაესობა თვითონ უმაღლესი სიკეთეა. ბოლოს, მესამე გრძნობა, რომელსაც ნეტარი იერონიმე გამოყოფს, სწორედ მან უნდა განამტკიცოს აღზრდა, იგი წარმოადგენს ერთგვარ კარიბჭეს, რომლითაც ქრისტიანის სულში შემოდის თვით მაცხოვარი – იესო ქრისტე, იგია ყველაზე ღრმა და გულითადი რწმენა.

ნეტარი იერონიმეს შეხედულებით, ქალწულთა აღზრდაში გამოიყოფა

სამი პერიოდი, რომელიც შეესაბამება აღსაზრდელთა ასაკს. შვილებისათვის დედა ყველაზე ახლობელი და შეუცვლელი აღმზრდელია, განსაკუთრებით მათი ცხოვრების პირველ პერიოდში. ჩვილობისას ბავშვები ისე სუსტები არიან, რომ მათ სულიერ აღზრდაზე ზრუნვა ნაადრევია. მაგრამ როგორც კი ბავშვში გამოკრთება შემეცნების ნიშნები, იგი უკვე შეძლებს დედის ხმისა და ღიმილის შემჩნევას; ამასთან ერთად, დაიწყებს რა დანაწევრებულ მეტყველებას, სწორედ ეს არის ის დრო, როცა დედამ სერიოზულად უნდა დაიწყოს ზრუნვა ბავშვის აღზრდაზე და ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირად მაგალითს: „როგორც წყალი სწორ ადგილზე მიყვება თითით გაკვალულ გზას, ასევე ბავშვის სათუთი და რბილი ასაკი მიიდრიკება იმ მხარეს, საითაც მას მივმართავთ“, გვასწავლის ღირსი მამა. როცა აღზრდაში მაგალითის უდიდეს მნიშვნელობაზე ლაპარაკობს, ნეტარი იერონიმე ყველასგან მოითხოვს, რომ არა მხოლოდ დედა, გადია და ძიძა, არამედ მათთან ერთად მასწავლებლები განსაკუთრებულად უნდა იყვნენ მაღალი მორალური თვისებების მატარებელნი და, რაც მთავარია, მტკიცე რელიგიური მრწამსის მქონენი, რომ მათი სიტყვა და საქმე არასოდეს შორდებოდეს ერთმანეთს.

დიდი თეოლოგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მავნე ჩვევების წინააღმდეგ ბრძოლას. მისი აზრით, აღმზრდელმა ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ ასეთი ჩვევების ტყვეობაში არ აღმოჩდნენ ბავშვები, რადგან ასეთი გამოცდილება წმ. მამას ჯერ კიდევ ადრე, სკოლაში სწავლისას შეუძენია. ამიტომ, ამასთან დაკავშირებით, ასეთ გაფრთხილებას იძლევა; „ჯერ კიდევ ბიჭუნა ვიყავი, როცა სკოლაში წავიკითხე: ძნელად შეებრძოლები იმას, რისთვისაც ჩვეულებად გადაქცევის საშუალება მიგიცია შენს ცხოვრებაში.“

შვიდი წელი ის ასაკია, როცა, ნეტარი იერონიმეს აზრით, უნდა შევუდგეთ სისტემატურ სასკოლო სწავლებას და აღზრდას. ცოდნის დაუფლების უმთავრესი საშუალება წიგნიერებაა, ამიტომ ანბანის შესწავლა უნდა დაეფუძნოს სასკოლო განათლებას. ანბანის სწორად დაუფლების მნიშვნელობის გათვალისწინებით, რაც შეგნებული კითხვისა და ბავშვთა საერთო განვითარების წინაპირობად მიაჩნდა, ნეტარმა იერონიმემ არა მარტო წერა-კითხვის სწავლების მისაწვდომი მეთოდები და ხერხები ჩამოაყალიბა, არამედ კითხვის შემდგომი განვითარების პროგრამის და სასწავლო მასალის მონახაზიც შეადგინა. კითხვის სწავლების მეთოდი, რომელიც ნეტარმა იერონიმემ შეიმუშავა, არის ჩვეულებრივი ასოთშეერთების მეთოდი, მაგრამ სწავლება მიმდინარეობდა მოძრავი ანბანით, რომლის გამოგონებაც მასვე მიეწერება. ნეტარი მამა აუცილებლად მიიჩნევს კითხვასთან ერთად წერის შესწავლასაც. ამ მოსაზრების მართებულობას იგი საფუძვლიანად ასაბუთებს და ამასთან ერთად რეკომენდაციებს იძლევა წერა-კითხვის სწავლების მეთოდების შესახებ.

ბავშვთა რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდისთვის, ნეტარი იერონიმეს აზრით,

სწავლება უპირატესად უნდა წარიმართოს რელიგიური საგნების შესწავლის გზით: „სული, რომელიც ღმერთის ტაძარი უნდა შეიქმნას, ისე აღიზრდებოდეს, რომ მხოლოდ იმის მოსმენასა და ლაპარაკს სწავლობდეს, რაც ღმრთის მოშიშებას განეკუთვნება. დაე, ნუ ესმის მას სამარცხვინო სიტყვები, საერო სიმღერები ნუმც სცოდნია, დაე, ყრმობის ასაკიდანვე ენამ მისი ტკბილი ფსალმუნების გალობა ისწავლოს“. ამდენად, წმიდა მამას ადრეული ბავშვობიდან და შემდგომ წლებშიც უმთავრეს სასწავლო საგნად წმიდა წერილი მიაჩნია. ამასთან ერთად, იგი სასარგებლოდ მიიჩნევს სასულიერო-ზნეობრივი ხასიათის წიგნების კითხვას. ასეთებად იგი თვლის: აპოკრიფულ წიგნებს, ეკლესიის მამებისა და მასწავლებლების თხზულებებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გარკვეული მოცულობით, ნეტარი იერონიმე დასაშვებად მიიჩნევს საერო მწერალთა ნაწარმოებების კითხვას. ამ წიგნთა კითხვას წინ უნდა უძღოდეს მათი მკაცრი შერჩევა იმ მიზნით, რომ ზიანი არ მიადგეს ბავშვთა ჯერ კიდევ სულიერად ჩამოუყალიბებელ ზნეობას და რწმენას. ასეთი წინდახედულების მიუხედავად, ნეტარ იერონიმეს მაინც საყვედურობდნენ წარმართული მეცნიერებისადმი გამოჩენილი ინტერესის გამო. ასეთ საყვედურებს უპასუხოდ არც ნეტარი მამა ტოვებდა: „რა გასაკვირია, თუკი მეც, განვწმენდ რა წარმართულ მეცნიერებას არაწმიდისაგან და ცრუსაგან, მარჯვედ ვიყენებ მისი მჭევრმეტყველების დახვეწილობას ეკლესიის წევრთა გამრავლებისათვის?!“ (3.86).

რელიგიურ-ზნეობრივი განათლების დამხმარე საშუალებად ნეტარი იერონიმე მიიჩნევს მოგზაურობას იმ ადგილებში, სადაც გაცხადდა ჩვენი მაცხოვრის – იესო ქრისტეს სასწაულები. ასეთი თვალსაზრისით იგი თანამედროვე დიდაქტიკაში დამკვიდრებული სწავლების დამხმარე ფორმის – სასწავლო ექსკურსიის აუცილებლობის აღიარებამდე მიდის, რაც მეტად მრავალისმეტყველ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

ქალთა აღზრდა, ნეტარი იერონიმეს შეხედულებით, მოწყვეტილი არ უნდა იყოს ცხოვრებისაგან. სწორედ ამიტომ იგი განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვს გოგონებისაგან ხელსაქმის ცოდნას. შვიდი წლის ასაკში პატარა პავლამ ყოველგვარი საოჯახო საქმე უნდა ისწავლოს, _ მიაჩნია წმ. მამას და ჩამოთვლის იმ ჩვევებს, რომლებიც სწორედ ამ ასაკიდან უნდა ჩამოუყალიბდეს აღსაზრდელ გოგონას.

წარმატებას სწავლებაში დიდად უწყობს ხელს მოსწავლეთა სამეგობრო წრე და მათ შორის შეჯიბრი. ამასთან ერთად, წმიდა მამას მიაჩნია, რომ დაუშვებელია განსხვავებული სქესის ბავშვების ერთად სწავლება. ასევე დაუშვებლად მიაჩნია მას ზედმეტად მკაცრი სასჯელები, რადგან გადაჭარბებული სიმკაცრე გამოიწვევს აღსაზრდელთა დაშინებას და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გაწყვეტს მასწავლებლებთან გულითად კავშირს.

ნეტარი იერონიმე გულისხმიერებისკენ მოუწოდებდა მასწავლებლებს და მუდამ შეახსენებდა იმ ჭეშმარიტებას, რომ მათ დიდი საუნჯე ებარათ, რომელსაც კეთილად აღზრდის შემთხვევაში დიდი სარგებლობის მოტანა

შეეძლო ყველასათვის, ამიტომ სწორედ მათ ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა მოწაფეთა ზნეობაზე. წმიდა მამა აუჩქარებელი, გონებითა და გულით განსჯის მომხრე იყო; იგი მოწაფეებს და ყველას საქმის დამშვიდებით აწონ-დაწონას და შემდეგ გადაწყვეტილების მიღებას ურჩევდა.

ქალთა აღზრდაში ზნეობრივი ღირებულებების დაცვა ყოველი ქრისტიანის მოვალებად მიაჩნია წმ. მამას და ამასვე ურჩევს ზემოთ აღნიშნულ წერილში კეთილმსახურ ლეთას, რომელმაც რჩევა სთხოვა წმიდა მამას ქალიშვილის აღზრდასთან დაკავშირებით. ნეტარი იერონიმე ასე პასუხობს: „ძვირფასი ქვებისა თუ აბრეშუმის ნაცვლად მას საღმრთო წიგნები უნდა შეაყვარო; ოქროქსოვილი და ბაბილონური მატყლი კი არ უნდა იზიდავდეს მას, არამედ დაკვირვებული და გულმოდგინე შესწავლა ყოველივე იმისა, რაც სარწმუნოებას განეკუთვნება. პირველყოვლისა კი, დაე, ფსალმუნები შეისწავლოს მან და მათი გალობით ინუგეშოს თავი; დაე, სოლომონის იგავებით შეისწავლოს მან ცხოვრების მეცნიერება; დაე, ეკლესიასტედან შეიძინოს ჩვევა ყოველივე საეროს მოძაგებისა; მართალი იობის წიგნში იპოვის იგი სათნოებისა და მოთმინების მაგალითს. ხოლო როცა სახარების შესწავლაზე გადავა, დაე, ნურასდროს გაუშვებს ხელიდან წიგნს... დასასრულ, ყოველგვარი შიშის გარეშე, შეისწავლოს წიგნი ქებათა ქებისა, რათა მისი თავიდანვე წაკითხვით არ ავნოს თავის სულს იმით, რომ ეგებ, ვერ გულისხმა-ჰყოს, რომ გრძნობისმიერ ხატებათა მიღმა აქ სულიერი მეუღლეობის ხატოვანი განდიდება გვაქვს...“ (5.81). როგორც დავინახეთ, ნეტარ იერონიმეს ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია არც გოგონათა გარეგნული იერსახე და არც მათი სულიერი სამყაროს ფორმირება, რადგან მიაჩნდა, რომ არა მარტო ქცევაში გამოიხატება ადამიანის ზნეობრივი მახასიათებლები, არამედ მის ჩაცმულობაშიც. ამიტომ ნეტარი მამა მოუწოდებს დედებს, ყურადღება მიაქციონ გოგონათა ტანსაცმელს. მას დაუშვებლად მიაჩნია შემოჭერილი კაბების ტარება და სამკაულებით მორთვა. ასევე წინააღმდეგია სახის მოხატვის, თმის შეღებვის და ისეთი სამოსის ჩაცმის, რომელიც სრულად არ ფარავს სხეულის ყველა ადგილს და გამომწვევ იერს აძლევს გოგონას, რაც, წმიდა მამის აზრით, მიუღებელია ქრისტიანული აღზრდის სისტემისათვის და გაკიცხვას იმსახურებს.

განსაკუთრებული ამაგი მიუძღვის ნეტარ იერონიმეს ბიბლიის სწავლების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების საქმეში. იგი ამკვიდრებს წმიდა წერილის ახსნა-განმარტების ლიტერატურულ-კრიტიკულ და ისტორიულ-ღვთისმეტყველურ მეთოდს. ეს მეთოდი პოპულარული გახდა და განვითარების მაღალ დონესაც მიაღწია. მას მრავალი მიმდევარი გაუჩნდა არა მარტო წმიდა წერილის განმარტების მეთოდოლოგიაში, არამედ ბავშვთა აღზრდა-განათლებაშიც.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, I–XI ს.,შეადგინა გ. კოპლატაძემ, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2007;
- I-VII საუკუნეების ლათინი საეკლესიო მწერლები,ნაწილი III,შეადგინა ე. ჭელიძემ, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2002.
- ქორწინება და ოჯახური ცხოვრება, გამომცემლობა „საგანძური“, მთარგმნელი თ. ვაშაკიძე–სახეიშვილი, თბ., 2005.
- წმინდანთა ცხოვრება, ივლისი-დეკემბერი, წიგნი მეორე, თბ., 2004.
- მ. დობრონრავოვი, ბავშვთა აღზრდა-განათლება საღმრთო წერილისა და წმიდა მამების გამოცდილების მიხედვით, მთარგმნელი ვ. ბურკაძე, თბ., 2001.

Avtandil Asatiani

The Blessed Jerome's Work and His Pedagogical Standpoints

Summary

The Blessed Jerome adopted an idea of education that was unprecedented for his time relating to the rearing of children, and recommended the following of his teaching for its accomplishment; here should be noted his call to involve children in schooling from the age of seven; the method of joined letters in writing and use of movable alphabet is also ascribed to him. The Blessed Father considered it permissible to read books of secular character provided the teachers had selected them in advance. He also made a substantial contribution to the addressing of problems in the education and raising of girls.

ლიტურგიკა

დეკანოზი ბიძინა გუნია

საპასექო წლის მოდელირებისათვის

საეკლესიო კალენდრის მოდელირება ეკლესიის წიაღში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია და მასზე მსჯელობა ადრეული საუკუნეებიდან დაიწყო. აღნიშნული თემა მრავალწახნაგოვანია და ისეთ საკითხებს მოიცავს, როგორიცაა:

- **წელიწადის ცნების თეოლოგიური ასპექტები;**
- **საპასექო და საეკლესიო წლების მოდელირება;**
- **საეკლესიო კალენდარი: - იულიუსის კალენდარი;**
- **საპასექო გამოთვლები (პასქალია);**
- **დროის მოდელირების ქრისტიანული კონცეფცია;**
- **დროის კრეაციული ანათვალი;**
- **ქვეყნის დასაბამიდან დროის ათვლის საკითხი;**
- **ქართული დასაბამი (5604) და მისი მათემატიკური იკითხვისი**

და სხვა.

ზემოჩამოთვლილთაგან ჩვენ შევისწავლეთ იულიუსის კალენდრის **(გუნია 2007: 7-113)** და საპასექო გამოთვლების **(გუნია 2011: 15-73)** საკითხები, ხოლო ამჟამად განხილვის მთავარი საგანია ***საპასექო წლის აგების ზოგადი პრინციპების*** წარმოჩენა, რომელიც ერთგვარი გაგრძელებაა 2009 წლის 25 თებერვალს თბილისის სასულიერო აკადემიის დაარსების მე-20 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებისა: *„წელიწადის ცნების თეოლოგიური ასპექტები“* **(შრომები 2009: 37-49).**

1. წინათქმა

დღეს არსებული ***საპასექო წლის*** **მოდელირების სისტემა** რამდენამდე რთუ-ლი და ძნელად აღსაქმელია, რის გამოც მიზანშეწონილად

მიგვაჩნია გამარტივებული *ალგორითმის* მქონე ანალოგიური სისტემის შედგენა, რათა ნათლად წარმოჩინდეს საეკლესიო კალენდრის მოდელირების გარკვეულობა, სისადავე და თეოლოგიური ასპექტები.

საპასექო წლის (ისევე როგორც საეკლესიო წლის) უდიდეს დღესაწაულთა ღვთისმსახურებაში მონაწილეობით, თითოეულ მორწმუნეს საშუალება ეძლევა ***საღმრთო ისტორიის ლიტურგიკული თხრობის*** თანამონაწილე გახდეს. უფრო მეტიც, მართლმადიდებლური ღვთისმსახურებისას, კაცთა ცხონებისათვის განკაცე-ბული ღვთის მადლით, მორწმუნეთა ცნობიერად ზეცად აღსვლა ხორციელდება.

სატაძრო მსახურებაში ჩართული ქრისტიანი ზეციური ცხოვრების თანაზიარი ხდება; *სახარებისეული* სწავლების, *საგალობლების, ლოცვების* მოსმენით სულიერად იზრდება, ძლიერდება და ვითარდება, რითაც მისი სული უფლის სიახლოვეს მყოფობის უნარს იძენს და ამ ქვეყნიდან განსვლის შემდეგ, იშვება კიდეც მარადიული ნეტარი ცხოვრებისათვის.

ამგვარად, *საპასექო წლის* მოდელირებისას საცნაურდება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის დადგენის აუცილებლობა, რომელთა შორის გამოვყოფთ:

1. **წლის განმავლობაში წირვაზე წასაკითხ რიგით სახარებათა განწესს;**
2. **კვირის 11 საცისკრო სახარებათა მწყობრს;**
3. **საგალობელთა „8 - ხმათა სისტემის“ განაწილებას;**
4. **პეტრე-პავლობის მარხვის დაწყების დღისა და ხანგრძლივობის დადგენას;**
5. **კვირის შვიდეულების კვირა და ორშაბათი დღით დაწყებასა და სხვა.**

ზემოთქმულთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ:

– ყოველდღიური წირვის ***სახარებათა რიგითი საკითხავების განწესი აღდგომის დღით იწყება და*** (სათანადო წესით განაწილებული) მთელ საპასექო წელი-წადს მოიცავს;

– კვირის მსახურებათა ცისკრის ჟამნზე (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) მონაცვლეობით ***აღდგომის 11 სახარება*** იკითხება, რომლის განწესის I სახარების კითხვა, **სულთმოფენობიდან I კვირას - ყოველთა წმიდათა კვირიაკეს იწყება (ნიკოლსკი 1995: 289)** და დიდი მარხვის დამთავრებამდე გრძელდება. რაც შეეხება **ზატიკის პერიოდს,** ხსენებული მიმდევრობა გარკვეულწილად იცვლება (თომას კვირას იკითხება I, მომდევნო კვირებში კი III-IV-VII-VIII-X სახარებები) (ბულგაკოვი 1993: 648);

– მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებაში ***საგალობლები 8-ხმათა სისტემაზეა გაწყობილი.*** ხმა, რომელზეც სრულდება ესა თუ ის სა-

გალობელი, გარკვეული ლოცვითი განწყობის მატარებელია. „ხმანი“ ეწოდება I, II, III და IV ხმებს, ხოლო „გუერდნი“ კი - V, VI, VII და VIII ხმებს. **საპასექო წელიწადში I ხმის ათვლა *ყოველთა წმიდათა კვირის* მომდევნო კვირა დღეს უკავშირდება (ნიკოლს-კი 1995: 289)**;

– ***პეტრე-პავლობის მარხვა*** სულთმოფენობიდან I კვირის (ყოველთა წმიდათა კვირის) მომდევნო ორშაბათიდან იწყება და 12 ივლისის მსახურებით მთავრდება;

– **კვირის შვიდეულები *აღდგომიდან სულთმოფენობამდე* კვირა დღით იწყება და შაბათით სრულდება, ხოლო *სულთმოფენობიდან მომდევნო აღდგომამდე* კი ორშაბათი დღით იწყება და კვირა დღით მთავრდება.** შესაბამისად ამისა, ზატიკის პერიოდში აღდგომიდან სულთმოფენობამდე მეორე კვირას II შვიდეული მოსდევს, მესამე კვირას - III შვიდეული და ა.შ., ხოლო სულთმოფენობიდან პირველ კვირას - II შვიდეული, მეორე კვირას - III შვიდეული და ა.შ.

საპასექო წლის* მოდელირება *მიმდინარე* და *მისი მომდევნო კალენდარული წლების პასექის თარიღთა დადგენით იწყება, რის შემდეგაც საპასექო წლის ხანგრძლივობა განისაზღვრება, ხოლო მათი მეშვეობით კი ზემოხსენებულ საკითხთა გადაწყვეტაა შესაძლებელი.

საპასექო წლის მოდელირებისას ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ***თეოლოგიური ასპექტები,* რომლებიც *პასექის* უადრესი და უგვიანესი *ვადების,* კვირის შვიდეულების *კვირა* და *ორშაბათი* დღით დაწყების, კვირის საცისკრო სახარებათა თუ წლის განმავლობაში წირვაზე წასაკითხ რიგით სახარებათა განწესისა** და სხვათა და სხვათა საღვთისმეტყველო განმარტებებს უკავშირდება, რის გარეშეც ნაკლული წარმოდგენა შეგვექმნება სეკლესიო კალენდრის აგების პრინციპებზე, რაზეც შეძლებისდაგვარად ქვემოთ ვისაუბრებთ.

2. მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღის თარიღი

აღდგომის დღის თარიღის დადგენისათვის პასქალისტების მიერ არაერთი ხერხია შემუშავებული, რომელთა შორის გამოვარჩევდით „ქრონიკონის“ ტაბულას (ცხრილს), რომელიც „მცხეთის დავითნში“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის **A - 38 ხელნაწერში** არსებულ თხზულებაშია მოცემული (**საეკლესიო სიწმინდენი 2000:**).

ხსენებული თხზულება (*„ცნობისათვის და უწყებისათვის...“*) საპასექო გამოთვლებს ეხება და ჩვენ მიერ გამოწვლილვით იქნა შესწავლილი, რის გამოც პასექის თარიღის დადგენის საკითხს აქ აღარ შევეხებით (**გუნია 2011: 22-73**).

3. პასექის უადრესი და უგვიანესი ვადები

მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესთან დაკავშირებული სწავლება უაღრესად ნათლადაა წარმოჩენილი **წმ. იოანე ოქროპირის** თხზულებებში, კერძოდ, მის ***შემაჯამებელ სიტყვაში წმიდა პასექის შესახებ*** **(ოქროპირი 2002: 923-971)**. წმიდა მამა საუბრობს რა ზემომითითებულ საკითხზე, განმარტავს:

– მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღე ***„...არ მიეკუთვნება ერთ რომელიმე შემთხვევით დღეს, არამედ მისი აღნიშვნა ემთხვევა სწორედ იმ დროს, რომელიც რამდენიმე წინასწარ განსაზღვრულ ვადას აკმაყოფილებს“*** (ოქროპირი 2002: 958). ***„ეწვადა რა (ცოდვით დაცემული - დკ. ბგ.) ადამიანის აღდგენა და მისი ხსნა... (ღმერთმა ამისათვის - დკ. ბგ.) სათანადო ხერხი და შესაბამისი დრო გამოარჩია. დრო იმისათვის, რომ დროულად შედგომოდა კურნებას, ხერხი კი ისეთი, რომელიც უმჯობესი იქნებოდა განწმენდისა და აღდგენისათვის“*** *(ოქროპირი 2002: 962).*

სწორედ ამიტომ, ***„...ისურვა და ზუსტად ისევე, როგორც პირველი ადამიანის შექმნისას (თავდაპირველი), სუფთა, წმინდა დრო გამოიყენა, ... რომელიც შემდგომად ცოდვით დაცემისა შეიბღალა პირველ ადამიანებთან ერთად“*** *(ოქროპირი 2002: 963). ყოველივე ამას უფალი გვიჩვენებს დროთა სხვადასხვა ნიშნებით, რისთვისაც ახდენს კიდეც მათ გაერთიანებას, და საღმრთო განგებულებით, როცა „...მოცემული შვიდეული (იგულისხმება ვნების შვიდეული - დკ. ბგ.) დროთა ნიშნებით სრულ თანხმობაში აღმოჩნდა ბიბლიურ შვიდეულთან, ანუ ერთ შვიდეულში კვლავ მოიყარა თავი დღეღამტრლობამ, საკვირველებამ და მეექვსე დღემ – პარასკევმა ... მხოლოდ მაშინ (იუდეველთა პასექის დროს - დკ. ბგ.) ევნება ჯვარზე ... და აღასრულებს ცოდვით დაცემული ადამიანის აღდგენასა და განახლებას“* **(ოქროპირი 2002: 964).**

ამგვარად, ***„...მაცხოვარმა აღასრულა რა ჭეშმარიტი პასექი, ვნების შვიდეულში თავი მოუყარა ყველა ნიშანს და ვადას, რომელიც ახასიათებდა ბიბლიურ შვიდ დღეს, რათა ზუსტად აღედგინა ყველა გარემოება შესაქმისა. ჩვენ კი იმის გამო, რომ დროთა გაერთიანება ამგვარი სიზუსტით ყოველთვის არ ხდება, მხოლოდ ჭეშმარიტი პასექის მიბაძვით, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში აღვასრულებთ ხოლმე აღდგომის დღესასწაულს, რათა მივაღწიოთ გარკვეულ მსგავსებას მის პირველსახესთან - უფლის პასექთან“*** **(ოქროპირი 2002: 965).**

წმ. იოანე ოქროპირი ეხება, ასევე, აღდგომის დღის გამოთვლის თარიღს, რომლის გათვალისწინებითაც მარტივად დავადგენთ ***პასექის უადრეს*** და ***უგვიანეს*** ვადებს **(ოქროპირი 2002: 969)**.

ამგვარად, თუ სავსემთვარობა **20 მარტს** (ანუ გაზაფხულის ბუნიობის თარიღზე, 21 მარტზე ადრე) მოიწია, დავუტევებთ მას და მომდევნო სავსემთვარობას დაველოდებით, ხოლო თუ სავსემთვარობა **21 მარტს**

ან მის შემდგომ უახლოეს დღეებში მოიწევა, მას ვღებულობთ. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სავსემთვარობისას არ უნდა იყოს **კვირა** დღე, ხოლო შვიდეულის სხვა დღე მისაღებია. მაშინ, ცხადია, რომ თუ **21 მარტს (დღეღამტოლობისას) სავსემთვარობა** (ანუ მთვარის მე-14 დღე) დადგება, და ეს დღე დაემთხვევა შაბათს, ქრისტიანული **პასექის შაბათი თარიღი** (მისი მომდევნო დღე) **22 მარტი კვირა დღე** იქნება.

ასევე, თუ მარტის სავსემთვარობა **19 მარტს** დაემთხვა, დავუტევებთ მას და დაველოდებით სავსემთვარობას, რომელიც **30 დღის** შემდეგ **18 აპრილს** მოიწევა. ამასთან, თუ **18 აპრილი (ე.ი. სავსემთვარობა)** კვირა დღეს დაემთხვა, აღდგომის დღე მომდევნო კვირა **25 აპრილი იქნება,** რომელიც არის კიდეც ქრისტიანული **პასექის შაბათი თარიღი.**

4. საპასექო წლის მინიმალური და მაქსიმალური გრძლივობა

საპასექო წელიწადი ოდენ ლიტურგიკულ დროსა და სივრცეში მოიაზრება და ღვთისმსახურებისაგან მოწყვეტით მასზე საუბარი ყოველგვარ აზრსაა მოკლებული, რაც თავის მხრივ თითოეული მორწმუნის გულისა და გონების მიწიდან მოწყვეტასა და მარადისობისაკენ მიქცევის საქმეს ემსახურება.

მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა ერთმანეთისაგან განასხვავებს ხილულ და უხილავ სამყაროთა შორის არსებულ ღვთითდადგენილ ურთიერთობებსა და მდგომარეობას ცოდვით დაცემამდე და დაცემის შემდგომ.

ცნობილია, რომ ადამის ცოდვით დაცემის შედეგად სამყაროში არსებული ჰარმონია და კოსმოსის თავდაპირველი წესრიგი დაირღვა. ადამიანი ღვთის მადლს მოაკლდა და ცოდვის სასჯელად სიკვდილი ერგო. დაზიანდა ადამიანის გული, გონება და ნება. იგი, ღვთაებრივსა და ზეციურს მოსწყდა და მასში გაბატონება მიწიერმა იწყო.

განკაცებით, ნათლისღებით, ჯვარცმით, აღდგომითა და ამაღლებით ***განილმრთო ადამიანური ბუნება*** და განქარდა მასზე სიკვდილის ბატონობა, ხოლო *სულთმოფენობით*, რომელიც მთელი ხილული სამყაროს ფერისცვალების დასაწყისს მოასწავებდა, ყველა ჭეშმარიტ მართლმადიდებელ მორწმუნეს საშუალება მიეცა ეკლესიური ცხოვრების გზით ცათა სასუფეველში მარადიული ცხოვრების დამკვიდრებისა.

სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ ჰპოვა ერთგვარი ასახვა *საპასექო წლის* მოდელირებისას, რაც დღესასწაულთა, სახარებათა თუ საგალობელთა 8-ხმათა სისტემის დროში განაწილებით წარმოჩინდება და რასაც გარკვეულწილად ქვემოთაც შევეხებით (იხ. კვირის შვიდეულების კვირა და ორშაბათი დღით დაწყება).

ამგვარად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღდგომის დღესაწაული (ძვ.

სტ-ით) 22 მარტიდან 25 აპრილის ჩათვლით მოიწევა, რაც სხვადასხვა კალენდარული წლისათვის *საპასქო წლის* ხანგრძლივობის განსხვავებულობას (ანუ დღეთა და კვირის შვიდეულების სხვადასხვა ოდენობას) განაპირობებს.

შედარებისათვის ვიტყვით: **კალენდარული წელიწადი** *უბრალო წელს* **365 დღე-ღამის,** ხოლო *ნაკიან წელს* **კი 366 დღე-ღამის** ტოლია, რაც, დაახლოებით, 52 შვიდეულს შეადგენს (365=52×7+1), სხვადასხვა *საპასქო წელიწადში* კი შვიდეულების ოდენობა 50-დან 55-ის ჩათვლით მერყეობს, და აი, რატომ:

მარტივი გათვლებით დგინდება, რომ თუ მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღე ქრისტიანული პასექის უადრეს ვადას - **22 მარტს** მოიწევა, მომდევნო წელს პასექი **11 აპრილს** აღინიშნება, რაც ***საპასქო წლის ხანგრძლივობას 55 შვიდეულით*** განსაზღვრავს **(სამაგიდო...1977: 571)**, ხოლო თუ იგი ქრისტიანული პა-სექის უგვიანეს ვადას - **25 აპრილს** დაემთხვა, მომდევნო აღდგომა **9 (ან 10) აპრილს** დადგება, რის დროსაც ***საპასქო წლის ხანგრძლივობა 50 შვიდეულით*** განისაზღვრება **(სამაგიდო...1977: 572)**.

ზემომოხმობილი მონაცემების საფუძველზე, თვალსაჩინოებისათვის, ორ სქემატურ ნახაზს წარმოვადგენთ, სადაც ერთ შემთხვევაში საპასქო წლის **მინიმალური** გრძლივობა ***50 შვიდეულითაა*** წარმოდგენილი, ხოლო მეორე შემთხვე-ვაში კი **მაქსიმალური - *55 შვიდეულით*** **(იხ. დანართი: ნახ. №1 და ნახ №2).**

5. კვირის შვიდეულების კვირა და ორშაბათი დღით დაწყება

ა) კვირის შვიდეულების კვირა დღით დაწყება

ბიბლიიდან ცნობილია, რომ შესაქმეს პირველი დღე *კვირა* იყო, ხოლო მეშვიდე დღე – *შაბათი*. შემდგომად (ბიბლიური) მე-6 დღისა ღმერთმა, განასრულა რა „საქმენი მისნი“ **(დაბად. 2.2),** აკურთხა... „დღე მეშვიდე და წმიდა-ყო იგი, რამეთუ მას შინა დასცხრა ყოველთაგან საქმეთა მისთა“ **(დაბად. 2.3)**. ამ მუხლების განმარტებისას **წმ. იოანე ოქროპირი** ბრძანებს, რომ:

– ***„...მეექვსე დღეს*** *(ბიბლიურ პარასკევს – დკ. ბგ.)* ***ღმერთი ქმნის რა ადამიანს, მეშვიდე დღეს განისვენებს, მომდევნო დღიდან კი*** *(ანუ კვირიდან – დკ. ბგ.),* ***რომელიც კვლავ პირველია, იგი ყველა ქმნილებას დადგენილი წესით განუჩინებს სვლას“*** **(ოქროპირი 2002: 962).**

სახარებიდან ვიცით, რომ მაცხოვარი ჯვარს ეცვა პარასკევს, ხოლო კვირა დღეს კი მკვდრეთით აღდგა. **წმ. იოანე ოქროპირის** განმარტებით:

– მაცხოვრის ***„...ჯვარზე ვნების დღე იმიტომაც იყო პარასკევი, რომ***

ამ დღეს *(ბიბლიურ მეექვსე დღეს, პარასკევს - დკ. ბ.გ.)* ***შეიქმნა ადამიანი, და აუცილებელი იყო,რომელ დღესაც დაეცა იგი,იმ დღეს მომხდარიყო მისი აღდგენა“*** **(ოქროპირი 2002: 964-965).**

იგივე აზრია გატარებული **წმ. ეფრემ ასურის** სწავლებაშიც,რომელიც მიიჩნევს, რომ:

– ***„...მაცხოვრის აღსრულების*** *(ჯვარზე ვნების - დკ. ბ.გ.)* ***დღე ადამის დაცემის დღეს ეთანადება“*** **(ასური 2003: 103).**

ზემოთქმულთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ხსენებულ წმიდა მამათა განმარტებით, ***ადამის ცოდვით დაცემის დღედ პარასკევია მიჩნეული, და რომ ეს დღე (მისტიკურად) უშუალო კავშირშია როგორც მაცხოვრის ჯვარზე ვნების, ასევე ბიბლიურ მეექვსე დღესთანაც***. აქ იმასაც შევნიშნავთ, რომ წმიდა მამათა სწორედ ამ სწავლებას ემყარება **წმ. აბუსერიძე ტბელიც** (XIII ს.), რომელიც საუბრობს რა მაცხოვრის ცხოველმყოფელ ვნებაზე, ბრძანებს: ***„...და რომელსა დღესა ექსორია ვიქმნენით, მასვე დღესა*** *(იგულისხმება ვნების შვიდეულის პარასკევი - დკ. ბ.გ.)* ***ჯერ-იჩინა ხსნაი ჩუენი“*** *(გოგუაძე...1998: 52).*

და კვლავ **წმიდა იოანე ოქროპირის** სწავლებას მოვუხმობთ: ***„...ამგვარად, მაცხოვარი ჯვარზე ევნო რა პარასკევ დღეს, აღასრულა ცოდვით დაცემული ადამიანის აღდგენა და მეშვიდე დღეს – შაბათს განისვენა, რადგან აღარ იყო დარჩენილი რაიმე საქმე, რომელიც დაცემული ადამიანის აღდგენისთვის იყო საჭირო“*** **(ოქროპირი 2002: 965).**

შედარებისათვის კვლავ ბიბლიურ მეშვიდე დღეს – ***შაბათს*** გავიხსენებთ, როცა ღმერთი ***„...დასცხრა ყოველთაგან საქმეთა მისთა“.***

შემდგომად ამისა მოიწია ***კვირა*** დღე, დღე, რომლითაც აღმოგვიბრწყინდა ჩვენ ***„...ნათელი აღდგომისა,*** და ეს ყველაფერი მოხდა (არა რაიმე შემთხვევით გარემოებათა გამო, არამედ - დკ. ბ.გ.) დროთა ნიშნების თანხვედრის, მათ შორის კავშირის გამო. სწორედ ეს დღე (კვირა - დკ. ბ.გ.) იყო ისევ ***პირველი ყოველ დროთა*** (დღეთა - დკ. ბ.გ.) შორის, რადგან, როგორც მაშინ, ამ დღეს (კვირას - დკ. ბ.გ.) იყო დასაწყისი (ქმნული - დკ. ბ.გ.) *ნათლისა,* ამჯერადაც კვირა დღე გახლდათ დასაწყისი სულიერი აღდგომისა“ **(ოქროპირი 2002: 965);** აღდგომისა, რომლითაც მორწმუნეებს აღმოუბრწყინდათ ***„...მარადიული“... „ნათელი დღე – პასექი საიდუმლო“...*** **(ოქროპირი 2002: 944).**

ამგვარად, ზემოთქმული ნათლად წარმოაჩენს მიზეზს იმისა, თუ რატომ განაჩინა წმიდა ეკლესიამ აღდგომიდან სულთმოფენობამდე კვირის შვიდეულების ***კვირა*** ანუ ***„პირველი“, „მარადიული“, „ნათელი“*** დღით დაწყება, რათა მორწმუნეებმა გააცნობიერონ **საღმრთო განგებულების** ის საკითხები, რომლებიც მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომასთანაა დაკავშირებული **(საეკლესიო სიწმინდენი 2001:).**

ბ) კვირის შვიდეულების ორშაბათი დღით დაწყება

აღდგომიდან სულთმოფენობამდე დროის ინტერვალისა და მისი შემდგომი პერიოდის ურთიერთმიმართების გარკვევისათვის განვმარტავთ, რომ ის, რაც აღსრულდა ადამიანთა ხსნისათვის - მკვდრეთით ***აღდგომა*** და ***ამაღლება***, ***ადამიანურ ბუნებას***, **დაცემული კაცობრივი ბუნების აღდგენას ეხებოდა,** ხოლო ყოველივე ის, რაც ***სულიწმიდის გარდამოსვლის*** **შემდეგ** ხდება ჩვენთვის (მართლმადიდებლური ეკლესიის საიდუმლოებებში მონაწილეობით), **პიროვნებას ეხება და ადამიანის არჩევანზეა დამოკიდებული.**

სხვაგვარადაც ვიტყვით: წმიდა სამოციქულო ეკლესიის, როგორც ქრისტეს მისტიური სხეულისა და სულიწმიდის სამკვიდროს, დაარსების დღედ ***სულთმოფენობის დღე*** მიიჩნევა, რაც იმაზეც მიანიშნებს, რომ საღმრთო განგებულებით, ადამიანთა სულიერი აღორძინებისათვის სულიწმიდა ძესთან ერთად ***აღმშენებლობს***, რასაც მორწმუნენი ***განღმრთობისაკენ,*** თითეული პიროვნების ღმერთთან შეერთებისაკენ მიჰყავს.

ზემოთქმულს **წმ. გრიგოლი პალამას** სიტყვებითაც გადმოვცემთ: ***„ამგვარად, სული წმიდა („სხვა ნუგეშინისმცემელი“ - დკ. ბგ.) არა მხოლოდ მოივლინება, არამედ თვით წარმოგზავნის ძეს, მამისაგან წარმოგზავნილს, რითაც საჩინოვდება, რომ იგი თანაბარი ღირსებისაა და ერთარსია და თანაშემოქმედი მათი, და იგივე პატივის მქონე, რაც მამასა და ძეს აქვს“*** **(პალამა 1993: 240).**

ამგვარად, ***სულთმოფენობა*** კაცობრიობისათვის (ვიდრე მეორედ მოსვლამდე) **საბოლოო მიზანია საღმრთო განგებულებისა დედამიწაზე.** სწორედ ამიტომ, დედა ეკლესიამ სულთმოფენობის მომდევნო დღიდან – **ორშაბათიდან –** დიდი მარხვის მოსამზადებელ პერიოდამდე **(33÷38 შვიდეულის განმავლობაში), *წირვის რიგით სახარებათა განწესი დაადგინა*** (იხ. მომდევნო თავი), რითაც ევქარისტიულ დროსა და სივრცეში მისი (სულთმოფენობის) განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოკვეთა.

მეტი სიცხადისათვის ყურადღებას დროისა და მარადისობის, წუთისოფლისა და საუკუნო ცხოვრების ურთიერთმიმართებაზეც გავამახვილებთ.

წმ. იოანე დამასკელის სწავლებით, **რიცხვი 7** ამქვეყნიურ, წარმავალ დროს ასახავს, ხოლო **მე-8 დღე** კი საყოველთაო მკვდრეთით აღდგომისა და საშინელი სამსჯავროს შემდგომ პერიოდზე, მარადიულობაზე მიანიშნებს **(დამასკელი 2000: 457).** ამგვარადვეა წარმოჩენილი **მე-8 დღე წმ. გრიგოლი ღმრთისმეტყველისა** და **წმ. დიონისე არეოპაგელის** სწავლებებშიც. მათი განმარტებით, რიცხვი 8 მარადიულობის სიმბოლოა **(სამაგიდო...1983: 700).**

წმიდა მამათა ზემოაღნიშნული სწავლების ფონზე, რიცხვების 7-ისა და 8-ის სიმბოლური - მისტიკური ერთობა, მარადიულობასთან *ეკლესიის* უცილობელ კავშირს გამოხატავს, რაც იმაზეც მიუთითებს, რომ უფალი,

ეკლესიის წიაღში, ყოველი ადამიანის ხსნის გზას სახავს, თითოეულის ამ ქვეყანაზე მოვლინებიდან მათ აღსრულებამდე.

ამგვარად, ***წუთისოფელსა*** თუ ***მარადისობაში*** ქრისტიანული ცხოვრების საზრისი უფლისადმი თაყვანისცემასა და მისდამი დაუცხრომელ ლოცვა-ვედრებაში მდგომარეობს, მათ კი ერთურთისაგან სიკვდილის კარიბჭე ჰყოფს, რის გამოც *ერთგვარ მიჯნად* დროსა და მარადისობას შორის სულთმოფენობის მომდევნო დღე - ეკლესიის წიაღში საუკუნო ცხოვრებისათვის მზადების „დღე“ შეიძლება მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ „პარაკლიტონში“ ორშაბათ დღეს ზეციური სამყაროს მკვიდრთა - *ანგელოზთა* ხსენება აღესრულება, რაც ამ დღის მარადიულობასთან კავშირზე მიანიშნებს, ხოლო **წმ. გრიგოლი პალამა** (აღდგომისა და სულთმოფენობის დღეთა მსგავსად - დკ. ბ.გ.) მეორედ მოსვლის, საყოველთაო მკვდრეთით აღდგომის დღედ კვირა დღეს სახავს **(პალამა 1993: 181)**, რასაც მომდევნო დღე, მარადიული დღე - „ცხორებაჲ საუკუნოჲ“ მოსდევს.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საცნაურდება კიდეც მიზეზი იმისა, თუ რატომ განაჩინა დედა ეკლესიამ ***სულთმოფენობიდან მომდევნო*** **აღდგომამდე შვიდეულების ორშაბათი დღით დაწყება.**

6. წირვაზე წასაკითხი რიგითი სახარებების განწესი

წირვის რიგითი სახარებების განწესის შედგენის ერთ-ერთი ამოსავალი დებულება წლის განმავლობაში წმიდა ოთხთავის სრულად (მაქსიმალურად) ამოკითხვა გახლავთ (სამაგიდო... 1977: 572). იმის გათვალისწინებით, რომ საპასექო წლის მინიმალური ხანგრძლივობა 50 შვიდეულს შეადგენს, ხოლო მაქსიმალური კი 55-ს, საეკლესიო განჩინებით, ყოველდღიური წირვის რიგითი სახარებათა განწესი 50 შვიდეულზეა გათვლილი (იხ. დანართი: ცხრილი №1).

მეტი სიცხადისათვის დავძენთ, წირვის რიგითი სახარებები საპასექო წლის მაქსიმალურ გრძლივობაზე (55 შვიდეულზე) რომ ყოფილიყო გაწერილი, 50÷54 შვიდეულის ხანგრძლიობის საპასექო წლებისათვის წაუკითხავი დარჩებოდა სახარებათა „დასაწყისების“ მთელი წყება, რაც, რა თქმა უნდა, საეკლესიო კალენდრის მნიშვნელოვან ხარვეზად წარმოჩინდებოდა.

50 შვიდეულის (ანუ კვირა დღეებისა და მათი შვიდეულების) წირვის რიგითი სახარებების საკითხავები მკაცრად განსაზღვრულ მწყობრს ქმნის და პირობითად სამ ჯგუფად იყოფა:

– **I ჯგუფი** აღდგომიდან სულთმოფენობამდე დროის ინტერვალზეა ორიენტირებული და 7 შვიდეულს მოიცავს;

– **II ჯგუფი** სულთმოფენობიდან დიდი მარხვის მოსამზადებელ პე-

რიოდამდე გრძელდება და 33 შვიდეულს შეადგენს;

– **III ჯგუფი** კი დიდი მარხვის მოსამზადებელი პერიოდიდან აღდგომამდე დროის შუალედს მოიცავს და 10 შვიდეულს მიითვლის. მათ შორის არის მოსამზადებელი პერიოდის 3 შვიდეული და საკუთრივ დიდი მარხვის 7 შვიდეული (იხ. დანართი: ცხრილი №1, ნახაზები №1 და №2).

I ჯგუფის 1-7-ე შვიდეულის საკითხავები *იოანე ღვთისმეტყველის* სახარებიდანაა შედგენილი, გარდა სამი დღისა:

1. ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათისა (ლკ. დას. 113; თ. 24, 12-35);
2. მენელსაცხებლე დედათა კვირისა (მკ. დას. 69; თ. 15, 43 – 16, 8);
3. ამაღლების დღესასწაულისა (ლკ. დას. 114; თ. 24, 36-53).

II ჯგუფის 33 შვიდეული 17 და 16 შვიდეულების საკითხავებად იყოფა:

ა) 17 შვიდეულის განმავლობაში:

1. სულთმოფენობის შემდგომი დღიდან (სულიწმიდის ორშაბათიდან) 11 შვიდეულის განმავლობაში *მათე მახარებლის* სახარება იკითხება;

2. მომდევნო 6 შვიდეულის (ანუ მე-12-17-ე შვიდეულის) ინტერვალში:
   – სადაგ დღეებში (ანუ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) *მარკოზ მახარებლის* სახარების საკითხავები ჩაერთვება;
   – შაბათ-კვირას კი კვლავ *მათეს* სახარების კითხვა აღესრულება.

შენიშვნა: (ტიპიკონში) ზემოხსენებული 17 შვიდეული *მათეს* შვიდეულებად იწოდება (სამაგიდო...1977: 565; დანართი: ნახ. №1 და №2).

ბ) შემდეგი 16 შვიდეულის განმავლობაში:

1. მე-18-29-ე შვიდეულში (რაც 12 შვიდეულს მოიცავს) *ლუკა მახარებლის* სახარება იკითხება;

2. მომდევნო 4 შვიდეულის (30-33) განმავლობაში:
   – სადაგ დღეებში (ანუ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) *მარკოზ მახარებლის* სახარების საკითხავებია ჩართული,
   – შაბათ-კვირას კი კვლავ *ლუკას* სახარების კითხვა აღესრულება.

შენიშვნა: (ტიპიკონში) ზემოხსენებული 16 შვიდეული *ლუკას* შვიდეულებად იწოდება (სამაგიდო...1977: 565; დანართი: ნახ. №1 და №2).

III ჯგუფის 10 შვიდეულის სახარების საკითხავებს 2+1+7 შვიდეულთა ნაკრებად წარმოვადგენთ:

ა) მე-2 შვიდეულის განმავლობაში, ანუ: მეზვერისა და ფარისევლის კვირა დღეს, უძღები შვილის მთელ შვიდეულსა და ხორციელის შვიდეულში (ხორციელის შაბათის ჩათვლით):

- სადაგ დღეებში (ანუ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) *მარკოზ მახარებლის* სახარების საკითხავებია ჩართული,
- შაბათ-კვირას კი კვლავ *ლუკას* სახარების კითხვა აღესრულება.

შენიშვნა: 1. ამგვარად, *მათეს* 17 შვიდეულს, *ლუკა* მახარებლის (16+2=)18 შვიდეული მოსდევს (სამაგიდო... 1977: 565);

2. ხორციელის კვირას *მათეს* სახარება იკითხება (დას. 106; 25. 31-46).

ბ) I შვიდეულის განმავლობაში (ანუ ყველიერის შვიდეულში) *ლუკა* და *მათე მახარებელთა* საკითხავები წაიკითხება. მათ შორის: ყველიერის ორშაბათს, სამშაბათს, ხუთშაბათსა და თვით ყველიერის კვირას - *ლუკას* სახარება იკითხება, შაბათს - *მათეს* სახარება, ხოლო ოთხშაბათსა და პარასკევს კი წირვა არ აღესრულება.

ბ) 7 შვიდეულის განმავლობაში, ანუ დიდ მარხვაში, უმეტესწილად, *მარკოზ მახარებლის* სახარების საკითხავები იკითხება. ამასთან დავძენთ, რომ საეკლესიო განჩინებით (დიდმარხვაში) შაბათ-კვირისა და ხარების დღესასწაულის გარდა, წმ. იოანე ოქროპირისა და წმ. ბასილი დიდის ლიტურგიები არ აღესრულება (იხ. დანართი: ცხრილი №1).

7. წირვის რიგით სახარებათა განაწილების პრინციპები

დანართის №1 ცხრილში მოცემული 50 შვიდეულის წირვის რიგით სახა-რებათა განწესში *4 დროით ინტერვალზე* გავამახვილებთ ყურადღებას:

1. აღდგომიდან სულთმოფენობის ჩათვლით 7 შვიდეულზე (რა დროსაც *იოანე ღვთისმეტყველის* სახარება წაიკითხება);

2. სულთმოფენობის შემდგომი დღიდან - ორშაბათიდან (*მათეს* შვიეულებად წოდებულ) 17 შვიდეულზე;

3. მე-18 შვიდეულის ორშაბათიდან 33-ე კვირის ჩათვლით (*ლუკას* შვიდეულებად წოდებულ) 16 შვიდეულზე;

4. მეზვერისა და ფარისევლის კვირიდან აღდგომამდე, ანუ 10 შვიდეულზე (როცა, უმეტესწილად, *მარკოზ მახარებლის* სახარება იკითხება).

მაშასადამე, *წირვის რიგით სახარებათა განწესის* **50 შვიდეული** გარკვეულ დროით ინტერვალთა (შვიდეულთა) ჯამის სახით შეიძლება წარმოვაჩინოთ:

50 = 7(იოანე) + 17(მათე) + 16(ლუკა) + 10 (მარკოზი).

მოცემულ სახარებათა „დასაწყისების“ ერთობლიობა სრულად ასახავს ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულებას და მასთან დაკავშირე-

ბულ საღმრთო ისტორიას.

51÷55 შვიდეულის გრძლიობის საპასექო წლებისათვის 50 შვიდეულის წირვის რიგით სახარებათა განწესის „შევსებისათვის“ **ორი ძირითადი საკითხია** გადასაჭრელი:

I. 50 შვიდეულის წირვის რიგით სახარებათა განწესის შესაძლო წყვეტის, ანუ საკითხავების „ახალი“ რიგის დაწყების, „ჩაბმის“ წერტილების განსაზღვრა;

II. 1÷5 შვიდეულის სახარების საკითხავების „ახალი“ რიგის შედგენა. ახალი იმ თვალსაზრისით, რომ კვლავ იქნას ამოკითხული წაკითხული სახარებების გარკვეული რიგი, რომელიც „შესავსები“ დროითი საღმრთისმსახურო ინტერვალის თანაზომადი იქნება.

ზემოდასახული ორი საკითხის გადაჭრის მიზნით კვლავ დანართი №1 ცხრილში მოცემული 50 შვიდეულის წირვის რიგით სახარებათა განწესს გადავავლოთ თვალი, რითაც საჩინოვდება, რომ ზემოაღნიშნული *ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲘᲗᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲐᲚᲘ აზრობრივად დასრულებულ საღმრთისმსახურო რიგს ქმნის, რის გამოც:*

- **მიზანშეუწონელია, წყვეტა მოხდეს ინტერვალის შიგნით, რათა არ დაირღვეს მათი მთლიანობა** (საღმრთისმეტყველო-ლიტურგიკული თვალსაზრისით);
- **მიუღებელია IV ინტერვალის I ინტერვალთან დაშორიშორება, ანუ დიდი მარხვის პერიოდის ზატიკის პერიოდთან დაშორება;**
- **არ არსებობს არავითარი აუცილებლობა I და II ინტერვალებს შორის რაიმე შუალედის არსებობისაც.**

დამატებით იმასაც დავძენთ, რომ II და III ინტერვალებს შორის მიჯნა „ახლოსაა“ ჯვართამაღლების დღესასწაულთან **(14.09)**, ხოლო III და IV ინტერვალებს შორის საზღვარი კი ნათლისღების დღესასწაულთან **(6.01)**.

ზემოთქმულთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ აღნიშნულ მიჯნებს შორის ე.წ. „სიახლოვის“ საკითხი ერთადერთ მიზანს ემსახურება, კერძოდ, რაათა დადგინდეს *მოძრავი წრის მსახურებათა და უდიდეს უძრავ დღესასწაულთა შორის* აზრობრივად კავშირში მყოფი **„საყრდენი“, „გადაბმის“** წერტილები.

ამგვარად, საცნაურდება კიდეც წირვის რიგით სახარებათა განწესის გონივრული წყვეტისა და საკითხავების „ახალი“ რიგის დაწყების (ანუ „ჩაბმის“) ადგილები, კონკრეტულად:

I. ***მათეს*** *შვიდეულებად* წოდებულ 17 შვიდეულსა და ***ლუკას*** *შვიდეულებად* წოდებულ 16 შვიდეულს შორის მიჯნა (ანუ მიჯნა II და III დროით ინტერვალებს შორის), რომელსაც, პირობითად, **„სექტემბრის წყვეტად“** სახელვდებთ;

II. ***ლუკას*** *შვიდეულებად* წოდებულ 16 შვიდეულსა და მეზვერისა და ფარისევლის კვირას შორის მიჯნა (ანუ მიჯნა III და IV დროით

ინტერვალებს შორის), რომელსაც ***„იანვრის წყვეტად“*** მოვიხსენიებთ.

სხვაგვარადაც ვიტყვით: ზემომითითებული დროითი ინტერვალებისა და „წყვეტის წერტილების“ საფუძველზე ნათელი ხდება, რომ საპასექო წლის მოდე-ლირებისას **რიგით სახარებათა „ნაკლებობა“ წელიწადში ორგზის** იჩენს თავს:

პირველად – *ლუკა მახარებლის* სახარების „დასაწყისების“ კითხვის ***დაწყების წინ***,

მეორედ – მათი ***დასრულების შემდგომ*** **(ნიკოლსკი 1995: 401).**

ამგვარად, ლიტურგიკული თვალსაზრისით, საპასექო წლის მოდელირები-სათვის ***ორი განჩინება*** შეიძლება ჩამოყალიბდეს:

I განჩინება: *მეზვერისა და ფარისევლის კვირიდან უცილობლად სახარე-ბის ის „დასაწყისები“ იქნას წაკითხული, რომლებიც წირვაზე წასაკითხი რიგი-თი სახარებების განწესით არის გათვალისწინებული* **(დანართი: ცხრილი №1; ბულგა-კოვი 1993: 694; ნიკოლსკი 1995: 400-401);**

II განჩინება: *ჯვართამაღლების დღესასწაულის (14.09) შემდგომი ორშაბა-თიდან (15÷22.09), უცილობლად ლუკა მახარებლის სახარების განწესის კითხვა დაიწყოს* **(ბულგაკოვი 1993: 694; სამაგიდო...1977: 570; ნიკოლსკი 1995: 401).**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **შეჯამებულად** ვიტყვით, რომ აღნიშნული **ორი განჩინება** საშუალებას იძლევა **ნებისმიერი საპასექო წლისათვის:**

ა) უცვლელად იქნეს წაკითხული 50 შვიდეულის წირვის რიგით სახარებათა განწესი შემდეგი დროითი ინტერვალებისათვის:

- **(მიმდინარე წლის აღდგომის წინმსწრები) მეზვერისა და ფარისევლის კვირიდან (11.01÷15.02) აღდგომამდე (22.03÷25.04);**
- **აღდგომიდან *„სექტემბრის წყვეტამდე“*, და**
- **ჯვართამაღლების დღესასწაულის შემდგომი ორშაბათიდან (15÷22.09);**

16 შვიდეულის განმავლობაში (ანუ *ლუკა მახარებლის სახარების განწესის დროითი შუალედისათვის*);

ბ) დადგინდეს სახარებათა საკითხავების „ახალი“ რიგი:

- ***„სექტემბრის წყვეტიდან“*** **ჯვართამაღლების დღესასწაულის (14.09) შემდგომ ორშაბათამდე (15÷22.09);**
- ***„იანვრის წყვეტიდან“*** **მეზვერისა და ფარისევლის კვირამდე (11.01÷15.02).**

8. სექტემბრისა და იანვრის „წმენტათათვის“ სახარებათა საკითხავების „ახალი“ რიგის შედგენა

ყოველი საპასექო წლისათვის, სახარებათა საკითხავების „ახალი“ რიგის შედგენისათვის შემდეგი დროითი ინტერვალების გამოთვლაა აუცილებელი:

1. სულთმოფენობიდან ჯვართამაღლების დღესაწაულის (14.09) მომდევნო ორშაბათამდე (15.09÷22.09), რაც საშუალებას მოგვცემს, დადგინდეს ინტერვალი *„სექტემბრის წმენტიდან“* ჯვართამაღლების დღესასწაულის შემდგომ ორშაბათამდე;
2. ჯვართამაღლების დღესაწაულის მომდევნო ორშაბათიდან მეზვერისა და ფარისევლის კვირამდე,რაც,თავის მხრივ, *„იანვრის წმენტიდან“* მეზვერისა და ფარისევლის კვირამდე (11.01÷15.02) დროის შუალედის განსაზღვრაში დაგვეხმარება.

რაც შეეხება უშუალოდ **სახარებათა „ახალი“ რიგის შედგენის** საკითხს, ამისთვის სათანადო წესია დადგენილი, რის შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ: ***„კვლავ იქნას ამოკითხული ადრე წაკითხული სახარებების გარკვეული რიგი,რომელიც „შესავსები“ დროითი საღმრთისმსახურო ინტერვალის თანაზომადი იქნება“.***

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

ასური 2003 — Св. Ефрем Сирин. Творения, т. 3. Калуга: ОАО „Калужская типография стандартов“, 2003.

ბულგაკოვი 1993 — Булгаков С., Настольная книга Священно-Церковно-служителя, т.I. Москва: Издательский отдел Московского Патриархата, 1993.

გოგუაძე 1998 — გოგუაძე ნ., ქავთარია მ., ჩაგუნავა რ., აბუსერისძე ტბელი ᲝᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ. ბათუმი: გამომცემლობა „აჭარა“, 1998.

გუნია 2007 — გუნია ბ., იულიუსის კალენდრის საკითხისათვის. თბილისი: გელათის მეცნიერებათა აკადემია, 2007.

გუნია 2011 — გუნია ბ., ლიტურგიკული შტუდიები, I, საპასექო გამოთვლები „მცხეთის დავითნის“ A-38 ხელნაწერის მიხედვით. თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საღვთისმეტყველო კათედრის შრომები, მე-3 გამოცემა, 2011.

ნიკოლსკი 1995 — Никольский К., Пособие к изучению Устава Богослужения Православной Церкви. Москва: Паломник - правило веры, 1995.

ოქროპირი 2002 — Св. Иоанн Златоуст. Творения, т. 8, книга 2-я. Москва: издательство „Радонеж“, Православное братство, 2002.

პალამა 1993 — Св. Григорий Палама. Беседы (Омилии) Святителя Григория Паламы, ч. 1-я. Москва: издательство „Паломник“, 1993.

საეკლესიო სიწმინდენი 2000 — „საპასექო გამოთვლები უძველეს ქართულ ხელნაწერში (მცხეთის დავითნი)“, გაზ. საეკლესიო სიწმინდენი №3 (რედ. ე. ჭელიძე), ოქტომბერი, 2000, გვ. 16.

საეკლესიო სიწმინდენი 2001 — „საპასექო წელიწადის ზატიკის პერიოდში კვირის შვიდეულების კვირადღით დაწყების შესახებ“, გაზ. საეკლესიო სიწმინდენი №1 (რედ. ე. ჭელიძე), იანვარი, 2001, გვ. 7.

სამაგიდო 1977 — Настольная книга Священнослужителя, т. I. Москва: издание Московской Патриархии, 1977.

სამაგიდო 1983 — Настольная книга Священнослужителя, т. IV, Москва: издание Московской Патриархии, 1983.

შრომები 2009 — თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო შრომები I. თბილისი: 2009.

დ ა ნ ა რ თ ი

საპასექო წლის სქემატური გამოსახულება 50 შვიდეულით

(7+33+10=50)

ნახაზი №1



დ ა ნ ა რ თ ი

საპასექო ღლის სქემატური გამოსახულება <u>55 შვიდეულით</u>

(7+38+10=55)

ნახაზი №2



დ ა ნ ა რ თ ი ი

50 შვიდეულის წირვის რიგითი სახარებების განწესი

(ცხრილი №1)

ბრწყინვალე შვიდეული	I კვირა – აღდგომა – ინ. დას. 1; 1, 1-17	**აღდგომიდან VI კვირა (ბრმის კვირა) – ინ. დას. 34; 9,1-38**
	ორშაბათი – ინ. დას. 2; 1,18-28	ორშაბათი – ინ. დას. 40; 11, 47-57
	სამშაბათი – ლკ. დას. 113; 24,12-35	სამშაბათი – ინ. დას. 42; 12, 19-36
	ოთხშაბათი – ინ. დას. 4; 1,35-51	ოთხშაბათი – ინ. დას. 43; 12, 36-47
	ხუთშაბათი – ინ. დას. 8; 3,1-15	ამაღლება, ხუთშ. – ლკ. დას. 114; 24,36-53
	პარასკევი – ინ. დას. 7; 2,12-22	პარასკევი – ინ. დას. 47; 14, 1-11
	შაბათი – ინ. დას. 11; 3, 2-33	შაბათი – ინ. დას. 48; 14, 10-21
აღდგომიდან II კვირა (თომას კვირა) – ინ. დას. 65; 20, 19-31		აღდგომიდან VII კვირა (I მსოფლიო კრების წმ. მამათა კვირა) – ინ. დას. 56; 27, 1-13
ორშაბათი – ინ. დას. 6; 2, 1-11		ორშაბათი – ინ. დას. 49; 14, 27 – 15,7
სამშაბათი – ინ. დას. 10; 3, 16-21		სამშაბათი – ინ. დას. 53; 16, 2-13
ოთხშაბათი – ინ. დას. 15; 5, 17-24		ოთხშაბათი – ინ. დას. 54; 16, 15-23
ხუთშაბათი – ინ. დას. 16; 5, 24-30		ხუთშაბათი – ინ. დას. 55; 16, 23-33
პარასკევი – ინ. დას. 17; 5,30 - 6,2		პარასკევი – ინ. დას. 57; 17, 18-26
შაბათი – ინ. დას. 19; 6,14-27		სულიის შაბათი – ინ. დას. 67; 21,15-25
აღდგომიდან III კვირა (მენელსაცხებლე დედათა კვირა) – მკ. დას. 69; 15,43 – 16,8		(Σ = 7 შვიდეული = 49 დღე)
ორშაბათი – ინ. დას. 13; 4,46-54		აღდგომიდან VIII კვირა – სულთმოფენობა – ინ. დას. 27; 7,37-52 – 8,12
სამშაბათი – ინ. დას. 20; 6,27-33		(Σ = 49 დღე + 1 დღე = 50 დღე)
ოთხშაბათი – ინ. დას. 21; 6,35-39		ორშაბათი – მთ. დას. 75; 18, 10-20
ხუთშაბათი – ინ. დას. 22; 6,40-44		სამშაბათი – მთ. დას. 10; თ. 4,25 – თ. 5,13
პარასკევი – ინ. დას. 23; 6, 48-54		ოთხშაბათი – მთ. დას. 12; 5, 20-26
შაბათი – ინ. დას. 52; 15, 17 – 16,2		ხუთშაბათი – მთ. დას. 13; 5, 27-32
აღდგომიდან IV კვირა (განრღვეულის კვირა) – ინ. დას. 14; 5,1-15		პარასკევი – მთ. დას. 14; 5,33-41
ორშაბათი – ინ. დას. 24; 6, 56-69		შაბათი – მთ. დას. 15; 5, 42-48;
სამშაბათი – ინ. დას. 25; 7, 1-13		I კვირა სულთმოფენობიდან (ყოველთა წმიდათა) – მთ. დას. 38; თ. 10,32-33, 37-38; თ. 19,27-30
ოთხშაბათი (განზოგება) – ინ. დას. 26; 7,14-30		ორშაბათი – მთ. დას. 19; 6, 31-34; 7,9-11
ხუთშაბათი – ინ. დას. 29; 8, 12-20		სამშაბათი – მთ. დას. 22; 7, 15-21
პარასკევი – ინ. დას. 30; 8, 21-30		ოთხშაბათი – მთ. დას. 23; 7, 21-23
შაბათი – ინ. დას. 31; 8, 31-42		ხუთშაბათი – მთ. დას. 27; 8, 23-27
აღდგომიდან V კვირა (სამარიტელის კვირა) – ინ. დას. 12; 4,5-42		პარასკევი – მთ. დას. 31; 9,14-17
ორშაბათი – ინ. დას. 32; 8, 42-51		შაბათი – მთ. დას. 20; 7, 1-8
სამშაბათი – ინ. დას. 33; 8, 51-59		მე-2 კვირა სულთმოფენობიდან – მთ. დას. 9; 4,18-23
ოთხშაბათი – ინ. დას. 18; 6,5-14		
ხუთშაბათი – ინ. დას. 35; 9,39 – 10,9		
პარასკევი – ინ. დას. 37; 10, 17-28		
შაბათი – ინ. დას. 38; 10, 27-38		

ცხრილი №1 (გაგრძელება)

ორშაბათი – მთ. დას. 34; 9,36 – 10,8	ორშაბათი – მთ. დას. 65; 16, 1-6
სამშაბათი – მთ. დას. 35; 10, 9-15	სამშაბათი – მთ. დას. 66; 16, 6-12
ოთხშაბათი – მთ. დას. 36; 10, 16-22	ოთხშაბათი – მთ. დას. 68; 16, 20-24
ხუთშაბათი – მთ. დას. 37; 10, 23-31	ხუთშაბათი – მთ. დას. 69; 16, 24-28
პარასკევი – მთ. დას. 38; 10, 32-36; 11,1	პარასკევი – მთ. დას. 71; 17, 10-18
შაბათი – მთ. დას. 24; 7,24 – 8,4	შაბათი – მთ. დას. 47; 12, 30-37
მე-3 კვირა სულთმოფენობიდან – მთ. დას. 18; 6, 22-33	მე-8 კვირა სულთმოფენობიდან – მთ. დას. 58; 14, 14-22
ორშაბათი – მთ. დას. 40; 11, 2-15	ორშაბათი – მთ. დას. 74; 18, 1-11
სამშაბათი – მთ. დას. 41; 11, 16-20	სამშაბათი – მთ. დას. 76; 18, 22; თ. 19,1-2, 13-15
ოთხშაბათი – მთ. დას. 42; 11, 20-26	ოთხშაბათი – მთ. დას. 80; 20, 1-16
ხუთშაბათი – მთ. დას. 43; 11, 27-30	ხუთშაბათი – მთ. დას. 81; 20, 17-28
პარასკევი – მთ. დას. 44; 12, 1-8	პარასკევი – მთ. დას. 83; 21,12-14; 17-20
შაბათი – მთ. დას. 26; 8, 14-23	შაბათი – მთ. დას. 64; 15, 32-39
მე-4 კვირა სულთმოფენობიდან – მთ. დას. 25; 8, 5-13	მე-9 კვირა სულთმოფენობიდან – მთ. დას. 59; 14, 22-34
ორშაბათი – მთ. დას. 45; 12, 9-13	ორშაბათი – მთ. დას. 84; 21, 18-22
სამშაბათი – მთ. დას. 46; თ. 12, 14-16; 22-30	სამშაბათი – მთ. დას. 85; 21, 23-27
ოთხშაბათი – მთ. დას. 48; 12, 38-45	ოთხშაბათი – მთ. დას. 86; 21, 28-32
ხუთშაბათი – მთ. დას. 49; თ. 12,46 – თ. 13,3	ხუთშაბათი – მთ. დას. 88; 21, 43-46
პარასკევი – მთ. დას. 50; 13, 4-9	პარასკევი – მთ. დას. 91; 22, 23-33
შაბათი – მთ. დას. 30; 9, 9-13	შაბათი – მთ. დას. 73; 17, 24 – 18,4
მე-5 კვირა სულთმოფენობიდან – მთ. დას. 28; 8, 28 – 9,1	მე-10 კვირა სულთმოფენობიდან – მთ. დას. 72; 17, 14-23
ორშაბათი – მთ. დას. 51; 13, 10-23	ორშაბათი – მთ. დას. 94; 23, 13-22
სამშაბათი – მთ. დას. 52; 13, 24-30	სამშაბათი – მთ. დას. 95; 23, 23-28
ოთხშაბათი – მთ. დას. 53; 13, 31-36	ოთხშაბათი – მთ. დას. 96; 23, 29-39
ხუთშაბათი – მთ. დას. 54; 13, 36-43	ხუთშაბათი – მთ. დას. 99; 24, 13-28
პარასკევი – მთ. დას. 55; 13, 44-54	პარასკევი – მთ. დას. 100; 24, 27-33; 42-51
შაბათი – მთ. დას. 32; 9, 18-26	შაბათი – მთ. დას. 78; 19, 3-12
მე-6 კვირა სულთმოფენობიდან – მთ. დას. 29; 9, 1-8	მე-11 კვირა სულთმოფენობიდან – მთ. დას. 77; 18, 23-35
ორშაბათი – მთ. დას. 56; 13, 54-58	ორშაბათი – მკ. დას. 2; 1, 9-15
სამშაბათი – მთ. დას. 57; 14, 1-13	სამშაბათი – მკ. დას. 3; 1, 16-22
ოთხშაბათი – მთ. დას. 60; 14, 35 – 15,11	ოთხშაბათი – მკ. დას. 4; 1, 23-28
ხუთშაბათი – მთ. დას. 61; 15, 12-21	ხუთშაბათი – მკ. დას. 5 1, 29-35
პარასკევი – მთ. დას. 63; 15, 29-31	პარასკევი – მკ. დას. 9; 2, 18-22
შაბათი – მთ. დას. 39; 10, 37 – 11,1	შაბათი – მთ. დას. 82; 20, 29-34
მე-7 კვირა სულთმოფენობიდან – მთ. დას. 33; 9, 27-35	მე-12 კვირა სულთმოფენობიდან – მთ. დას. 79; 19, 16-26

ცხრილი №1 (გაგრძელება)

ორშაბათი – მკ. დას. 11; 3, 6-12	ორშაბათი – ლკ. დას. 10; 3, 19-22
სამშაბათი – მკ. დას. 12; 3, 13-19	სამშაბათი – ლკ. დას. 11; 3, 23 – 4,1
ოთხშაბათი – მკ. დას. 13; 3, 20-27	ოთხშაბათი – ლკ. დას. 12; 4, 1-15
ხუთშაბათი – მკ. დას. 14; 3, 28-35	ხუთშაბათი – ლკ. დას. 13; 4, 16-22
პარასკევი – მკ. დას. 15; 4, 1-9	პარასკევი – ლკ. დას. 14; 4, 22-30
შაბათი – მთ. დას. 90; 22, 15-22	შაბათი – ლკ. დას. 15; 4, 31-36
მე-13 კვირა სულთმოფენობიდან – მთ. დას. 87; 21, 33-42	მე-18 კვირა სულთმოფენობიდან – ლკ. დას. 17; 5, 1-11
ორშაბათი – მკ. დას. 16; 4, 10-23	ორშაბათი – ლკ. დას. 16; 4, 37-44
სამშაბათი – მკ. დას. 17; 4, 24-34	სამშაბათი – ლკ. დას. 18; 5, 12-16
ოთხშაბათი – მკ. დას. 18; 4, 35-41	ოთხშაბათი – ლკ. დას. 21; 5, 33-39
ხუთშაბათი – მკ. დას. 19; 5, 1-20	ხუთშაბათი – ლკ. დას. 23; 6, 12-19
პარასკევი – მკ. დას. 20; 5, 22-24; 35; - თ. 6,1	პარასკევი – ლკ. დას. 24; 6, 17-23
შაბათი – მთ. დას. 93; 23, 1-12	შაბათი – ლკ. დას. 19; 5, 17-26
მე-14 კვირა სულთმოფენობიდან – მთ. დას. 89; 22, 1-14	მე-19 კვირა სულთმოფენობიდან – ლკ. დას. 26; 6, 31-36
ორშაბათი – მკ. დას. 21; 5, 24-34	ორშაბათი – ლკ. დას. 25; 6, 24-30
სამშაბათი – მკ. დას. 22; 6, 1-7	სამშაბათი – ლკ. დას. 27; 6, 37-45
ოთხშაბათი – მკ. დას. 23; 6, 7-13	ოთხშაბათი – ლკ. დას. 28; 6,46 – 7,1
ხუთშაბათი – მკ. დას. 25; 6, 30-45	ხუთშაბათი – ლკ. დას. 31; 7, 17-30
პარასკევი – მკ. დას. 26; 6, 45-53	პარასკევი – ლკ. დას. 32; 7, 31-35
შაბათი – მთ. დას. 97; 24, 1-13	შაბათი – ლკ. დას. 20; 5, 27-32
მე-15 კვირა სულთმოფენობიდან – მთ. დას. 92; 22, 35-46	მე-20 კვირა სულთმოფენობიდან – ლკ. დას. 30; 7, 11-16
ორშაბათი – მკ. დას. 27; 6, 54 – 7,8	ორშაბათი – ლკ. დას. 33; 7, 36-50
სამშაბათი – მკ. დას. 28; 7, 5-16	სამშაბათი – ლკ. დას. 34; 8, 1-3
ოთხშაბათი – მკ. დას. 29; 7, 14-24	ოთხშაბათი – ლკ. დას. 37; 8, 22-25
ხუთშაბათი – მკ. დას. 30; 7, 24-30	ხუთშაბათი – ლკ. დას. 41; 9, 7-11
პარასკევი – მკ. დას. 32; 8, 1-10	პარასკევი – ლკ. დას. 42; 9, 12-18
შაბათი – მთ. დას. 101; 24, 34-44	შაბათი – ლკ. დას. 22; 6, 1-10
მე-16 კვირა სულთმოფენობიდან – მთ. დას. 105; 25, 14-30	21-ე კვირა სულთმოფენობიდან – ლკ. დას. 35; 8, 5-15
ორშაბათი – მკ. დას. 48; 10, 46-52	ორშაბათი – ლკ. დას. 43; 9, 18-22
სამშაბათი – მკ. დას. 50; 11, 11-23	სამშაბათი – ლკ. დას. 44; 9, 23-27
ოთხშაბათი – მკ. დას. 51; 11, 23-26	ოთხშაბათი – ლკ. დას. 47; 9, 44-50
ხუთშაბათი – მკ. დას. 52; 11, 27-33	ხუთშაბათი – ლკ. დას. 48; 9, 49-56
პარასკევი – მკ. დას. 53; 12, 1-12	პარასკევი – ლკ. დას. 50; 10, 1-15
შაბათი – მთ. დას. 104; 25, 1-13	შაბათი – ლკ. დას. 29; 7, 2-10
მე-17 კვირა სულთმოფენობიდან – მთ. დას. 62; 15, 21-28	22-ე კვირა სულთმოფენობიდან – ლკ. დას. 83; 16, 19-31

ცხრილი №1 (გაგრძელება)

ორშაბათი – ლკ. დას. 52; 10, 22-24	ორშაბათი – ლკ. დას. 97; 19, 37-44
სამშაბათი – ლკ. დას. 55; 11, 1-10	სამშაბათი – ლკ. დას. 98; 19, 45-48
ოთხშაბათი – ლკ. დას. 56; 11, 9-13	ოთხშაბათი – ლკ. დას. 99; 20, 1-8
ხუთშაბათი – ლკ. დას. 57; 11, 14-23	ხუთშაბათი – ლკ. დას. 100; 20, 9-18
პარასკევი – ლკ. დას. 58; 11, 23-26	პარასკევი – ლკ. დას. 101; 20, 19-26
შაბათი – ლკ. დას. 36; 8, 16-21	შაბათი – ლკ. დას. 67; 12, 32-40
23-ე კვირა სულთმოფენობიდან – ლკ. დას. 38; 8, 26-39	28-ე კვირა სულთმოფენობიდან – ლკ. დას. 76; 14, 16-24
ორშაბათი – ლკ. დას. 59; 11, 29-33	ორშაბათი – ლკ. დას. 102; 20, 27-44
სამშაბათი – ლკ. დას. 60; 11, 34-41	სამშაბათი – ლკ. დას. 106; 21, 12-19
ოთხშაბათი – ლკ. დას. 61; 11, 42-46	ოთხშაბათი – ლკ. დას. 104; 21, 5-7; 10-11; 20-24
ხუთშაბათი – ლკ. დას. 62; 11,47 – 12,1	ხუთშაბათი – ლკ. დას. 107; 21, 28-33
პარასკევი – ლკ. დას. 63; 12, 2-12	პარასკევი – ლკ. დას. 108; 21, 37 – 22,8
შაბათი – ლკ. დას. 40; 9, 1-6	შაბათი – ლკ. დას. 72; 13, 18-29
24-ე კვირა სულთმოფენობიდან – ლკ. დას. 39; 8, 41-56	29-ე კვირა სულთმოფენობიდან – ლკ. დას. 85; 17, 12-19
ორშაბათი – ლკ. დას. 65; 12, 13-15; 22-31	ორშაბათი – მკ. დას. 33; 8, 1-21
სამშაბათი – ლკ. დას. 68; 12, 42-48	სამშაბათი – მკ. დას. 34; 8, 22-26
ოთხშაბათი – ლკ. დას. 69; 12, 48-59	ოთხშაბათი – მკ. დას. 36; 8, 30-34
ხუთშაბათი – ლკ. დას. 70; 13, 1-9	ხუთშაბათი – მკ. დას. 39; 9, 10-16
პარასკევი – ლკ. დას. 73; 13, 31-35	პარასკევი – მკ. დას. 41; 9, 33-41
შაბათი – ლკ. დას. 46; 9, 37-43	შაბათი – ლკ. დას. 74; 16, 10-15
25-ე კვირა სულთმოფენობიდან – ლკ. დას. 53; 10, 25-37	30-ე კვირა სულთმოფენობიდან – ლკ. დას. 91; 18, 18-27
ორშაბათი – ლკ. დას. 75; 14, 12-15	ორშაბათი – მკ. დას. 42; 9,42 – 10,1
სამშაბათი – ლკ. დას. 77; 14, 25-35	სამშაბათი – მკ. დას. 43; 10, 2-12
ოთხშაბათი – ლკ. დას. 78; 15, 1-10	ოთხშაბათი – მკ. დას. 44; 10, 11-16
ხუთშაბათი – ლკ. დას. 80; 16, 1-9	ხუთშაბათი – მკ. დას. 45; 10, 17-27
პარასკევი – ლკ. დას. 82; თ. 16, 15-19; თ. 17,1-4	პარასკევი – მკ. დას. 46; 10, 23-32
შაბათი – ლკ. დას. 49; 9, 57-62	შაბათი – ლკ. დას. 81; 16, 10-15
26-ე კვირა სულთმოფენობიდან – ლკ. დას. 66; 12, 16-21	31-ე კვირა სულთმოფენობიდან – ლკ. დას. 93; 18, 35-43
ორშაბათი – ლკ. დას. 86; 17, 20-25	ორშაბათი – მკ. დას. 48; 10, 46-52
სამშაბათი – ლკ. დას. 87; 17, 26-37	სამშაბათი – მკ. დას. 50; 11, 11-23
ოთხშაბათი – ლკ. დას. 90; 18, 15-17; 26-30	ოთხშაბათი – მკ. დას. 51; 11, 23-26
ხუთშაბათი – ლკ. დას. 92; 18, 31-34	ხუთშაბათი – მკ. დას. 52; 11, 27-33
პარასკევი – ლკ. დას. 95; 19, 12-28	პარასკევი – მკ. დას. 53; 12, 1-12
შაბათი – ლკ. დას. 51; 10, 19-21	შაბათი – ინ. დას. 84; 17, 3-10
27-ე კვირა სულთმოფენობიდან – ლკ. დას. 71; 13, 10-17	32-ე კვირა სულთმოფენობიდან – ინ. დას. 94; 19, 1-10

ცხრილი №1 (გაგრძელება)

ორშაბათი – მკ. დას. 54; 12, 13-17	ორშაბათი –
სამშაბათი – მკ. დას. 55; 12, 18-27	სამშაბათი –
ოთხშაბათი – მკ. დას. 56; 12, 28-37	ოთხშაბათი – პირველშეწირული
ხუთშაბათი – მკ. დას. 57; 12, 38-44	ხუთშაბათი –
პარასკევი – მკ. დას. 58; 13, 1-8	პარასკევი – პირველშეწირული
შაბათი – ლკ. დას. 88; 18, 2-8	შაბათი – მკ. დას. 6; 1, 35-44
33-ე კვირა სულთმოფენობიდან (იგივე) მეზვერისა და ფარისევლის კვირა – ლკ. დას. 89; 18, 10-14	დიდი მარხვის მე-2 კვირა – მკ. დას. 7; 2, 1-12
ორშაბათი – მკ. დას. 59; 13, 9-13	ორშაბათი –
სამშაბათი – მკ. დას. 60; 13, 14-23	სამშაბათი –
ოთხშაბათი – მკ. დას. 61; 13, 24-31	ოთხშაბათი – პირველშეწირული
ხუთშაბათი – მკ. დას. 62; 13, 31 – 14,2	ხუთშაბათი –
პარასკევი – მკ. დას. 63; 14, 3-9	პარასკევი – პირველშეწირული
შაბათი – ლკ. დას. 103; თ.20, 45 – თ. 21, 33	შაბათი – მკ. დას. 8; 2, 14-17
შაძღები შვილის კვირა – ლკ. დას. 79; 15, 11-32	დიდი მარხვის მე-3 კვირა – მკ. დას. 37; თ. 8, 34 – თ. 9,1
ორშაბათი – მკ. დას. 49; 11, 1-11	ორშაბათი –
სამშაბათი – მკ. დას. 64; 14, 10-42	სამშაბათი –
ოთხშაბათი – მკ. დას. 65; თ. 14,43 – თ. 15, 1	ოთხშაბათი – პირველშეწირული
ხუთშაბათი – მკ. დას. 66; 15, 1-15	ხუთშაბათი –
პარასკევი – მკ. დას. 68; 15, 22-25; 33-41	პარასკევი – პირველშეწირული
შაბათი – ლკ. დას. 105; 21, 8-9; 25-27; 33-36	შაბათი – მკ. დას. 31; 7, 31-37
ხორციელის კვირა – მთ. დას. 106; 25, 31-46	დიდი მარხვის მე-4 კვირა – მკ. დას. 40; 9, 17-31
ორშაბათი – ლკ. დას. 96; თ.19, 29-40; თ.22, 7-39	ორშაბათი –
სამშაბათი – ლკ. დას. 109; თ. 22,39-42, 45; თ.23, 1	სამშაბათი –
ოთხშაბათი – წირვას არ უჩენს	ოთხშაბათი – პირველშეწირული
ხუთშაბათი – ლკ. დას. 110; 23, 1-34; 44-56	ხუთშაბათი –
პარასკევი – წირვას არ უჩენს	პარასკევი – პირველშეწირული
შაბათი – მთ. დას. 16; 6, 1-13	შაბათი – მკ. დას. 35; 8, 27-31
ყველიერის კვირა (დიდი მარხვის აღება!) – მთ. დას. 17; 6, 14-21	დიდი მარხვის მე-5 კვირა – მკ. დას. 47; 10, 32-45
ორშაბათი –	ორშაბათი –
სამშაბათი –	სამშაბათი –
ოთხშაბათი – პირველშეწირული	ოთხშაბათი – პირველშეწირული
ხუთშაბათი –	ხუთშაბათი –
პარასკევი – პირველშეწირული	პარასკევი – პირველშეწირული
შაბათი – მკ. დას. 10; თ.2, 23 – თ. 3,5	შაბათი – ინ. დას. 39;11, 1-45
დიდი მარხვის I კვირა – ინ. დას. 5; 1, 43-51	დიდი მარხვის მე-6 კვირა ბ ზ ო ბ ა – ინ. დას. 41; 12, 1-18

ცხრილი №1 (გაგრძელება)

დიდი ორშაბათი – მთ. დას. 98; 24, 3-35	ბრწყინვალე შვიდეული	I კვირა – აღდგომა – ინ. დას. 1; 1, 1-17
დიდი სამშაბათი – მთ. დას. 102; 24, 36 – 26,2		ორშაბათი – ინ. დას. 2; 1, 18-28
დიდი ოთხშაბათი – მთ. დას. 108; 26, 6-16		სამშაბათი – ლკ. დას. 113; 24,12-35
დიდი ხუთშაბათი – შედგენილი სახარება		ოთხშაბათი – ინ. დას. 4; 1, 35-51
დიდი პარასკევი – 12 ვნების სახარება		ხუთშაბათი – ინ. დას. 8; 3,1-15
დიდი შაბათი – მთ. დას. 115; 28, 1-20		პარასკევი – ინ. დას. 7; 2,12-22
		შაბათი – ინ. დას. 11; 3,22-33

შემდეგ იწყება ახალი საპასექო წელი!

ARCHPRIEST
BIDZINA (GUNIA)

About the Issue of Modelling of the Paschal Year

Summary

Modelling of ecclesiastic calendar is one of the most topical issues in obedience and this discussion has been initiated in early ages. The mentioned topic is multifaceted and implies the following issues:

- Theological aspects of the concept of a year;
- Modelling of PASCAL and ECCLESIASTIC year;
- Ecclesiastic calendar:- Julius calendar;
- Paschal Calculation (Paschal cycle)
- Christian concept of time modelling;
- Creational time calculation;
- Counting of time since creation of the world;
- Georgian version of the Creation (5604) and its mathematical reading;

We have studied the following topics from all the abovementioned: Julius Calendar (Gunia 2007: 7-113) and Paschal Calculation (Gunia 2011: 15-73) while the main issue to be discussed here is General Principles of Formation of a PASCAL Year, which is some kind of continuation of the report "Theological Aspects of the Concept of a Year" (Works 2009: 37-49) presented on February 25, 2009 at the scientific conference dedicated to the 20th. Anniversary of foundation of Tbilisi Ecclesiastical Academy.

Currently existing modelling system of a Paschal Year is complex and difficult to perceive thus, we deem it appropriate to create an analogic system having simplified algorithm for presenting clarity and plainness of modelling of ecclesiastic calendar.

Theological aspects also have significant importance in the process of modelling of the Paschal Year, which are related to theological clarification of the following issues: the earliest and the latest terms of Passover; starting the sennight with Sunday and Monday; rule of reading of a Sunday Orthros Scriptures, or rule of reading of daily Gospel in the mass during the year, etc.

The presented article is dedicated to the discussion of the mentioned topics, where we tried to present modelling principles of ecclesiastic year in liturgic time and space from liturgic theological point of view.

ჰიმნოგრაფია

ლელა ხაჩიძე

ქრისტიანული პოეზიის ისტორიიდან
/იოანე მინჩხი, ანდრეა პიროსი და კონსტანტინე პრესლაველი/

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის აყვავება დაკავშირებული იყო ბიზანტიის ეკლესიის გაძლიერებასთან იუსტინიანე დიდის დროს. იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის ტრადიციებზე დაყრდნობით ამ პერიოდის ბიზანტიელმა ჰიმნოგრაფებმა შექმნეს სპეციფიური ბიზანტიური სტილი. აღმოსავლური ტრადიცია იქნა გადმოღებული კონტაკიონისა და კანონის პოეტური ფორმების სახითაც (უელეში 1980: 171).

ბიზანტიური მუსიკისა და ჰიმნოგრაფიის ცნობილი მკვლევრის – ე. უელეშის აზრით, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის I პერიოდი და, კერძოდ, ამ პერიოდში შექმნილი მცირე ფორმის საგალობლები გამოირჩევა განსაკუთრებული ესთეტიური ზემოქმედებით და მუსიკალური სრულყოფით (უელეში 1980: 171). ამ სახის საგალობლები წარმოადგენდა ცისკრისა და მწუხრის განგებათა ერთ-ერთ ელემენტს უკვე V ს-ში, VI ს-დან კი ისინი სისტემატურად იმკვიდრებენ ადგილს ლიტურგიაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა შესწავლილი „კონტაკიონის“ სახელით ცნობილი მცირე ფორმის საგალობელი, რომლის ფართოდ დამკვიდრება ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში უკავშირდება რომანოზ მელოდოსის სახელს.

უძველესი პერიოდის სხვა მცირე ფორმის საგალობელთა კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათ ქართულ თარგმანებს, რომლებიც „უძველეს იადგარშია“ შესული.

„ლექციონარის“ პოეტური მასალის შესწავლას საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა ავსტრიელმა მეცნიერმა – ჰ. ლეებმა (ლეები 1970).

VII ს-ის ბოლოდან განვითარებას იწყებს ახალი პოეტური ფორმა – კანონი, რომელიც თანდათან იმტკიცებს პოზიციებს. ამის პარალელურად განვითარებას განაგრძობს მცირე ფორმის საგალობლებიც და უკვე არ-

სებულს ემატება ახალი, ვრცელი რეპერტუარი.

შემდგომ ეტაპზე იწყება „უნივერსალური იადგარის“ დიფერენციაცია სხვადასხვა ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულად. დღეისათვის შესწავლილი მასალების მიხედვით, ერთ-ერთი პირველი კრებული, რომელიც გამოეყო „იადგარს“ იყო - „მარხვან-ზატიკის“ შემცველი კრებული.

X ს-ის სინური იადგარების შესწავლამ ცხადყო,რომ „მარხვანისათვის“ განკუთვნილი მასალა გაცილებით უკეთაა განვითარებული ლიტურგიკული წლის სხვა პერიოდებთან შედარებით. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ პირველი კრებული, რომელიც გამოეყო „იადგარს“ X ს-ის პირველ ნახევარში, იყო ქართული „მარხვანი“. როგორც დღეისათვის უკვე ცნობილია, ამ კრებულის რედაქტორი და ერთ-ერთი ავტორი იყო დიდი ქართველი ჰიმნოგრაფი – იოანე მინჩხი (ხაჩიძე 1987:109).

„მარხვანისათვის“ განკუთვნილი მასალა სწრაფად ვითარდება ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაშიც. ბერძნული „მარხვანის“ განვითარებაში გამოყოფენ სამ პერიოდს, რომელთაგან პირველი თეოდორე სტუდიელის (759-826 წწ.) მოღვაწეობის ხანამდე მოდის და შეესაბამება ბიზანტიური სასულიერო პოეზიის I პერიოდს. II პერიოდი მოიცავს თეოდორე სტუდიელის, მისი მემკვიდრეებისა და მიმბაძველების, აგრეთვე IX ს-ის სხვა ჰიმნოგრაფთა მოღვაწეობას. ეს პერიოდი შეესაბამება კონსტანტინოპოლური ეპოქის პირველ ხანას, როცა შეიმჩნევა ერთგვარი შეფერხება, მაგრამ მაინც იქმნება არაერთი დიდებული საგალობელი. ბერძნული „მარხვანის“ III პერიოდი კი იწყება X ს-დან და გრძელდება XV ს-მდე.

ნ. კსანთოპულოს მიხედვით, „მარხვანის“ პირველი რედაქტორები იყვნენ თეოდორე და იოსებ სტუდიელები. ნ. კაპაუნსი კი ბერძნული „ტრიოდიონებისადმი“ მიძღვნილ გამოკვლევაში გამოყოფს სამ ტიპს: იერუსალიმურს, სტუდიურსა და კონსტანტინოპოლურს.

ბიზანტიური სასულიერო პოეზიის I პერიოდის „დავიწყებულ“ ავტორთა შორის ყურადღებას იქცევს **ანდრეა პიროსის** „იდუმალებით მოცული“ პიროვნება. ბერძნული და სლავური „მარხვანების“ შესანიშნავი მკვლევრის – ი. კარაბინოვის აზრით, ის იყო თანამედროვე და თანამოაზრე ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის რეფორმატორების – იოანე დამასკელის და კოზმა იერუსალიმელისა. მკვლევრის აზრით, „ანდრეა პიროსის მოღვაწეობის ხანა ვერ გადასცილდება VIII საუკუნეს“ (კარაბინოვი 1910:115).

ანდრეა პიროსის შემოქმედების ძირითად ნაწილს წარმოადგენს „მარხვანისათვის“ განკუთვნილი 85 მცირე ფორმის საგალობელი. ეს საგალობლები შექმნილია საგანგებოდ „მარხვანისათვის“ და მოიცავს დიდმარხვის ვრცელ პერიოდს – ხორციელის კვირიაკიდან დაწყებული ბზობის პარასკევის ჩათვლით. ანდრეა პიროსის სახელითაა წარწერილი ბერძნულ ხელნაწერებში ბზობის კვირიაკის სტიქარონიც: „მოვედით, უგალობდეთ ახალსა ისრაელს...“.

დიდმარხვის ამ პერიოდის თითოეულ დღეზე, ცისკრისა და მწუხრის განგებებზე, დადებულია ანდრეა პიროსის 2-2 სტიქარონი. გამონაკლისს წარმოადგენს მეოთხე შვიდეულის ოთხშაბათი („შუა მარხვა“),რომელზეც 3 მცირე ფორმის საგალობელია დადებული.

ანდრეა პიროსის ყველა ეს სტიქარონი „თუთძლისპირია“ - ტექსტებთან ერთად, მათი რიტმულ-მელოდიური საზომებიც ამავე ავტორს ეკუთვნის. ეს საგალობლები ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშებადაა მიჩნეული. ისინი გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმით (კარაბინოვი 1910:115).

იოანე მერკუროპულოს მიხედვით, რომელსაც ეკუთვნის იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის „ცხოვრება“, დიდმარხვისათვის განკუთვნილი „თუთძლისპირი“ სტიქარონების მთელი ციკლი ეკუთვნის კოზმა იერუსალიმელს და ეს იყო მისი პირველი თხზულებები.

ამ ცნობის საწინააღმდეგოდ,ბერძნული „სტიქირარები“ ერთხმად აღიარებენ ანდრეა პიროსს საგალობელთა ამ ციკლის ავტორად.

ანდრეა პიროსი წარმოშობით იერუსალიმიდან უნდა იყოს. იერუსალიმური პერიოდის ჰიმნოგრაფიულ ტრადიციებს ასახავს მისი შემოქმედებაც. ამ ავტორის საგალობლები შექმნილია სახარებისეული საკითხავების **იერუსალიმური სისტემის** მიხედვით. დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდიდან იგი იცნობს მხოლოდ ყველიერის შვიდეულს. ამ შემთხვევაშიც ის იერუსალიმურ ტრადიციას ასახავს, რადგან მეზვერისა და ფარისევლის, აგრეთვე უძლები შვილის კვირიაკეები კონსტანტინოპოლურ ნიადაგზე აღმოცენდა და იერუსალიმური პრაქტიკა მათ არ იცნობს (კარაბინოვი 1910:22-23).

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაჩვენებია ანდრეა პიროსის საგალობელთა კავშირი წინადროინდელ – კერძოდ, ანდრეა კრიტელის შემოქმედებასთან. ბერძნულ ხელნაწერებში დასტურდება ამ ორი ავტორის აღრევის შემთხვევებიც.

ანდრეა პიროსს, თავის მხრივ, გავლენა მოუხდენია VIII-IX სს-ის ბიზანტიელ ჰიმნოგრაფთა შემოქმედებაზე.

ი. კარაბინოვის მიხედვით, „ივირონში“ დაცულ ბერძნულ ხელნაწერში (№ 954) გვხვდება თომა მოციქულისადმი მიძღვნილი ერთი სტიქარონი, რომლის ტექსტი ანდრეა პიროსს უნდა ეკუთვნოდეს,მელოდია კი – თეოფანე გრაპტოსს (კარაბინოვი 1910:116).

ანდრეა პიროსის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოუხდენია ანდრეა კრიტელის „დიდნი გალობანი“-ს. ეს გარემოება ანდრეა პიროსის მოღვაწეობის პერიოდის დადგენის საშუალებასაც იძლევა.

წარმოვადგენთ ანდრეა პიროსის **ბზობის სამშაბათისათვის** განკუთვნილი „თვითძლისპირი“ სტიქარონის სლავურ და ჩვენ მიერ შესრულებულ პწკარედულ თარგმანს:

Ополузнувшися прегрѣшеніи, и пленицами согрѣшеній связана, о душе что унываеши; что льнешися; бѣгай присно якоже Лотъ Содома и Гоморры, нечистоты запаленія. Не возвращайся вспять, и будеши яко столпъ сольный, на горѣ спасайся добродѣтелей, бѣгай присно немилосерднаго богатаго, безъутробія горѣнія. Въ нѣдра прейди Авраамова яко Лазарь, смиренномудріемъ возопій: упованіе мое, и прибѣжище мое, Господи слава Тебѣ.

ცოდვით დავრდომილო
და ცოდვისა მუხრუჭითა შეკრულო,
სულო ჩემო ბედკრულო,
რაჲსთჳს შემაძრწუნებ მე?
რაჲსთჳს მცონარე ხარ?
ილტვოდე მარადის, ვითარცა ლოთი,
უწმინდურებით აღსავსე სოდომისა
და გომორისაგან.

ნუ დაბრუნდები ოდესმე უკან,
რათა არ იქცე მარილის სვეტად,
ხსნას ჰპოვებ მხოლოდ ქველმოქმედებით,
ელტვოდე მდიდარს –
ცოდვილს, უწყალოს,
დაუშრეტელი ცეცხლით რომ იწვის.

შემოუერთდი აბრაამის წიაღს,
როგორც ლაზარე
და ბრძნად იტყოდი:
„შესავედრებელო ჩემო
და ნავსაყუდელო ჩემო,
უფალო, დიდებაჲ შენდა!"

დასავლურ და სლავურ „მარხვანებში“ ანდრეა პიროსის სტიქარონები ხშირად წარწერილია როგორც „αγιαπολιτου” ან „აღმოსავლური“. ასე მაგ. ბულგარეთში, XI ს-ში გადაწერილ ხელნაწერში – ე.წ. „ბიტოლის ტრიოდიონში“ – შესულია რიგი საგალობლებისა, წარწერით: „ВОСТОЧЕН“.

ანდრეა პიროსის შემოქმედების კვლევისათვის უაღრესად საინტერესო მასალას იძლევა ქართული ხელნაწერები, რომლებშიც ანდრეას სახელით წარწერილია მთელი რიგი საგალობლებისა. ესაა მეცნიერებისათვის ჯერჯერობით უცნობი, შეიძლება ითქვას, **უნიკალური მასალა.** საინტერესოა, რომ ქართულ ხელნაწერებში დასტურდება ტერმინ „ანატოლიურით“ წარწერილი მცირე ფორმის საგალობლებიც.

ამრიგად, ანდრეა პიროსის სახით ჩვენ თვალწინაა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ნაკლებად ცნობილი, შესანიშნავი ავტორი, რომელსაც მცირე ფორმის საგალობელთა მთელი ციკლი შეუქმნია ერთ-ერთი უძველესი (იერუსალიმური ტიპის) ბერძნული „მარხვანისათვის“.

ანალოგიურ შემთხვევას ვხვდებით ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაშიც. მონოგრაფიაში „იოანე მინჩხის პოეზია“ ჩვენ მიერ ნაჩვენებია ის განსაკუთრებული ღვაწლი, რაც **იოანე მინჩხს** მიუძღვის ქართული “მარხვანის” ფორმირებაში. დიდმარხვის თითოეული დღისათვის მას შეუქმნია მცირე ფორმის საგალობელთა მთელი ციკლი - 88 სტიქარონი, რაც დიდმარხვის ლიტურგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს ქმნის.

დიდმარხვის თითოეულ დღეზე, ჩვეულებრივ, დადებულია მინჩხის 2-2 სტიქარონი – ცისკრისა და მწუხრის განგებათათვის. დიდმარხვის კვირიაკეებსა და განსაკუთრებით მნიშვნელოვან დღესასწაულებზე კი მინჩხის 2-ზე მეტი სტიქარონია წარმოდგენილი.

იოანე მინჩხსაც საგალობლები უწერია დიდმარხვის მთელი პერიოდისათვის – ხორციელის შაბათიდან დიდი შაბათის ჩათვლით. ეს საგალობლები ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს და ახლებურად განსაზღვრავს ორიგინალური ქართული ჰიმნოგრაფიის დონეს და შესაძლებლობებს.

მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები, ჩვეულებრივ, ზუსტად შეესაბამება „მარხვანში“ მათთვის მიკუთვნებულ ადგილს და, ანდრეა პიროსის სტიქარონთა მსგავსად, ასახავს საკითხავთა **იერუსალიმურ სისტემას.**

წარმოვადგენთ **ბზობის სამშაბათისათვის** განკუთვნილ იოანე მინჩხის ერთ-ერთი მცირე საგალობლის ტექსტს:

„ნეტარ არს, რომელმან გულისჴმა-ყო
გლახაკისა და დავრდომილისაჲ,
უფალმან დაიცვას იგი
და აცხოვნოს იგი
და სანატრელ-ყოს ქუეყანასა ზედა,

რამეთუ თჳთ ღმერთი არს
მამაჲ ობოლთაჲ და მსაჯული ქურივთაჲ
და გლახაკთა მეგობარი
და მჴსნელი ყოველთა დაწუნებულთაჲ
და შემწე, რომელნი ხადიან მას,
და ჭეშმარიტად ნეტარ არს კაცი,
რომელი ესავს უფალსა.

წყალობაჲ ღმრთისაჲ ჰფარავს მარადის,
რომელთა ეწყალინ გლახაკნი,
ობოლნი და ულონონი,
ხოლო უწყალო არს
სამართლად საშჯელი უწყალოთათჳს,
იხილეთ მდიდრისაჲ მის,
რომელი მარადის იმოსებოდა
სამოსლითა ბრწყინვალითა
და გლახაკთაჲ არაჲ შეიწყალებდა,
აწ ჰმოსიეს ბნელი ალი ჯოჯოხეთის შინა,
იწუების და არაჲ დაიწუების
და არა ოდეს ჰპოვებს განსუენებასა.

მამაო, ტკბილო და მოწყალეო,
რაჲმცა ვილოცეთ, არა უწყით ჩუენ,
რამეთუ შეგინებულ ვართ
და განმაცუბრებს ჩუენ
ბრალთა და ცოდვათა ჩუენთა სიმრავლე,
არამედ გევედრებით,
დააწთვე ჩუენ ზედა წყალობაჲ შენი
და ნუ დამსჯი საქმეთაებრ,
რამეთუ შენნი დაბადებულნი ვართ
და მარადის მაქებელნი სახელსა შენსა,
ღირს-მყვენ სადგურსა ლაზარეს თანა
და ნუ მდიდარსა მას თანა!“

ქართული ხელნაწერების შედარებითმა შესწავლამ ცხადყო, რომ იოანე მინჩხი იყო შემდგენელი და რედაქტორი „იადგარიდან“ ცალკე კრებულად გამოყოფილი პირველი ქართული „მარხვანისა“, რომელიც შეიცავდა 4 ავტორის შემოქმედებას. პირველ მათგანს – ელია იერუსალიმელს – ეკუთვნოდა დიდმარხვის საკვირაო კანონები, თეოდორე სტუდიელსა და სტეფანე საბაწმიდელს კი – საგალობელთა ორი ციკლი (ხაჩიძე 1987:23-25). სტეფანე საბაწმიდელი ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში

ნაკლებად ცნობილი ავტორია და სწორედ ქართული თარგმანები იძლევა მისი შემოქმედების აღდგენის საშუალებას.

პირველი ქართული „მარხვანი“ საფუძვლად დაედო ამ კრებულის ახალ რედაქციებს იოანე მინჩხის შემოქმედებას კი დიდი გავლენა მოუხდენია შემდგომდროინდელი ქართული პოეზიის განვითარებაზე.

როგორც ვხედავთ, ორივე ავტორი – ანდრეა პიროსი და იოანე მინჩხი – უძველესი ტიპის ბერძნული „მარხვანებისთვის“ ქმნიან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს – სტიქარონულ რეპერტუარს. ორივე მათგანის საგალობლები ჰიმნოგრაფიის შედევრებს წარმოადგენს. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ პირველი ქართული „მარხვანის“ ერთ-ერთი ავტორი – სტეფანე საბაწმიდელი – კარგად იცნობს ანდრეა პიროსის შემოქმედებას და ერთგვარად მის გავლენასაც განიცდის.

ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის ამ თვალსაჩინო წარმომადგენლების გვერდით მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ X ს-ის სლავი ჰიმნოგრაფის – **კონსტანტინე პრესლაველის** (პრესლავსკის) – მოღვაწეობა, კერძოდ, მისი ღვაწლი სლავური “მარხვანის” ისტორიაში.

სლავური „მარხვანის“ მეცნიერული კვლევის დაწყება უკავშირდება პროფ. ი. კარაბინოვის სახელს. 60-ზე მეტი ბერძნული და სლავური ხელნაწერის შესწავლის საფუძველზე იგი ახდენს ბერძნულ-სლავური „მარხვანების“ კლასიფიკაციას, რომელსაც საფუძვლად „მარხვანში“ შესულ საგალობელთა განლაგება ანუ “მარხვანის” სტრუქტურა უდევს. უნდა აღინიშნოს, რომ ი. კარაბინოვის ამ ნაშრომს დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება.

სლავური „მარხვანებისადმი“ მიძღვნილ გამოკვლევებს შორის ყურადღებას იქცევს გიორგი პოპოვის სტატია ე.წ. „ბიტოლის ტრიოდიონზე“. „მარხვანის“ შემცველი ეს ხელნაწერი საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ შეიცავს ნაკლებად ცნობილი ავტორის – კლიმენტი სტუდიელის – საგალობლებს.

ხელნაწერი ნაკლულია. შეიცავს დიდმარხვის მასალას პირველი პარასკევიდან VI (ბზობის) ოთხშაბათამდე. ხელნაწერში წარმოდგენილი „მარხვანის“ რედაქცია X ს-ით თარიღდება, თვით ხელნაწერი კი XI ს-შია გადაწერილი. ხელნაწერი გადაუწერია გიორგი გრამატიკოსს კიჩევოს (იგივე სკოპიის) ახლოს, ბულგარეთში.

„ბიტოლის ტრიოდიონის“ გამომცემლის, ი. ზაიმოვის აზრით, მისი ორიგინალი შეიძლება შექმნილიყო ოჰრიდაში, რომელიც ბულგარული ქრისტიანული კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა X-XI სს -ში.

ხელნაწერი ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ თვალსაზრისით, რომ შეიცავს **ორიგინალური – სლავური საგალობლების მთელ ციკლს – 80-ზე მეტ მცირე ფორმის საგალობელს, რომელთა ავტორია X ს-ის მოღვაწე – კონსტანტინე პრე-**

სლაველი (პრესლავსკი).

კონსტანტინე პრესლაველის მოღვაწეობა ემთხვევა ბულგარეთის ისტორიაში გამორჩეული მეფის – სიმეონ I-ის (893-927წწ.) მოღვაწეობის ხანას, რომლის ნებით მოხდა არსებითი ცვლილება ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში – ბერძნული ლიტურგიის ბულგარულით შეცვლა. მისივე ნებით, 893 წელს, ეროვნულმა კრებამ ბულგარული ოფიციალურ ენად სცნო სახელმწიფოსა და ეკლესიისათვის. ამავე წელს სიმეონ I-მა ბულგარეთის ძველ დედაქალაქში – პლისკაში არსებული ლიტერატურული სკოლა გადაიტანა ქვეყნის ახალ დედაქალაქში – პრესლავში. პრესლავი იქცა ბულგარული ლიტერატურისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრად.

მასთან შეთანხმებით და მისი მხარდაჭერით სარგებლობდა ამ ეპოქის უმნიშვნელოვანესი მოღვაწე – კონსტანტინე პრესლაველი.

ბულგარეთის ისტორიაში კონსტანტინე პრესლაველი ცნობილია როგორც მეცნიერი, მწერალი და მთარგმნელი. ის იყო თვალსაჩინო წარმომადგენელი პრესლავის ლიტერატურული სკოლისა IX ს-ის ბოლოს და X ს-ის დასაწყისში.

ბულგარული მწერლობის ისტორიაში იგი ცნობილია, ძირითადად, როგორც ავტორი „დიდაქტიკური სახარებისა“. ის წარმოადგენს ქადაგებათა პირველ კრებულს სლავურ მწერლობაში. საინტერესოა, რომ ამავე კრებულში შესულია კონსტანტინე პრესლაველის „ანბანური (ალფაბეტური) ლოცვები“, რომლებიც სლავური საეკლესიო პოეზიის პირველ ნიმუშებადაა მიჩნეული.

კონსტანტინე პრესლაველი იყო პირველი ავტორი, რომელმაც სლავურ მწერლობაში შექმნა ისტორიული ქრონიკა – კრებული „ისტორიები“. 906 წელს, სიმეონ I-ის დავალებით, მან თარგმნა „ოთხი სიტყვა არიანელთა წინააღმდეგ“, რაც გამოწვეული იყო ამ ერესის გავრცელებით იმდროინდელ ბულგარეთში. მასვე ეკუთვნის ნაშრომი „მსახურება მეთოდიოსისათვის“, რომელშიც აღწერს წმ. მეთოდიოსის ბრძოლას ძველი სლავური ენის აღიარებისათვის.

კონსტანტინე პრესლაველის კიდევ ერთი ნაშრომია „ქება წმიდა სახარებათა“, რომელშიც ის უარყოფს უცხო ენის, კერძოდ, ბერძნულის პრიორიტეტულობას და ნათელყოფს ძველი სლავური ენის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბულგარული კულტურისათვის.

ამრიგად, კონსტანტინე პრესლაველის სახით X ს-ის ბულგარეთს ჰყავდა უნივერსალური მოღვაწე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბულგარული სასულიერო მწერლობის რამდენიმე დარგს. მთელი მისი შემოქმედება ეროვნული ნიშნითაა აღბეჭდილი.

„ბიტოლის ტრიოდიონის“ გამოცემამ და შესწავლამ ნათელყო ამ ავტორის მოღვაწეობის მანამდე უცნობი სფერო – მისი ღვაწლი უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულის - „მარხვანის“

ფორმირებაში.

„ბიტოლის ტრიოდიონში“ შესული აღმოჩნდა კონსტანტინე პრესლაველის მიერ შექმნილი მთელი ციკლი მცირე ფორმის საგალობლებისა – 80-ზე მეტი სტიქარონი, რომლებიც მოიცავს დიდმარხვის თითქმის მთელ პერიოდს. ანდრეა პიროსის საგალობლების მსგავსად, მათი უმრავლესობა „თჳთძლისპირია“.

ამრიგად, კონსტანტინე პრესლაველს შეუქმნია მთელი სტიქარონული ნაწილი სლავური „მარხვანისათვის“. ეს საგალობლებიც ჰიმნოგრაფიის შედევრებადაა მიჩნეული. ურმეს თეოლოგიურ განათლებასთან შერწყმული ლირიზმი ამ საგალობლებს მართლაც შთამბეჭდავს ხდის.

წარმოვადგენთ ამ ავტორის **ბზობის სამშაბათისათვის** განკუთვნილ მცირე ფორმის საგალობლის ტექსტს:



„ბიტოლის ტრიოდიონთან“ კონსტანტინე პრესლაველის შემოქმედება სხვამხრივაცაა დაკავშირებული. ეს კრებული შეიცავს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ცნობილი წარმომადგენლების – კლიმენტი და თეოდორე სტუდიელების – საგალობლებს. თითოეული მათგანის შემოქმედებასთან კონსტანტინე პრესლაველი მჭიდროდაა დაკავშირებული. ი. ზაიმოვის აზრით, ის იძლევა ამ ავტორთა საგალობლების არა ზუსტ, არამედ თავისუფალ თარგმანებს.

ამრიგად, კონსტანტინე პრესლაველი და იოანე მინჩხი თითქმის თანამედროვენი – X ს-ის I ნახევრის მოღვაწენი არიან. ორივე მათგანის შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული „მარხვანის“ სახელით ცნობილ კრებულთან. ორივე მათგანს დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ კრებულის შედგენაში. ამასთან ერთად, მათ ეკუთვნით მთელი ციკლი „მარხვანისათვის“ განკუთვნილი მცირე ფორმის საგალობლებისა. ესაა შესაბამისი „მარხვანების“ მთელი სტიქარონული ნაწილი. ორივე მათგანის შემოქმედება გამოირჩევა პოეტური სრულყოფით და ბოლოს,ორივე მათგანის მოღვაწეობა ემთხვევა ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეული მეფეების – სიმეონ I-ისა და დასავლეთ საქართველოს, „აფხაზეთის“ მეფის – გიორგი I-ის მოღვაწეობის ხანას.

სახარების საკითხავთა იერუსალიმური სისტემის მიხედვით ამ დღეს დადებულია შემდეგი საკითხავები: 1. ლუკა 16,19-31 (იგავი მდიდრისა და ლაზარეს შესახებ); 2. მათე 23, 1-39 (იესოს მიერ მწიგნობართა და ფარისეველთა მხილება); 3. იოანე, 9,1-38 (ბრმადშობილის შესახებ); 4. იოანე, 11, 55-57 (მღდელთმოძღუართა და ფარისეველთა განზრახვა).

საინტერესოა, რომ საკითხავთა სწორედ ამ სისტემიდან სამივე ჰიმნოგრაფი ასახავს პირველს – ლუკა 16,19-31.

მინჩხის საგალობელი მთლიანად ამ იგავითაა შთაგონებული. სახარებისეული საკითხავის მსგავსია საგალობლის სულისკვეთებაც, ზოგადი შინაარსიც და ფრაზეოლოგიაც. სახარებისეულ საკითხავში მდიდრის ვედრება საგალობელში ასეა გარდათქმული: „დააწთვე ჩუენ ზედა წყალობაჲ შენი“.

ყურადღებას იქცევს III ტროპარის დასაწყისში წარმოთქმული ერთგვარი „აღსარებაც“, რაც გამოწვეულია ცოდვით დაცემის ულრმესი განცდით.

ყურადღებას იქცევს საგალობლის II ტროპარში წარმოდგენილი „სამოსლის“ სიმბოლიკა – მდიდრული, ბრწყინვალე სამოსის ტრანსფორმაცია ჯოჯოხეთის ალად: „აწ ჰმოსიეს ბნელი ალი ჯოჯოხეთს შინა“.

მინჩხის ამ საგალობლის ბოლო ტროპარს წარმოადგენს ორიგინალური ღმრთისმშობლისანი, რომელშიც ყოვლადწმიდა გააზრებულია პირველქმნილი ედემის განსაახლებად მოვლენილ „სულიერ სამოთხედ“, ანდრეა პიროსის ამ დღისათვის განკუთვნილ საგალობელში კი თანაბარი ძალითაა ასახული ძველი და ახალი აღთქმის გარკვეული ეპიზოდები.

საგალობლის I ნაწილი, სადაც გვხვდება ლოთის, აგრეთვე სოდომის, გომორის, მარილის სვეტის ხსენება – შთაგონებული უნდა იყოს ანდრეა კრიტელის „დიდნი გალობანის“ III გალობით (კარაბინოვი 1910: 116)

41-ე ფსალმუნის მსგავსად, ავტორი მიმართავს საკუთარ სულს, რომელიც ცოდვის „მუხრუჭითაა“ შებორკილი, მიბაძოს ლოთს, რომელიც განერიდა სოდომისა და გომორის უწმინდურებას და აფრთხილებს, აღარა-სოდეს გაიხსენოს ის, რაც უარყო, რათა მარილის სვეტად არ იქცეს.

საგალობლის II ნაწილში კი ასახულია ლუკას სახარების იგივე მონაკვეთი, რაც მინჩხის საგალობელში – მდიდრისა და ლაზარეს იგავი.

ავტორი აქაც საკუთარ სულს მიმართავს, რათა განერიდოს სოდომისა და გომორის ტოლფას საფრთხეს – შეუბრალებელი კაცის სიმდიდრეს, რასაც შედეგად დაუშრეტელი ცეცხლი მოსდევს. სახარებაში აღწერილი ლაზარეს ყოფა „წიაღთა აბრაჰამისთა“ მას სულის ხსნად ესახება.

უწყალო მდიდრისა და ლაზარეს სახარებისეულ იგავზე დაყრდნობით ახდენს კონსტანტინე პრესლაველი თემის ორიგინალურ განზოგადებას. მდიდრული პორფირითა და ბისონით „დამძიმებული“ სულის განწმენდას იგი სინანულის ცრემლით ცდილობს. მდიდრული სამოსის და ცხოვრების შესაბამისი სტილის საწინააღმდეგოდ, ავტორი იხსენებს ჯვარზე გაკრულ, „განშიშვლებულ“ მაცხოვარს და ევედრება მას მოწყალებას – ლაზარეს მსგავსად.

შეიძლება ითქვას, რომ ანდრია პიროსის საგალობელში ავტორის ინტიმური და მძაფრი ემოციები შესაბამისი ფორმითაა მოცემული. აქ ემოცია თითქოს პირველქმნილი სახითაა გადმოცემული. ამ მხრივ ეს საგალობელი ძველი აღთქმის წიგნების მხატვრულ ენასთან დგება. შესაბამისად, მისთვის დამახასიათებელია პასაჟების სიმრავლე ძველი აღთქმიდან.

არანაკლებ დრამატულია კონსტანტინე პრესლაველის საგალობელი. კონკრეტული სახარებისეული იგავი ავტორს განზოგადების უმაღლეს დონეზე აჰყავს სხვა ეპიზოდისა და მოვლენის – მაცხოვრის ჯვარცმასთან შეპირისპირებით. ეს მოულოდნელ მხატვრულ ეფექტს ქმნის. აქვე აშკარად იკვეთება ავტორის აზროვნების მასშტაბურობა.

იოანე მინჩხის მხატვრული სახეები, განწყობილებები, ემოციები არ ჩამორჩება ზემოთ აღწერილს, მაგრამ მათი ფორმა გადმოცემისა გაწონასწორებულია, გონისმიერია. ამ მხრივ ის „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ ენას გვაგონებს.

ვფიქრობთ, დიდმარხვის ერთი კონკრეტული დღისათვის განკუთვნილი ეს საგალობლები საკმაო წარმოდგენას გვიქმნიან მათ შემოქმედთა სტილისა და შემოქმედებითი პრინციპების შესახებ.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- ბიტოლის ტრიოდიონი 1984: J. Zaimov, The KICEVO TRIODIUM, also known as BITOLA TRIODIUM , Sofia, 1984.
- ხაჩიძე 1987: ხაჩიძე ლ., იოანე მინჩხის პოეზია,თბ., 1987.
- ხაჩიძე 2000: ხაჩიძე ლ,. ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან,თბ.,2000.
- კარაბინოვი 1910: Карабинов И. Постная Триодь. СПб.: 1910.
- ლეები 1970: Leeb H., Die Gesänge im Gemeindegottesdienst von Jerusalem (vom. 5. bis 8 Jahrhundert. Wien, 1970.
- პოპოვი 1978: Попов Г . Новооткрита оригинална старобългарска част в текста за Трида. Български език. 1978 . кн. 6
- უელეში 1980: Wellesz E., A History of Byzantine Music and Hymnography, Oxford, 1980.

Lela Khachidze

Toward the History of Christian Poetry
/ Ioanne Minchkhi, Andrew Pyrrhus and Konstantin Preslavski /

Summary

In the first part of the X century the first Georgian "Triodion" was singled out as a separate collection. The "Triodion" must have been considered particularly important in the Georgian as well as in Byzantine and Slavonic hymnography.

Among the authors who specially worked on the repertoire of small-size hymns is singled out "A Mysterious Person" - Andrew Pyrrhus, the wonderful hymn-writer. To him belong 85 small-size hymns created for the "Triodion", all of which are the "Automela".

The hymns by Andrew Pyrrhus are for the long period of Lent - from the Apokreos Sunday up to Palm Friday. These hymns are considered masterpieces of Byzantine hymnography.

The same is the case in Georgian hymnography. The first Georgian "Triodion" which was singled out from the "Tropologion" as a separate collection, was created by the great Georgian hymnographer - Ioanne Minchkhi. These hymns are also considered the best samples of Christian poetry and are performed during the whole period of Lent.

The act of compiling the cycle of stichera for the first Georgian "Triodion" (88 small-size hymns) was a rare and successful attempt.

The X century Slavonic hymnography, the so called "Bitola Triodion" (XI c) which was created in Bulgaria, also presents a rare and important event of the same kind. In this collection along with the Kanons and "Three Odes" by famous Byzantine hymnographers is found the whole cycle of the stichera by outstanding X century hymn-writer - Konstantin Preslavski. These hymns are also considered some of the best samples of hymnography.

In this case too "nationalization" of the collection translated from Greek takes place just as it does in the case of Ioanne Minchkhi's work where the corresponding epochs and surroundings are reflected.

In our work, by means of the method of comparative analysis, three hymns created by the three authors for one day (Palm Tuesday) of Lent are investigated.

ლელა ხაჩიძე

ქართული ჰიმნოგრაფიის სათავეებთან

ასურელ მამათა მოღვაწეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის. საყოველთაოდ მიღებული აზრით, მათ დაამკვიდრეს სამონასტრო ცხოვრება საქართველოში: „არავითარი საბუთი იმისა, რომ ჩვენში ეგრეთ წოდებული ათცამეტ მამათა მოსვლამდე მონასტრები, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ყოფილიყო, არ არსებობს. პირველად მონასტრები ჩვენში დააარსეს აღნიშნულმა მამებმა“ (5, 88).

იოანე ზედაზნელი „ქართლის ცხოვრებაში“ მოიხსენიება, როგორც „განმანათლებელი ქართლისაჲ და განმწმედელი სჯულისაჲ, მაშენებელი ეკლესიათა, რომელმან ქმნა სასწაულები და ნიშები მრავალი, მან და მოწაფეთა მისთა განაკჳრნეს ყოველნი ქართველნი“ (8, 207 - 208).

მართლაც, თუ VI ს-ის 30-იან წლებში ქვეყანაში გავრცელებული იყო მონოფიზიტობა, ამავე საუკუნის დასასრულს საქართველოს ეკლესია მთლიანად ქალკედონიტური მიმართულებისაა, რაც მნიშვნელოვნად იყო განპირობებული ასურელი მამების ღვაწლით.

გერმანელი მეცნიერი – ლ. ჰაიზერი, რომელსაც ეკუთვნის მონოგრაფია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ, მათ მოღვაწეობას აფასებს, როგორც „საქართველოს გაქრისტიანების მეორე ეტაპს“ (2, 29). საინტერესოა, რომ მსგავსი აზრი გამოთქმულია თვით „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“, სადაც იოანე ზედაზნელის შესახებ ნათქვამია: **„აჰა ესერა მოვალს იოანე, ყოვლად განთქმული მონა უფლისა, მოწაფეთა თჳსთა თანა, რომელმან განანათლის ყოველი ესე ქუეყანა, ვითარცა პირველ ნინო“** (7, 117).

ასურელ მამათა ეპოქალური მოღვაწეობა დღეისათვის მხოლოდ ნაწილობრივაა შესწავლილი, რაც, პირველ ყოვლისა, მათი შემცველი ხელნაწერების სირთულით არის განპირობებული.

ასურელ მამათა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს წმ. მამას, შიო მღვიმელს. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მისი სახელი და მის მიერ დაარსებული მონასტერი გამორჩეული ყურადღებით სარგებლობდა საქართველოში.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება წმ. შიოს მოღვაწეობის ერთ ასპექტს – მის ღვაწლს ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში.

შიო მღვიმელის საგალობლები აღმოაჩინა **პ. ინგოროყვამ**. ესაა ღვთისმშობლისა და სამებისადმი მიძღვნილი მცირე ფორმის საგალობლები. მათი ტექსტები 1913 წ-ს. გამოაქვეყნა პ. ინგოროყვამ „ძველ ქართულ

სასულიერო პოეზიაში“. შიო მღვიმელის საგალობლების გამოვლენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ქართული, ისე, ზოგადად, ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის.

ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის დასაწყისად დიდი ხნის მანძილზე მიჩნეული იყო იოანე საბანისძის „აბოს წამების“ IV თავი – „ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი“ (5,598-599). შიო მღვიმელის საგალობლების გამოვლენის შემდეგ ქართული ჰიმნოგრაფიის სათავემ გადაინაცვლა ორი საუკუნით წინ – VI საუკუნეში. ვფიქრობთ, ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება თვით ამ ფაქტს ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის.

არსებობს მოსაზრება, რომ ზოგჯერ ზედმეტად რიგორისტული მონასტრები „თავდაპირველად გაურბოდნენ ჰიმნების ხმარებას, იქ უფრო ფეხგადგმული იყო ფსალმუნური ელემენტი. ბერების შეგნებით, ჰიმნები საერო ან მსოფლიო სამრევლო ეკლესიათა საქმეა, ბერებსა და მონასტრებს ის არ შეშვენის, მაგრამ დროთა განმავლობაში ჰიმნოგრაფიამ იმათშიაც გაიკაფა გზა და შექმნა ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი ბერძნული პოეზიისა, სახელდობრ – სასულიერო ან საეკლესიო პოეზია“ (5, 588).

შიო მღვიმელის საგალობლები ამ კითხვაზეც საბოლოო და ნათელ პასუხს იძლევა. რა შეიძლება იყოს უფრო მკაცრი, „რიგორისტული“, ვიდრე ცხოვრების ის წესი, რომელსაც ეს წმინდა მამა მისდევდა? საგულისხმოა, რომ ქართული ჰიმნოგრაფიის დასაწყისი, დღეისათვის არსებული მასალების მიხედვით, უკავშირდება წმინდანს, რომელმაც თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი განმარტოებით, მღვიმეში გაატარა.

ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის უძველესი ნიმუშები – შიო მღვიმელის საგალობლები – მრავალმხრივ იმსახურებს ყურადღებას. თვალსაჩინოებისთვის მოვიტანთ ამ საგალობლების ტექსტს და მათზე დართულ ლიტურგიკულ შენიშვნებს პ. ინგოროყვას გამოცემის მიხედვით:

„თქუმულნი წმიდისა და ნეტარისა შიოჲს მიერ, რომელსა მარადის იტყჳან ოხითად მკჳდრნი მის მონასტრისანი:

ოხითაჲ. ჴმაჲ ბ გუერდი

„კურთხეულ ხარ შენ, ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო ქალწულო, დედუფალო მარიამ, რამეთუ განჰორციელებითა შენგან ქრისტჱს ღმრთისაჲთა სოფელი გათავისუფლდა ცოდვისაგან და ყოველნი ზიარ ვიქმნენით ანგელოზთა და უხრწნელებასა ღირს ვიქმნენით და სამოთხჱ მოვიღეთ: შენ გევედრებით, დედაო ნათლისაო დიდებულო, ნათლისმცემელისა იოვანეს თანა დიდებულისა, მეოხებად ნუ დასცხრები წინაშე სამებისა წმიდისა ჩუენთჳს, რომელნი ესე ვითხოვთ შენგან წყალობასა.“

ესე მუკლი,ოდეს პირველადვე ქუემოსა შინა ქუაბსა იყო და გამოუჩნდა მას წმიდაჲ ღმრთისმშობელი ნათლისმცემელისა თანა, მაშინ გამოთქუა და უკუანაჲსკნელ მისცა მოწაფეთა, რაჲთა დაისწავონ და ყოველთა ლოცვათა უკუანაჲსკნელ იტყოდიან წინაშე ხატსა ყოლად წმიდისა ღმრთისმშობელისასა, ლიტანიად რაჲ შევიდნენ ეკლესიასა შინა მისსა:.

ხოლო ოდეს განსრულდა ეკლესიაჲ წმიდისა სამებისაჲ, მაშინ ესე ოხითაჲ გამოთქუა:.

ოხითაჲ. ჴმაი ა გუერდი

გარეშეუწერელსა და უცვალებელსა სამებასა, სამგუამოვანსა, დაუსაბამოსა, მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, ერთღმრთეებასა, განუყოფელსა და შეურევნელსა, გევედრებით ულირსნი ესე მონანი შენნი და თაყუანის გცემთ. სახლი ესე სიწმიდისა შენისაჲ დაამტკიცე უკუნითი უკუნისამდე და საყოფელი ესე, რომელ მოგუმადლე მონათა შენთა, დაიცევ ყოველისავე კუეთებისაგან დაურღუეველად, ძრვისაგან და დანთქმასა და ცეცხლისა და ზედამოსლვისაგან სულთა უკეთურთაჲსა და მათგან აღძრულთა ბარბაროზთა, მეოხებითა უქორწინებელისა ღმრთისმშობელისაჲთა და დიდებულთა ანგელოზთაჲთა და წმიდისა ნათლისმცემელისაჲთა სიმრავლისა თანა ყოველთა წმიდათა შენთაჲსა, და გუაცხოვნენ ჩვენ, უფალო სახიერო, ალელუიაჲ.

„და უბრძანა, რაჲთა მას ოხითასა ყოველთა კურიაკეთა დღეთა, მწუხრი იტყოდიან სხუათა ოხითათა თანა“ (4, 412-413).

ორივე საგალობელი დაწერილია უძველესი საზომით, რომელსაც პ. ინგოროყვა „საგალობელთა „მარცვლედს“ – იგივე „სილაბურ უკვეთელ ლექსს უწოდებს.“ აქ ჯერ ჩანასახიც კი არ ჩანს ჰიმნოგრაფიაში საყოველთაოდ გავრცელებული საზომისა, რომელიც შემდგომ აღმოცენდა და ძლისპირ-დასდებლის შესატყვისობაზეა დამყარებული.

საგალობლებს ერთვის შემდეგი სათაური: **„თქუმულნი წმიდისა და ნეტარისა შიოჲს მიერ“.** ამ სათაურის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს საგალობლები წმინდა მამას გამოუთქვამს ზეპირად, ხოლო მათი ტექსტების ჩაწერა შემდგომში მოხდა. ეს გარემოება სრულად თანხვდება ლიტურგიკის თვალსაჩინო მკვლევრის – ა. ბაუმშტარკის დასკვნას იმის შესახებ, რომ უძველესი ლიტურგიკული ტექსტები უმრავლეს შემთხვევაში იმპროვიზებული ხასიათისაა. იმპროვიზაცია ინდივიდუალური იყო, მაგრამ არ სცილდებოდა ცალკეული საკრებულოს ფარგლებს (1,16-17).

იმ ეპოქიდან, რომელსაც მიეკუთვნება შიო მღვიმელის შემოქმედება, ქართულ ენაზე შემონახულია „უძველესი იადგარი“ – უნივერსალური კრებული, რომელიც ქრისტიანული ლიტურგიისა და სასულიერო პო-

ეზიის ოთხსაუკუნოვან (VI-IX სს.) მათშორის, უძველეს, ტრადიციას ასახავს. ა. ბაუმშტარკის მიერ გამოთქმული მოსაზრება დადასტურდა „უძველესი იადგარის“ კვლევის შედეგადაც: „ამით უნდა აიხსნას, ალბათ, ისიც, რომ უძველესი იადგარის თითოეული ხელნაწერი ან ხელნაწერთა მონოგენური ჯგუფი თავის საკუთარ, სხვა ნუსხებისაგან განსხვავებულ მასალასაც შეიცავს, რაც ამ ხელნაწერთა სკრიპტორიუმების შემოქმედებითი მარაგიდან უნდა მომდინარეობდეს“ (6,794).

ამრიგად, შიო მღვიმელის საგალობლები ამ თვალსაზრისით ზუსტად თანხვდება უძველეს ლიტურგიკულ ტრადიციას და იგივე ვითარებას ასახავს, რასაც „უძველესი იადგარი“.

ამავე სათაურში აღნიშნულია, რომ ამ საგალობლებს „მარადის იტყჳან ოხითად მკჳდრნი მის მონასტრისანი“, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ხშირად სრულდებოდა და არა მხოლოდ ერთ რომელიმე დღესასწაულზე.

უძველეს ლიტურგიკულ ტრადიციას ასახავს თვით ამ საგალობელთა სახეობა „ოხითაჲ„. ამ ტიპის საგალობელი, ზოგიერთ სხვა საგალობელთან ერთად, ქმნის „უძველესი იადგარის“ პოეტური მასალის უძველეს ფენას, რომელიც მას საერთო აქვს ლექციონართან. “ეს ის ჰიმნოგრაფიული მასალაა, რომელიც გამოეყო ლექციონარს და საფუძველი გახდა უძველესი იადგარის თავდაპირველი რედაქციის ჩამოყალიბებისა“ (6,795).

ლექციონარის პოეტური მასალის შესწავლას მიეძღვნა ავსტრიელი მეცნიერის, ჰ. ლეების სპეციალური მონოგრაფია. მასში დეტალურადაა განხილული ლექციონარიდან „უძველეს იადგარში“ გადასული თითოეული პოეტური ფორმა.

ჰ. ლეების აზრით, V საუკუნის დასასრულს იერუსალიმის ღვთისმსახურებაში ადგილი ჰქონდა დიდ ცვლილებას: იმატა საგალობელთა რიცხვმა, ლიტურგიაში შემოიღეს ახალ საგალობელთა ტექსტები, ფსალმუნური ელემენტი შეცვალა პოეტურმა და, ამასთან დაკავშირებით, წარმოიქმნა ახალი პოეტური ფორმები. „ამ სიახლემ თავისი კვალი დატოვა ქართულ ლექციონარშიც მდიდარი ლიტურგიკული პოეზიის სახით“ (3, 34).

აღნიშნულ მონოგრაფიაში ჰ. ლეები განიხილავს უძველესი პოეტური საგალობლების ფუნქციასა და სტრუქტურას, მათ თეოლოგიურ შინაარსს. ქართულ ლექციონარში ჰ. ლეები გამოყოფს ხუთი სახის ღვთისმსახურებას და 19 ტიპის უძველეს საგალობელს, მათ შორისაა „ოხითაჲ“.

მეცნიერის აზრით, საგალობელთა ამ ტიპების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია სხვადასხვა პრინციპით იქნა შედგენილი. ტერმინ „ოხითაჲ“-ში ასახულია ამ ტიპის საგალობელთა ფუნქცია და ხასიათი.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „სომხურ ლექციონარში“ დამოწმებულია გალობის მხოლოდ ერთი ფორმა – რესპონსორული ფსალმოდია, ქართულ ლექციონარში კი ფორმების მნიშ-

ვნელოვან განვითარებასთან გვაქვს საქმე (3, 35).

ამ კონტექსტში განიხილავს ჰ. ლეები „ოხითაჲს“ – ჟამისწირვის საწყის საგალობელს, რომელსაც ვედრების ხასიათი აქვს.

„ოხითაჲ“ უკვე VI საუკუნიდან ფსალმუნურ ტექსტთან ერთად იგალობებოდა, როგორც საწყისი საგალობელი. საინტერესოა, რომ ქართული ლექციონარი „ოხითაჲსთან“ ერთად არ ასახელებს ფსალმუნს, არადა, შეუძლებელია მისი შესრულება წარმოვიდგინოთ მასთან დაკავშირებული ფსალმუნის გარეშე იმ პერიოდში – ქრისტიანობის ადრეულ ხანაში, როცა ლიტურგიკული პოეზია ჯერ კიდევ არ იყო მკვეთრად გამიჯნული ფსალმუნისაგან.

ის გარემოება, რომ „ოხითაჲს“ ყველგან აკლია ფსალმუნი, მკვლევრის აზრით, იმით უნდა აიხსნას, რომ „ოხითაჲსთან“ ფსალმუნი ყოველთვის უცვლელი იყო. ლექციონარში კი მხოლოდ ცვალებადი ელემენტებია წარმოდგენილი (3, 41).

ამრიგად, „ოხითაჲ“ საგალობელთა ერთ-ერთი უძველესი ტიპია, იმდენად ძველი, რომ ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გამიჯნული ფსალმუნისაგან. იგი სწორედ VI საუკუნიდან იგალობებოდა, როგორც ჟამისწირვის საწყისი საგალობელი. **შიო მღვიმელის საგალობლები პოეტური ფორმის მხრივაც ზუსტად თანხვდება შესაბამისი პერიოდის – VI საუკუნის ლიტურგიკულ ტრადიციას.**

არქაულია თვით საგალობლების ენაც. ჰიმნოგრაფი ღვთისმშობელს მიმართავს, როგორც ცოდვისაგან განმათავისუფლებელს და „დაკარგული სამოთხის“ კვლავ მომნიჭებელს. სწორედ ყოვლადწმიდის მეშვეობით გახდა შესაძლებელი დაცემული ადამიანური ბუნების ანგელოსურ ყოფასთან „ზიარ-ქმნა“. ღვთისმშობელთან ერთად, ჰიმნოგრაფი მიმართავს იოანე ნათლისმცემელს წმ. სამების წინაშე მეოხებისათვის.

ღვთისმშობელი იოანე ნათლისმცემელთან ერთად მოიხსენიება შიო მღვიმელის წმ. სამებისადმი მიძღვნილ საგალობელშიც. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ღვთისმშობელთან ერთად ნათლისმცემელი მარადიული მეოხია კაცთათვის. ამას ემატება სხვა გარემოებაც, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

საგალობელში გვხვდება ღვთისმშობლის შემდეგი ეპითეტები: „კურთხეული“, „წმიდა“, „ქალწული“, „დედუფალი“, „დედაჲ ნათლისაჲ“, „დიდებული“. ამ ეპითეტთაგან სამი: „დედაჲ ნათლისაჲ“, „დიდებული“ და ''ქალწული“ ხშირად გვხვდება „უძველეს იადგარში.“ აქვე დასტურდება ეპითეტი „წმიდაჲ“-ც (3-ჯერ). რაც შეეხება „დედოფალს“,„უძველეს იადგარში“ ღვთისმშობლის ეპითეტად ის არაა მითითებული. საინტერესოა ის გარემოება, რომ ღვთისმშობლის ეს ეპითეტი შიო მღვიმელის ამ საგალობელში მოტანილია არქაული ფორმით: „დედუფალი“, რაც ამ სიტყვის ეტიმოლოგიაზე ნათლად მიანიშნებს. იოანე ნათლისმცემლის

ხსენებისას ჰიმნოგრაფი ღვთიმშობლის ეპითეტთაგან ირჩევს კონტექსტისათვის საუკეთესო შესატყვისს: „დედაო ნათლისაო“ – სახეთა პარალელიზმი ემყარება სიტყვა „ნათელს“.

საგალობელზე დართული ლიტურგიკული შენიშვნის თანახმად, ეს საგალობელი წმ. შიომ მაშინ გამოთქვა, როცა „ქუემოსა შინა ქუაბსა იყო და გამოუჩნდა მას წმიდაჲ ღმრთისმშობელი ნათლისმცემელისა თანა“. ეს ეპიზოდი „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ ასეა გადმოცემული:

„ხოლო განიპყრნა ჴელნი თჳსნი ღმრთისა მიმართ ნეტარმან შიო და ხადოდა შემწედ ძალსა მისსა, და ღამე იგი განათია ჴელ-განპყრობით გარეგან ქუაბისა მის თჳსისა, და ვითარცა მოეახლა ცისკარი, იხილა ქუაბსა მას შინა თჳსსა ნათელი მოუთხრობელი, რომლისა განცდად ვერ შეუძლებდა. და მოეფინა სულნელებაჲ რაჲმე მიუთხრობელი, ვიდრემდის ყოვლითურთ აღავსო სული მისი სიხარულითა, და ჰრქუა ქუაბით გამო: „შიო, მონაო ერთგულო ძისა ჩემისაო, მოვედ!“ და იხილა ქუაბისა მის კარსა მდგომარე დედაკაცი, ყოვლად დიდებული, რომლისა განცდად უღონო იყო, ხოლო ერთი სხუაჲ სახითა მოღუაწეთაჲთა მამაკაცი, ყოვლად დიდებული, და სიმრავლე ფრიად ერთა ზეცისათა, რამეთუ განღებულ იყო ზედა კერძო კლდისა მის, სადა იყო მცირე იგი ქუაბი და ცამდე იხილვებოდა მწყობრი ანგელოზთაჲ, რომელნი გალობდეს გალობასა სამწმიდასა ტკბილითა რაჲთმე და მოუთხრობელითა ჴმითა და ყოველნი იყვნეს ნიშითა ჯუარისაჲთა შეჭურვილ“ (7,128).

სწორედ ამ ხილვით შთაგონებულ წმინდანს „გამოუთქვამს“ ეს საგალობელი.

საგალობელზე დართულ ლიტურგიკულ შენიშვნაში ნათქვამია, რომ ეს საგალობელი წმინდა შიომ ბოლოს თავის მოწაფეებს მისცა, რათა ზეპირად დაესწავლათ და ლოცვების ბოლოს წარმოეთქვათ ყოველდღიდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე. ამ შემთხვევაში იგულისხმება უკვე საგალობლის **ჩაწერილი ტექსტი.** აქვე ნათქვამია, რომ ეს საგალობელი უნდა წარმოეთქვათ ღვთისმშობლის ეკლესიაში, ლიტანიობისას.

ამრიგად, საგალობელზე დართული ეს ლიტურგიკული შენიშვნა ჩვენ თვალწინ აცოცხლებს როგორც დიდებული ხილვით შთაგონებული მისი „გამოთქმის“, ისე ჩაწერის და ლიტურგიაში განწესების პროცესს.

შიო მღვიმელის მეორე „ოხითაჲ“ წმ. სამებას ეძღვნება და არანაკლებ საინტერესოა, როგორც თეოლოგიური, ისე მხატვრული თვალსაზრისით.

საგალობელს ერთვის შემდეგი სათაური: „ხოლო ოდეს განსრულდა ეკლესიაჲ წმიდისა სამებისაჲ, მაშინ ესე ოხითაჲ გამოთქუა“.

„შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ ეკლესიათა აღშენების დაწყება ასეა გადმოცემული: „მოითხოვა უკუე ღირსმან შიო სათხროლი და სცა სამ-გზის ადგილსა მას, სადა მდგომარე იყო სუეტი იგი საკ(უ)მეველისაჲ, და თქუა ესრეთ: „დიდება შენდა, ღმერთო, რომელი სამ-გუამოვნებით

და ერთარსებით იდიდები, ამას ადგილსა სრულ ყავ ტაძარი დიდებისა შენისაჲ“. და განდგა მცირედრე განშორებულად, სცა უკუე ქუეყანასა კუალად სამ-გზის სათხროლითა მით, მეტყუელმან ესრეთ: „ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო მარიამ, რომელმან ჰშევ სიტყუაჲ ღმრთისაჲ ჴორცითა, აქა დაამტკიცე სახლი სადიდებელი შენი!“ და კუალად მცირედ მახლობელად იხილა მსგავსი ჯუარმულისა მღუმე, ფრიად ღრმა, და ბრძანა, რათა მას ზედა აღეშენოს ეკლესიაჲ ნათლისმცემელისაჲ“ (7, 140).

შიო მღვიმელის სამებისადმი მიძღვნილი საგალობლის დასაწყისში გადმოცემულია სამების არსი, რაც გამოხატულია ეპითეტებით: „გარეშეუწერელი“, „უცვალებელი“,,,სამგუამოვანი“,,,დაუსაბამო“, „ერთღმრთეება“, „განუყოფელი“, „შეურევნელი“. ჰიმნოგრაფი ევედრება წმ. სამებას, რათა მისი სახელობის ეკლესია დაიცვას სამარადისოდ. ამის შემდეგ წმ. მამა ჩამოთვლის იმ საფრთხეებს, რომელთაგან დაცვასაც ევედრება უზენაესს:

„**კუეთება** ანუ თავდასხმა;

ძვრა და დანთქმა, ცეცხლი – მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი;

ამის შემდგომ ჰიმნოგრაფი ევედრება უზენაესს, რათა ეკლესია დაიცვას **ბოროტი სულებისა და მათ მიერ აღძრულ მტერთა შემოსევებისაგან.**

ჰიმნოგრაფი შესთხოვს წმ. სამებას ეკლესიის დაცვას ღვთისმშობლის, დიდებული ანგელოზების, იოანე ნათლისმცემლისა და ყოველთა წმიდათა მეოხებით.

ამ საგალობლის სახით ჩვენ თვალწინაა ე.წ. „სამებისანი“, რომელიც პირობითად სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: სამების არსის გადმოცემა, შესაძლო საფრთხეთა და მეოხთა დასის მოხსენიება. ამ შენიშვნის თანახმად, საგალობელს წარმოთქვამდნენ ყოველ კვირა დღეს, მწუხრზე, სხვა „ოხითებთან“ ერთად.

საინტერესოა, რომ ავთანდილის ლოცვაში, რომელიც სულ სხვა დროსა და ვითარებაშია წარმოთქმული, გვაქვს ერთგვარი შეხმიანება ამ საგალობელთან:

„ღმერთო, ღმერთო მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე,
შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე:
მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე განმარიდე!
თუღა დავრჩე, გმსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევსწირვიდე“.

ავთანდილის ლოცვა აღვლენილია პირადად მისი სახელით, შიო მღვიმელის საგალობლები კი თითქოს მთელი ეკლესიის, მთელი ძმობის სახელითაა წარმოთქმული. სხვა მხრივაც ბევრია განსხვავება, მაგრამ არის საერთოც: შდრ.: „საყოფელი ესე... დაიცევ ძრვისაგან და დანთქმისა... და ზედამოსლვისაგან სულთა უკეთურთაჲსა და მათგან აღძრულთა

ბარბაროზთა“.

ამრიგად, შიო მღვიმის სამონასტრო კომპლექსს, „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ წარმოდგენილი წმინდანის ხატებას ჰარმონიულად ერწყმის მის მიერ ლოცვად აღვლენილი პოეზიის ნიმუშები – „ღმრთისმშობლისანი“ და „სამებისანი“, რომლებიც დღესაც ისევე ბუნებრივად აღიქმება მკითხველის მიერ, როგორც მათი შექმნის დროს ან თუნდაც რუსთველის ხანაში.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- Baumstark A., Liturgie comparée, III ed., Chevetogne, 1953.
- Heiser L., Die georgische orthodoxe Kirche und ihr Glaubenszeugnis, Trier, 1989.
- Leeb H., Die Gesänge im Gemeindegottesdienst von Jerusalem (vom. 5. bis 8 Jahrhundert. Wien, 1970).

- პ. ინგოროყვა, ძველ ქართული სასულიერო პოეზია, I, თბ., 1913.
- კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.
- უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებელი დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა. თბ., 1980.
- ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, დასაბეჭდად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ, თბ., 1971.
- ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.

Lela Khachidze

Ancient Georgian Hymns and Liturgical Tradition

Summary

Among the Assyrian Fathers Shio Mghvimeli occupies a special place. The monastery founded by him has been of special import for centuries.

This Saint Father seems to have provided a great contribution to the history of Georgian hymnography too. In 1913 P. Ingorokva discovered and published his two hymns of small size, which were dedicated to the Mother of God and the Holy Trinity. These hymns have not been studied yet in scholarly literature. This paper studies these two hymns of Shio Mghvimeli in relation to the oldest liturgical and hymnographic traditions.

The hymns are written with the oldest meter. They are created in improvised form. The oldest liturgical tradition is reflected by the variety of these hymns. This kind of hymn had been chanted since the 6th century, namely as an initial chant of the liturgy.

In the chants the Virgin is mentioned together with John the Baptist which is due to the saint's vision which is described in his 'Life~.

In the chants we can find the oldest epithets of the Virgin. The liturgical notes attached to the chants throw light on the process of their appointment.

The study of the hymns proves that they exactly coincide with contemporary 6th century liturgical tradition.

რეცენზიები

ედიშერ ჭელიძე

წმ. ანდრია პირველწოდებული – საქართველოს განმანათლებელი

მოციქულთა მისიონერული მოღვაწეობის ამსახველი წყაროები ცხოველი აღქმა-შესწავლის საგანია როგორც მორწმუნეთა, ასევე მეცნიერ-მკვლევართა მხრიდან. ბერძნულ-ლათინური ტექსტების დიდმნიშვნელოვანმა გამოცემებმა, რაც დაკავშირებულია XVII-XX სს-ის არაერთი სახელგანთქმული ფილოლოგის სახელთან (ფაბრიციუსი, თილო, ტიშენდორფი, ჯეიმსი, ლიპსიუსი და მრავალი სხვა), შესაძლებელი გახადა აღნიშნულ წყაროთა სხვაენოვანი თარგმან-რედაქციების გამოვლენა და სიღრმისეული ანალიზი. ქართული მასალების სისტემატიზების მხრივ გზის გამკვლევია კორნელი კეკელიძის მიერ ამ კუთხითაც გაწეული თვალსაჩინო ღვაწლი, რასაც მოედევნა ამა თუ იმ კონკრეტული წყაროს შემდგომი კერძოობითი შესწავლა სხვადასხვა მკვლევრის მიერ (განსაკუთრებით გამოვყოფდით ც. ქურციკიძის წვლილს). როგორც მოსალოდნელი იყო, გამორჩეული ინტერესი განეკუთვნა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ფუძემდებლის, წმ. ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის შესახებ დაცულ უძვირფასეს უწყებებს. ამ კუთხით კვლევითი ძიებანი კიდევ უფრო ინტენსიური გახდა მას შემდეგ, რაც მ. კობიაშვილმა გამოსაცემად მოამზადა და ბერძნულ ორიგინალთან პარალელში შეისწავლა ანდრია პირველწოდებულის „მიმოსვლათა“ ექვთიმე ათონელისეული თარგმანი[1].

ქრონოლოგიურად ბოლო ნაშრომი, რომელიც მიზნად ისახავს ხსენებულ მოციქულთან დაკავშირებული ქართულენოვანი მასალის შეძლებისდაგვარად სრულ ფილოლოგიურ-ისტორიულ ანალიზს ეპოქალური ტექსტობრივ-ინფორმატიული პლასტების გამოყოფის მიზანდასახულობით, ესაა ფილოლოგიის

---

1 იხ. მ. კობიაშვილი, ანდრია პირველწოდებულის „მიმოსლვათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, თბ. 1998.

მეციერებათა დოქტორის რამაზ ხალვაშის მონოგრაფია: „ანდრია პირველწოდებული საქართველოში“ (ბათუმი, 2011).

აღნიშნული ნაშრომის განხილვისას გამოსაყოფია ორი არსებითი მხარე:

(I) მასალობრივი, ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური და ისტორიოგრაფიული კონტექსტი;

(II) განზოგადებითი, შემფასებლობითი, ზოგადკულტუროლოგიური კონტექსტი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ რამდენადაც ვეთანხმებით ნაშრომის ავტორის წყაროთმცოდნეობითი კვლევის პრინციპებს და მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მის მიერ წარმოდგენილი ფაქტოლოგიური ანალიზი სხვადასხვა ეპოქასთან და რეგიონთან დაკავშირებული მოვლენებისა, იმდენად განსხვავებული აზრი გვაქვს ავტორის განმაზოგადებელ დასკვნებთან მიმართებით.

ვიტყვით უფრო მკაფიოდ და განვრცობითად:

რ. ხალვაშის ნაშრომი იშვიათი ნიმუშია მასალობრივი სისავსისა და ამ სისავსის შემადგენელი თითოეული ფაქტის ამომწურავი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზისა. ავტორი გულდასმით, წყარო-წყარო იკვლევს ყოველ მონაცემს, მისასალმებელი პროფესიულობით ახერხებს რთული და არაერთგვაროვანი ფორმის ლიტერატურული დოკუმენტების უწყებათა დახარისხებას, ურთიერთთან და ბერძნულ წყაროებთან მიმართებით მათ დეტალურ შესწავლას და მკითხველის წინაშე სრულად წარმოჩენას ყოველივე იმისას, რაც დღეს წმ. ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობასთან დაკავშირებით ქართულ ენაზე მოგვეპოვება. სწორედ ამ მიზანდასახულობით, ცალკე თავებად ან ცალკე საკვლევ სეგმენტებად განხილულია, პირველ რიგში, ბერძნულენოვანი წყაროები, მათ შორის – მესხური გადმოცემის ანუ აწყურული ვარიანტის დიდად ფასეული ბერძნული ვერსია XVI ს-ის დამდეგისა („დიდი რიტორის, მანუელის თხრობა“), შემდეგ კი – ქართული ძეგლები, მათ შორის, გიორგი მცირის „წმ. გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება“, „ქართლის ცხოვრების“ ლეონტისეული ნაწილი, არსენ ბერის „წმ. ნინოს ცხოვრება“ (მეტაფრასული რედაქცია), იოანე ანჩელის „გალობანი ანჩისხატისანი“, მესხური გადმოცემის ვრცელი ქართული რედაქციის შემცველი „ახალი ქართლის-ცხოვრება“, „წმ. ანდრიას მიმოსვლის“ ე. წ. ქართული რედაქცია (1738 წ-ის ხელნ. A 161), აწყურული მატიანის ქართული ვერსიის კონკრეტული ფრაგმენტები „ახალ ქართლის-ცხოვრებაში“, თეიმურაზ ბატონიშვილის „ისტორია დაწყებითგან ივერიისა“.

საყურადღებოა მკვლევრის მსჯელობანი „ნიგალისა“ და „სოსანგეთის“ ურთიერთმიმართებაზე, „მიმოსვლის“ მესამე, ე. წ. ურბნული რედაქციის (ხელნაწერი თარიღდება 1719-1744 წწ-ით) და უფრო ადრეული წყაროების ტექსტობრივ პარალელებზე, რიტორ მანუელის ნაშრომის ინფორმატიკაზე ქართულ წყაროებთან (განსაკუთრებით, „ახალი ქართლის-ცხოვრების“ ტექსტთან) მიმართებით, ყვარყვარე და მზეჭაბუკ ათაბაგების თაოსნობით

ჩამოყალიბებული მესხური გადმოცემის (ზემოხსენებული მანუელის მიერ ბერძნულად თარგმნილის) მიზანდასახულობასა და ტენდენციებზე, საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობისა და წმ. ანდრიას საქართველოში ქადაგების შესახებ სათნო გადმოცემათა თანაკავშირზე წერილობით ფიქსაციათა ქრონოლოგიურ ჭრილში, აწყურის ხატის ისტორიაზე და სხვა.

ნაშრომში თანაბარი გამოწვლილვითი სიღრმით შეისწავლება როგორც ყოველი კერძოობითი ფაქტი ცალკე აღებული, ასევე ფაქტებისა და მონაცემების მთელი წყება ურთიერთისადმი განუყრელ ინფორმატიულ და ქრონოლოგიურ კავშირში. შესაბამისად, შედეგად ვიღებთ გამოკვლევას, რომელიც, სრულიად უეჭვოდ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შემდგომ ძიებებს ზემორე პრობლემატიკის ფარგლებში.

რაც შეეხება კვლევის შედეგად გამოვლენილი ფაქტების თეორიულ განზოგადებას, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ფაქტები არ წარმოადგენს ოდენ მეცნიერული ძიების საგანს და **ისინი თავის საფუძველში, უპირველესად, ქართველი ერის სარწმუნოებრივი ცხოვრების მარადცხოველ აწმყოს გამოგვისახავს,** ვფიქრობთ, ხსენებულ განზოგადებათა გამოთქმის ფორმა ყოველთვის ადეკვატური ვერ არის შესაბამისი ფაქტების სულიერი შინაარსისა.

მთავარი, რაც ჩვენ ზემორე ნაშრომის ავტორისგან განსხვავებულად გვესმის, ესაა **ურთიერთმიმართება ფაქტის წერილობითი ფიქსაციის დროსა და თავად ფაქტის არსებობის დროს შორის.**

შეგვიძლია დებულების სახით ვთქვათ:

ამა თუ იმ მოვლენის წერილობითი ფიქსირების გვიანდელობა ყოველთვის არ ნიშნავს თავად მოვლენის გვიანდელობას.

აღნიშნულს ეჭვმიუტანლად ადასტურებს აურაცხელი მონაცემი, მათ შორის უწმინდესი საეკლესიო მღვდელმოქმედების ისტორია, რომლის ცალკეულ მსახურებათა წეს-განაგებითი სახე საუკუნეთა მანძილზე არსებითად ზეპირად გადაეცემოდა და წერილობით გაცილებით გვიან იქნა ფიქსირებული. ამიტომ აღნიშნავდა ჯერ კიდევ წმ. ბასილი დიდი, მოგვიანებით კი, კიდევ უფრო მკაფიოდ, წმ. მაქსიმე აღმსარებელი, რომ გარდა წერილობითად დაცული რჯულდებითი და ლიტურგიკული განაწესებისა, არსებობს, აგრეთვე, ზეპირგადმოცემული რჯულდებანი და მსახურებითი წესები, რომლებიც პირველისებრ შეუძრავია.

რ. ხალვაშის საყურადღებო მეცნიერული დაკვირვებანი იმის შესახებ, რომ წმ. ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობასთან დაკავშირებით სადღეისოდ, მაგალითად, პირველად ლეონტი მროველის აღწერილობაში ფიქსირდება წერილობით „გზაჲ კლარჯეთისაჲ“, არსენ ბერთან – ჭოროხის აუზის „სოფლები ნიგალისა“, იოანე ანჩელთან – ჰიერაპოლისიდან წამოსული ანდრია მოციქულის მიერ საქართველოში მოვანებული ხელთუქმნელი

ხატი[2], მესხური ვერსიის ბერძნულ ტექსტში (მანუელის ნაშრომში), „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელ ჩანართებში, „ახალ ქართლის-ცხოვრებაში“ და „ახალი ქართლის-ცხოვრების“ გვიანდელ რედაქციაში – არტაანი, კოლა, „ტაოს-კერძი ქუეყანა“, აწყური, ბათუმი (მანუელის მიხედვით მოციქული აწყურიდან მივიდა ბათუმში) „მთა რკინის-ჯუარი“, „ხევი ოძრახისა“, სოფელი ზადენ-გორა, ჭოროხი, დიდაჭარა და ა. შ., – დიახ, ყოველივე ამის მკვლევრისეული მეტად დასაფასებელი ფილოლოგიურ-ისტორიოგრაფიული ანალიზი, ზემომოტანილი დებულების კვალობაზე, არ იძლევა საფუძველს **ჩამოთვლილი ფაქტების წერილობითი ფიქსაციისა** და **თავად ხსენებული ფაქტების** თანადროულობის დასადგენად.

მაგალითად, ის ფაქტი, რომ „წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ (გიორგი მცირის ნაშრომი) „ეგრისსა და კლარჯეთს არ ასახელებს წმ. ანდრიას მისიონერულ მარშრუტში“ (გვ. 29), სრულიად არ წარმოადგენს არგუმენტს ამ რეგიონების გამოსარიცხად, რადგან **რაიმე მოვლენასთან დაკავშირებით დუმილი ყოველთვის არ ნიშნავს ამ მოვლენის არარსებობას.** იმავე ჰაგიოგრაფიულ ძეგლში, ასევე, არაფერია თქმული, მაგალითად, იმაზე, რომ წმ. გაბრიელ ქართველმა ათონის ივერთა მონასტრის კარიბჭის ხატი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა ზღვიდან გამოასვენა, თუმცა ხსენებული მოღვაწის შესახებ ძეგლში საგანგებო უწყება გვაქვს. განა ამ უდიდესი ფაქტის აღუნიშვნელობა გიორგი მცირის მიერ თავად ფაქტის არარსებობას ნიშნავს? ამიტომ, ესეც დებულებად უნდა განვიჩინოთ, რომ **„დუმილი არ არის არგუმენტი“**[3], ანდა უფრო მკვეთრადაც: **„არგუმენტი დუმილის საფუძველზე საერთოდ არ არის არგუმენტი“**[4]. გარდა ამისა, თავად რ. ხალვაშის მკაფიო მითითებით, წმ. გიორგი მთაწმინდელი წმ. ანდრია პირველწოდებულს მთელი საქართველოს განმანათლებლად განასაზღვრებდა (შდრ. „«გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება» წმ. ანდრიას ქადაგებას **მთელს საქართველოზე** განაზოგადებს“, გვ. 28) და ნუთუ იგი „მთელი საქართველოს“ ფარგლებიდან გამორიცხავდა ეგრისსა და კლარჯეთს?

იგივე შეიძლება ითქვას გიორგი მერჩულის მიერ აწყურის ხატის მოუხსენიებლობაზე. მართალია, მკვლევარი მიუთითებს, რომ „კონტექსტი ამის

---

2 აღნიშნულ მოვლენასთან არსობრივ კავშირშია უწყება წმ. ანტონ მარტყოფელის მიერ ედესის (ან ჰიერაპოლისის) კეცის **„ჴელითუქმარი“** ხატის საქართველოში მოვანებისა VI ს-ში (დაცული იყო მარტყოფის ღვთაების ტაძარში, თუმცა შემდეგ ხორციელ თვალთაგან გაუჩინარდა და დღემდე მიფარულია).

3 შდრ. silentium non est argumnetum *(იხ. Acta Universitatis Carolinae: Philologica, Issues 2-3, Universita Karlova., 1971, p. 63)*.

4 შდრ. an argument from silence is not an argument at all *(იხ. The age of Solomon: scholarship at the turn of the millennium, ed. by Lowell K. Handy, Leiden ..., 1997, p. 241).*

(აწყურის ხატის მოხსენიების, ე. ჭ.) შესანიშნავ საშუალებას აძლევდა მას (გიორგი მერჩულეს, ე. ჭ.)“ (გვ. 120), მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი ყოფითი ხედვითაა „შესანიშნავი საშუალება“, ისევე როგორც, კვლავ გავიმეორებთ, გიორგი მცირესაც „შესანიშნავი საშუალება“ ჰქონდა ეხსენებინა ივერიის პორტაიტისა, როდესაც იგი გაბრიელ ქართველზე გვაწვდიდა უწყებას, თუმცა არ უხსენებია. ასე რომ, ზოგიერთ კერძოობით შემთხვევაში ამა თუ იმ ფაქტის შესახებ დუმილი ხსენებული ფაქტის არარსებობის დამამტკიცებელ მყარ არგუმენტად, ვფიქრობთ, ვერ გამოდგება.

ძალიან ძნელია (მეტიც, წარმოუდგენელია) აგრეთვე ის, რომ ჰიერაპოლისიდან წამოსული მოციქულის მიერ ანჩის-ხატის მოვანება საქართველოში განისაზღვროს, როგორც იოანე ანჩელის (ანჩის-ხატის საგალობლის ავტორის) „ორიგინალური გააზრება“ თუ „ორიგინალური იდეა“, როგორც ეს რ. ხალვაშის ნაშრომში გვაქვს (გვ. 43; 141). ამგვარი რამ შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ თავად იოანე ანჩელი უწოდებს ხსენებულ სიწმინდეს **„საშინელ ხატს“**, რაც ნიშნავს, რომ საგალობლის ავტორი **უდიდესი მოშიშებით** არის განწყობილი მისდამი და, ცხადია, ვერანაირად ვერ მოიმოქმედებდა იმგვარ სიყალბეს, რომ თავისი პირადი გამონაგონი („ორიგინალური იდეა“ ამას გულისხმობს) მიეტმასნა ესოდენ აღმატებული სიწმინდისთვის. ამასთან, თავად რ. ხალვაშიც ეთანხმება იმ აზრს, რომ ანჩის-ხატი იკონოგრაფიულად „ენათესავება ჰიერაპოლისურ კერამიდიონს“[5] (გვ. 45). თუ ეს ორი ფაქტი (**ერთი მხრივ**, იოანე ანჩელის მიერ ანჩის-ხატის ჰიერაპოლულ კეცის-ხატთან დაკავშირება და, **მეორე მხრივ**, ამავე ანჩის-ხატის იკონოგრაფიულ-იკონოლოგიური ანუ ხატწერითი და ხატმეტყველებითი მონათესაეობა ჰიერაპოლისის კერამიონთან) უნებურად დაემთხვა ერთმანეთს, ჭეშმარიტად განსაცვიფრებელ დამთხვევასთან გვქონია საქმე, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ასე არაა და აღნიშნული ორი ფაქტი უთუოდ **არსობრივ** კავშირშია ერთიმეორესთან.

რაც შეეხება ხსენებულ ხატთან დაკავშირებულ ორ პრობლემას, კერძოდ, ერთი მხრივ, იმას, რომ ჯერ მანდილიონი **944** წ-ს, შემდეგ კი ჰიერაპოლისის კეცის-ხატი **966** წ-ს კონსტანტინოპოლში იქნა გადასვენებული (თუ I ს-ში სწორედ ერთ-ერთი ამ ხატთაგანი მოაბრძანა ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში, X ს-ში ხსენებულ ხატებს, ყოფითი ხედვით, ცხადია, ჰიერაპოლისიდან კონსტანტინოპოლში ვერ გადაასვენებდნენ), მეორე მხრივ კი – იმას, თუ რა არსობრივ კავშირს ხედავს ანჩის-ხატსა და ჰიერაპოლი-

---

5 გამომდინარე იქიდან, რომ ჰიერაპოლისური კეცის-ხატი ზედმიწევნით იგივეობრივია ედესური კეცის-ხატისა და თავადი მანდილიონისა ანუ ტილოს-ხატისა, რადგან **სამივე მათგანზე უფლის პირისახის ერთი და იგივე ხელთუქმნელი გამოსახულებაა აღბეჭდილი**, ანჩის-ხატის ე. წ. იკონოგრაფიული „ნათესაობა“ ჰიერაპოლისურ კერამიდიონთან თავის თავში სრულად მოიცავს ანჩის-ხატის ამგვარსავე „ნათესაობას“ ედესის კეცის-ხატთან და მანდილიონთან.

სის კეცის-ხატს შორის იოანე ანჩელი და რის საფუძველზე ხდება ანჩის-ხატის შემდგომი გაიგივება ჯერ ედესის კეცის-ხატთან (დომენტი ჯანდიერის სადღესასწაულო, 1726 წ.), შემდეგ კი – საკუთრივ მანდილიონთან ანუ ტილოს-ხატთან (1825 წ-ის წარწერა), ამ პრობლემათა გასაღები იმ მოვლენაშია, რაც (1718 წ-ის სადღესასწაულოს თანახმად) ანჩის-ხატის დღესასწაულად კათალიკოს დომენტი მესამის მიერ **16 აგვისტოს დაწესებას გულისხმობს**, ე. ი. **დაწესებას სწორედ იმ დღისა, რა დღეც, ამავე დროს, თავად მანდილიონის ანუ ტილოს-ხატის ხსენების დღეა** (სწორედ 16 აგვისტოს იდღესასწაულება ხსენებული მანდილიონის ედესიდან კონსტანტინოლოლში გადასვენება, რაც **944** წ-ს განხორციელდა).

ამ შემთხვევაში ლიტურგიკულად სახეზეა ზედმიწევნით იმგვარივე მოვლენა, როგორსაც ადგილი ჰქონდა მცხეთაში სულთმოფენობის შემდგომ (ანუ „შემდგომად მარტჳლიისა“) ოთხშაბათ დღეს გამოჩინებულ ჯვართან დაკავშირებით, რომელიც **(ზეცით ჩვენებული ჯვარი)**, იყო რა **თავად გოლგოთის ჯვარცმის-ჯვარი**, სულიერად აბსოლუტურად უიგივდებოდა **351** წ-ის **7** მაისს თავად იერუსალიმში გამოჩინებულ **იმავე გოლგოთის ჯვარცმის-ჯვარს**, აღნიშნული იგივეობის საფუძველზე კი მცხეთაში სულთმოფენობის ზატიკში (ოთხშაბათს) ჩენილ ჯვარს საგალობლებად სწორედ **7** მაისს ჩენილი **იერუსალიმის-ჯვრის** საგალობლები განუწესდა. აღნიშნულის უმკვეთრესი დადასტურებაა ის უდიდესი ფაქტი, რომ ქართლში **„ცეცხლოვანი ჯვრის“** ანუ **„თავადი ქრისტეს-ჯვრის“** იგივე **გოლგოთის ჯვარცმის-ჯვრის** პირველი და ყველაზე უფრო შემაძრწუნებელი გამოცხადება ხდება სწორედ **7 მაისის ღამეს სვეტიცხოვლის თავზე** (წლებით ადრე ხსენებული ჯვრის იერუსალიმში გამოცხადებამდე). **მცხეთაში გამოკვეთილი მთავარი ჯვარიც** (სამი ჯვრიდან ერთ-ერთი) აღიმართა სწორედ იმ ადგილას, სადაც ზემოხსენებული **„ცეცხლოვანი ჯვარი“** ანუ (ჭელიშური რედაქციის უწყებისამებრ) **„იგი თავადი, რომელ არს ჴშარი ჭრისტჱს ღმრთისაჲ“** ზეცად ამაღლდა. სწორედ ამიტომ ეწოდება მცხეთის ჯვარს **„სასწაულთა-ბან ზეცისათა ჩუენებული პატიოსანი ჯუარი მცხეთისაჲ“**.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ **მცხეთის ჯვარი თავისი არსით, აბსოლუტურად ეჭვმიუტანლად, იგივე ცეცხლოვანი ჯვარია** ანუ **იგივე იერუსალიმის გოლგოთის ჯვარია**, მისებრ **ქვეყნიერების შუაგულში** აღმართული **„მცველად ყოვლისა სოფლისა“** *(მცხეთის ჯვრის პოსტამენტის წაწერა)* და მისებრვე **მცხეთის (მეორე იერუსალიმის) მართლმადიდებლობის დედაქალაქად გარდაქმნის** დამაგვირგვინებელი[6], რის გამოც ამ, ერთი მხრივ, **ნივთიერი-**

---

6 ჩვენ უკვე გვქონდა შესაძლებლობა, რომ ამ უდიდეს საიდუმლოსთან დაკავშირებით აღგვენიშნა შემდეგი: **„მაცხოვრის მღვდელმოქმედება მცხეთის მიმართ, რაც გულისხმობს ქართლის დედაქალაქის გარდაქმნას იერუსალიმად, მართლმადიდებლობის დედაქალაქად,** სათავეს იღებს **უშუალოდ მაცხოვრის ჯვარცმიდან** (როდესაც ხმა ჯვარზე უფლის მიმსჭვალვისა ანუ მილურსმნვისა საიდუმლოები-

შესაქმით-ორ, მაგრამ, მეორე მხრივ, **სულიერი თანაშემსჭვალვით აბსოლუტურად ერთქმნილ და იგივეობრივ** სიწმინდეს სადღესასწაულო განგებაც არსებითად ერთი განეწესება[7]. შეგვიძლია ისიც კი ვთქვათ, რომ იერუსალიმის გოლგოთის ჯვარცმის-ჯვრის მასალისგან ნივთიერი წარმომავლობით განსხვავებული მცხეთის-ჯვარი ზემორე სტავროფანიათა ანუ ჯვარ-ჩენათა (ჯვარ-ვლენათა, ჯვარ-გამოცხადებათა) კვალობაზე არა მხოლოდ სულიერად გარდაიქმნება იერუსალიმის გოლგოთის ჯვარცმის-ჯვრად, არამედ – საკუთრივ **ნივთიერადაც**, გამომდინარე ხსენებულ (ნივთიერად მცხეთური წარმომავლობის) ჯვართან ზეცაში გამოცხადებული გოლგოთის ჯვარცმის-ჯვრის სრული თანაშემსჭვალვიდან, რაც უთუოდ გულისხმობს იმას, რომ ისტორიულმა გოლგოთის-ჯვარმა, მცხეთის თავზე ვლენილმა, აღასრულა ისტორიული მცხეთის-ჯვრის კონსეკრაცია ანუ მისი მღვდელმოქმედებითი წმინდაქმნა, განწმენდა, ჰაგიასმოსი, **სულიერ-ნივთიერად გარდამქმნელი კურთხევა**, ისევე როგორც სამღვდელო განმწმენდელობითი ანუ კურთხევითი ძალმოსილებით, მაგალითად, ჩვეულებრივი წყალი ბუნებითად სრულად გარდაიქმნება **სულიერადაც და ნივთიერადაც** (ე. ი. პირდაპირი აზრით და არანაირად მეტაფორულად) **მდინარე იორდანის ღვთივკურთხეულ და ცხოველმყოფელ წყლად** და, შესაბამისად, ეს წყალიც ჭეშმარიტად ხდება **ჰაგიასმა** (ქართულად **„აიაზმა“**) ანუ სულიერადაც და ნივთიერადაც გარდაქმნილი **ნაკურთხი სიწმინდე** (აქ ჩანს, აგრეთვე, მიმსგავსება იმ უზენაეს საიდუმლოსთან, როდესაც განმაღმრთობელი მღვდელმოქმედების ანუ საღვთო ლიტურგიის შედეგად უფლის-სხეულისგან ნივთიერად [ნივთიერი წარმომავლობით] განსხვავებული პური და ღვინო არა მხოლოდ სულიერი აზრით გარდაიქმნება მაცხოვრის ხორცად და სისხლად, არამედ აბსოლუტური უეჭველობით – **ნივთიერი ბუნებითაც**[8]).

თად მცხეთამდე გახმიანდება) და გვირგვინდება IV ს-ში **მცხეთის ძლევაშემოსილი ჯვრის აღმართვით**, რაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, იგივე **გოლგოთის ჯვარია** და იმგვარივე **მსოფლიო** (და არა კერძოობითად ეროვნული) **სიწმინდეა**, როგორც თავად **კვართი,** ამიტომ აღიმართა **მცხეთის ჯვარი** (უკეთ, **მცხეთაში გამოჩინებული იერუსალიმის ჯვარი**), თანახმად მისი პოსტამენტის წარწერისა, **„მცველად ყოვლისა სოფლისა“**, რაც კვლავაც სწორედ იმას ცხადყოფს, რომ **ქართლის ეკლესია სწორედ კათოლიკე ანუ საყოველთაო ეკლესიაა ადგილობრივ მწირობაში,** იმ ღვაწლისთვის მარადისი ახოვანებით მორკინალი, რაც **ერთი წმინდა კათოლიკე და მართლმადიდებელი ეკლესიის** ანუ **ქრისტეს ერთი სხეულის, ქრისტეს ეკლესიის მარადგანურღვეველი კვართის ებგურობას გულისხმობს ვიდრე ჟამთა აღსასრულამდე“ (იხ.** ე. ჭელიძე, მართლმადიდებელი ეკლესია და ეროვნულობა, ***ჟურნ. გული გონიერი, 2012, I [საშობაო გამოცემა], გვ. 82-83).***

7 დაწვრილებით მცხეთაში აღმართული გოლგოთის ჯვრის ღვთისმეტყველების შესახებ იხ. ე. ჭელიძე, დასახ. პუბლიკაცია, *გვ. 82-90.*

8 აღნიშნული უსაღვთოესი ძღვენი (შეწირული პური-და-ღვინო ანუ წმინდა ტარიგი, წმინდა ზატიკი, წმინდა მსხვერპლი) ჟამისწირვითი მღვდელმოქმედების

ვფიქრობთ, სწორედ ზემორე კონტექსტში უნდა გავიაზროთ ანჩის-ხატის **იგივეობა** ჰიერაპოლის-ედესის კეცის-ხატებთან და თავად მანდილიონთან ანუ ტილოს-ხატთან. ჩვენ, ცხადია, არ გვაქვს დაწვრილებითი უწყება ანჩის-ხატის ყოფითი ისტორიის შესახებ, თუმცა არსებითი მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ იგი (ანჩის-ხატი), თავისი ნივთიერი წარმომავლობით, ზემორე სამიდან რომელს უიგივდება (ჰიერაპოლისის კეცის-ხატს, ედესის კეცის-ხატს, მანდილიონს) ანთუ რომლის სასაწაულებრივი აღბეჭდილობაა, რომლის კონკრეტული ხატია[9] იგი, არამედ იმას, რომ ეს ხატიც, **ზემორეთა თანასწორად და მათთან იგივეობრივად**, მტვირთველია მაცხოვრის **ხელთუქმნელი** (და არა კაცობრივი ხატწერითი ხელოვანებით შესრულებული) გამოსახულებისა და ჭეშმარიტად არის **„ხატი – პირი ღვთისა“**, რადგან ერთი და იგივე ხელთუქმნელი და ღვთივდატვიფრული გამოსახულება ამ ნივთზე (ანჩის-ხატის ფიცარზე), ისევე როგორც ზემოხსენებულ სამ ნივთზე, **სრულიად იდენტურია**, აბსოლუტურად იგივეობრივია და თავისი განსაკუთრებული სულიერი მადლმოსილებითა და ცხოველმყოფელობითი ძალით **თვით ხსენებულ სხვადასხვა ნივთთა ერთმქმნელია**. ამრიგად, **ანჩის-ხატი სრულ იგივეობაშია როგორც ჰიერაპოლის-ედესის კეცის-ხატებთან, ასევე თავად მანდილიონთან[10]**. რაც შეეხება რ. ხალვაშის (უფრო ადრე კი,

---

შემდეგ მხოლოდ განგებულებითად ანუ მხოლოდ ჩვენი უძლურებისთვის ინარჩუნებს კვლავ პურისა და ღვინის გარეგან გამოხატულებას (ადამიანს არ ძალუძს ჭამოს და სვას ის, რასაც კაცობრივ ხორცად და სისხლად ხედავს), თორემ თავისი ნამდვილი (ბუნებითი ანუ არსობრივი) თვისებით იგი უკვე სრულად გარდაქმნილია ჭეშმარიტ სისხლად და ხორცად.

9 სავსებით შესაძლებელია, რომ წმ. ანდრია მოციქულს ფიცარი დაედო ჰიერაპოლისის ან ედესის კერამიდიონზე ან კიდევ თავად მანდილიონზე და ამ გზით სასწაულებრივად ამოტვიფრული ხატი საქართველოში მოებრძანებინა. იოანე ანჩელი არ ამბობს იმას, რომ ანდრიას უთუოდ **ჰიერაპოლისის** კეცის-ხატი მოევლინოს საქართველოში. ჰიმნოგრაფი მხოლოდ იმას უსვამს ხაზს, რომ **ჰიერაპოლისიდან საქართველოსკენ მომავალმა ანდრიამ** „საშინელი ხატი“ წამოაბრძანა „უღაღთა ღადოთა კლარჯეთისათა“. აღნიშნული უწყება იმიტომ არ ნიშნავს ოდენ ჰიერაპოლისის ხელთუქმნელ ხატზე მითითებას, რომ **ანდრია საქართველოში უშუალოდ ჰიერაპოლისიდან არ შემოსულა** და შეუძლებელია ეს ფაქტი (ექვთიმე ათონელის დროიდან სრულად გაცხადებული ქართველი ერის წინაშე) იოანე ანჩელს არ სცოდნოდა. შესაბამისად, იგი ახსენებს ანდრიას მისიონერული მარშრუტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს, საიდანაც საქართველოსკენ გამომართული ანდრია **გზად გარდაუვალად გაივლის ედესას** და შემდეგ შემოდის საქართველოში. შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ იოანესგან მოხსენებული „ხატი საშინელი“ უშუალოდ უკავშირდებოდეს არა აუცილებლად ჰიერაპოლისის კერამიდიონს, არამედ, თანაბარი უფლებამოსილებით, ედესის კეცის-ხატს ან თავად მანდილიონს და ერთ-ერთი მათგანის **ხელთუქმნელ ტვიფარს** წარმოადგენდეს (ანჩის-ხატის ხელთუქმნელობის შესახებ იხ. ზემოთ).

10 აღვნიშნავთ, რომ როგორც მრავალი სხვა კუთხით, ამ მხრივაც სომხური

გაცილებით კატეგორიულად, თ. ალდამაძის) დაეჭვებას იმაში, აღიქვამს თუ არა ანჩის-ხატს იოანე ანჩელი როგორც **ხელთუქმნელს** (შდრ. „არც საგალობლის ავტორი უწოდებს მას ... «ხელთუქმნელს»“, გვ. 45), სავსებით მკაფიოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არანაირი საფუძველი ამ კუთხით რაიმე სახის კვლევითი მერყეობისა (მით უმეტეს, უარყოფითი დასკვნის გამოტანისა) არ არსებობს. იოანე ანჩელი რომ ანჩის-ხატს სწორედ ხელთუქმნელად მიიჩნევს, ამ აზრისკენ უპირველესად მიგვმართავს ხსნებული ხატის განსაკუთრებულობაზე მკვეთრად ხაზგამსმელი ტერმინი **„საშინელი“**, რითაც განსაზღვრავს იოანე ანჩელი ანჩის-ხატს და რაც პატივცემულ რ. ხალვაშს სარწმუნო არგუმენტად არ ეჩვენება, მიუთითებს რა: „ეს ზედწოდება ანჩის

ეკლესია ცდილობს მართლმადიდებლობას (განსაკუთრებით საქართველოს) ამ სიწმინდეშიც შეეცილოს, ამ სიწმინდესაც შემოეტმასნოს და ვითომცდა თავისად განიკუთვნოს იგი. შდრ. მაგალითად, *Girma Yohannes Iyassu Menelik*-ის მითითება: „შუა საუკუნეების განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ გენუის (ჩრდილოეთ იტალიის) ბართლომეს სახელობის სომეხთა ეკლესიის «წმინდა პირისახის ხატი» იყო მანდილიონის (ტილოს-ხატის, ე. ჭ.) ქსოვილი, ანუ ხელთუქმნელი გამოსახულება, იესოს მიერ მიცემული თავისი მოწაფის, თომასადმი იმ დავალებით, რომ მას თადეოზის ხელით გაეგზავნა იგი, დაწერილი წერილითურთ, ედესის მეფე ავგაროზ V-ისთვის, მას შემდეგ, რაც იესო ზეცად ამაღლდებოდა“ (შდრ. The “Holy Face Icon” of the Church of S. Bartholomew of the Armenians, Genoa, Northern Italy throughout the Middle Ages, was reputed to be the cloth *Holy Mandylion* portrait “made without hands” and given by ‘Iyesus to His disciple Tomas, *with instructions to send it with Tadiewos*, along with a written letter, to the King Abgar V of Edessa, following Iyesus ascension into Heaven, *Girma Yohannes Iyassu Menelik, Rastafarians: A Movement Tied With A Social And Psychological Conflicts, 2009, p. 197)*. იქვე, ხსენებული Menelik განიხილავს საკითხს იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა აღმოჩენილიყო წმინდა მანდილიონი სომხურ ეკლესიაში და მიუთითებს, რომ „მოგვიანებით“, კერძოდ, 944 წ-ის შემდეგ, როდესაც აღნიშნული სიწმინდის საზეიმო გადასვენება მოხდა ედესიდან კონსტანტინოპოლში, „დაიმსხვრა რა ბიზანტიური ძალმოსილება, იგი (მანდილიონი, ე. ჭ.) იმპერატორმა იოანე V პალეოლოგმა უბოძა გენუაში დოჟს (გამგებელს, ე. ჭ.) მონტალდოს (ესაა გენუის გამგებელი ლეონარდო მონტალდო 1383-1385 წწ-ში, ე. ჭ.), რომელიც ეხმარებოდა მას თურქთა წინააღმდეგ; მონტალდომ, თავის მხრივ, ეს სახელგანთქმული გამოსახულება სიკვდილის წინ, 1384 წ-ს, უანდერძა ამ (სომხების, ე. ჭ.) ეკლესიას, სადაც იგი დღემდეა დავანებული“ (შდრ. *Later*, as Byzantine power crumbled, it was presented by Emperor John V Palaeologus to the *Doge Montaldo* of Genoa who had helped him against the Turks; *Montaldo* in turn bequeathed the renowned image upon his death in 1384, to the Church wherein it still reposes, *Ibid, p. 197; თუ რატომ უნდა ეანდერძა ზემოხსენებულ მონტალდოს, არა-მონოფიზიტს, ესოდენი სიწმინდე სწორედ მონოფიზიტური და, შესაბამისად, მონტალდოსთვისაც მწვალებლური, ეკლესიისთვის, ამის შესახებ ზემოხსენებული „მკვლევარი“ არავითარ კომენტარს არ გვთავაზობს).*

მაცხოვრის ხატის ხელთუქმნელობის დასასაბუთებლად არ გამოდგება“ (გვ. 45). ხაზს გავუსვამთ, ერთი მხრივ, მკვლევრისგან გამოყენებულ სიტყვას **„ზედწოდება“**, მეორე მხრივ კი ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ აღნიშნული მართლაც ზედწოდება (როგორც ეს პირველად მკაფიოდ მიუთითა თ. ალდამაძემ[11]) „გალობათა“ ავტორისთვის არის **არა ოდენ ეპითეტი** ანჩის-ხატისა, არამედ – ხსენებული ხატის **ბუნებითი, საკუთარი სახელი**, რადგან თითქმის ყველა შემთხვევაში სწორედ ასე განსაზღვრავს მგალობელი მას[12]. მაგალითად:

„აღიძრვიან ენანი ... ქებად ... მაცხოვრისა **ხატსა საშინელსა**!“; „შეგვწყალენ, ... რომელსა ზედა წოდებულ არს სახელი შენი წმიდაჲ და **საშინელი**“; „ისმინე ვედრებისა ჩუენისა, ...**ხატო საშინელო**!“; „შეგვწყალენ, **ანჩის-ხატო საშინელო!**“; „წყალობანი შენნი პირველნივე მოიჯსენნე, მაცხოვრისა **ხატო საშინელო!**“; „არავინ არს ჩუენ კაცთაგანი მორწმუნეთა, **ხატო საშინელო,** რომელმანცა ხადა სახელსა შენსა და არა მყის მიემთხჳა შენ მიერ წყალობასა დიდსა“; „ხილულისა ღმრთისა სიტყჳსა, არსთა ჯსნად განკაცებულისა, **ხატო საშინელო**, ... დაგვცვენ მოსავნი ესე შენნი!“; „ტკბილი, სახიერი და მოწყალე პირი შენი დაატკბე ჩემ ზედა, **ხატო საშინელო**“; „გამომიჯსენ ყოველთა ჭირთაგან მოსავი შენი, **ხატო საშინელო**!“; „შენ, **ხატო საშინელო**, მკლავითა შენითა შემუსრენ ...“; „აღგვპყარ ჴელი, **ხატო საშინელო!**“; „მადლობით ვიტყოდეთ, **ხატო საშინელო**: დიდება წყალობათა შენთა!“; „მოდერკ წყალობად და მოწყალებად, **ხატო საშინელო**!“; „მოვიჯსენნე სასწაულნი შენნი, ... ანჩის **ხატო საშინელო**“; „ანდრია თავი მოციქულთა, პირველწოდებული, მოწაფე მეუფისა დიდისაჲ, იდიდებოდენ ყოველთაგან უღაღთა ღადოთა კლარჯეთისათა, **იერაპოლით მოვიდა და ხატი ესე საშინელი ჩუენ მოსავთა მისთა მოგუანიჭა**!“; „ნეტარ არიან მოსავნი და მადიდებელნი შენნი და თაყუანის-მცემელნი მაცხოვრისა, **ხატო საშინელო**“; „გჳკსენ ბოროტთაგან, მაცხოვრისა **ხატო საშინელო!**“; „ლიტანიობდით, გალობდით და ადიდებდით ... ანჩის ხატსა **საშინელსა!**“.

---

11 თენგიზ ალდამიძე, ანჩის მაცხოვრის ხატი [იკონოგრაფიულ-ფილოლოგიური ძიება], თელავი, 2007, გვ. 12: „საგალობლიდან დასტურდება, რომ **ანჩის ხატის ზედწოდება ყოფილა «საშინელი»**“.

12 მიუხედავად იმისა, რომ თ. ალდამაძე, როგორც მივუთითეთ, ტერმინ **„საშინელს“** ანჩის-ხატის ზედწოდებას უწოდებს, ამგვარ წოდებას იგი საკუთრივ ხატის ხელთუქმნელობაზე უწყებად არ მიიჩნევს: „საგალობელში ანჩის მაცხოვრის ხატიც, ჩვეულებრივად, ამ ზედწოდებით იხსენიება, თუმცა ავტორი მას ზოგჯერ „განკაცების ხატსაც“ უწოდებს. ნიშანდობლივია, რომ **საგალობელში ხატი ხელთუქმნელად ერთხელაც კი არ იხსენიება**“ (ხაზგასმა ავტორისაა, ე. ჭ.) ***(თ. ალდამაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 12). სხვაგანაც მკვლევარი კატეგორიულად ასკვნის:*** „საგალობელში ანჩის მაცხოვრის ხატი **არათუ ხელთუქმნელ ხატად იხსენიება, არამედ უბრალო მინიშნებაც კი არ გვაქვს ამის თაობაზე**“ (ხაზგასმა ჩვენია, ე. ჭ.) *(გვ. 22).*

საგალობლის აკროსტიქი:

„საშინელსა ანჩისა ხატსა უგალობ უნდო იოვანე ანჩელი“

ეგევე წოდება გვხვდება ანჩის-ხატის წარწერაშიც (1184-1193 წწ.):

„ბრძანებითა და ნივთის-ბოძებითა ღმრთივგჯრგჯნოსანისა დიდისა დედოფალთდედოფლისა თამარისაჲთა მე იოანე ანჩელმან რკინაელმან ჴელვყავ **საშინელისა ამის ხატისა** პატივით მოჭედად. მრავალმცა არს მეფობისა მათსა, აქა და საუკუნესა. მოიჭედა ჴელითა ბექასითა, ქრისტე, შეიწყალე“[13].

ამასვე მოწმობს ანჩის-ხატის შიდამოჭედილობის წარწერაც XIV ს-ის I ნახევრისა:

„ქრისტე ღმერთო და სიტყვაო ღმრთისა მამისაო, შეიწირე უნდოჲ ესე მკობაჲ წმიდისა და **საშინელისა** განკაცებისა შენისა **ხატისა**“[14].

იგივე წოდება დასტურდება ანჩის საეპისკოპოსო ტაძრის ომოფორის წარწერაშიც (1358-1360 წწ.):

„საშინელო ხატო ანჩისა, შეიწირე მცირე ესე ომოფორი დედოფალთდედოფლისა ნათელისი“[15].

დავიმოწმებთ 1453 წ-ის პირობის წიგნსაც კათალიკოს დავითისათვის:

„ყოვლად საშინელისა ანჩის ხატისა თავსმდებობითა...“[16].

ამრიგად, ზედწოდება **„საშინელი“**, როგორც **ბუნებითი სახელი**, უთუოდ ხაზს უსვამს, რომ ანჩის-ხატი განსაკურებულია ხატთა შორის[17], რაც, კვლავ გავიმეორებთ, **მისი ხელთუქმნელობის აღიარებისკენ მიგვმართვას**, თუმცა საკითხის უდიდესი მნიშვნელობის გამო ვალდებულნი ვართ მეტი ვეძიოთ და ყოვლითურთ გადამწყვეტი მნიშვნელობის არგუმენტი წარმოვადგინოთ.

დიახ, საკითხი მართლაც არსებითია, რადგან თ. ალდამაძის ზემოხსენებული ნაშრომის შემდეგ გამოიკვეთა აზრი, რომ მეცნიერული კვლევა ანჩის-ხატის ხელთუქმნელობას არ ადასტურებს. თვით თ. ალდამაძე მრავალი

---

13 შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, თბ., 1956 (მეორე გამოცემა), გვ. 8.

14 შ. ამირანაშვილი, Ibid, გვ. 9; თ. ალდამაძე ამჯერადაც ზედწოდება „საშინელს“ მკვეთრად მიჯნავს „ხელთუქმნელისგან“: „ბექასეულ წარწერაშიც ანჩის ხატი «საშინელ განკაცების ხატად» იწოდება და **მის ხელთუქმნელობაზე მინიშნებაც კი არ გვაქვს** (ხაზი ჩვენია, ე. ჭ.)“ ***(თ. ალდამაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13)***

15 საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980, გვ. 186; თ. ალდამაძე, დასახ. შრომა, გვ. 13-14.

16 თ. ალდამაძე, დასახ. შრომა, გვ. 14.

17 ის ფაქტი, რომ „საშინელი“ გამოიყენება კაცხისა და ცაიშის ხატთა მიმართ, არ ნიშნავს, რომ ეს ტერმინი ყველა დამოწმებაში ეპითეტურობაზე მაღლა იყოს და ხატის ბუნებით, საკუთარ სახელად მოაზრებოდეს, როგორადაც ეს გვაქვს ანჩის-ხატის შემთხვევაში. ამასთან, ზემორე ხატებისადმი მიმართულ ტექსტებშიც „საშინელი“ ეწოდება არა უშუალოდ ამ ხატებს, არამედ მათზე გამოსახულ, ერთი მხრივ (კაცხის ხატზე), მაცხოვარს (**„საშინელო მაცხოვარო“**) და, მეორე მხრივ (ცაიშის ხატზე), ღვთისმშობელს (**„საშინელისა ... ღმრთისმშობლისათა“**).

წყაროს თავისეული ანალიზის შემდეგ აბსოლუტურად შეუვალად ასკვნის: **„ამრიგად, ანჩის ხატზე მაცხოვრის ხელთუქმნელი სახე არასოდეს ყოფილა გამოსახული“** (გვ. 55).

ამგვარი დასკვნის მიღება განსაკუთრებით დაბრკოლდებოდა (უკეთ, სრულიად გაქარწყლდებოდა) იმ შემთხვევაში, თუ იოანე ანჩელი ანჩის-ხატს ხელთუქმნელად თვლიდა, რადგან იოანეს მიერ ანჩის-ხატის ხელთუქმნელად აღიარება ურყევად დაგვისაბუთებდა, რომ ამ მხრივ უთუოდ ხსენებული მგალობლის მოღვაწეობის წინმსწრებ ტრადიციასთან უნდა გვქონოდა საქმე (ზემორე მიზეზთა გამო, თავად იოანე ამგვარ აზრს ვერანაირად ვერ გამოიგონებდა), უფრო ადრეული ტრადიცია კი, თავის მხრივ, ბუნებრივად დაუკავშირდებოდა გიორგი მერჩულის უწყებას ანჩის საყდარის **ხსენებული-ხატის-სახელზე** აგების შესახებ, რაც ასევე მკვეთრად წარმოაჩენდა განსაკუთრებულობას თავად ანჩის-ხატისას, ვინაიდან **ხატის სახელზე ტაძრის აგება უიშვიათესი მოვლენა იყო და იმჟამინდელ საქართველოში (ვფიქრობთ, მთელ მაშინდელ სამართლმადიდებლოშიც) მას ანალოგი არ უნდა ჰქონოდა** (მოგვიანებით ცნობილი ხატთა-სახელობის ქართული ტაძრები, ეჭვი არ არის, სწორედ ანჩისხატის საყდრიდან მომდინარე ტრადიციას ეფუძნებიან).

მაშ, რა არის გადამწყვეტი არგუმენტი იმის დასადასტურებლად, რომ **იოანე ანჩელისთვის ანჩის-ხატი უთუოდ და გარდაუვალად ხელთუქმნელი ხატია?**

აღნიშნული არგუმენტი გახლავთ, – არც მეტი, არც ნაკლები, – სწორედ ის კონკრეტული უწყება, რაც ყველას თვალწინ ბუნებრივად (თუმცა გამოუძიებლად) დევს და რასაც საგალობლის ავტორი საკუთრივ მოციქულ ანდრიასთან დაკავშირებით გვაწვდის:

„ანდრია თავი მოციქულთა, ...**იერაპოლით მოვიდა და ხატი ესე საშინელი ჩუენ, მოსავთა მისთა, მოგუანიჭა“** (შდრ. აგრეთვე: **„ხატი განკაცებისა შენისაჲ მოციქულისა ანდრიაჲს მიერ გამოგჳბრწყინვე“**).

როგორც ვხედავთ, ჰიმნოგრაფის უწყებით, **ხსენებული ხატი ჰიერაპოლისიდან მომავალ ანდრია პირველწოდებულს მოუვანებია.** ამ შემთხვევაში (ანჩის-ხატის ხელთუქმნელობის მტკიცებისას) აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, უშუალოდ ჰიერაპოლისიდან მოასვენებს წმ. ანდრია მაცხოვრის პირისახის ხატს, თუ ედესიდან. გადამწყვეტი მნიშვნელობის მონაცემი ისაა, რომ, **იოანე ანჩელის აღსაარებით, ანჩის-ხატი სწორედ ჰიერაპოლის-ედესიდან იქნა საქართველოში შემოცხოვლილი მოციქულის მიერ.**

რატომაა ეს მითითება გადამწყვეტი მნიშვნელობისა იმის სამტკიცებლად, რომ იოანე ანჩელისთვის ანჩის-ხატი უთუოდ და უცილობლად ოდენ ხელთუქმნელი ხატია?

აღნიშნული მითითება გადამწყვეტი არგუმენტია იმიტომ, რომ როდესაც მოციქული ანდრია ჰიერაპოლისიდან ედესის გავლით საქართველოში

მოდიოდა, **ამჟამეყნად მხოლოდ სამი ხატი**[18] **არსებობდა და სამივე ხელთუქმნელი: ტილოს-ხატი, ჰიერაპოლისური კვეცის-ხატი და ედესური კვეცის-ხატი.**

საზოგადოდ, მოციქულთა ეპოქისთვის, საეკლესიო ტრადიციით, პირველხატმწერად ცნობილია მხოლოდ ლუკა მახარებელი, თუმცა მას მაცხოვრის ხატი არასოდეს დაუხატავს. ამასთან, ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ლუკა მახარებელს არანაირი კავშირი არ ჰქონდა ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობასთან ჰიერაპოლის-ედესაში, საიდანაც შემოჰყავს, იოანე ანჩელის უწყებით, ხსენებულ მოციქულს „ხატი-საშინელი“.

ამრიგად, **იოანე ანჩელის**, შეიძლება ითქვას, **რწმენითი რჯულით** (რადგან იგი შეუძრავია თავის ამ უწყებაში) **„ხატი-საშინელი“** ანუ **ანჩის-ხატი** შემოიყვანება ანდრია პირველწოდებულის მიერ ჰიერაპოლის-ედესიდან, ხოლო **იმ ჟამს და იმ რეგიონიდან წმ. ანდრია მხოლოდ და მხოლოდ ხელთუქმნელი ხატის წამოსვენებას თუ შეძლებდა, რადგან მაშინდელ ჰიერაპოლის-ედესაში სხვა ხატი (არა-ხელთუქმნელი) ბუნებითად არ არსებობდა.** ამას ერთმნიშვნელოვნად სწამებს საეკლესიო ტრადიცია, რის გამოც შეუძლებელია (მკრეხელურიცაა) ვიფიქროთ, რომ იოანე ანჩელი თითქოს სრულიად ცვლიდეს ხსენებულ უმყარეს ტრადიციას და ჰიერაპოლის-ედესის ხატებს ადამიან-ხატმწერთა ნამუშაკევად მოიაზრებდეს. ამიტომ, **გამომდინარე იქიდან, რომ იოანე ანჩელი ანჩის-ხატს ჰიერაპოლის-ედესიდან მოციქულის ღვაწლით მოვანებულად სწამებს, ხოლო იმჟამად ჰიერაპოლის-ედესაში მხოლოდ ხელთუქმნელი ხატები არსებობს, უაშკარესია, რომ იოანე ანჩელიც სწორედ ამ (ჰიერაპოლის-ედესის) ხელთუქმნელ ხატებთან აიგივებს ანჩის-ხატს ანუ ხსნებული მგალობლისთვის ანდრია პირველწოდებული, მოისწრაფის რა საქართველოსკენ, სწორედ ხელთუქმნელ (და არ ვინმე ხატმწერისგან კაცობრივად დაწერილ) ხატს წარმოიძღოლებს წინ,** ეს კი გადამწყვეტი არგუმენტია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით იმ საბოლოოო დასკვნის გამოსატანად, რომ **ანჩის-ხატი იოანე ანჩელისთვის მხოლოდ და მხოლოდ ჰიერაპოლის-ედესის ხატებთან იგივეობრივი ხელთუქმნელი ხატია და არარა სხვა.**

ჩვენთვის წარმოუდგენელია, ასეთი უაშკარესი არგუმენტის შემდეგ როგორ, რაგვარი იკანკლედობით შეიძლება **ცთომილებად** ჩაითვალოს აზრი იმის შესახებ, რომ იოანე ანჩელი ანჩის-ხატს ხელთუქმნელად თვლიდა (შდრ. თ. ალდამაძის უშეღავათო განაცხადი: „სამეცნიერო ლიტერატურაში იოვანე ანჩელის ამ საგალობელს საკმაოდ ხშირად მიუთითებენ, როგორც

---

18 ეს **„სამი ხატი“** სამია მხოლოდ ხილული მყოფობით, ხილული გამოხატულებით, ჩვენგან ხილული დანახულობით ანუ სხვადასხვა მასალაზე აღბეჭდილობით, სინამდვილეში კი, **ხელთუქმნელობის ბუნებითი თვისებიდან გამომდინარე,** ეს სამი საკვებით იგივეობრივია, რადგან არსებობს **არა სამი**, არამედ **მხოლოდ და მხოლოდ ერთი ხელთუქმნელი სახე განკაცებული ღმერთისა.**

ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ ქრონოლოგიურად უძველეს თხზულებას ქართულ სინამდვილეში, **რაც შეცდომაა.** საგალობელში ანჩის მაცხოვრის ხატი **არათუ ხელთუქმნელ ხატად იხსენიება, არამედ უბრალო მინიშნებაც კი არ გვაქვს ამის თაობაზე**“, დასახ. შრომა, გვ. 22). ვფიქრობთ, რომ, პირიქით, მძიმე „შეცდომაა“ (უკეთ, უმძიმესი) და, შეცდომასთან ერთად, ძველი ქართული ენისა და საეკლესიო ტრადიციის ელემენტარული უვიცობაც, იმის დაშვება (მეტიც, კატეგორიული მტკიცება), რომ იოანე ანჩელი, შეიძლება, ერთი მხრივ, აღიარებდეს ანჩის-ხატის ჰიერაპოლისიდან სამოციქულო მომდინარეობას, მაგრამ, მეორე მხრივ, არ ცნობდეს მის ხელთუქმნელობას[19].

---

19 ძველი ქართული ენის ამგვარ სამწუხარო უვიცობას ავლენს თ. ალდამაძე, მაგალითად, მაშინაც, როდესაც განიხილავს დომენტი კათალიკოსის ზედამხედველობით შედგენილი 1718 წლის სადღესასწაულოს მნიშვნელოვან მონაცემს, კერძოდ, 16 აგვისტოს მოსახსენებელს: **„თუესა აგვისტოსა ივ:** წარყვანებაჲ ედესითგან კონსტანტინეპოლედ ხელითუქმნელისა ხატისა **უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და მისვე ხატისა, რომელსა აწ ანჩის ხატად სახელ-ვსდებთ“** (A–425, 607r). მოსახსენებელში, როგორც ვხედავთ, სრულიად გაიგივებულია კონსტანტინოპოლის ხელთუქმნელი ხატი და ანჩის-ხატი (დავუკვირდეთ თუნდაც ზმნიზედას **„აწ“**), როგორც ამას თავის დროზე უთითებდა პ. კარბელაშვილი ***(იხ. პ. კარბელაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 23)***, მაგრამ კარბელაშვილის შეფასებას ვერ ურიგდება თ. ალდამაძე და აღნიშნავს: „ამის მიხედვით (პ. კარბელაშვილისეული ციტირებით, ე. ჭ.) ... გამოდის, რომ სადღესასწაულოს 16 აგვისტოს განგების ცნობით, ედესიდან კონსტანტინოპოლში გადასვენებულ ხელთუქმნელ ხატს ქართველები ანჩის ხატს უწოდებდნენ. 16 აგვისტოს განგების ხელნაწერისეული ტექსტი კი ასეთი დასკვნის საფუძველს არ იძლევა. ... ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განგების ხელნაწერისეული ტექსტის ბუნდოვანობაც სახეზეა – შეუძლებელია გადაჭრით მტკიცება, რომ გამოთქმაში **„მისვე ხატისა, რომელსა აწ ანჩის ხატად სახელ-ვსდებთ“** სიტყვა **„მისვე“** „უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტეს“ გულისხმობს, რომელიც ანჩის ხატზეც არის გამოსახული და არა ედესის ხელთუქმნელ ხატს, ანდა, პირიქით“ (დასახ. შრომა, გვ. 23). მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარი ძველი ქართული ტექსტის ბუნდოვანებაზე საუბრობს (სხვა რა გზა აქვს?), სინამდვილეში ყოველივე მეტის-მეტად ნათელია, რადგან ნაცვალსახელი **„მისვე“** ზემორე კონტექსტში ერთადერთი მნიშვნელობის მატარებელია, რაც არის თანამედროვე **„იმავე“** (ე. ი. **„მისვე ხატისა“** მხოლოდ და მხოლოდ ნიშნავს: **„იმავე ხატის“** და არანაირად: **„მისივე ხატის“**). რაიმე სხვა გააზრება მას არ შეიძლება ჰქონდეს. აი, რამდენიმე პარალელური ნიმუში: „ვნებასაცა შენსა ჯორცითა არა შეორგულდენ შენისა ღმრთეებისასა, **მისვე ხატისა შენისა** (=„**იმავე** შენი ხატის“, ე. ჭ.) შემოსითა მთისა მისგან თაბორისა“, *უძველესი იადგარი, თბ. 1981, გვ. 349.24;* **„მისვე განკანონებისა** (=„**იმავე** განკანონების“, ე. ჭ.) თანამდებ იყვნენ, **რომელი** განჩინებულ არს მათთჳს, რომელნი არა ელოდიან მგზავრობით შემოქცევასა ქმართა თჳსთასა“, *დიდი სჯულისკანონი, თბ. 1975, გვ. 488.34;* „ოცდამეცხრისა თავისაგან **მისვე წიგნისა** (=„**იმავე** წიგნისა“, ე. ჭ.)“, *იქვე, გვ. 509.4;* **„მისვე წესისა** (=„**იმავე** წესის“, ე. ჭ.) შეკრძალვაჲ უჯმს განმგებელსა ეკლესიისასა“, *იქვე, 517.18;* „მაშინ ამან მეფემან მირდატ **მისვე სუეტისაგან** (=„**იმავე** სვეტისგან“, ე. ჭ.) შექმნა ჯუარი“, *ქართლის ცხოვრება*

ამრიგად, **ანჩის-ხატი იოანე ანჩელისთვის უთუოდ ხელთუქმნელი ხატია და ამ აზრს არ შეიძლება ალტერნატივა ჰქონდეს.**

რაც შეეხება ანჩის-ხატის საქართველოში მობრძანების **კონკრეტულ ჟამს,** არსებითად სახეზეა სამი თვალსაზრისი:

(I) **იოანე ანჩელთან დადასტურებული:** აღნიშნული სიწმინდე საქართველოში (კლარჯეთში) შემოასვენა ჰიერაპოლისიდან მომავალმა ანდრია მოციქულმა **პირველ საუკუნეში.**

(II) **ხატის 1825 წ-ის წარწერაში ფიქსირებული:** ხატი (თავადი მანდილიონი) საქართველოში (კლარჯეთში) შემოჰყავთ ხატმებრძოლობის აღმოცენებისას ლეონ ისავრიელის (717-741) და სხვა ხატმებრძოლთა დროს, ე. ი. **VIII-IX სს-ში.**

(III) **ხატის 1825 წ-ის წარწერის ვერსიის შესწორებული ვარიანტი:** ანჩის-ხატი საქართველოში შემოდის **XIII ს-ის დამდეგს**. ამ შემთხვევაში ხდება გათვალისწინება იმისა, რომ ედესიდან მანდილიონი ანუ ტილოს-ხატი **944** წ-ის **16** აგვისტოს გადაასვენეს კონსტანტინოპოლში. შესაბამისად, იმ ქართველ მოღვაწეთა აზრით, რომლებიც ანჩის-ხატს მასალობრივი წარმომავლობითაც ანუ ხილული დანახულობითაც აიგივებდნენ მანდილიონთან თუ მანდილიონის ფიცართან, ხსენებული მანდილიონი თუ მანდილიონის ფიცარი (რომელზეც მანდილიონის გამოსახულება სასწაულებრივად იქნა აღბეჭდილი ფიცრისგან მანდილიონის გაშორებისას XII-XIII სს-ის მიჯნაზე), საქართველოში, კერძოდ, კლარჯეთში შემოიყვანება სწორედ **XIII ს-ის დამდეგს** (*შდრ.* „მაცხოვრის ხატი კონსტანტინოპოლში XIII საუკუნის დამდეგამდე ინახებოდა. ამ პერიოდისათვის ტილო – ხელთუქმნელი ხატი მოაშორეს ფიცარს, რომელზეც მაცხოვრის გამოსახულება სასწაულებრივად იყო გადასული.

I, გვ. 132.1; „მეათხუთმეტესა დღესა **მისვე თთჳსასა** (=„**იმავე** თვისა“, ე. ჭ.)“, *ლევიტ. 23.6* (შდრ, რუს. в пятнадцатый день **того же** месяца) და *ა. შ. აურაცხელი სხვა* (შდრ. თუნდაც «ვეფხისტყაოსანი»: „ჩალად უჩს ყოვლი ქვეყანა **მისვე ჩალისა** წონითა“). რაც შეეხება იმას, რომ, ერთი მხრივ, მოსახსენებელში **ედესის** ხატია მითითებული, ხოლო, მეორე მხრივ, ანჩის-ხატის ტროპარში **ჰიერაპოლისი** სახელდება, აქ (ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში) ედესისა და ჰიერაპოლისის ხატთა **ოდენ ნივთიერი-წარმომავლობის-ნიშნით განსხვავებაზეა** უწყება, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, შედარებით ვრცლად, ხსენებული ხატები მხოლოდღა ნივთიერი წარმომავლობით (ჩვენგან გარეგანი დანახულობით) რჩებიან სხვადასხვანი და არანაირად – მათზე სასწაულებრივად გამოსახული **ხელთუქმნელი ღვთის-პირისახით**, რაც აბსოლუტურად იგივეობრივია ჰიერაპოლის-ედესის კეცის-ხატებზეც, მანდილიონზეც. ანჩის-ხატის ფიცარზეც და რაც თავისი კურთხევითი ძალით, ზემორე განსხვავებული წარმოშობის და გარეგანად ჩვენი თვალისთვის სხვადასხვაგვარი დანახულობის მასალების **ნივთიერადაც ერთმქმნელია,** რაგინდ ურთიერთისგან დაშორებულ ადგილებში მყოფობდნენ ისინი ხილვადად (ისევე, როგორც წმინდა ზიარება, ხილულად მრავალგან დანახული, **აბსოლუტურად იგივეობრივი სისხლია და ხორცია უფლისა, როგორც სულიერად, ასევე ნივთიერად**).

XIII საუკუნის დასაწყისში კონსტანტინოპოლში მწვავე პოლიტიკური ვითარება შეიქმნა ... ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, ამ ხანებში ტილო მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატით ვენეციის დოჟს, დონდოლოს გადაეცა. ამ უკანასკნელმა სიწმინდე ვენეციაში გააგზავნა გემით, რომელიც მარმარილოს ზღვაში ჩაიძირა. ... რაც შეეხება ფიცარს, რომელზეც ხელთუქმნელი ხატი იყო დაკრული და რომელზეც გამოსახულება სასწაულებრივ გადავიდა, იმ მიზნით, რომ ეს უდიდესი სიწმინდე მართლმადიდებლურ სამყაროს როგორმე შეენარჩუნებინა, იგი კონსტანტინოპოლიდან საქართველოში, კერძოდ, მთიან კლარჯეთში გადაასვენეს და ანჩის საყდარში დააბრძანეს. ამ პერიოდიდან ხელთუქმნელ ხატს ანჩისხატი ეწოდა. საქართველოში მას პირი-ღვთის ხატსაც უწოდებდნენ. ანჩელმა მთავრეპისკოპოსმა იოანემ თამარ მეფეს ხელთუქმნელი ხატის ძვირფასი თვლებით შემკობის ნებართვა სთხოვა. ხატი დიდი ხელოვნებით მოჭედა სახელოვანმა ოქრომჭედელმა ბექა ოპიზარმა, ხოლო იოანე ანჩელმა კლარჯეთში შემობრძანებულ ამ უდიდეს სიწმინდეს საგალობელი მიუძღვნა“, **„წმიდანთა ცხოვრება“, ტომი III, თბილისი, 2001 წ.).**

აღნიშნული თვალსაზრისებიდან უდავო უპირატესობა უნდა განეკუთვნოს პირველს, გამომდინარე იქიდან, რომ **საქართველოში ანჩის-ხატი უთუოდ VIII-IX სს-მდეა ღმრთივშემოძღვნილი** (აღარაფერს ვამბობთ XIII ს-ის დამდეგზე). ამას ადასტურებს „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, რომლის მიხედვითაც ანჩის საეპისკოპოსო საყდარი სწორედ ხსენებული ხატის სახელზე ყოფილა აგებული, რაც ნიშნავს, რომ **ანჩის დაფუძნებისას ხელთუქმნელი ხატი უკვე საქართველოშია** (*შდრ.* „დაღაცათუ ფრიად ურიცხუნი ჟამნი ჰქონან **საყდარსა მას ანჩისასა** უწინარეს აღშენებისანი და ეპისკოპოსნიცა მრავალნი კეთილად სასწაულთა-მოქმედნი ყოფილ არიან, არამედ პატივ-სცა ქრისტემან წმიდათა მათ უდაბნოთა, რაჲთა იყოს წინამძღურად მათდა ეპისკოპოსი უმიზეზოჲ, წმიდაჲ და ღირსი, ვითარცა შეჰგავს **წმიდასა მას საყდარსა** ქალწულებით დამარხულსა განხრწნისაგან წვალებისა გულარძნილისა მოძღურებისა **სახელსა ზედა წმიდისა ქრისტეს ღმრთისა ხატისასა აღშენებულსა“**, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ. 303-304; შდრ. აგრეთვე:* **„წმიდამან მან საყდარმან ქრისტჱს, ღმრთისა ცხოველისა, ხატისამან** სიხარული მშჳდობისყოფისაჲ მიჰფინა სამწყსოთა თჳსთა ზედა კეთილთა მწყემსთა გამობრწყინვებითა“, *იქვე, გვ. 307; შდრ.* **თ. ალდამაძე: „ანჩის მაცხოვრის ხატი უკვე VI-VII საუკუნიდან საქართველოშია“**, *დასახ. შრომა, გვ. 11*).

გიორგი მერჩულის უწყება ნათელყოფს, რომ „კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა აღშენებას“ დიდად უსწრებდა წინ ანჩის საეპისკოპოსო საყდრის დაფუძნება[20]. შესაბამისად, რადგან ხსენებული უდაბნონი (მონასტრები)

---

20 *იხ. ამ საკითხზე დაწვლილებით:* ე. ჭელიძე, პირველმეუდაბნოე მამები და

VIII ს-ის მეორე ნახევარში ანდა IX ს-ის დამდეგს ფუძნდება, მათზე ბევრად ადრეული ანჩა VI-VII სს-ზე გვიანდელი ვერ იქნება. ამასთან, მერჩულისვე მითითება, რომ ხსენებული საყდარი „ქალწულებით“ ანუ უბიწოდ იქნა დაცული („დამარხული“) „გულარძნილი მოძღვრების“ ანუ ხატმებრძოლობის მწვალებლური განმხრწნელობისგან, ცხადს ხდის, რომ ანჩის საყდრის აგება და ამ საყდარში ხელთუქმნელი ხატის დავანება წინ უსწრებდა ხატმებრძოლობის აღმოცენებას. შესაბამისად, რადგან ხატმებრძოლობა ბიზანტიაში **VIII ს-ის 20-იანი წლებიდან** იწყება, აღნიშნული ცნობის საფუძველზე ანჩა კვლავაც **VIII ს-ზე მნიშვნელოვნად უწინარესად** წარმოჩნდება ანუ ეს ტაძარი დაახლოებით VI ს-ის ეპოქისაა[21].

ზემოთქმული უეჭველად ცხადყოფს, რომ **VI ს-ისთვის მაინც ანჩის ხელთუქმნელი ხატი საქართველოში მწირობს,** რაც ზემოაღნიშნული სამი თვალსაზრისიდან მხოლოდ პირველის (კერძოდ, წმ. ანდრია პირველწოდებულთან დაკავშირებული უწყების) მართებულობის აღიარებისკენ მიგვმართავს[22].

უდაბნოთა „ახალნი მნათობნი“, გაზ. საეკლესიო სიწმინდენი, 2000 წ., № 3, გვ. 13.

21 *იხ.* პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბ., 1954, გვ. 377. *არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ 1825 წ-ის ზემომითითებული წარწერის მიერ ანჩის-ხატის დაკავშირება ხატმებრძოლობასთან მერჩულისეული ინფორმაციის გარკვეული ანარეკლია, თუმცა წარწერის ავტორისთვის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, ცხადია, ცნობილი არ იყო.*

22 აღვნიშნავთ იმასაც, რომ ანჩის-ხატის იკონოგრაფიული სახე, რაც თ. ალდამაძეს „პანტოკრატორის“ (და არა „ხელთუქმნელის“) ტიპად ეგულვის, ასევე მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს. საგულისხმოა, რომ მკვლევარი არაერთგზის მოუხმობს შ. ამირანაშვილის ცნობილ შრომას ანჩის-ხატის შესახებ, მაგრამ მიუხედავად შესაბამისი ციტატების არაერთგზისი მოტანისა, არ ითვალისწინებს ხსენებული მეცნიერის აბსოლუტურად მკაფიო იკონოლოგიურ დასკვნას, რაც ემყარება ხსენებული ხატის შესწავლას ჭედური პერანგის (ე. ი. გარეგანი საფარველის) გარეშე და, შესაბამისად, გაცილებით ინფორმატიულია, ვიდრე სადღეისო დაკვირვებანი. ხსენებული დასკვნა ასეთი სახისაა: „ძეგლის დეტალური განხილვა და აღწერილობა... არკვევს, რომ განახლების დროს (XVII ს.) მხატვარს უკვე აღარ ესმოდა მაცხოვრის ე.წ. „ხელთუქმნელი“ გამოსახულების იკონოგრაფიული ტიპის რაობა და შინაარსი: **მან პირვანდელი ხელთუქმნელი გამოსახულების იკონოგრაფიული ტიპი ვერ გაიგო და გადააკეთა ე. წ. „პანტოკრატორის“ („ყოვლისმპყრობელის“) გამოსახულებად** *(ხაზგასმა ჩვენია, ე. ჭ.)*, რომელიც უფრო ჩვეულებრივია და უფრო ხშირია რელიგიურ ხელოვნებაში. მან მაცხოვრის პირისახეს მიუმატა ბიუსტი, მარცხენა ხელში დააჭერინა სახარება, ხოლო მარჯვენა ხელის თითებს კურთხევის ნიშნის სახე მისცა. უხეირო რესტავრაციამ სრულიად დაარღვია პროპორციები მაცხოვრის პირვანდელი გამოსახულებისა... ამრიგად, პირვანდელი გამოსახულების ფრაგმენტების განხილვა საშუალებას გვძლევს საკმაო ზუსტად აღვადგინოთ გამოსახულების იკონოგრაფიული ტიპი, რომელიც XVII ს. რესტავრაციის დროს სწორად არ იყო გაგებული, რის გამოც აღდგენილი ნაწილი ამახინჯებს ძეგლის პირვანდელ სახეს; მაგრამ მაცხოვრის პირისახე იმდენად დაზიანებულია, რომ მრავალი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ეხება სტილისა

დაახლოებით ანალოგიური აღქმულობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ სამი ერთმთლიანი უწყების შესახებაც. ესენია:

I. უწყება მოციქულთა წილისყრაში ღვთისმშობლის მონაწილეობაზე.

II. უწყება ღვთისმშობლისადმი ქართლის წილხვდომილობის თაობაზე.

III. უწყება ქართლში ღვთისმშობლის მიერ ანდრია მოციქულის წარმოგზავნასთან დაკავშირებით.

წერილობით წყაროთა მეტ-ნაკლები გვიანდელობის მიზეზით აღნიშნულ უწყებათა ნამდვილობა რ. ხალვაშის გამოკვლევაში ვერ პოულობს შესაბამისი გამოთქმის ფორმას და მიუხედავად იმისა, რომ ზემორე უწყებათა ნამდვილობასთან დაკავშირებით თავად მკვლევრის შინაგანი რწმენა ჩვენთვის ცნობილია, მაინც, ვინაიდან გამოთქმის ფორმის ბუნდოვანება მკითხველს აბნევს, შევეცდებით ძალიან მოკლედ (ფაქტობრივად, დებულებითად) ჩამოვაყალიბოთ ჩვენი აზრი ჩამოთვლილ საკითხებზე.

და თვით გამოსახულების თავისებურ ნიშნებს, გაურკვეველი რჩება. ...**მაცხოვრის ტიპი, რომელიც წარმოდგენილია აღნიშნულ ძეგლზე, ეკუთვნის ე. წ. „ხელთუქმნელი“ გამოსახულების ტიპს**... მაცხოვრის გამოსახულება იკონოგრაფიული შინაარსით და ზოგი სტილისტიკური ნიშნების მიხედვით, წარმოადგენს, უეჭველია ძველი ხანის ძეგლს, არა უგვიანეს VII-VIII ს. რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია სირიული ხელოვნების წრესთან; სამწუხაროდ, ძეგლი იმდენად დაზიანებულია, რომ არ გვაძლევს საშუალებას უფრო ზუსტად და კონკრეტულად გამოვთქვათ აღნიშნული დებულება“ (შ. ამირანაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 19). თ. ალდამაძე ასევე უარყოფს შ. ამირანაშვილის სრულიად მკაფიო მითითებას იმის შესახებ, რომ **„პირველნელი მხატვრობა შემორჩენია მხოლოდ მაცხოვრის პირისახეს, ისიც მეტად დაზიანებული სახით“** (იქვე; ხაზგასმა ჩვენია), და მხოლოდ პირადი შთაბეჭდილებით თუ სურვილით უიმედოდ ცდილობს, პირვანდელი გამოსახულების (პირისახის) თანადროულად ანუ არქეტიპულად მიიჩნიოს ხატის სხვა (გვიანდელი) დეტალებიც, რომ ამ გზით ხსენებული ხატი პანტოკრატორის (და არა ხელთუქმნელის) ტიპად წარმოაჩინოს (შდრ. თუნდაც გვ. 50). ასევე უიმედოდ მცდარია და მეცნიერული პრეციზულობის ასპექტით სრულიად არასერიოზული ამავე მკვლევრის ცდა, რომ კონკრეტულად **მაცხოვრის ხატწერულ მკლავზე მითითებად** და, შესაბამისად, ხატის პანტოკრატორობის საბუთად წარმოგვიჩინოს საგალობლის სიტყვები: „ლომებრ გუექადიან მტერნი ჩუენნი და გუეცინიან, არამედ **შენ, ხატო** საშინელო, **მკლავითა შენითა შემუსრენ**“ (შდრ. თ. ალდამაძის კომენტარი: „აქ **„მკლავითა შენითა შემუსრენ“** უბრალო, ხატოვანი გამოთქმა არ არის და **იმაზე მეტყველებს, რომ საგალობლის დაწერის დროისათვისაც ანჩის ხატზე მაცხოვარი „მკლავით“ ყოფილა გამოსახული,** ხატზე მაცხოვრის „მკლავიანი“ გამოსახულება ყოფილა; ანუ იოვანე ანჩელის „გალობანი ანჩისხატისანის“ დაწერის მომენტისათვის, როგორც დღეს, ანჩის მაცხოვრის ხატზე ქრისტე ყოვლისმპყრობელი ყოფილა წარმოდგენილი“, გვ. 47). ჩვენ მოვუწოდებთ მკვლევარს, გადაფურცლოს ფსალმუნნი ანდა საეკლესიო საგალობლები ნებისმიერი ეპოქისა და ვარწმუნებთ მას, რომ მრავლად აღმოაჩენს არაერთ უწყებას მაცხოვრის (ღვთის) „მკლავის“ შესახებ ხორციელი მკლავის გაგებისგან აბსოლუტურად გამიჯნულად და, ამასთან, სრულიად არაიკონოგრაფიულ კონტექსტებში.

დავიწყოთ პირველით, რაც უკავშირდება **მოციქულთა წილისყრაში ღვთისმშობლის მონაწილეობას.**

ამ მხრივ კონკრეტული წერილობითი მითითებების გვიანდელობის მიუხედავად, ჩვენ მაინც მკაფიოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დედა ღვთისა მონაწილეობდა წილისყრაში. მეტიც, საერთოდაც რომ არ გამოვლენილიყო რაიმე წერილობითი წყარო, მაინც ბუნებრივად მივიდოდით ამ აზრამდე და აი რატომ:

ეკლესიისგან აღიარებულია, რომ მარიამი მოღვაწეობას ეწეოდა რამდენიმე რეგიონში. მიუთითებენ მის მოგზაურობაზე ეფესოში, ისვე როგორც კვიპროსზე და ათონის მთაზე. ამას აღნიშნავს რ. ხალვაშიც (შდრ. „მან **ათონზე, კვიპროსსა** და **ეფესოში** იმოგზაურა“, გვ. 115). ხსნებულ მოგზაურობებს, ცხადია, ჰქონდა ერთადერთი დანიშნულება: **მომაქცეველობითი ანუ მისიონერული**, შესაბამისად მაცხოვრის ანდერძისა („წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი...“, *მთ. 28.19*). მაგრამ ღვთისმშობლის მისიონერული მოღვაწეობა ვერ წარიმართებოდა **ღვთისგან განუგებლად ანუ დანარჩენ მისიონერებთან (მოციქულებთან) კავშირის გარეშე**, რადგან, სხვა თუ არაფერი, მისიონერთა შორის, კონკრეტული მოღვაწეობის დაწყებამდე, **უთუოდ წინდაწინვე უნდა მომხდარიყო განაწილება „სამკალისა“ ანუ სამოღვაწეო რეგიონებისა**. შესაბამისად, ვინაიდან საღვთო განგება იმის შესახებ, თუ რომელ მისიონერს რომელ რეგიონში უნდა ექადაგა, **სწორედ წილისყრაში გაეცხადათ მოციქულებს**, სავსებით მიზანშეწონილია და კანონზომიერი ფიქრი იმისა, რომ ამ წილისყრაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე თავად ღვთისმშობელიც როგორც მისიონერი, რადგან წარმოუდგენელია, რომ მას თვითნებურად გადაეწყვიტა სამოღვაწეოდ წასვლა, საუფლო განგებულებისა და სხვა მისიონერების სამოღვაწეო ვალდებულებათა ცოდნის გარეშე.

ახლა ღვთისმშობლისადმი ქართლის წილხვდომილობის შესახებ:

მიუხედავად იმისა, რომ საკითხი წილხვდომილობის შესახებ საზოგადოდ საუფლო განგების საიდუმლოა და შეზღუდული კაცობრივი გონებისთვის ამ მოვლენის არსი, ისევე როგორც სხვა საიდუმლოთა წიაღი, უდიდესწილად დაფარულია, მაინც არის შესაძლებელი სარწმუნო დასკვნებამდე მისვლა.

საკითხი ისმის ასე:

ქართლის წილხვდომილობა ღვთისმშობლისადმი ქართველთა ამპარტავნული გამონაგონია, თუ ისტორიულ სინამდვილესთან გვაქვს საქმე?

კვლავ აღვნიშნავთ, რომ უთუოდ უნდა ვითვალისწინებდეთ ესოდენ აღმატებული მოვლენის ჩვენგან შეუმეცნებელ საღვთო მიზეზთა არსებობას, თუმცა ის, რაც შესაძლოა კაცობრივად საწვდომი იყოს, დაუბრკოლებლად უნდა ვაქციოთ განხილვის საგნად.

ამჯერადაც თავშივე მივუთითებთ, რომ თუნდაც არ არსებულიყო ამ კონკრეტული მოვლენის შესახებ წერილობითი უწყებანი, უთუოდ ამგვარ დასკვნამდე მიგვიყვანდა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ფაქტორის სულიერი

ანალიზი.

კონკრეტული არგუმენტირების წარმოდგენამდე, დავსვათ ზემორე კითხვაში შემავალი ქვე-კითხვა:

რა უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ქართლთან ყველაზე უფრო დაკავშირებული სამი მოღვაწე, – ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, ანდრია პირველწოდებული და წმინდა ნინო, – უდიდესი წადიერებით (თუნდაც გვიანდელი წერილობითი წყაროების მიხედვით) ისწრაფვის საქართველოსკენ?

ამ კითხვის პასუხს არსებითად ვპოულობთ წმინდა ნინოს მიმართვაში დვინელი „მიაფორისადმი“:

„სადა არს ჩრდილოჲსა იგი კუეყანაჲ, ანუ სადა არს სამოსელი იგი უფლისა ჩუენისაჲ?“ *(ძეგლები, I, გვ. 113).*

როგორც ვხედავთ, არსებითი, რაც ქართლისკენ აღასწრაფებს წმინდა ნინოს, ესაა **კვართის სამყოფლის და კვართის მფლობელი ქვეყნის მოძიება-მოხილვა.**

ჩვენ ამჯერად არ შევეხებით თავად კვართის ღვთისმეტყველებას და არ შევუდგებით იმ სულიერ მიზეზებზე მსჯელობას, რამაც **მცხეთისადმი კვართის წილად ხვედრება** განაპირობა[23], ხაზს გავუსვამთ მხოლოდ იმას, რომ **წმინდა ნინოს ქართლისკენ მსვლელობას მგზნებარებას ანიჭებს კვართისადმი, ხილულ სოფელში დაცული ყველაზე დიდი საუფლო სიწმინდისადმი, სულიერი ტრფიალება ანუ წმინდა ნინოს სვლა ქართლისკენ, ესაა სვლა კვართის ცხოველმყოფელი სიწმინდისკენ.** ეჭვი არაა, კვართი რომ სხვა ქვეყანაში ყოფილიყო, წმინდა ნინოც უთუოდ იქითკენ განიმსრბოლებდა.

მაგრამ წმინდა ნინოს სულიერი ტრფიალება და გულისთქმა კვართისადმი ესაა ტრფიალება და გულისთქმა თავადი შემოქმედის უწმინდესი რელიქვიისადმი. ამას ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ წმინდა ნინოსგან (და უკლებლივ ყველა სხვა წმინდანისგან, ყველა სხვა ადამიანისგან) განსხვავებით, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, გარდა ზემორე მიზეზისა (ე. ი. გარდა შემოქმედის უსაღვთოესი რელიქვიისადმი უდიდესი სულიერი გულისთქმისა), სხვა უმძლავრესი გრძნობაც უმძაფრებდა კვართისადმი მგზნებარებას. ესაა, საკუთრივმეტყველებითი აზრით, **მარიამის განსაკუთრებული დედობრივი სიყვარული თავისი ხორციელი ძისადმი.**

თუ ჩვეულებრივი დედა თავისი ძვირფასი ძის სამოსლის მოსაძიებლად არ დაერიდება არანაირ დაბრკოლებას და დედობრივი გრძნობის ძალით ყველა სიმძიმეს გადალახავს, ვერ შეაჩერებს რა ვერაფერი, რამდენად უფრო უნდა ყოფილიყო ღვთისმტვირთველი მარიამი აღვსებული თავისი ჯვარცმული ძისადმი დედაშვილური სიყვარულით და რაოდენ სანატრელი

---

23 იხ. კვართის შესახებ ვრცლად ე. ჭელიძე, მართლმადიდებელი ეკლესია და ეროვნულობა, *ჟურნ. გული გონიერი, 2012, I [საშობაო გამოცემა], გვ. 47-84.*

უნდა ყოფილიყო მისთვის მოხილვა-მოძიება და გულში ჩაკვრა თავისი იესოს ზეგარდმო-ქსოვილი კვართისა, იმ სამოსისა, ესოდენ ცხოვლად რომ ინახავდა შიგნით ღვთისსხეულის (მარიამისთვის, ამავე დროს, ხორციელი ძის სხეულის) ნაკვალევს და ტკივფარს? **როგორ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ღვთის დედას, ყველაზე აღმატებულს დედათა შორის, არ განმსჭვალავდა უდიდესი სურვილი თავისი ძის სამოსელის მოძიებისა?** ყველაზე მეტად ხომ სწორედ მას ექნებოდა ამ სამოსლისადმი, იესოს კვართისადმი, **უმძაფრესი ტრფიალება?** და თუ ექნებოდა, როგორღა შეიძლებოდა მომხდარიყო ისე, რომ საუფლო განგებას სხვისთვის ერგუნებინა წილხვდომითად კვართის ქვეყანა?

ამასთან, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, დაეჭვებაც არ შეიძლება, რომ კვართისადმი მარიამის განუზომელი სულიერი სიყვარული გარდაუვალად განივრცობოდა **იმ ქვეყნისადმიც,** რომელმაც იწილხვედრა და კრძალვით შეიტკბო ხსენებული სიწმინდე, რომელიც ღვთის-დედისთვის ყველაზე ძვირფასის, ყველაზე სანუკვარის, ყველაზე სასურველის[24] მცველი, კვართისმცველი, კვართის ებგურ-გუშაგი გახდა.

აი რა ასწრაფებს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ქართლისკენ, აი რა აყვარებს მას გამორჩეულად ამ ქვეყანას, სადაც მისი ძის სამოსელი ჰგიეს, აი რა ქმნის უმყარეს საფუძველს კვართის ქვეყნის სწორედ მისდამი წილხვდომობისთვის.

და ბოლოს, წმ. ანდრია პირველწოდებულისა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ურთიერთკავშირის შესახებ:

ის ფაქტი, რომ უფრო ადრეულ წერილობით წყაროებში ცალ-ცალკეა ფიქსირებული, ერთი მხრივ, ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოღვაწეობა საქართველოში, მეორე მხრივ კი ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობა, ოდნავადაც ვერ აკნინებს აზრს იმის შესახებ, რომ **საქართველოს მიმართ მარიამისა და ანდრია მოციქულის მოღვაწეობა განუყრელ ურთიერთკავშირშია.**

მართლაც, თუ ვაფიქსირებთ (თუნდაც ცალ-ცალკე) მარიამისადმი ქართლის წილხვდომილობასაც და ანდრიას მიერ ქართლის გაქრისტიანებასაც, მაშინ, სრულიად გარდაუვალად, – მიუხედავად იმისა, ხმოვანი სიტყვით ვიტყვით ამას თუ არა, ანდა წერილობითი წყაროებით ვიმაუწყებლებთ ამაზე თუ არა, – ეს ორი მოვლენა აღმოცენებისთანავე ურთიერთისადმი თანაშემსჭვალულია, ურთიერთდამტევნელია, ერთიმეორის გარეშე არ არსებობს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში უთუოდ იმ აზრამდე მივიდოდით, რომ

---

24 საგულისხმოა, რომ საუფლო კვართი „ქართლის ცხოვრებაში“ წოდებულია როგორც **„უსასურველესი ყოველთა სასურველთა“** *(შდრ.* „იხილა **უსასურველესი იგი ყოველთა სასურველთა** – კუართი მჭსნელისა ჩუენისა“, *ქართლის ცხოვრება, I, გვ. 37).*

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და უფლის მოციქულთა კრებული უსისტემო რამ კაცობრივი წარმონაქმნი ყოფილა, ყოველგვარი საღვთო განგებისგან სრულიად განშორებული და უფლის მადლისგან განშიშვლებული. როგორ შეიძლება ვიფიქროთ, რომ, ერთი მხრივ, ღვთისმშობელს წილად ხვდა საქართველო, მეორე მხრივ კი ანდრია პირველწოდებულმა აღასრულა წილხვდომილობის ვალდებულება, და ეს ორი მოვლენა ერთიმეორისგან დამოუკიდებლად განხორციელდა? განა ანდრია მოციქულს არ ეცოდინებოდა, თუ რომელი ქვეყანა ხვდა წილად მარიამს? განა მარიამსაც, თავის მხრივ, არ ექნებოდა ზედმიწევნითი ცოდნა იმისა, თუ საითკენ მიემართებოდა ანდრია? **როგორ შეიძლებოდა ღვთისმშობლისთვის უცნობი დარჩენილიყო ის ფაქტი, რომ ანდრია მოციქული სწორედ მის საწილხვედროში აპირებდა საქადაგებლად წასვლას, ანდა თავად ანდრია როგორ გაკადნიერდებოდა აგრერიგად, რომ მარიამის სამოღვაწეო ქვეყანაში აღესრულებინა, მარიამისგან დაფარულად, მარიამისადმი წილხვედრებული ვალდებულება**?

ამრიგად, ნათელია, რომ **ქართლის წილხვედრობა ღვთისმშობლისადმი და ანდრია პირველწოდებულის მიერ იმავე ქართლის გაქრისტიანება ორი ერთმთლიანი მოვლენაა და ურთიერთისგან არანაირად არ განიყოფა.**

* * *

რ. ხალვაშის ნაშრომში აღძრულია კიდევ არაერთი სხვა მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც ყველა ჩვენგანის დიდ ინტერესს იწვევს, თუმცა აღნიშნულ სარეცენზიო გამოხმაურებაში მათზე მსჯელობა მეტად განგვივრცობდა სიტყვას, რის გამოც ზემოთქმულს ამჯერად საკმარისად მივიჩნევთ, ვიმედოვნებთ რა, რომ ყველაზე არსებითის შესახებ ჩვენი მკაფიო დამოკიდებულების გამოხატვა მეტ-ნაკლებად შევძელით.

ედიშერ ჭელიძე

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
გამომცემლობა
2012

კომპიუტერული უზრუნველყოფა და ტექნიკური რედაქტორი
შორენა ფარქოსაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, სიონის ქ. №14/40.

E-mail: gamomcemloba@mail.ru

Address of editorial Board:
14/40, SIONI STR. TBILISI.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E-mail: info@meridianpub.com